სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება
(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)"

Scientific magazine "AUTHORITY AND SOCIETY
(History, Theory, Practice)"

Научный журнал "ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО
(история, теория, практика)"

№ 1 (5)

2008

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის
უცხოური ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის
სამეცნიერო ჟურნალი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
HUMANITARIAN-SOCIAL FACULTY
Scientific magazine of Department of Foreign Languages and Communication

ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ
УНИВЕРСИТЕТ
Гуманитарный-социальный факультет
Научный журнал департаметна Иностранных языков и коммуникаций

ISSN 1512-4029

UDC 378(479.22)(051.2)
ხ. 402

სარედაქციო კოლეგია:

შოთა დოდონაძე
- მთავარი რედაქტორი
გიორგი ბაღათურია
- მთავარი რედაქტორის მოადგილე
ოთარ ბაღათურია
- პასუხისმგებელი მდივანი

ნანა ავალიანი, მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია), ევგენი ბარათაშვილი, ვახტანგ გურული, გენადი იაშვილი, თემურ თოდუა, როინ მეტრეველი, ქეთი ქოქრაშვილი, ოთარ ქოჩორაძე, რუსუდან ქუთათელაძე, მაია ჩხეიძე

✡ ✡ ✡ ✡ ✡

ჟურნალი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებლია ავტორი. გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის შეხედულებებს.

მისამართი:

საქართველო, თბილისი 0171 კოსტავას ქ.77, VI კორპუსი VIII სართული ტელ. 36.45.14
77 Kostava st., 0160 Tbilisi, Georgia. Tel. [995 32] 36.45.14
Mail: DLPA@gtu.ge

გარეკანის გაფორმება: დავით ბაღათურია

ჟურნალის ელექტრონული ვერსია გამოქვეყნებულია მისამართზე:
http://www.gtu.ge/katedrebi/kat124/

სარჩევი

საერთაშორისო კონფერენცია „სახელმწიფო მართვის
ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში“---------- 5

გიორგი ბაღათურია
სოფიკო ცხადაძე
სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიული
დაგეგმვა – ბისმარკი---------- 5

ლალი გვასალია
მივუბრუნდეთ მყუდრო სავანეს!
ღია წერილი ჩემს და სხვა სტუდენტებს---------- 24

ბელა გოდერძიშვილი
მაია დანელია
რეგიონული პოლიტიკა ფედერალიზმის პირობებში---------- 35

ტარიელ კიკვაძე
თამარ ბერიძე
ოპტიმალური პორტფელის ფორმირება
მათემატიკური პროგრამირების მეთოდების გამოყენებით------ 44

გენადი იაშვილი
მცირე და საშუალო წარმოებათა უპირატესობები
და ნაკლოვანებები, მათი როლი ქვეყნის
ეკონომიკის განვითარებაში---------- 51

რუსუდან თაბუკაშვილი
ქალთა ენის ჰიპოტეზის განვითარება----------61

დავით თაქთაქიშვილი
მოსაზრებანი მსოფლმხედველობრივ პრობლემებზე ---------- 68

თემურ თოდუა
მარიამ ნაცვლიშვილი
ადმინისტრირება და მენეჯმენტი სახელმწიფო მართვის
სისტემაში ----------76

პოლიტიკური ლიდერის როლი სახელმწიფო მართვის
სისტემაში----------86

სერგო ლომინაძე
PR-საქმიანობის სოციალურ-ფილოსოფიური ასპექტები------- 96

მაია ჩხეიძე
ლოგიკური არგუმენტების კონსტრუირების პრობლემა-------- 106

მაია ჩხეიძე
ეფექტური ვერბალური კომუნიკაციის პრობლემა---------- 111

სტუდენტური გვერდები

მარიამ გელიაშვილი, მაია გელიაშვილი
საქართველოში განათლების ისტორიული საძირკვლები------ 115

დაჩი თაქთაქიშვილი
ხმამაღალი ფიქრები დედა-შვილობის ფენომენზე ----------127

გვანცა გოგიშვილი
ორატორული ხელოვნების სათავეებთან----------135

მარიამ ლომიძე
საქართველოს წყლის რესურსების მართვა და დაცვა----------146

თინათინ იაშვილი, ირინა იაშვილი
რუსეთის აგრესიული ენერგეტიკული პოლიტიკა
მეზობელი სახელმწიფოების მიმართ ----------160

თამარ სრესელი
სასამართლო რეფორმა და მისი როლი ----------179

თეონა ქათამაძე
კულტურული მემკვიდრეობის საკითხი საქართველოს
(1918-1921) დემოკრატიულ რესპუბლიკაში ----------187

საერთაშორისო კონფერენცია „სახელმწიფო მართვის ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში“

2008 წლის 27-28 მარტს ქ. თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „სახელმწიფო მართვის ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში“.

კონფერენცია ორგანიზებული იყო საქართველოს საერთაშორისო და სტრატეგიული კვლევის ფონდის მიერ ინსტიტუტი - ღია საზოგადოების მხარდაჭერით.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, კანადისა და საფრანგეთის სახელმწიფო მართვის ორგანოების, აკადემიური წრეებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა.

კონფერენციის გახსნისას სიტყვა წარმოთქვეს:

- ალექსანდრე რონდელმა - საქართველოს საერთაშორისო და სტრატეგიული კვლევის ფონდის პრეზიდენტმა;
- კრისტინა ვიტფუტმა – საერთაშორისო განვითარების ვიცე-პრეზიდენტმა, კანადის საერთაშორისო ბიურის წარმომადგენელმა;
- ანდრიან იონესკუმ – ინსტიტუტი – ღია საზოგადოების დირექტორმა (ბუდაპეშტი);
- ნიკოლას რობილიარმა – კანადის საერთაშორისო განვითარების უფროსმა ოფიცერმა.

ძირითადი მოხსენება „ სახელმწიფო მართვის ტრანსფორმაცია გარდა-მავალი პერიოდის კონტექსტში“ წარმოადგინა ბობ ვონვიტმა – პროგრამა სიგმა-ს ხელმძღვანელმა (საფრანგეთი).

კონფერენციაზე მუშაობდა ოთხი სექცია:

1. ადამიანის რესურსების მენეჯმენტი და სახელმწიფო მართვის რეფორმა;
2. პოლიტიკის ფორმირება: პარადიგმის ცვლილება;
3. განათლება სახელმწიფო მართვის სფეროში: გამოწვევები და პერსპექტივები;
4. სკოლიდან სახელმწიფო სამსახურამდე.

მოსმენილი იქნა 14 მოხსენება, გაიმართა დისკუსია.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი შოთა დოღონაძე. ქვემოთ ვაქვეყნებთ მისი გამოსვლის ტექსტს.

გასული საუკუნე არა ერთი მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა. საქართველოსათვის მე-20 საუკუნე უდიდესი ტკივილისა და ამავედროს ბედნიერების ასწლეულია. საუკუნის მიწურულს საქართველომ მეორედ და უკვე საბოლოოდ მოიპოვა დამოუკიდებლობა. წარმატებით დაგვირგვინდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. დაიწყო ახალი ერა, ქვეყანა პირისპირ დადგა მსოფლიო თანამეგობრობისა და შიდასახელმწიფოებრივი გამოწვევების წინაშე.

საქართველოსათვის, როგორც განვითარებისა და სახელმწიფოებრივი სრულყოფის გზაზე მდგარი ქვეყნისათვის განსაკუთრებით აქტუალურია იმ პრობლემატიკის მეცნიერულად გააზრება, რომელიც სახელმწიფო მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნისათვისაა საჭირო.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში სამეცნიერო წრეებში, ამ მიმართულებით, გარკვეული გამოცოცხლება შეინიშნება, ეს საქმიანობა ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფისაგან. არსებულ ხარვეზს ვერ ავსებს რამდენიმე წიგნი და სტატია, რომელიც სახელმწიფო მართვის თეორისა თუ პრაქტიკის ცალკეულ ასპექტს ეხება. ამოცანა კი ფრიად მნიშვნელოვანია; ვერ ამართლებს საქართველოს სინამდვილეზე ისეთი მეთოდებისა და საქმიანობის ფორმების კალკირება, რომელიც აღწერილია უცხოურ წყაროებსა და გამოკვლევებში.

ამოცანა მხოლოდ იმაში კი არ მდგომარეობს, რომ სახელმწიფო სამსახურის გამართული ფუნქციონირება იქნეს უზრუნველყოფილი, ისეთი ატმოსფერო უნდა შეიქმნას, რომ ადამიანთა აზროვნებაში ჩამოყალიბდეს სახელმწიფოებრიობისა და სამართლიანობის განცდა.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მართვის სისტემას დიდი ხნის ისტორია აქვს, მისი განვითარება და დახვეწა მუდმივი პროცესია და იგი საზოგადოების განვითარების კვალობაზე ახალი შინაარსით ივსება. ამდენად, აუცილებელია სერიოზული და თანმიმდევრული კვლევა არსებული ვითარების ანალიზისა და მომავალი პერსპექტივის განჭვრეტის მიზნით.

საქართველოს ადმინისტრაციული სისტემის ფორმირება დასასრულებელია, გასამართია სახელმწიფო სამსახურის სტრუქტურები, მოსაზიდი და აღსაზრდელია კვალიფიციური კადრები; დასახვეწია ურთიერთობები ქვეყნის საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებათა შორის; ქვეყანაში ჯერ კიდევ მძლავრობს ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემა, მართვის მოძველებული

იდეოლოგია. ბოლომდე სწორად არ არის გააზრებული ხელისუფლების ურთიერთობები სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებთან, რომლებიც თავის მხრივ სრულყოფის პროცესშია.

საქართველოსათვის პრაქტიკულად დეკლარირების დონეზეა მართვის დემოკრატიული სტილი, ცოტა რამ თუ არის ნათელი და მეცნიერულად გააზრებული ამ მიმართულებით. მეცნიერთა, პოლიტოლოგთა და პედაგოგიკის მკვლევართა ნაშრომები (რომელთა რაოდენობა საკმაოდ მწირია) ვერ უზრუნველყოფენ სახელმწიფო მართვის უმნიშვნელოვანესი ასპექტების კვლევის აუცილებელ მოცულობას.

სახელმწიფო მართვის საკითხთა მეცნიერული ანალიზი ისეთ სახელმწიფოში, როგორიც საქართველოა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა და იგი პირდაპირ კავშირშია ქვეყნის მოქალაქეთა კეთილდღეობის ზრდასთან, იმ დაკვეთის შესრულებასთან, რომელსაც ისინი, როგორც ამომრჩევლები აკისრებენ ხელისუფლებას.

იმისათვის კი, რომ საქართველოში დამკვიდრებულ იქნეს დასავლური ტიპის დემოკრატია და განვითარდეს იგი იმ პრინციპების თანახმად რაც აუცილებელია ქვეყნის ევროატლანტიკურ სივრცეში ჰარმონიულად ინტეგრაციისათვის უმთავრესი სათანადოდ განსწავლული კადრების მომზადებაა. სახელმწიფო მართვის სპეციალისტთა მომზადება განსაკუთრებული პროცესია, აქ მარტო საფუძვლიანი ცოდნის გადაცემა და აქტუალური თეორიების შესწავლა საკმარისი არ არის. უნდა აღიზარდოს ყოველმხრივ შემკული პიროვნება, რომლისათვისაც უმთავრესი პრიორიტეტი ადამიანი, მისი ინტერესები და პრობლემები იქნება, რომელიც შეძლებს საქმის ისეთ ორგანიზაციას, რაც შედეგიანი და ეფექტის მომტანი იქნება. პროფესიონალის პრობლემა ყველგანაა, მაგრამ სახელმწიფო მართვაში ეს პრობლემა ორმაგად საპასუხისმგებლოა, რამდენადაც დაშვებულმა შეცდომებმა შეიძლება დიდი ხნის დაგვიანებით იჩინოს თავი და, როგორც ეს ხშირად ხდება გამოსწორების შანსი მინიმალურია.

ეს რომ ესმოდათ, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ხელმძღვანელობის ერთ ნაწილს (ბატონი ზ. ჟვანიას მონაწილეობით) დიდი შრომა დასჭირდა იმისათვის, რომ დაწყებულიყო სახელმწიფო მართვის სპეციალისტთა მომზადება, რასაც პირველ რიგში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი გამოეხმაურა : უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა ქართულ-ამერიკული ინსტიტუტი, რომელიც მაგისტრების მომზადებაზე იყო

ორიენტირებული. ტექნიკურ უნივერსიტეტში კი ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტზე 1995 წლიდან დაიწყო სახელმწიფო მართვის მოხელეთა მომზადება. ამ წამოწყებამ გარკვეული გამოხმაურება მიიღო სხვა უმაღლეს სკოლებშიაც.

2001 წელს ტექნიკურ უნივერსიტეტში „სახელმწიფო მართვის მოხელის“ სპეციალური კათედრაც კი გაიხსნა. გადამუშავდა სასწავლო გეგმები, დაიხვეწა პროგრამები და გაგრძელდა სახელმწიფო მართვის სპეციალისტთა მომზადება ორ დონეზე : ბაკალავრიატში და მაგისტრატურაში. აქვე დაიწყო 2 სხვა სპეციალობის - სახელმწიფო პოლიტიკის ბაკალავრთა და ქალაქის მენეჯერის მომზადებაც. აღსანიშნავია, რომ „სახელმწიფო მართვის მოხელის“ კათედრა გამოირჩეოდა სანიმუშო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სწავლების ახლებური, თანამედროვე მეთოდოლოგიით. კათედრა დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან, არაერთი მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწე კითხულობდა ჩვენთან ლექციებს, სტუდენტები სასწავლო პრაქტიკას გადიოდნენ სამთავრობო დაწესებულებებში.

შედეგი, შედეგი თვალნათელია, ჩვენი კურსდამთავრებულებიდან, განსაკუთრებით მაგისტრები, მნიშვნელოვან პოზიციებზე არიან სახელმწიფო სამსახურში და ბიზნესის მართვის სფეროში. აღნიშნული სპეციალობის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი საგრძობლად მაღალია სხვა სპეციალობებთან შედარებით. ასეთ მოკლე პერიოდში შესაძლებელი გახდა კურსდამთავრებულთაგან მოგვემზადებია 4 ახალგაზრდა ლექტორი, რომლებიც წარმატებით ასწავლიან მომავალ მოხელეებს.

უნდა ითქვას, რომ წლების მანძილზე აღნიშნული სპეციალობები, განსაკუთრებით „სახელმწიფო მართვის მოხელე“ კონკურენტუნარიან სპეციალობად ითვლება, მისაღებ გამოცებზე კონკურსი 1:9-ზე შეადგენდა. პირველი ეროვნული გამოცდების ჩატარებისასაც დიდი იყო აღნიშნულ სპეციალობაზე შემომსვლელთა რიცხვი: სახელმწიფო მართვის მოხელის სპეციალობის გამოცხადებულ 40 ადგილზე ჩაირიცხა 40 აბიტურიენტი, რომელთაგან ნახევარს მოპოვებული აქვს სახელმწიფო დაფინანსება, დანარჩენიც მაღალი ქულების მფლობელები არიან. სრულად შეივსო ქალაქის მენეჯერის ბაკალავრიატის პირველ კურსზე გამოცხადებული 10 ადგილიც. სამწუხაროდ, ნაცვლად იმისა, რომ შენარჩუნებული ყოფილიყო ეს მაჩვენებლები საქართველოს განათლების სამინისტრომ 2005 წელს ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალიდან, ე.წ.

კლასიფიკატორიდან ამოიღო სპესიალობა – სახელმწიფო მართვა და ქალაქის მენეჯერი. დღეს შემორჩა მხოლოდ მეორად სპეციალობად (mainor-ად), საბედნიეროდ მაგისტრატურაში ეს სპეციალობა შენარჩუნებულია და მსურველთა დიდ მოზღვავებაც სახეზეა. ასევე, მიმდინარე წელს 4 დოქტორანტი შეუდგა მომზადებას სახელმწიფო მართვის მიმართულებით.

ვთვლით, რომ გამართლებული არ არის ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში აღნიშნული სპეციალობების ამოღება, ბევრი მიზეზის გამო, მათ შორის:

- ახალგაზრდა სახელმწიფოს მშენებლობას მაღალკვალიფიციური კადრები ესაჭიროება, განსაკუთრებით ისეთ მიმართულებებში, როგორიცაა სახელმწიფო მართვა, სახელმწიფო პოლიტიკა, ქალაქის მენეჯმენტი; ისინი სპეციალური პროგრამებით უნდა იქნენ მომზადებული; უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ სახელმწიფო მართვის მოხელისათვის ბაკალავრის ხარისხი საკმარისი არ არის. რამდენადაც სახელმწიფო სამსახურში მხოლოდ დიდი რანგის თანამდებობები არ არის, ნებისმიერ თანამდებობაზე კი საჭირო ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტია საჭირო. ასეთი კონტიგენტის მომზადება ბაკალავრიატში თავისუფლად არის შესაძლებელი.
- დიდია კადრების ნაკლებობა რეგიონებში (აკი სპეციალურად ამ ხარვეზის შესავსებად შეიქმნა სპეციალური სკოლა ქ. ქუთაისში);
- ეს სპეციალობები კონკურენტუნარიანნი არიან საქართველოს შრომის ბაზარზე;
- დაწყებულია მეცნიერული კვლევა, რომელშიაც აქტიურად არიან ჩაბმულნი სტუდენტები და მაგისტრანტები და ეს სამუშაო უნდა გაგრძელდეს, მით უფრო, რომ კათედრას საქმიანი კონტაქტები აქვს დამყარებული მსოფლიოს არაერთი უნივერსიტეტის ანალოგიური სპეციალობების სასწავლო-სამეცნიერო რგოლებთან.
- ამერიკასა და ევროპაში, მრავალი სპეციალიზებული სასწავლებელი და სასწავლო ერთეულია, რომლებიც წარმატებით ამზადებს ბაკალავრებსა და მაგისტრებს; სწორედ მათ გამოცდილებას იყენებდა და იყენებს ტექნიკური უნივერსიტეტი.

მიმაჩნია, რომ სახელმწიფო მართვის სპეციალისტთა მომზადებაში განსაკუთრებული ინიციატივები და სიახლეების მუდმივი ძიებაა საჭირო. ინტერაქტიული სწავლების მეთოდიკის გამოყენება კი აუცილებელი პირობაა წარმატებისათვის.

სამწუხაროდ, ბევრი სიახლე ჯერ კიდევ ვერ იკიდებს ფეხს ჩვენში. ჩვენი კათედრის ბაზაზე ორი წლის წინ დავიწყეთ სახელმწიფო მართვის 6 თვიანი კურსების პროგრამა, რომელიც დისტანციური სწავლების მეთოდით მიმდინარეობდა. ეს მეთოდი ფართოდ არის გავრცელებული მთელს მსოფლიოში. საქართველოს სინამდვილეში ამ მეთოდით სწავლებამ ვერ გაამართლა, ეს იმდენად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სისუსტითა და დაუხვეწავი პროგრამების მიზეზით არ იყო გამოწვეული, რამდენადაც განათლების სისტემის მმართველთა უყურადღებობის ბრალია. დღემდე საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს დისტანციური სწავლების მეთოდს და იგი მხოლოდ ცალკეულ ენთუზიასტთა მონდომებაზეა დამოკიდებული.

ვფიქრობ დღევანდელი ჩვენი კონფერენცია, აქ წარმოდგენილი პრეზენტაციები დიდად შეუწყობს ხელს სიახლეების დანერგვას სახელმწიფო მართვის მეთოდებისა და ფორმების სწავლების საქმეში. ჩვენ ბევრი ახალი გავიგეთ, სხვა რაკურსით დავინახეთ ნაცნობი პრობლემები და გამოწვევები, ალბათ არ უნდა გაგვიჭირდეს ადექვატურად ვუპასუხოთ მათ. მადლობა ორგანიზატორებს ასეთი სასარგებლო დისკუსიის ორგანიზებისათვის.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

Summary

International conference PUBLIC ADMINISTRATION TRANSFORMATION IN THE SOUTH CAUCASUS

Shota Dogonadze, Full Professor, Head of the Public Administration programm of Foreign Languages and Communication Department (Georgian Technical University), presented his brief report on the international conference in Tbilisi of March 27-28, 2008.

Резюме

Международная конференция : Трансформация государственного управления на Южном Кавказе

Матерял посвящается Международной конференции : Трансформация государственного управления на Южном Кавказе, проведенной 27-28 марта в г. Тбилиси. Публикуется выступление на конференции проф. Шота Догонадзе.

გიორგი ბაღათურია
სოფიკო ცხდაძე

სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიული დაგეგმვა – ბისმარკი

„ძლევამოსილი ომიც კი – ბოროტებაა, რომელიც ხალხთა სიბრძნით უნდა ავიცილოთ“
ბისმარკი

თავისუფლება და ერთიანობა – სასიცოცხლო გარემო სახელმწიფოსა და ერის არსებობისთვის

პოლიტიკური მოღვაწის საქმიანობის სრულყოფილი შეფასება, როგორც წესი, მხოლოდ ხანგრძლივი დროის შემდეგ ხდება შესაძლებელი. ადამიანებს უჭირთ სათანადოდ დააფასონ მათი თანამედროვე ბუმბერაზი მოღვაწენი, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც პოლიტიკოსის მოღვაწეობა რთულ, მტკივნეულ გარდაქმნებს იწვევს და შორეულ სტრატეგიულ მიზნებს უკავშირდება. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან თანამედროვენი ვერ იხილავენ შორეული შედეგების ნაყოფს. არც თუ იშვიათად, შთამომავლობაც სათანადოდ ვერ აფასებს ასეთი პოლიტიკოსის მოღვაწეობის შედეგებს, თუ კი მის პოლიტიკურ მოძღვრებას მემკვიდრეები დაამახინჯებენ და ქვეყნისა და მსოფლიოს საზიანოდ იმოქმედებენ.

ასეთი ბედი ეწია ოტო ედუარდ ლეოპოლდ ფონ ბისმარკ-შიონჰაუზენს (1815-1898), გერმანულად - *Otto Eduard Leopold von Bismarck-Schönhausen*; გერმანიის უდიადეს პოლიტიკურ მოღვაწეს, სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიული დაგეგმვის დიდოსტატს, ქვეყნის გამაერთიანებელს, თანამედროვე გერმანიის – ევროპისა და მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს ფუძემდებელს.

ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ნებისმიერი ქვეყნის ღირსეული განვითარებისა და არსებობისათვის აუცილებელია

ორი პირობის შესრულება – ერთია ქვეყნის პოლიტიკური (და, როგორც შედეგი, ეკონომიკური) თავისუფლება, მეორე – ერთიანი სახელმწიფოს არსებობა. ***თავისუფლება და ერთიანობა წარმოადგენს იმ აუცილებელ პირობებს, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობასა და ბედნიერებას.*** ქართველმა ერმა ეს ძალიან კარგად იცის.

თავისუფლებისა და ერთიანობის საკითხი მუდამ უმწვავესი და, უმეტესად, გადაუჭრელი პრობლემა იყო და არის საქართველოში. ამდენად, მით უფრო საგულისხმოა იმ ქვეყნებისა და პოლიტიკურ მოღვაწეთა მაგალითები, რომლებმაც შეძლეს სამშობლოს თავისუფლების უზრუნველყოფა და ერთიანობის მიღწევა. როდესაც ბისმარკი გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე გერმანია, როგორც ერთიანი სახელმწიფო, არ არსებობდა. იყო მხოლოდ სამთავროები, სამეფოები, გაერთიანებები, რომლებიც გამუდმებით ქიშპობდნენ ერთმანეთში. პოლიტიკური ასპარეზიდან წასვლისას კი მან დატოვა უძლიერესი ერთიანი სახელმწიფო. უძლიერესი ყველა თვალსაზრისით – ეკონომიკური, პოლიტიკური, სამეცნიერო, კულტურული და ა.შ. ჩამოყალიბდა მძლავრი გერმანული სახელმწიფო, რომელსაც თითქმის ვერაფერი დააკლო ორმა გამანადგურებელმა მსოფლიო ომმა. დღეს, ერთიანი გერმანია ევროპისა და მსოფლიოს სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების გარანტი გახლავთ.

ეს წარმატება ვერ იქნებოდა მიღწეული დაქსაქსული გერმანიის პირობებში. სწორედ ამიტომ ვერ გახდა საქართველო ძლიერი სახელმწიფო, თუმცა კი არსებობდა სათანადო ისტორიული შესაძლებლობა („გავმზადებულვართ მეორე ბიზანტიად“ – მურმან ლებანიძე). შუა საუკუნეების „ოქროს ხანის“ შემდეგ, XX საუკუნის დასასრულამდე, აღარ გვქონია ერთიანი სახელმწიფო (1918-1921 წწ. „მცირე ოქროს ხანა“ საერთო სურათს არ ცვლის), არც ისეთი პოლიტიკური მოღვაწენი გვყავდნენ, რომლებიც შეძლებდნენ ბისმარკის მსგავსი შედეგების მიღწევას. თეიმურაზ II-მ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით, მაგრამ, ქართველთა სათაყვანო მეფემ, „პატარა კახმა“, სწორუპოვარმა მხედართმთავარმა, მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, არაშორსმჭვრეტელმა პოლიტიკოსმა, ფაქტობრივად გააცამტვერა დიდი მამის დანატოვარი – ერთიანი ქართლ-კახეთის სამეფოს შემდგომი გაძლიერების ნაცვლად მან საჭირო მომენტში არამცთუ ქვეყნის გაერთიანება ვერ მოახერხა, პირიქით, ქართლ-კახეთის სამეფოც დაშალა, ხოლო

ქართლის სამეფო თითქმის მთლიანად საუფლისწულო მამულებად დაანაწილა მრავალრიცხოვან ბატონიშვილთა შორის. ეს გახლდათ მისი უმთავრესი შეცდომა. სწორედ ასეთმა პოლიტიკამ განაპირობა საბედისწერო მარცხი კრწანისის ომში და, შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა თითქმის 200 წლის განმავლობაში. თუმცა, აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სწორედ რუსეთის იმპერიის ფარგლებში არსებულმა ერთიანმა ქართულმა ქვეყანამ (არა სახელმწიფომ), თუნდაც გუბერნიებად დაყოფილმა, და, შემდეგ უკვე საბჭოთა კავშირში, შეძლო, მიეღწია სამეცნიერო, ეკონომიკური, კულტურული წარმატებებისთვის.

ბისმარკს კი ხშირად სწორედ იმაში ადანაშაულებდნენ, რომ მან ჩაუყარა საფუძველი ერთიან გერმანულ სახელმწიფოს, რასაც მარქსისტი ისტორიკოსები და პოლიტიკოსები გერმანულ იმპერიალიზმად ნათლავენ (ამ დროს „ვერ ამჩნევენ“ რუსულ, ბრიტანულ, ამერიკულ, ფრანგულ იმპერიებს). კრიტიკოსთა აზრით გერმანულმა რეაქციულმა და აგრესიულმა ძალებმა შექმნეს ისტორიული კონცეფცია, რომლის თანახმადაც მილიტარიზმმა და ომმა გააძლიერეს გერმანიის ერთიანობა [1]. ამავე დროს ისინი, ვინც მას იმპერიალიზმში ადანაშაულებდნენ, არაფერს ამბობენ საკუთარი ქვეყნების იმპერიალისტურ ზრახვებზე. რაც შეეხება მსოფლიო ომებს, რომლის ინიციატორად გერმანიას გვისახავენ, აქ დიდ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. მსოფლიო ომების მიზეზი გახლდათ იმპერიალისტური ქვეყნების, იმდროინდელი ზესახელმწიფოების ურთიერთსაწინააღმდეგო სტრატეგიული მიზნები, რასაც აუცილებლად უნდა გამოეწვია სამხედრო დაპირისპირება, რომლის ცენტრში აღმოჩნდა გერმანია. სავსებით სამართლიანად შენიშნავს გერმანელი ისტორიკოსი გ.ონკენი (H.Oncken. Das alte und das neue Mitteleuropa): *„ჩვენი ქვეყანა ევროპის შუაგულშია, მოუწყობელი და ცვალებადი სახმელეთო საზღვრებით, რომლისკენაც მიმართულია ყველა ისარი“* [1]. მართლაც, იმდროინდელი გერმანია მტრული ქვეყნებით იყო გარშემორტყმული.

ბისმარკთან და ერთიან გერმანიასთან დაკავშირებით განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის მონაწილეობა მსოფლიო ომში და მისი მარცხი სწორედ იმან განსაზღვრა, რომ გერმანიის იმდროინდელმა ლიდერებმა გადაუხვიეს ბისმარკის დოქტრინას, რომ არ შეიძლება ორ ფრონტზე ომი და მითუმეტეს რუსეთის წინააღმდეგ. იგი ამბობდა: ***„არასოდეს არაფერი დაგეგმოთ რუსეთის***

წინააღმდეგ, იმიტომ, რომ ყოველ თქვენს ეშმაკობაზე იგი გიპასუხებთ გაუთვალისწინებელი სისულელით” [2].

სტრატეგიული დაგეგმვა სახელმწიფო პოლიტიკაში

რამ განაპირობა ბისმარკის წარმატება? სხვა ობიექტურ (იმდროინდელი ისტორიულ-პოლიტიკური ვითარება) და სუბიექტურ (ბისმარკის ნიჭიერება და პატიოსნება, ქვეყნის უსაზღვრო ერთგულება, იმპერატორის სრული ნდობა) მიზეზთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ ბისმარკი გახლდათ ნამდვილი სტრატეგი, სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგული დაგეგმვის დიდოსტატი, სახელმწიფოს მართვასა და პოლიტიკის წარმართვაში იგი პრაქტიკულად იყენებდა იმ მეთოდების ერთობლიობას, რაც შემდგომში სტატეგიული დაგეგმვის მეცნიერებად ჩამოყალიბდა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო პოლიტიკის წარმატებული წარმართვის საფუძველია სტრატეგიული დაგეგვის მეთოდების გამოყენება. ბისმარკის პრაქტიკული საქმიანობის ანალიზით შესაძლებელია მოკლედ ჩამოვაყალიბოთ თეორიაში კარგად ცნობილი სტრატეგიული დაგეგმვის რამდენიმე ძირითადი ელემენტი [3], რომლებმაც განაპირობეს ბისმარკის წარმატებები.

სტრატეგია უნდა:

- შეიცავდეს ნათელ მიზნებს, რომელთა მიღწევა გადამწყვეტია საქმის საბოლოო წარმატებისათვის;
- ხელს უწყობდეს ინიციატივას;
- ახდენდეს მთავარი ძალისხმევის კონცენტრირებას საჭირო დროს და საჭირო ადგილას;
- ითვალისწინებდეს მოქმედების ისეთ მოქნილობას, რათა რესურსების მინიმალური ოდენობით შესაძლებელი იყოს მაქსიმალური შედეგების მიღწევა;
- ანხორციელებდეს კოორდინირებული მოქმედებას;
- ვარაუდობდეს მოქმედებათა გასაგებ განრიგს;
- უზრუნველყოფდეს გარანტირებულ რესურსებს.

ამ ჩამონათვლის თუნდაც ზედაპირული გაანალიზებით და ბისმარკის პოლიტიკასთან შედარებით ნათელი ხდება, თუ რატომ მოახერხა ბისმარკმა დასახული მიზნების მიღწევა.

ბისმარკის პოლიტიკური მოღვაწეობა

გერმანიის იმპერიის პირველი რაიხსკანცლერი ოტო ფონ ბისმარკი წარმოშობით პომერანელი იუნკერი [4] გახლდათ. იგი დაიბადა 1815 წ. 1 აპრილს შიონჰაუზენში

(ბრანდერბურგის პროვინცია, დღეს საქსონია-ანჰალტის მიწა), მცირემიწიან აზნაურთა ოჯახში.

17 წლის ბისმარკი ჩაირიცხა გოტინგენის უნივერსიტეტში, სადაც სამართალს სწავლობდა. სტუდენტობის პერიოდში ბისმარკმა ჩხუბისთავობით გამოირჩეოდა, ხშირად მონაწილეობდა დუელებში და ერთხელ დაიჭრა კიდეც. 1835 წ. ბისმარკმა დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიასა და პოლიტიკურ ეკონომიაში, მას დიპლომატობა სურდა, მაგრამ პრუსიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ახალგაზრდა ბისმარკი, როგორც ცნობილი დუელიანტი უარით გაისტუმრა, თან ურჩია – „გიჯობს იმუშავო გერმანიაში რაიმე ადმინისტრაციულ თანამდებობაზე და არა ევროპული დიპლომატიის სფეროში“. ბისმარკმაც დაიწყო მუშაობა ჯერ ბერლინის მუნიციპალურ სასამართლოში, შემდეგ – ახენში. 1838 წლიდან ბისმარკი სამხედრო სამსახურშია – შევიდა ეგერის გვარდიულ პოლკში, მაგრამ უსახსრობისა და დედის სიკვდილის გამო 1839 წ. მან დატოვა სამსახური, დაბრუნდა პომერანიაში და მემამულის საქმიანობას მიჰყო ხელი. მამულის მართვაში ბისმარკმა საუკეთესო თვისებები გამოავლინა და მეზობელთა პატივისცემაც დაიმსახურა, ამავე დროს აგრძელებდა განათლების მიღებას. იგი კითხულობდა ჰეგელის, კანტის, სპინოზას, დ.შტრაუსის და ფოიერბახის ნაშრომებს, იმოგზაურა ინგლისსა და საფრანგეთში და მოგვიანებით პიეტისტებს [5] შეუერთდა.

პოლიტიკურ ასპარეზზე ბისმარკი 1847 წ. გამოვიდა, როცა პრუსიის ლანდტაგის დეპუტატი გახდა და უკიდურეს მემარჯვენე ფრთას მიემხრო. ფრიდრიხ ვილჰელმ IV-მ შენიშნა ბისმარკი და ჩაინიშნა: „რეაქციონერი, გამოვიყენოთ მოგვიანებით” [6]. 1848 წ. ევროპული რევოლუციების წელია – საფრანგეთი, ავსტრია, იტალია რევოლუციის ალში გაეხვა. რევოლუცია დაიწყო პრუსიაშიც პატრიოტ ლიბერალთა

თაოსნობით. რევოლუციის მთავარი მიზნები იყო გერმანიის გაერთიანება და კონსტიტუციის შემოღება. მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ IV დათანხმდა ამ მოთხოვნებს, რამაც ბისმარკის იმედგაცრუება გამოიწვია. თუმცა შემდეგ, კონსერვატორ პოლიტიკოსთა დახმარებით, რომელთა შორის ბისმარკიც იმყოფებოდა, მეფემ შეწყვიტა პარლამენტის სხდომა და ბერლინში ჯარი შეიყვანა. ამის შემდეგ მეფემ გამოაქვეყნა კონსტიტუცია, რომელიც აბსოლუტური მონარქიისა და ორპალატიანი პარლამენტის პრინციპებს შეიცავდა.

ბისმარკი, როგორც ულტრა მონარქისტი, იბრძოდა რევოლუციისა და გერმანიის „ქვემოდან" (რევოლუციების გზით) გაერთიანების წინააღმდეგ. პრუსია მაშინ გადაურჩა რევოლუციას და რევოლუციით გამოწვეულ ბოროტებას. რაც შეეხება გერმანიის გაერთიანებას, ეს მოგვიანებით მოხდა, ოღონდ არა რევოლუციური გზით, არამედ „სისხლითა და მახვილით" – დანიის ომის (1864 წ.), ავსტრია-პრუსიის (1866 წ.) და საფრანგეთ-პრუსიის (1870-71 წწ.) სისხლისმღვრელი ომების შედეგად ჩამოყალიბდა გერმანიის იმპერია. ამრიგად ეს ომები აუცილებელი გახლდათ გერმანიის გაერთიანების გზაზე, მაგრამ ***„ვაი იმ სახელმწიფო მოღვაწეს, რომელიც არ იზრუნებს იპოვოს ომის ისეთი საფუძველი, რომელიც ომის შემდეგაც შეინარჩუნებს თავის მნიშვნელობას" (ბისმარკი).*** გარდა ამისა, აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ ბისმარკი გერმანელ სამთავროებს კი არ ებრძოდა, არამედ, შეიძლება ითქვას, – დამპყრობლებს, გერმანული მიწების მიმტაცებლებს – დანიას, საფრანგეთს, ავსტრია-უნგრეთს.

1851 წელს მაისში მეფემ ბისმარკი პრუსიის წარმომადგენლად დანიშნა მაინის ფრანკფურტში. იქ ბისმარკი პრაქტიკულად მალევე მიხვდა, რომ მთელი პრუსია ვერ იქნებოდა გერმანიის კონფედერაციაში და, შესაბამისად, ავსტრიასთან კეთილგანწყობაში. ამიტომ გარდაუვალი იყო ომი ავსტრიასთან, რითაც შესაძლებელი ხდებოდა გერმანიის გაერთიანება. იმის შემდეგ, რაც ბისმარკმა შეისწავლა დიპლომატიის ხელოვნება და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები, მისი შეხედულობები უფრო და უფრო შორდებოდა მეფის შეხედულებებს. თავის მხრივ მეფეც თანდათან კარგავდა ნდობას ბისმარკის მიმართ. 1859 წელს მეფის ძმამ, შემდგომში (1861 წ.-დან) პრუსიის მეფემ და გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმ I-მა, იმ დროისათვის რეგენტმა, ბისმარკი ელჩად გააგზავნა სანკ-პეტერბურგში. იქ ბისმარკი დაუახლოვდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს – თავად ა.მ.გორჩაკოვს. გორჩაკოვთან ერთად ბისმარკი იწყებს

ბრძოლას ჯერ ავსტრიისა და, შემდეგ, საფრანგეთის დიპლომატიურ იზოლაციაში მოსაქცევად.

1862 წ. ბისმარკი გაიგზავნა ელჩად საფრანგეთში ნაპოლეონ III სამეფო კარზე. მალე იგი უკან გამოიხმო ვილჰელმ I-მა და იმავე წლის სექტემბერში გახდა პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა მინისტრი. მაშინვე მკაფიოდ გამოიკვეთა ბისმარკის მთავარი მიზანი – გერმანიის გაერთიანება პრუსიის ეგიდით.

ბისმარკმა სერიოზული რეფორმების გატარება დაიწყო, უგულებელყო ლანდტაგის საბიუჯეტო უფლებები, გაატარა სამხედრო რეფორმა, რამაც განამტკიცა გერმანულ სახელმწიფოებს შორის პრუსიის სამხედრო უპირატესობა, და დაიწყო გამალებული მომზადება გერმანიის კავშირიდან ავსტრიის განსადევნად. ბისმარკი დაუფარავად აცხადებდა, რომ გერმანიის გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ „სისხლითა და მახვილით", რაც ბისმარკის კრიტიკის მთავარი საფუძველი გახდა, თითქოს იმ პერიოდში შესაძლებელი ყოფილიყოს გაერთიანების სხვაგვარი გზა. უბრალოდ, ბისმარკი არასდროს მიმართავდა ყალბ დიპლომატიურ რევერანსებს.

ომი დანიასთან. ბისმარკის პირველივე ნაბიჯები მეტად ეფექტიანი აღმოჩნდა. 1863 წ.-ს, როდესაც პოლონეთის საკითხის გამო რუსეთს თითქმის მთელი ევროპა დაუპირისპირდა (მათ შორის ბისმარკის მცდელობითაც), რუსეთის უმთავრესი მოკავშირე პრუსია აღმოჩნდა [7], რამაც პრუსიისთვის მნიშვნელოვანი შედეგი იქონია. 1863 წ.-ს შლეზვიგ-ჰოლშტაინისათვის დიპლომატიურ ბრძოლაში პრუსიამ რუსეთისაგან ჩაურევლობის გარანტია მიიღო. საჭირო იყო სხვა დიდი სახელმწიფოების მხარდაჭერა ან ნეიტრალიტეტი. ბისმარკმა ზუსტად შეაფასა არსებული ვითარება – საფრანგეთს მექსიკის პრობლემები ჰქონდა მოსაგვარებელი და დანიის გამო პრუსიას არ დაუპირისპირდებოდა, ავსტრია ჰოლშტაინით დაინტერესა და მოკავშირედ გაიხადა დანიასთან მოსალოდნელ ომში (1863 წ. მიწურულს შორის დაიდო ავსტრია-პრუსიის საიდუმლო შეთანხმება). რჩებოდა ინგლისი, მაგრამ შექმნილ ვითარებაში ინგლისმაც ჩაურევლობა ამჯობინა [8]. რამდენიმე საომარი შეტაკების შემდეგ 1864 წ. 12 მაისს დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომლითაც დანიამ დათმო შლეზვიგი, ჰოლშტაინი და ლაუენბურგის საჰერცოგო. წინასწარი მორიგების თანახმად, პრუსიამ მიიღო შლეზვიგი, ავსტრიამ კი – ჰოლშტაინი [9]. ამით დასრულდა გერმანიის გაერთიანების პირველი ეტაპი.

ომი ავსტრიასთან. გერმანიის გაერთიანების მთავარი დაბრკოლება ახლა ავსტრია გახლდათ. ამიტომ უკვე ავსტრიის წინააღმდეგ იყო საჭირო ომის მზადება. რუსეთის ნეიტრალიტეტი კვლავ გარანტირებული იყო [10], ინგლისი ისევ ჩაურევლობის („ბრწყინცვალე იზოლაციის“) პოლიტიკას ამჯობინებდა (ევროპაში ინგლისის აქტიური ჩარევის დრო ჯერ არ დამდგარიყო და ამას ბისმარკი კარგად გრძნობდა). ერთადერთ ანგარიშგასაწევ ძალად საფრანგეთი რჩებოდა. ბისმარკი თვლიდა, რომ პირადი კონტაქტები ბევრად უფრო მეტ შედეგებს მოიტანს დიპლომატიაში, ვიდრე ნოტების გაცვლა და ამიტომ 1865 წ. პირადად შეხვდა საფრანგეთის იმპერატორს ნაპოლეონ III-ს. ნეიტრალიტეტის სანაცვლოდ ბისმარკმა ნაპოლეონ III-ს პირდაპირ შესთავაზა ლუქსემბურგი. ნაპოლეონ III-ს ბელგიაც სურდა, იგი თვლიდა, რომ ომი ავსტრიასა და პრუსიას შორის გაჭიანურდებოდა და სასურველ ტერიტორიებს უომრად მიიღებდა. ბისმარკმა ეს ვარაუდიც გათვალა, წარმატებისთვის აუცილებელი იყო ავსტრიასთან ომის სწრაფად მოგება, ამისათვის კი ახალი მოკავშირეების ძებნა გახდა საჭირო. მრავალი სირთულის მიუხედავად ბისმარკმა მოახერხა სარდინიის სამეფოს (პიემონტი) მიმხრობა ვენეციის სანაცვლოდ. ამრიგად ავსტრიას 2 ფრონტზე მოუწევდა ბრძოლა. 1866 წ. 16 ივნისს დაიწყო ომი ავსტრიის წინააღმდეგ, რომელიც ძალიან მალე, 3 ივლისს დასრულდა პრუსიის გამარჯვებით. შეიძლებოდა ვენაში შესვლაც, მაგრამ ბისმარკმა არ შეურაცხყო ავსტრიელთა თავმოყვარეობა და პრუსიელთა ჯარი ვენაში არ შეიყვანა, მითუმეტეს, რომ უკვე ავსტრიასთან ახალ კავშირზე ფიქრობდა ამჯერად საფრანგეთის წინააღმდეგ. 26 ივლისის ზავის პირობებით ავსტრია გამოვიდა გერმანული კავშირიდან, დათმო ჰოლშტაინი და ვენეცია და დათანხმდა ახალი ჩრდილოეთ-გერმანული კავშირის შექმნას პრუსიის ჰეგემონობით.

ომი საფრანგეთთან. დადგა საფრანგეთთან ომის დრო, საამისოდ მეტად ხელსაყრელი საერთაშორისო მდგომარეობა იყო. ინგლისსა და რუსეთს ხელს აძლევდა საფრანგეთის დასუსტება პრუსიელთა ხელით. გარდა ამისა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II ბისმარკს ავსტრია-უნგრეთის ნეიტრალიზებას შეპირდა ომის მუქარით. 1870 წ. რუსეთმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადა და სხვებსაც მოუწოდა არ ჩარეულიყვნენ საომარ მოქმედებებში. ევროპული სახელმწიფოების ჩაურევლობა მიღწეულ იქნა მაგრამ ომის დასაწყებად, იმ დროს, საჭირო იყო აგრეთვე სათანადო საბაბიც.

ომის საბაბი ესპანეთის ტახტის გარშემო ატეხილი ამბები გახდა. ნაპოლეონმა თავისი წარმომადგენელი ბენედეტი გააგზავნა ემსში, სადაც პრუსიის მეფე ვილჰელმ I მკურნალობდა. ნაპოლეონი ითხოვდა გერმანელ პრინცს ლეოპოლდ ფონ ჰოჰენცოლერნს მოეხსნა თავის კანდიდატურა, რასაც ვილჰელმ I დათანხმდა, რადგანაც მას საფრანგეთთან ომი არ სურდა. ვილჰელმის თანხმობა ნაპოლეონმა პრუსიის სისუსტედ აღიქვა და კიდევ უფრო კატეგორიული მოთხოვნით მიმართა ვილჰელმ I-ს – აეკრძალა ლეოპოლდისათვის ესპანეთის ტახტის დაკავება, თუ ეს წინადადება ხელახლა იქნებოდა წამოყენებული. მიუხედავად გაღიზიანებისა ვილჰელმა განუცხადა ბენედეტის, რომ ახალს ვერაფერს ეტყოდა და მოლაპარაკებები ამ საკითხზე ბერლინში გაგრძელდებოდა. ამ საუბრის შესახებ დეპეშით შეატყობინეს ბისმარკს. ეს იყო ცნობილი „ემსის დეპეშა“, ბისმარის გეგმები იშლებოდა, ამიტომ მან დეპეშა ოდნავ სახეცვლილი გამოაქვეყნა „ემსკის“ ცნობარში. შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ვილჰელმმა ბენედეტი გააგდო. ამან სასურველი შედეგი გამოიღო. ნაპოლეონმა 1870 წლის 19 ივლისს ომი გამოუცხადა პრუსიას. ეს ომი კი, დიპლომატიურ დონეზე ბისმარკს, ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ჰქონდა მოგებული. მან გამოაქვეყნა ნაპოლეონ III-ის ადრე გამოგზავნილი წერილი, რომლითაც ის ბელგიას ითხოვდა. ეს იყო საფრანგეთის დიპლომატიის სრული მარცხი, საფრანგეთი აგრესორად გამოჩნდა. დიპლომატიური მანევრირებით ბისმარკმა შეძლო საფრანგეთის იმპერიის იზოლირება საერთაშორისო ასპარეზზე და ამიტომ საფრანგეთმა მხარდაჭერაც ვერავისგან მიიღო.

საფრანგეთ-პრუსიის ომი საკმაოდ ხანმოკლე გამოდგა. მოიგერიეს რა ფრანგების პირველი შეტევები, აგვისტოში პრუსიელები საფრანგეთის ტერიტორიაზე შეიჭრნენ და სექტემბრის დასაწყისში სედანთან სასტიკად დაამარცხეს ფრანგები. პარიზი ალყაშემორტყმული აღმოჩნდა.

1871 წ. 28 იანვარს ხელი მოეწერა წინასწარ შეთანხმებას, 26 თებერვალს დაიდო შეთანხმებები ვერსალში, ხოლო ყოველივე დასრულდა ფრანკფურტის ზავით (1871 წ. 10 მაისი). ზავის თანახმად, საფრანგეთი ახლადშექმნილ გერმანიის იმპერიას უთმობდა ელზასსა და ლოთარინგიას და პირობას იღებდა, რომ გადაიხდიდა 5 მილიარდ ფრანკ კონტრიბუციას. სანაცვლოდ, ბისმარკმა მხარი დაუჭირა საფრანგეთის ახალ მთავრობას პარიზის კომუნის ჩახშობის დროს.

ბისმარკის მთავარი მიზანი აღსრულდა. 1871 წ. 18 იანვარს, ვერსალში გამოცხადდა გერმანიის იმპერიის შექმნა. ამით ბისმარკმა დაასრულა გერმანიის გაერთიანება.



ოტო ფონ ბისმარკის პირმშო: გართიანებული გერმანია

<u>იმპერიის კანცლერი.</u> 1871 წელს ვერსალში იმპერატორმა ვილჰელმ I-მა ბისმარკი დანიშნა გერმანიის იმპერიის კანცლერად [12].

გერმანიის იმპერიას „რკინის კანცლერი" ფაქტობრივად შეუზღუდავად მართავდა თითქმის 20 წლის განმავლობაში (1871-90 წწ.) რაიხსკანცლერობის პირველ პერიოდში იგი ეყრდნობოდა ეროვნულ ლიბერალურ პარტიას. ბისმარკმა გაატარა რეფორმები გერმანიის სამართალში, მართვასა და საფინანსო სისტემებში. რეფორმებმა კათოლიკურ ეკლესიის დაპირისპირება გამოიწვია, ძირითადი მიზეზი ამ კონფლიქტისა იყო პროტესტანტი პრუსიელების უნდობლობა გერმანელი კათოლიკების მიმართ. ბრძოლამ კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ „კულტურკამპფის" სახელწოდება მიიღო.

მკვეთრად რეაქციული იყო ბისმარკის პოლიტიკა გერმანიის პროლეტარიატისა და სოციალისტების წინააღმდეგ. სპეციალური კანონის მეშვეობით ის ცდილობდა მათი მზარდი გავლენის შესუსტებას. განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდა იმ დროში პოპულისტურ კანონებს, რომლებიც მიმართული იყო მუშათა და მშრომელთა პირობების გაუმჯობესებისაკენ. სამაგიეროდ თავადვე ზრუნავდა მშრომელებზე – შემოიღო დაზღვევის სისტემა ავადმყოფებისთვის (1883წ.), დაშავებულთათვის (1884წ.) პენსიონერებსთვის (1889წ.).

საგარეო პოლიტიკაში ბისმარკის უმთავრესი მიზანი იყო ფრანკფურტის ზავით (1871წ.) მოპოვებული მშვიდობის შენარჩუნება. საფრთხის თავიდან ასაცილებლად გერმანიის იმპერიისთვის საჭირო იყო საფრანგეთის დიპლომატიური იზოლირება. ამ მიზანს ემსახურებოდა 1873 წ. 23 ოქტომბერს გაფორმებული რუსეთ-ავსტრია-გერმანიის შეთანხმება („სამი იმპერატორის კავშირი“). ამიერიდან არც ავსტრია-უნგრეთი და არც რუსეთი საფრანგეთის მოკავშირედ არ მოიაზრებოდა [10]. ინგლისი კვლავ ჩაურევლობის პოლიტიკას ატარებდა და საფრანგეთის მოკავშირეობა არ აინტერესებდა, იტალიას საფრანგეთისადმი ტერიტორიალური და კოლონიური პრეტენზიები ჰქონდა. ამდენად, საფრანგეთი დიდი ხნით გამოითიშა აქტიური ევროპული პოლიტიკიდან მანამ, სანამ ბისმარკი იყო ხელისუფლების სათავეში. ამავე დროს ბისმარკი ცდილობდა გაერთულებინა რუსეთის მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში, ბალკანეთზე მისთვის ავსტრია-უნგრეთი დაეპირისპირებინა, ხოლო ხმელთაშუა ზღვის აუზში – ინგლისი, რათა მათი წინააღმდეგობები გერმანიის იმპერიის სასარგებლოდ გამოეყენებინა. 1879 წ. ბისმარკმა ხელი მოაწერა სამხედრო შეთანხმებას ავსტრია-უნგრეთთან, რომელიც იტალიის შეერთების შემდეგ სამთა კავშირად გარდაიქმნა (1882 წ).

ინგლისთან მეგობრული დამოკიდებულების გამო 1884 წლამდე ბისმარკი კოლონიალური პოლიტიკით არ იყო დაინტერესებული. გარდა ამისა, კოლონიალური კურსი, ბისმარკის თვალსაზრისით, გამოიწვევდა გერმანიის კაპიტალის გადინებასა და ხარჯების გაზრდას. მაინც, ბისმარკის დროს გერმანიამ კოლონიალურ იმპერიად გადაქცევა დაიწყო,

მიუხედავად იმისა, რომ ბისმარკის პირველი ექსპანსიური გეგმები ყველა პარტიისა (კათოლიკების, სოციალისტების, იუნკერების) და ხელისუფლების ძლიერ წინააღმდეგობას იწვევდა.

1881 წ. იწურებოდა გერმანია-რუსეთ-ავსტრია-უნგრეთის შეთანხმების ვადა. შეთანხმების გაგრძელება ვერ მოხერხდა რუსეთის უარის გამო, რადგანაც ავსტრია-უნგრეთი ანტირუსული პოლიტიკას ეწეოდა ბალკანეთში. მაშინ ბისმარკმა ორმხრივი კავშირის იდეა წამოაყენა. დაიდო შეთანხმება, რომელსაც შემდგომში „გადაზღვევის შეთანხმება“ ეწოდა. ბისმარკმა სცადა, თავი დაეზღვია რუსეთ-საფრანგეთის დაახლოებისაგან და ორ ფრონტზე შესაძლო ომისაგან. მხარეებმა ვალდებულება აიღეს, რომ დაიცავდნენ ნეიტრალიტეტს რომელიმე მათგანის მესამე დიდ

სახელმწიფოსთან ომის შემთხვევაში, მაგრამ აქვე მითითებული იყო გამონაკლისები: გარდა გერმანიის თავდასხმისა საფრანგეთზე და რუსეთისა – ავსტრია-უნგრეთზე. ბისმარკმა ხელშეკრულებით ცნო რუსეთის ინტერესები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებთან დაკავშირებით, თუმცა შესთავაზა რუსეთს, რომ „ორმაგი ფსკერის“ ქვეშ შეენახათ ეს დოკუმენტი (ე.წ. „ორმაგფსკერიანი ხელშეკრულება“). გარდა ამისა, იმავე წელს მან ინგლისთან, იტალიასა და ავსტრია-უნგრეთთან ერთად ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელიც სრულიად საპირისპიროს ქადაგებდა და რომლითაც აღნიშნული სახელმწიფოები ვალდებულებას იღებდნენ წინ აღდგომოდნენ რუსეთის მხრიდან ბალკანეთსა და შავ ზღვაზე სტატუს-ქვოს დარღვევის მცდელობებს.

გერმანიის იმპერიის გაძლიერებით შეშფოთებულმა რუსეთმა 80-იანი წლების დასასრულიდან დაიწყო საფრანგეთთან დაახლოება, რაც 1893 წელს, რუსეთ-საფრანგეთს შორის სამხედრო კავშირის დადებით დამთავრდა, მაგრამ მაშინ გერმანიის პოლიტიკის წარმმართველნი სულ სხვა პირები იყვნენ. გერმანული პოლიტიკა თანდათან შორდებოდა ბისმარკის კურსს.

ბისმარკის ეპოქის დასასრული

გადაზღვევის ხელშეკრულება უკანასკნელი დიდი დოკუმენტი აღმოჩნდა ბისმარკის დიპლომატიურ კარიერაში. 1888 წლიდან, როდესაც ჯერ კაიზერი ვილჰელმ I გარდაიცვალა, ხოლო შემდეგ ახალი იმპერატორი ფრიდრიხ III (იმეფა მხოლოდ ნახევარი წელი), მისი პოზიციები მკვეთრად შეირყა – ტახტზე ავიდა ვილჰელმ II, რომელიც, მართალია, დიდ პატივს სცემდა ბისმარკს, მაგრამ შიშობდა, რომ უდიდესი ავტორიტეტის მქონე „რკინის კანცლერთან“ მას მეორეხარისხოვანი როლის შესრულება მოუწევდა, რაც აუტანელი იყო პატივმოყვარე კაიზერისთვის [13].

1890 წლის მარტში. „რკინის კანცლერი” გადადგა. მისი ეპოქა დამთავრდა, მიუხედავად იმისა, რომ მას ჯერ კიდევ დიდი პოლიტიკური გავლენა ქონდა. ბისმარკმა მიიღო ლაუენბურგის ჰერცოგის ტიტული და მიენიჭა კავალერიის გენერალ-პოლკოვნიკის წოდება. 1891 წელს ბისმარკი არჩეული იქნა რეიხსტაგში ჰანოვერიდან, მაგრამ მას თავისი ადგილი არ დაუკავებია და ორი წლის შემდეგ საერთოდ უარი განაცხადა ხელმეორედ არჩევისათვის წამოეყენებინა თავისი კანდიდატურა. 1895 წელს მთელი გერმანია ზეიმობდა „რკინის

კანცლერის” 80 წლისთავს. ბისმარკი გარდაიცვალა 1898 წლის 30 ივლისს, 83 წლისა.

დასკვნა

მსოფლიოს პოლიტიკურ ისტორიაში ბისმარკის ცხოვრება და მოღვაწეობა ფაქტობრივად არის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის სახელმწიფო პოლიტიკაში, განსაკუთრებით დიპლომატიაში გამოყენების ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკული მაგალითი. ხოლო მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა – „ფიქრები და მოგონებები” (Gedanken und Erinnerungen) და 47 ტომიანი ნაშრომი „ევროპის კაბინეტების დიდი პოლიტიკა“ (Die grosse Politik der europaischen Kabinette) – დიპლომატიური ხელოვნებისა და სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიული დაგეგმვის ქრესტომათიას წარმოადგენს.

ვილჰელმ I-ის ხელშეწყობით ბისმარკმა შექმნა უძლიერესი გერმანული სახელმწიფო, რომელშიც ჩამოყალიბდა გერმანელი ერის ერთიანობის საოცარი სულისკვეთება, იმდენად სიცოცხლისუნარიანი, რომ დღეს, გულამოჭრილი (პრუსიის გარეშე) გერმანიაც კი მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფოა [14].

სამწუხაროდ, ბისმარკის მემკვიდრეობის, მისი პოლიტიკური დოქტრინის დამახინჯებული ინტერპრეტაციაც გახდა XX საუკუნის ტრაგედიათა ერთ-ერთი (არა ერთადერთი) მიზეზი [15].

გამოყენებული ლიტერატურა და კომენტარები:

1. А.С. Ерусалимский. Внешняя политика и дирломатаия германского империализма в консе XIX века. 1948 г. Москва;
2. Ерусалимский А.С. – Бисмарк: Диломатия и милитаризм, Москва 1968.
3. გ.ბადათურია – სტრატეგიული დაგეგმვა მეთოდოლოგიური საფუძვლები. თბილისი 2007.
4. იუნკერი – პრუსიაში: მსხვილი მიწათმფლობელი, აზნაური, მემამულე.
5. პიეტიზმი – ერთ-ერთი მიმდინარეობაა ლუთენარულ ეკლესიაში, წარმოიშვა მე-17 საუკუნეში.
6. Германская история - новое и новейшее время. т. 1-2 Москва 1970.
7. აღსანიშნავია, რომ ბისმარკმა რუსეთს ადრეც მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაუწია. ყირიმის ომის დროს იგი სერიოზულად შეეწინააღმდეგა ავსტრიის მცდელობას ჩაეტარებინა გერმანული ჯარების მობილიზაცია რუსეთთან საომრად. საზოგადოდ, ევროპელ პოლიტიკოსთა შორის ბისმარკი გამოირჩეოდა რუსეთისადმი ლოიალური დამოკიდებულებით, რასაც მას ხშირად საყვედურობდნენ. ამ „ბრალდებას“ „რკინის კანცლერი“ ასე პასუხობდა: „გერმანიაში მხოლოდ მე ვამბობ «ничего!», რუსეთში კი – მთელი ხალხი“.
8. შლეზვიგ-ჰოლშტაინის საკითხი ძლიერ ჩახლართული იყო. 1852 წ.-ს დანიის უფლებები შლეზვიგ-ჰოლშტაინზე ყველა დიდმა სახელმწიფომ (მათ შორის, პრუსიამაც) აღიარა. მაგრამ, როდესაც დანიის მეფე ფრიდრიხ VII-ის სიკვდილის შემდეგ, ავსტრია-პრუსიის კოალიციამ ულტიმატუმი წაუყენა დანიას, ინგლისი აღარ ჩაერია ამ კონფლიქტში, თუმცა სწორედ ინგლისის მხარდაჭერით დაიმედებულმა ქრისტიან IX-მ გამოსცა ახალი კონსტიტუცია, რომლითაც ის შლეზვიგს საბოლოოდ უერთებდა დანიას. სწორედ ეს აქტი გახდა დანიისთვის ულტიმატუმის გამოცხადების საბაბი. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ლორდმა პალმერსტონმა კი მხოლოდ იხუმრა: „ცოტა ხნის წინ ევროპაში სულ სამი კაცი იყო, ვინც ერკვეოდა შლეზვიგ-ჰოლშტაინის საკითხში – პრინცი ალბერტი (დედოფალ ვიქტორიას მეუღლე), ერთი მოხუცი დანიელი და მე. მაგრამ დედოფალი სამწუხაროდ ახლა-ხან დაქვრივდა, დანიელი საგიჟეთში მოხვდა, მე კი სულ დამავიწყდა, თუ რაში მდგომარეობს იქ საქმე“.

9. საგულისხმოა, რომ ავსტრიას ჰოლშტაინთან მისასვლელი არ ჰქონდათ და ამ პროვინციის სხვა ტერიტორიაზე გადაცვლა მოინდომეს, მაგრამ ამაოდ. ლაუენბურგის საჰერცოგო კი პრუსიამ ავსტრიისაგან მაინც იყიდა, თუმცა ის ავსტრიას სულაც არ ეკუთვნოდა. საბოლოოდ ფაქტობრივად მთელი შლეზვიგ-ჰოლშტაინი პრუსიის შემადგენლობაში აღმოჩნდა.
10. პრუსიის მიერ პოლონეთის საკითხში რუსეთის მხარდაჭერისა და ავსტრიის მიერ ყირიმის ომში რუსეთთან დაპირისპირების გამო. რუსეთში დიდხანს არ დავიწყებიათ ავსტრიელთა ვერაგობა, რაც დაადასტურა კიდეც ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მეტერნიხმა: „ჩვენ მსოფლიოს გავაოცებთ ჩვენი უმადურობით“
11. სამი იმპერატორის კავშირი ჩაფიქრებული იყო, როგორც საღვთო კავშირის პოლიტიკის გამგრძელებელი. მაგრამ ამ კავშირიდან არაფერი გამოვიდა. პრაქტიკულად ამ კავშირს არცერთ საკითხზე არ გაუტარებია ერთიანი პოლიტიკა.
12. ლენინიც კი აღნიშნავდა, რომ გერმანიის ეროვნულ სახელმწიფოდ გაერთიანება ისტორიულად პროგრესული მოვლენა იყო – „რაკი გაერთიანება ვერ მოხერხდა რევოლუციურად, იგი განხორციელდა კონტრრევოლუციურად, იუნკრულად; ბისმარკმა თავისებურად, იუნკრულად, გააკეთა პროგრესული საქმე“.
13. ვილჰელმ II-ს განდიდების მანია ჰქონდა. მის თანამედროვეთა ხუმრობის თანახმად, კაიზერს იმდენად უყვარდა ყურადღების ცენტრში ყოფნა, რომ სურდა „ყოველ ნათლობაზე ნათლია ყოფილიყო, ყოველ ქორწილში – ნეფე, ყოველ დაკრძალვაზე – მიცვალებული“.
14. ბისმარკის მიერ ჩამოყალიბებული მრავალმხრივი გერმანული ვაჟკაცობის სულისკვეთება ზუსტი მიმართულებით განავითარეს XX საუკუნის გერმანული სასწაულის ავტორებმა კონრად ადენაუერმა და ლუდვიგ ერჰარდმა (იხ. ლ.ერჰარდის „კეთილდღეობა ყველასთვის“), რომლებმაც, გერმანულ მაგალითზე, უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თვალნათლივ გვაჩვენეს თუ რას წარმოადგენს პიროვნების როლი ისტორიაში.

15. თანამედროვე მსოფლიოს კატაკლიზმების ერთ-ერთი გამოძახილია ისიც, რომ გერმანიის გულის – პრუსიის ნაწილი დღეს სხვა სახელმწიფოთა (პოლონეთისა და რუსეთის) საკუთრებაა. სამწუხარო ანალოგია გახლავთ კოსოვოსა და ტაო-კლარჯეთის ისტორია (თუმცა კი განსხვავებული მიზეზებით წარმოქმნილი).
16. А.С. Ерусалимский. Внешняя политика и дирломатаия германского империализма в консе XIX века. 1948 г. Москва;
17. Ерусалимский А.С. – Бисмарк: Диломатия и милитаризм, Москва 1968.
18. გ.ბაღათურია – სტრატეგიული დაგეგმვა მეთოდოლოგიური საფუძვლები. თბილისი 2007.
19. იუნკერი – პრუსიაში: მსხვილი მიწათმფლობელი, აზნაური, მემამულე.
20. პიეტიზმი – ერთ-ერთი მიმდინარეობაა ლუთენარულ ეკლესიაში, წარმოიშვა მე-17 საუკუნეში.
21. Германская история - новое и новейшее время. т. 1-2 Москва 1970.
22. აღსანიშნავია, რომ ბისმარკმა რუსეთს ადრეც მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაუწია. ყირიმის ომის დროს იგი სერიოზულად შეეწინააღმდეგა ავსტრიის მცდელობას ჩაეტარებინა გერმანული ჯარების მობილიზაცია რუსეთთან საომრად. საზოგადოდ, ევროპელ პოლიტიკოსთა შორის ბისმარკი გამოირჩეოდა რუსეთისადმი ლოიალური დამოკიდებულებით, რასაც მას ხშირად საყვედურობდნენ. ამ „ბრალდებას“ „რკინის კანცლერი“ ასე პასუხობდა: „გერმანიაში მხოლოდ მე ვამბობ «ничего!», რუსეთში კი – მთელი ხალხი“.
23. შლეზვიგ-ჰოლშტაინის საკითხი ძლიერ ჩახლართული იყო. 1852 წ.-ს დანიის უფლებები შლეზვიგ-ჰოლშტაინზე ყველა დიდმა სახელმწიფომ (მათ შორის, პრუსიამაც) აღიარა. მაგრამ, როდესაც დანიის მეფე ფრიდრიხ VII-ის სიკვდილის შემდეგ, ავსტრია-პრუსიის კოალიციამ ულტიმატუმი წაუყენა დანიას, ინგლისი აღარ ჩაერია ამ კონფლიქტში, თუმცა სწორედ ინგლისის მხარდაჭერით დაიმედებულმა ქრისტიან IX-მ გამოსცა ახალი კონსტიტუცია, რომლითაც ის შლეზვიგს საბოლოოდ უერთებდა დანიას. სწორედ ეს აქტი გახდა დანიისთვის ულტიმატუმის გამოცხადების საბაბი. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ლორდმა პალმერსტონმა კი მხოლოდ იხუმრა: „ცოტა ხნის წინ ევროპაში სულ სამი კაცი იყო, ვინც ერკვეოდა

შლეზვიგ-ჰოლშტაინის საკითხში – პრინცი ალბერტი (დედოფალ ვიქტორიას მეუღლე), ერთი მოხუცი დანიელი და მე. მაგრამ დედოფალი სამწუხაროდ ახლახან დაქვრივდა, დანიელი საგიჟეთში მოხვდა, მე კი სულ დამავიწყდა, თუ რაში მდგომარეობს იქ საქმე“.

24. საგულისხმოა, რომ ავსტრიას ჰოლშტაინთან მისასვლელი არ ჰქონდათ და ამ პროვინციის სხვა ტერიტორიაზე გადაცვლა მოინდომეს, მაგრამ ამაოდ. ლაუენბურგის საჰერცოგო კი პრუსიამ ავსტრიისაგან მაინც იყიდა, თუმცა ის ავსტრიას სულაც არ ეკუთვნოდა. საბოლოოდ ფაქტობრივად მთელი შლეზვიგ-ჰოლშტაინი პრუსიის შემადგენლობაში აღმოჩნდა.
25. პრუსიის მიერ პოლონეთის საკითხში რუსეთის მხარდაჭერისა და ავსტრიის მიერ ყირიმის ომში რუსეთთან დაპირისპირების გამო. რუსეთში დიდხანს არ დავიწყებიათ ავსტრიელთა ვერაგობა, რაც დაადასტურა კიდეც ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მეტერნიხმა: „ჩვენ მსოფლიოს გავაოცებთ ჩვენი უმადურობით“
26. სამი იმპერატორის კავშირი ჩაფიქრებული იყო, როგორც საღვთო კავშირის პოლიტიკის გამგრძელებელი. მაგრამ ამ კავშირიდან არაფერი გამოვიდა. პრაქტიკულად ამ კავშირს არცერთ საკითხზე არ გაუტარებია ერთიანი პოლიტიკა.
27. ლენინიც კი აღნიშნავდა, რომ გერმანიის ეროვნულ სახელმწიფოდ გაერთიანება ისტორიულად პროგრესული მოვლენა იყო – „რაკი გაერთიანება ვერ მოხერხდა რევოლუციურად, იგი განხორციელდა კონტრრევოლუციურად, იუნკრულად; ბისმარკმა თავისებურად, იუნკრულად, გააკეთა პროგრესული საქმე“.
28. ვილჰელმ II-ს განდიდების მანია ჰქონდა. მის თანამედროვეთა ხუმრობის თანახმად, კაიზერს იმდენად უყვარდა ყურადღების ცენტრში ყოფნა, რომ სურდა „ყოველ ნათლობაზე ნათლია ყოფილიყო, ყოველ ქორწილში – ნეფე, ყოველ დაკრძალვაზე – მიცვალებული“.
29. ბისმარკის მიერ ჩამოყალიბებული გერმანული ვაჟკაცობის სულისკვეთება ზუსტი მიმართულებით განავითარეს XX საუკუნის გერმანული სასწაულის ავტორებმა კონრად ადენაუერმა და ლუდვიგ ერჰარდმა

(იხ. ლ.ერჰარდის „კეთილდღეობა ყველასთვის“), რომლებმაც, გერმანულ მაგალითზე, ბისმარკთან ერთად, თვალნათლივ გვაჩვენეს თუ რას წარმოადგენს პიროვნების როლი ისტორიაში.

30. თანამედროვე მსოფლიოს კატაკლიზმების ერთ-ერთი გამოძახილია ისიც, რომ გერმანიის გულის – პრუსიის ნაწილი დღეს სხვა სახელმწიფოს საკუთრებაა. სამწუხარო ანალოგია გახლავთ, კოსოვოსა და ტაო-კლარჯეთის ისტორია (თუმცა კი განსხვავებული მიზეზებით წარმოქმნილი).

Summary

Giorgi Bagaturia
Sofiko Cxadadze
Strategic planning of state policy – Bismarck

The article considers the state action of a great German statesman Otto Von Bismarck in respect of methodology of strategic planning. It is demonstrated that in the state management and policy direction and in diplomacy particularly, Otto Bismarck in fact used the unity of methods forming the science of strategic planning in the future.
A unified German state was formed on the basis of the strategic plan of Bismarck. Despite the catastrophes in the country, the state is still one of strongest countries in the world.

РЕЗЮМЕ

Георгий Багатуриа
Софико Цхададзе
Стратегическое планирование государственной политики: Бисмарк

Рассмотрена государственная деятельность великого германского государственного деятеля Отто фон Бисмарка с точки зрения методологии стратегического планирования. Показано, что Бисмарк в управлении государством и ведении политики , особенно в дипломатии, практически использовал совокупность тех методов, которые в дальнейшем сформировались в науку стратегического планирования.
По стратегическому плану Бисмарка сформировалось единое германское государство, которое, несмотря на перенесенные

катастрофы, вновь является одной из сильнейших и задающих тон в мировой политике страной .

ლალი გვასალია

მივუბრუნდეთ მყუდრო სავანეს!
ღია წერილი ჩემს და სხვა სტუდენტებს

ყოველგვარი კომუნიკაციები ადამიანებს შორის მისალმებითა და ურთიერთგაცნობით იწყება.

ღმერთი გფარავდეთ! ამ სიტყვებით მინდა, ჩემო ძვირფასებო, მოგესალმოთ! მე დედა ვარ და სწავლის გზას შემდგარი ნებისმიერი მოზარდი ჩემთვის ძვირფასია.

ჩემი სტუდენტები (ყოფილნიც და ამჟამინდელნიც), ვფიქრობ, კარგად მიცნობენ. ხოლო მათთვის, ვინც არ მიცნობს, მინდა ვთქვა, რომ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ პროფესორს – ლალი გვასალიას დღეს, რატომდაც, ამ ფორმით მოუნდა თქვენთან გასაუბრება. თუ რატომ, ამას ღია წერილის თვალის მიდევნებით შეიტყობთ!..

„კომუნიკაციებით“ დავიწყე საუბარი. მე და თქვენ ერთმანეთთან ანგარიშვალდებულებითი დამოკიდებულება გვაკავშირებს. ძალიან მშრალად ჟღერს, ხომ ასეა? მაგრამ, მადლობა ღმერთს, უმეტეს შემთხვევაში „ანგარიშვალდებულება“, ანუ მოვალეობის მოხდა, მეგობრობაში გადაზრდილა; უფრო მეტიც, სტუდენტებთან ჩემი მუშაობის 30-ზე მეტი წლის მანძილზე, ბევრი მათგანი ჩემი კოლეგა გახდა, რაც მოკრძალებული სიამაყის უფლებას მაძლევს.

თავიდათავი და საფუძველი ანგარიშვალდებულებით დამოკიდებულებათა სასურველი შედეგით დასრულებისა (მე თქვენი „დამოძღვრა“ მავალია ფილოსოფიასა, ესთეტიკასა და კულტუროლოგიაში, ხოლო თქვენ – საუნივერსიტეტო ცოდნის შეძენა), გახლავთ კეთილგანწყობა ორივე მხრიდან. კეთილგანწყობის საფუძველი კი – სიყვარულია.

გიყვარდეთ, უპირველესად, საკუთარი თავი!

ანუ, ადამიანი თავმოყვარე უნდა იყოს (ოღონდ არა პატივმოყვარე, ამპარტავანი და კადნიერი!), თავმოყვარეობის საფუძველი ღირსების გრძნობაა, რაც ღირსეულ ადამიანს უთუოდ უნდა გააჩნდეს. ვისაც საკუთარი თავი არ უყვარს (ცხადია, არა „ნარცისულად“), იგი თვისტომს ვერ შეიყვარებს (მტერს, მითუმეტეს!).

გიყვარდეთ თვისტომი და მტერიც! –

თუ სათნონი და ღვთისმოშიშნი ხართ; ხოლო თუ არა, მაშინ სიყვარულის ღმერთს ვერ შეიყვარებთ!

გიყვარდეთ თქვენი ღმერთი! (სამსახოვანი ერთი არსება – მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმინდა!).

ვინც უღმერთოა, ის არ არის თავისუფალი. თავისუფლების მადლით ღმერთმა შეგვმოსა თავისი კრეაციული უნარით შექმნილი მოაზროვნე და შემოქმედი არსებანი – ადამიანები. ადამიანი ღმერთმა შექმნა თავისი სახისა და ხატის მსგავსად.

თუ ადამიანი თავისუფალი არ არის, მაშინ ის მონაა, ან სხვა ადამიანის, ან საკუთარი ეჭვების, ან პათოლოგიური მიდრეკილებებისა და აკვიატების (ნარკომანობა, ლოთობა...). ვინც მონაა, მას ეშინია სხვა ადამიანის, რაც დაუშვებელია, ადამიანს ადამიანისა არ უნდა ეშინოდეს, არამედ უნდა ეშინოდეს მხოლოდ ღმერთის.

იყავით ღვთისმოშიშნი!

ხედავთ, ჩემო კარგებო, ჩვენ მსჯელობის ლოგიკამ ანთროპოცენტრულ სამყაროს, ანუ კულტურას მიგვაახლოვა! კულტურის საფუძველი და კრიტერიუმი – თავისუფლებაა.

ფიზიკური თავისუფლება შეიძლება წაგართვას რომელიღაც მაიძულებელმა ძალამ (ბუნებისა იქნება ეს, თუ სოციალური, მაგალითად, პატიმარი შეპყრობილია და იგი არ შეიძლება ფიზიკურ თავისუფლებას ფლობდეს), მაგრამ სულისა და აზროვნების თავისუფლებას ვერავინ ხელყოფს თქვენში. ყველაზე ადამიანური სამყაროს, ანუ ანთროპოცენტრული სამყაროს შემოქმედი ღმერთი არ არის, არამედ ღმერთის მიერ თავისუფალ არსებად შექმნილი ადამიანი, რომელიც ან კულტურის შემოქმედია, ან კულტურის მსაჭიროებელი.

მაგრამ კულტურა რაღა არის?! კულტურა არც ღმერთს სჭირდება (ღმერთი ყოველგვარ კულტურაზე ზეაღმატებული აბსოლუტია!) და არც ცხოველს (რომელიც ყოველგვარ ადამიანზე უკეთაა ადაპტირებული ბუნებასთან); მხოლოდ ადამიანს ესაჭიროება რაღაც კორექტივის შეტანა ღვთის მიერ

მისთვის წინასწარ გამზადებულ გრძნობად-აღქმად სამყაროში, ანუ ბუნებაში.

თუ ცხოველს, ფრინველსა და მწერს სავსებით „აკმაყოფილებს“ მზა-მზარეული ბუნება, ადამიანი, რახან მოაზროვნეა, თავისუფალია და შემოქმედია, პრეტენზიულიცაა, – იგი ვერ გამოიკვებება ძირხვენებით, ფესვებით, პანტა მსხლითა და მაჟალო ვაშლით, ვერც მონადირებული ცხოველის თერმულად გადაუმუშავებელ ხორცს შეღმურძლავს, არამედ მან თავის თავზე უნდა მოისადაგოს ბუნების საგნები, უნდა მოახერხოს მათი კულტივირება, ანუ გადამუშავება (ეტიმოლოგიურად, სწორედ ამას ნიშნავს ტერმინი „კულტურა“) ბუნებისაგან მორთმეულისა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ბუნებას არ ქმნის, მან უნდა შექმნას კულტურა, რაც მის სიცოცხლეს ადამიანური ცხოვრების სიმაღლეზე აიყვანს. ბუნების გამოყენება ადამიანს მხოლოდ მისი კულტურულ სფეროდ ტრანსფორმაციის გზით შეუძლია. ჰეგელის, – გერმანული კლასიკური ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენლის ტერმინს თუ მოვიშველიებთ, კულტურა ადამიანის მთელი ცხოვრების გარეგადამწვდომი მოვლენაა. კულტურა ის ფენომენია, რასაც ღირებულება გააჩნია, ანუ რაც ფუნქციობს და მნიშვნელობს ჩვენთვის. კულტურის სფეროში ღირებულებას კანონის ძალა აქვს. მოდით, კიდევ სხვაგვარად ვთქვათ, კულტურაში მოქმედი ღირებულებანი კულტურის საგანთა მომწესრიგებელი ძალებია.

აი, კიდევ ერთი ახალი ტერმინი – „წესრიგი“, რომლის გარეშეც კულტურა არ არსებობს; უფრო მეტიც, კულტურის უმოკლესი, ლაკონური დეფინიცია, ანუ განსაზღვრება ამ ტერმინით გამოიხატება. მოდით შევთანხმდეთ, რომ კულტურა ეს არის ადამიანის სულში და მის გარეთ ადამინისვე მიერ დამყარებული წესრიგი, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასარკვევი და დასაზუსტებელი.

ყველაფერს ამ ღია წერილში ხომ ვერ დავატევთ, მაგრამ გამოსავალი არსებობს. წერილს რომ სარეკომენდაციო ლიტერატურის ნუსხას დავურთავ, მოდით, იმ სახელმძღვანელოებიდან, თუ სამეცნიერო წიგნებიდან თქვენ თვითონ მოახერხეთ თქვენთვის საინტერესო კითხვებზე პასუხების მიღება.

ჩვენ კი დავიწყოთ იმით, რომ კულტურის შემოქმედმა, ანუ ადამიანმა „მე“-დან მხოლოდ „მე“-ს გარეთ ცქერით კი არა, არამედ „მე“-დან „მე“-ში ჩაღრმავებით, ჯერ თვითონ უნდა შეიქმნას საკუთარი თავი კულტურის სუბიექტად; სხვა სიტყვებით, – უპირველეს ყოვლისა, საკუთარ სულში უნდა

დაამყაროს წესრიგი. კულტურა წესრიგია, მაგრამ არა სტიქიური (ბუნებას რომ ახასიათებს), არამედ ჰუმანიზებული წესრიგი, ანუ ადამიანური ღირებულებების ნორმებით დამყარებული წესრიგი.

კულტურა ადამიანის ენაა, ხოლო ამ ენის უნივერსალური ფორმა სიმბოლოა (მხატვრულ ლიტერატურაში – სიტყვა, ფერწერაში – ფერები, მუსიკაში – სანოტო სისტემის მეშვეობით განხორციელებული ბგერები.). ადამიანი, რომელიც ცხოვრობს მთლიან სამყაროში, მას სჭირდება დიალოგი ყველაფერთან. დიალოგის ფორმა კი – კულტურაა.

კულტურა ყველაფერია, რაც ადამიანის შემოქმედებითი შრომითაა შექმნილი, მაგრამ კულტურა, პირველ რიგში, მაინც ადამიანის წიგნიერებასთან, წიგნის „კულტთან“ ასოცირდება, თუმცაღა ეს რეალური კულტურის არა ერთადერთი, არამედ მხოლოდ ერთ-ერთი სფეროა.

და აი, ჩემო კარგებო და გონიერებო! დღეს სწორედ ესაა აქტუალური და მწვავე პრობლემა. ხომ არ დაკარგა ადამიანმა საკუთარი თავი?!

პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და, რაც მთავარია, სულიერი კატაკლიზმების შემდეგ ხომ არ შეაქცია ზურგი ადამიანმა იმ მყუდრო, მხოლოდ მისთვის არსებულ სულის ნავსაყუდელს, რასაც წიგნის სამყარო ჰქვია, სადაც ადამიანი თავისი თავის უფალია და სადაც ყველაზე სასურველი დიალოგი ხორციელდება მასა და შემოქმედს შორის.

გაგიმეორებთ, რომ კულტურა დიალოგისა და კომუნიკაბელურობის ჰუმანიზებული ფორმაა. მაგრამ მე აქ მახსენდება ოსვალდ შპენგლერის „ევროპის მზის ჩასვენება“, სადაც იგი ერთმანეთს უპირისპირებს კულტურასა და ცივილიზაციას: კულტურის ეტაპი ეს არის სულის სიცოცხლის, მისი განხორციელების ეტაპი. ცივილიზაციის ეტაპი სულის შესაძლებლობათა გამოფიტვისა და ბოლოს, მისი სიკვდილის ეტაპია; კულტურა სულის ბატონობაა, ცივილიზაცია – ინტელექტისა. კულტურა პატრიოტიზმია, ცივილიზაცია კი პატრიოტიზმის ადგილზე აბატონებს ანონიმურ კოსმოპოლიტიზმს. კულტურა შემოქმედებითობას ნიშნავს, ცივილიზაციის ნიშანი იმპერიალიზმია. ცივილიზაციის პირობებში, შპენგლერის ვარაუდით, ხელოვნება და ფილოსოფია ამოწურულია. კულტურის მთავარი ნიშანია სულიერი სიმდიდრე; ცივილიზაციისა – მატერიალური სიმდიდრე.

ცივილიზაციის საფეხური, ეს არის მზის ჩასვენების საფეხური, – ასკვნის შპენგლერი.

მოცემული თვალსაზრისით, კულტურა ყოველთვის წინ უსწრებს ცივილიზაციას, ხოლო იმას, რაზეც შპენგლერი მიუთითებს, უნდა ეწოდოს არა ცივილიზაციის კულტურისადმი გასწრება, არამედ კულტურის ცალმხრივი განვითარება. მთლიანი კულტურა მისი სხვადასხვა კონკრეტული სახეების ჰარმონიული მთლიანობაა, მაგრამ დასავლეთის კულტურაში მოხდა ისე, რომ ტექნიკამ და ტექნოლოგიებმა, როგორც მატერიალური კულტურის სახეობებმა, საგრძნობლად გაუსწრეს სულიერი კულტურის (განსაკუთრებით ზნეობის) დონეს. ესაა კულტურის ცალმხრივი განვითარება, რაც შპენგლერის, და სხვათაშორის, ჩვენს კანონიერ შეშფოთებასაც იწვევს.

კომპიუტერული სისტემების გამოყენება, რაც დღეს ჰაერივით ესაჭიროება ადამიანის ცხოვრების რიტმსა და კომფორტს, ნებისმიერი ინფორმაციის მოჭარბებული რაოდენობა, რაც ასე იოლად ხელმისაწვდომია ინტერნეტში ჩართვისას, – ჩვენი ღრმა ცოდნის, (რაც წიგნის საშუალებით შეიძლებოდა სრულყოფილად მიგვეღო), სუროგატს, მის მხოლოდ ზედაპირულ ნაწილს ხომ არ გვთავაზობს? ზედმეტად ხომ არ გვანებივრებს ყველაფრის იოლად, ტვინის გარჯის გარეშე მოპოვება და ამდენად, ადამიანური განცდების,ზნეობის, სიკეთისა და ჰუმანურობის ადგილს ცივი, ულმობელი გონება ხომ არ იკავებს?

ზემოთაც აღვნიშნე, წიგნთან დაბრუნება პრობლემაა – მეთქი. ამ პრობლემის სიმწვავე განსაკუთრებით საგრძნობია ჩვენთვის, პროფესორ-მასწავლებელთათვის, ვისაც ახალგაზრდებთან გვიხდება ურთიერთობა, რომელთა დიდი ნაწილი სწორედ რომ არაკომუნიკაბელური, გულგრილი, ინდიფერენტული, გრძნობებმობლაგვებული და თვითკმაყოფილია. არანაირი სურვილი არა აქვს პიროვნულობის, ადამიანად შედგომის, თვითდამკვიდრების. ურჩევნია იყოს ფლეგმატური და რაც ყველაზე შემაშფოთებელია, არათუ აზროვნება, ფიქრიც კი ეზარება და, აქედან გამომდინარე, ეზარება შეეწინააღმდეგოს ცხოვრების იმ წესს, რაც უცხოური მანქანებით ჯირითში, ამაზრზენ შოუებს, ფართებსა და „ტუსოვკებზე“ დასწრებასა და უაზრო გართობებში გამოიხატება და... იფლანგება ახალგაზრდობის წლები!.. როგორც დიდი ფილოსოფოსი, ბატონი მერაბ მამარდაშვილი ბრძანებდა, დროის სტრუქტურა ისეთია, რომ ყველაფერი აწმყოშია, აი, ახლაა მოცემული, ახლა ხდება... ეს

სტრუქტურა შეიცავს შუქს, რომელიც შინაგანი იმანენტური შუქია ხორციელი განცდისა. ეს შუქი, ეს პირველი მომენტი მხოლოდ წამიერადაა მოცემული. მისი ჩემში თანდასწრება წამია, რაც ნიშნავს მხოლოდ ერთ რამეს: ჩვენ ამ თანდასწრებას მთლიანად კონცენტრირებულნი უნდა დავხვდეთ... ყურადღებით იყავით, მომენტი არ გაუშვათ იმიტომ, რომ იგი არ გაგრძელდება, იგი მხოლოდ ერთი წამია. თქვენ შეგიძლიათ გააფართოოთ ეს წამი, ოღონდ არა ფიზიკურ დროსა და სივრცეში, არამედ რაღაც შინაგან სივრცესა და დროში... აი, რაღაც მომეჩვენა, რაღაცამ გაიბრწყინა, შთაგონება მეწვია, მაგრამ დღეს არ მცალია, ხვალ ყველაფერს გავიგებ! ვერაფერსაც ვერ გაიგებ და მთელი არსი და ყოფიერება სამუდამოდ არარაობაში იკარგება იმიტომ, რომ სრული კონცენტრაციით არ დახვდი იმას, რაც აკაკუნებდა არსებობის კარზე. მას კარი დაკეტილი დახვდა და ვეღარ შემოვიდა ჩემს არსებობაში, უფრო სწორად, მე ვერ შემოვიყვანე. ადამიანის ძალისხმევის მთავარი ნიშანი, – არსებობაში რაღაცის შეყვანის კარი, ანუ გზაა. თუ არ არის ეს ძალისხმევა, თავისთავად არაფერი იარსებებს... არაფერი სრულდება ხდომილებაში ჩვენი ძალისხმევის ჩაურთველად.

ვერ გავუძელი ცდუნებას, ჩემო კარგებო, რომ ეს ძალიან ვრცელი ამონარიდი ბატონ მერაბ მამარდაშვილის ნააზრევიდან თითქმის მთლიანად არ მომეწოდებინა თქვენთვის. ეს ხომ ჭკუის სასწავლებელია, თუ ამის გაგების თავი აქვს ადრესატს!

მე ძალიან მტკივა ის, რომ ზნეობა დღითიდღე დეფიციტური ხდება ზემოთხსენებული გულგრილი ახალგაზრდებისთვის, უფრო კი ის მტკივა, რომ ეს მათ არავითარ დისკომფორტს არ უქმნით!

მადლი უფალს, გვყავს მათგან სრულიად განსხვავებული ახალგაზრდებიც, უკვე მკაფიოდ გამოკვეთილი პიროვნებები რომ არიან, მაგრამ ვაი, რომ ჯერ-ჯერობით უმცირესობა!

ჩვენი თაობისათვის ყველაზე მყუდრო და სასურველი გარემო, წიგნის სამყარო იყო, სადაც უნიკალური გამოცემებისათვის შეგვეძლო სათუთად შეგვევლო ხელი და დროის შეგრძნების დაკარგვით გაგვემართა დიალოგი სასურველ ავტორთან, რადგან შემოქმედი კავშირს ამყარებს არა მარტო თანამედროვეობასთან, არამედ წარსულისა და მომავლის თაობებთანაც. ხოლო როცა ადამიანს სურს კომუნიკაცია-დიალოგი საკუთარ თავთან, ღმერთთან ან შემოქმედ-თვისტომთან, ამისათვის ყველაზე კარგი გარემო-წიგნების მყუდრო სავანეა.

მივუბრუნდეთ ღმერთს, საკუთარ თავს და ყველაფრის საწყისს, პირველწყაროს – წიგნს!

არ გენატრებათ რუსთაველი?

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა“.

არ გენატრებათ ბარათაშვილი?

„ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს
და არ ამქვეყნიერს,
სიყრმითგან ვეტრფოდი!...“

არ გენატრებათ ვაჟა-ფშაველა?

„რამ შემქმნა ადამიანად?
რატომ არ მოვედ წვიმადა,
რომ ვყოფილიყავ მუდამა
ღრუბელთ გულმკერდის მძივადა“...

არ გენატრებათ გალაკტიონი?

„აჰყვე ვარდისფერ საფეხურებს და აჰყვე ისე,
რომ შენს წინ სხივზე ლანდად იდგეს ყრმა დიონისე;
გრძნობდე, რომ ისევ უკვდავია თქვენი მსგავსება:
ერთნაირ სულში ერთნაირი მზის მოთავსება“...

არ გენატრებათ ტიციანი?

„მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს,
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს“...

არ გენატრებათ ლადო ასათიანი?

„ჰეი, თქვენ, არაგველებო,
გაუმაძღარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და
მუხლის მოდრეკა მომინდა!“...

არ გენატრებათ გოგლა ლეონიძე?

„მოდი ჩემთან, ვიდრე მეხი
დაგკრავს, აგაბოლებს,
ტყავდამსკდარო, ნაოხარო,
მარტოხეო ოლე!“

არ გენატრებათ ირაკლი აბაშიძე?

„როგორც დათბება, როგორც დათბება
და მზე ჩატკბება შემკულ დაისში
უნდა აღსრულდეს, რაც მენატრება, –
უნდა გავფრინდე ჩემ ქუთაისში“...

არ გენატრებათ ანა კალანდაძე?

„თქვი, არჯაკელო, ხვიარა,
ქსანზე ვინ ჩამოიარა?
რა ვი, ღრუბლებზე ვფიქრობდი
და არა გამიგია-რა!
მეც სხვათაშორის ვიკითხე,
სალაპარაკოდ კი არა“!..

არ გენატრებათ ალექსანდრ ბლოკი?

Сумерки, сумерки вешние,
Хладные волны у ног,
В сердце надежды нездешние,
Волны бегут на песок.
Отзвуки, песня далёкая,
Но различить не могу.
Плачет душа одинокая
Там, на другом берегу.

არ გენატრებათ სერგეი ესენინი?

«Край любимый! Сердцу снятся
Скирды солнца в водах лонных,
Я хотел бы затеряться
В зеленях твоих стозвонных.
По меже, на перемётке
Резеда и риза кашки,
И вызванивают в чётки
Ивы, кроткие монашки!..»

არ გენატრებათ ჰაინრიხ ჰაინე?

«Die Rose, die Lilie, die Taube, die Sonne,
Die liebt ich einst alle in Liebeswonne.
Ich lieb sie nicht mehr, ich liebe alleine
Die Kleine, die Feine, die Reine, die Eine;
Sie selber, aller Liebe Bronne,
Ist Rose und Lilie und Taube und Sonne”.

ჰოდა, თუ გენატრებათ, მივუბრუნდეთ მყუდრო სავანეს! გენიოსთა მიერ მოპოვებული ახალ-ახალი სამყაროები თქვენად გაიხადეთ!

შექმენით საკუთარი თავი!!!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. ძამაშვილი, ლ. გვასალია, ვ. ჭიაურელი, კულტუროლოგია, ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 1999.
2. Культурология. Курс лекций. Под редакцией *Радугина А.А.* Изд. «Центр», М.: 1997.
3. Культурология. История мировой культуры – «Юнити», М. : 2001.
4. მ. მამარდაშვილი, საუბრები ფილოსოფიაზე, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1992.
5. ზ. კაკაბაძე, ადამიანი როგორც ფილოსოფიური პრობლემა, გამომც. „მეცნიერება“, თბ. 1987
6. გ. ლებანიძე, სიღრმეთა დიალოგი და „ტრაგიკული ტრიადა“, გამომც. „ენა და კულტურა“, თბ. 2006
7. შედევრები, 1. გამომცემლობები „საქართველო“, „ჩანგი“, თბ. 1994

8. *Чавчавадзе Н.З.* Культура и ценности. Тбилиси, «Мецниереба», 1984.
9. *Шпенглер О.* Закат Европы. Очерки морфологии мировой культуры. В 2-х тт. Т.1. М.: 1993.
10. *Фромм Э.* Бегство от свободы. – М.: 1995.
11. *Есенин С.* Собрание сочинений. В 5-ти тт. Т.1 М.: 1994.
12. Heinrich Heine. *Das Glück uf Erden*. - Moskau. «Progress», 1980.

Summary

Lali Gvasalia
Return to heaven

The article is designed for students, the youth in general. The main concept discussed in it is the phenomenon of freedom, which represents the basis and essential criterion of culture.

The article discusses the anthropocentral world/ universe, culture and its values, the dialogue of a human with the universe and the form of that dialogue.

The author doubts the fact that Internet can replace the book and believes that the young generation should return to `heaven~ or the world of the book.

Резюме

Лали Гвасалиа
Вернёмся к тихой обители!

Статья написана в форме обращения к студентам и к молодёжи в целом.

Здесь, в первую очередь, разъясняется феномен свободы, как основы и критерия культуры; затем речь идёт об антропоцентрическом мире – о культуре и ценностях, о диалоге человека с миром и о форме этого диалога, т.е. о культуре.

Для автора замена сегодня «книжного мира» интернетом является проблемой, и автор считает необходым сохранить этот мир.

ბელა გოდერძიშვილი
მაია დანელია

რეგიონული პოლიტიკა ფედერალიზმის პირობებში

თანამედროვე პირობები გვკარნახობს სახელმწიფოებრივი და რეგიონული პოლიტიკის პრინციპების ორგანულ მთლიანობაში განხილვის აუცილებლობას. სახელმწიფოებრივი და რეგიონული რეგულირების ღონისძიებების ერთმანეთთან შეხამება-შეთავსება მიჩნეული უნდა იქნეს ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის ფედერაციული ტიპის მოდელად, რომელიც მოახდენს ქვეყნის ტერიტორიული და ეროვნული საწყისების ინტეგრირებას.

სახელმწიფოებრივი და რეგიონული პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სწორედ ამ პრობლემათა გადაწყვეტისადმი სახელმწიფოს კომპლექსური, სისტემური მიდგომის უქონლობაა. აუცილებელია მკაფიოდ გამოიკვეთოს და განისაზღვროს სახელმწიფოს პოლიტიკა (და არა მარტო კონცეფცია), მისი რეგიონულ პოლიტიკასთან დაკავშირებით. სწორედ აღნიშნულის საფუძველზე უნდა მოხდეს სახელმწიფოს პრიორიტეტებისა და ინტერესების დაზუსტება თითოეული რეგიონის მიხედვით (იმ სუბიექტების ჩათვლით, რომლებიც პრობლემურნი არიან რეგიონული კონფლიქტების თვალსაზრისით).

თანამედროვე რეგიონული საკითხების რეალიზაციისადმი სახელმწიფოს მიდგომებში სახეზეა სერიოზული ხარვეზები და უყურადღებობები, რომლებიც განსაკუთრებით იკვეთება ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების არასრულყოფილებაში და ზოგჯერ ქვეყნის კონსტიტუციისადმი

და მთლიანად საქართველოს კანონმდებლობასთან შეუხამებლობაში, ხელისუფლების, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ორგანოებისა და მართვის სტრუქტურების მიერ მიღებული კანონებისა და სამართლებრივი აქტების დარღვევაში; ტერიტორიის სტატუსის ცალმხრივად შეცვლის განხორციელებაში (აფხაზეთი, სამაჩაბლო); ბოლო წლების ეროვნებათშორისი კონფლიქტების ცალკეულ გამოვლენაში.

უდავოდ, ქვეყნის ფადერაციული მოწყობისათვის გასათვალისწინებელია რუსეთის ახალი ფედერალური მოწყობის საწყისი ეტაპის განვითარების საკმაოდ საშიში მოვლენების წარმოშობის პრაქტიკა. მართლაც, ფედერალიზმს ემუქრება არა მხოლოდ სეპარატისტული ტენდენციები (ცენტრის უფლებამოსილებათა აუცილებელ მინიმალურზე უფრო დაბალი დონის პირობებში), არამედ აგრეთვე უნიტარული ტენდენციებიც (ცენტრის განსაკუთრებული უფლებამოსილება).

ეროვნული პრობლემებისადმი ყურადღების გამახვილება, როგორც შეიარაღებულ კონფლიკტებთან დაკავშირებული რეგიონული რეგულირების მეთოდების შედეგი, როგორც ამას ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს (მაგალითად, რუსეთისა და ჩეჩნეთის მიმართ), ყოველთვის არ იძლევა შესაბამის სასურველ დადებით შედეგს მთლიანად ქვეყნის მასშტაბით. უფრო მეტიც, შექმნილი სიტუაციები ზოგჯერ ახალი ძალით ავლენენ როგორც მიმდინარე, ასევე სტრატეგიული პრობლემების გადაწყვეტის არატრადიციული გზების ძიების მძაფრი მოთხოვნისა და საჭიროების აუცილებლობას; სახელმწიფოებრივი და რეგიონული პოლიტიკის ისეთი კონკრეტული ღონისძიებების შემუშავების აუცილებლობას, რომლებიც ხელს შეუწყობენ არა მხოლოდ მდგომარეობისა და სიტუაციის ოპერატიულ ნორმალიზაციას, არამედ სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესის აქტივიზაციასა და ურთიერთობების ოპტიმიზაციას.

ისეთ მრავალეთნიკურ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ფედერაციული და ეროვნებათშორისი ურთიერთობების განვითარების ნორმალიზაცია – ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი შემადგენელია. სახელმწიფოებრივი და რეგიონული პოლიტიკის უდიდესი კაპიტალტევადობა გვკარნახობს მოქნილ, წანასწარ დაგეგმილ და გააზრებულ მიდგომათა აუცილებლობას და არა რეგიონული და ეროვნებათშორის უთანხმოებების შედეგებზე “ფაქტობრივ” რეაგირებას.

ყველა დონის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და სახელმწიფო მოხელეებს არ ძალუძთ სრულად შეიგრძნონ და გაითვალისწინონ, რომ ამ საკითხების გადაწყვეტისათვის აუცილებელია პოლიტიკური და საზოგადოებრივი კონსენსუსი, რომ, როგორც სახელმწიფოებრივ, ასევე რეგიონულ პოლიტიკას არ შეუძლია დარჩეს სპეკულაციისა და პარტიათაშორის ბრძოლის საგნად. საჭიროა ურთიერთპატივისცემა და ხელისუფლების ყველა დონის უფლებათა აღიარება, ურთიერთბრალდებებიდან კონსტრუქციულ დიალოგზე გადასვლა.

ქვეყნის სახელმწიფოებრივი და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა-შენარჩუნება და განმტკიცება გულისხმობს - ეკონომიკაში ფედერაციულ ურთიერთობათა აგების კონსტიტუციური პრინციპების თანმიმდევრულ განხორციელებას, სახელისუფლებო-აღმასრულებელი ვერტიკალის ერთიანობის განმტკიცებას, ხელისუფლების ყველა დონის პასუხისმგებლობის ამაღლებას, მათდამი მიკუთვნებული საშემსრულებლო ფუნქციების რეალიზაციისათვის.

ამასთან, ეკონომიკური ფედერალიზმის აგების პროცესში, მათ შორის ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების მოწესრიგების მსვლელობისას, არცთუ მცირე წინააღმდეგობები წარმოჩინდება. რეგიონები, მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტის დონორები, არაერთხელ გამოთქვამენ ხელისუფლების მიმართ შენიშვნებსა და უკმაყოფილებას მიღებული საბიუჯეტო გადაწყვეტილებათა არასაკმარისად შეთანხმებულობისა და რეალობის თაობაზე, რეგიონების უფლებების უგულვებელყოფასა და შელახვაზე, მათი ბიუჯეტების შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილის თანხების ცალმხრივი წესით ამოღებაზე.

საბიუჯეტო ფედერალიზმის არსებული მოდელის ერთ-ერთი მთავარი უარყოფითი მხარეა საბიუჯეტო სისტემის მკვეთრი (მწვავე) ვერტიკალური დაუბალანსებლობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ფაქტიურად ჩამოყალიბებული ხარჯები არ შეესაბამებიან მათი ცენტრალური (ფედერაციული) უზრუნველყოფის მონაცემებს.

საბიუჯეტო სისტემის ცენტრალურ დონეზე ხარჯვითი დატვირთვის ზრდა იწვევს ამ სისტემის რგოლებს შორის სახსრების გადანაწილების საჭიროებას, ავლენს შემხვედრი ფინანსური ნაკადების შექმნასა და ტერიტორიული ბიუჯეტების ხელოვნურ დოტაციურობას, ფინანსური მხარდაჭერის მიმღები რეგიონების რიცხოვნობის ზრდას. ამასთან დაკავშირებით

ლაპარაკია არა მარტო აუცილებელ შეთანხმეათა მიღწევაზე ცენტრსა და რეგიონებს შორის (ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად), არამედ თვით მიდგომის შეცვლაზეც: ახალი მასტიმულირებელი ბიუჯეტთაშორისი პოლიტიკის ფორმირებაზე, რომელიც პერსპექტიულია, როგორც დონორი ტერიტორიებისათვის, ასევე რეგიონებ-რეციპიენტებისათვისაც.

ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის დაურეგულირებლობა ნეგატიურად აისახება აგრეთვე ბუნებათსარგებლობის ეფექტურობაზეც. ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბით შემოსავლების მობილიზაციისა და მეურნეობრიობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბუნებრივი რესურსების გამოყენებისაგან მიღებული სახსრების გონივრული კონცენტრაცია.

ჩვენ გთავაზობთ სახელმწიფოებრივი და რეგიონული პოლიტიკის წარმატებით განხორციელების მთავარ მიმართულებად და ღონისძიებად მიჩნეულ იქნეს:

1) კომპლექსური, სისტემური მიდგომის შემუშავება, დაბალანსებული სახელმწიფოებრივი და რეგიონული პოლიტიკის განხორციელება, რომელიც პასუხობს ქვეყნის სუბიექტებისა და მათი მოსახლეობის, როგორც ტაქტიკურ, ასევე სტრატეგიულ ინტერესებს, მათ შორის მთლიანად საქართველოს გეოპოლიტიკურ ინტერესებსაც;
2) საზოგადოებაში ეროვნებათშორისი შუღლის არდაშვება, რაც ახალგაზრდა, ქართული დემოკრატიისათვის იქნებოდა არასასურველი და სერიოზული უკანდახევის მომასწავებელი, საჭიროა თავიდან ავიცილოთ ქვეყნის მოსახლეობის მტრული განწყობა იმ რეგიონების მიმართ, რომლებიც ჩართული არიან ეროვნებათაშორის და რეგიონულ კონფლიქტებში. აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ყველა ძალისხმევა ცენტრში და ადგილზე ერთიანი ძალით უნდა იქნეს მიმართული საზოგადოებაში მსგავსი მოვლენების თავიდან ასაცილებლად და არდასაშვებად. უსაფრთხოების აუცილებელი ოპერატიული ღონისძიებების მიღებასთან ერთად უნდა მიღწეულ იქნეს ეროვნულ საფუძველზე

ცალკეული ისტერიების გამორიცხვა და არდაშვება;

3) ეროვნებათშორისი და რეგიონული კონფლიქტების თავიდან აცილება ანუ მათი ძალადობრივი ფორმის კონსტიტუციური მოლაპარაკებით ტრანსფორმაცია; სახელმწიფოს დონეზე ასეთი კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და წინასწარ განჭვრეტის მიზნით ღონისძიებათა სისტემის შემუშავება და განხორციელება, რომელიც ასევე უზრუნველყოფს აღნიშნულ კონფლიქტებთან დაკავშირებული კრიმინალური და ტერიტორიული გამოვლინების, მასობრივი უწესრიგობის თავიდან აცილებას; ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების მიერ ქვეყნის სუბიექტების ხელმძღვანელებთან და ქალაქის მერებთან ერთობლივად ანტიტერორისტული ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც აუცილებლივ უნდა მოიცავდნენ როგორც ცენტრის კომპეტენციაში შემავალ ზომებს (მათ შორის ძალოვანი აქციების ჩათვლით), ასევე ხელისუფლების ტერიტორიული ორგანოების ძალისხმევას (მათ შორის პროფილაკტიკური ხასიათისაც);

4) სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის აქტივიზაცია ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთქმედებებში, საგარე საფრთხისა და მუქარის თავიდან აცილების საქმეში, ტერირიზმთან ბრძოლაში;

5) დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართოდ ჩართვა ეროვნებათშორისი და რეგიონული კონფლიქტების დარეგულირების საქმიანობაში; განსაკუთრებით მათი ურთიერთობის გასააქტიურებლად, პრობლემური რეგიონების მოსახლეობასთან მათი კონფლიქტში არჩართვის მიზნით და გარანტიების მისაღებად არაკანონიერ შეიარაღებული ფორმირებების დაფინანსებაში ნეიტრალიტეტისათვის და სხვა.

ზემოთ მითითებულ ამოცანათა გადაწყვეტის მიზნით ჩვენ ვიძლევით შემდეგი სახის რეკომენდაციებს:

1) არსებითად გაფართოვდეს ეკონომიკური მექანიზმების გამოყენება, რამეთუ, მათ შეუძლიათ ბუნებრივი გზით გააძლიერონ როგორც სახელმწიფოში ცენტრიდანული ტენდენციები, ასევე ეკონომიკური და პოლიტიკური სივრცის ერთიანობა (ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ეროვნულ-ტერიტორიული ერთეულების სპეციფიკის მიუხედავად).

ამასთან დაკავშირებით აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა გაძლიერდეს და დაჩქარდეს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური (ფედერალური) ორგანოების მიერ სუბიექტების აღმასრულებელი ორგანოებისათვის ოპერატიულ-აღმასრულებელი ხასიათის საკითხების ერთობლივად წარმართვისა და გადაცემის პროცესი; ერთდროულად, კანონმდებრივად უნდა იქნეს მიბმული მათზე ფინანსური წყაროები და განისაზღვროს სუბიექტების პასუხისმგებლობა მათზე გადაცემული უფლებამოსილების ეფექტიანად გამოყენებაზე.

ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი უნდა გახდეს საბიუჯეტო ფედერალიზმი. საჭიროა უფრო გააქტიურდეს ცენტრსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის დიალოგი და თანამშრომლობა საბიუჯეტო პროცესის ფარგლებში; არ უნდა იქნეს დაშვებული ისეთი ცალმხრივი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ფედერალიზმის საკანონმდებლო ნორმებსა და პრინციპებს; მიღებული იქნეს ზომები ბიუჯეტთაშორისო მასტიმულირებელი პოლიტიკის ფორმირებისათვის. ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების საკითხები უნდა წყდებოდეს საქართველოს მთავრობის დონეზე და არა ცალკეული სამინისტროების დონეზე.

უფრო არსებითად და უნარიანად უნდა იქნეს გამოყენებული ტერიტორიების განვითარების კომპლექსური პროგრამები, რომლებიც შემუშავებული და რეალიზებული იქნებიან ცენტრისა და რეგიონების ერთობლივი ძალისხმევით. ასევე გამოყენებულ უნდა იქნეს ცენტრალური მიზნობრივი პროგრამების განხორციელების პრაქტიკა. ეს უკანასკნელნი უნდა იქნენ მიმართულნი სხვადასხვა დარგებსა და წარმოებებში, სოციალურ სფეროში კონკრეტული შედეგების მისაღწევად.

სახელმწიფოს როლი უნდა ვლინდებოდეს არა იმდენად რეგიონების პირდაპირ ინვესტირებაში, რამდენადაც რეგიონული პოლიტიკის სახსრებითა და მეთოდებით სასურველი კლიმატის შექმნაში, კერძო, არასაბიუჯეტო და სხვა ინვესტორების მოზიდვის მიზნით.

ბუნებათსარგებლობის პრაქტიკა უნდა მოყვანილ იქნეს შესაბამისობაში, მისი სუბიექტების მიერ ერთობლივად, კონსტიტუციური პრინციპების გამოყენებისათვის; ამ პრინციპის საფუძველზე შემდგომ უნდა იქნეს რეფორმირებული ბუნებათსარგებლობაში პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურები, მათი ოპტიმიზაციის მისაღწევად. რამდენადაც ბუნებრივი რესურსები წარმოადგენს ყველა სუბიექტისა და მოსახლეობის კუთვნილებას, მათი გამოყენებისათვის გადახდილი თანხების ნაწილი უნდა გახდეს რეგიონების ფინანსური მხარდაჭერის ცენტრალური ფონდის ფორმირების წყარო; ამისათვის საჭიროა შესუსტდეს ცენტრალური გადასახადების ფისკალური ხასიათი, ხოლო გაძლიერდეს იმ გადასახადების მიმართ, რომლებიც გადაიხდება ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის.

მნიშვნელოვანია აგრეთვე თანამედროვე მიგრაციული პოლიტიკის საფუძვლების შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებს დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მზარდ ნაკადს კონფლიქტების ზონიდან.

სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დაგეგმვასა და პროგნოზირებას. აშკარაა, რომ ამ მიზნით აუცილებელია რეგიონებში მოწესრიგდეს მონიტორინგის პრობლემაც, რაც საშუალებას შექმნის ვიმსჯელოთ ეკონომიკური, სოციალური, ეროვნული და ფსიქოლოგიური სიტუაციების შესახებ. პრევენციულ ღონისძიებათა სისტემა საშუალებას მოგვცემს შევამციროთ კონფლიქტების შემთხვევები და უთანხმოებანი, რომლებიც ოპერატიულ რეაგირებას საჭიროებენ.

პრობლემური ტერიტორიებისათვის ეკონომიკური დახმარების გაწევის ფუძემდებლურ პრინციპად მიჩნეულ უნდა იქნეს მოცემული კონკრეტული ტერიტორიის საბაზრო პერსპექტივის პროგნოზი, მისი ადგილი და როლი ქვეყნის შრომის დანაწილებაში.

ეკონომიკური მონიტორინგისა და რეგიონების პერსპექტივის განსაზღვრის მონაცემებზე დაყრდნობით უნდა ფორმირებულ იქნეს მათში საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციური საფუძველი, ხელი უნდა შეეწყოს სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური აქტიურობის ამაღლებას, მათ შორის უნდა ყოველმხრივ წახალისდეს მცირე და საშუალო ბიზნესი. მცირე და საშუალო წარმოების ხვედრითი წილის ზრდა პოზიტიურად მოქმედებს მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაზე, აფართოებს დასაქმების არეალს,

ამაღლებს საქმიან აქტიურობას, ზრდის ტერიტორიების შემოსავლებს და ასუსტებს სოციალურ დაძაბულობას.

2) სრულვყოთ კანონმდებლობა რეგიონულ, ეროვნულ და მთლიანდ ქვეყნის ფედერაციულად მოწყობის საკითხებში. დაუშვებელია ფედერაციის ზევიდან გადაკეთება, ამასთან ამის არ დაშვება უნდა გარანტირებულ იქნეს კანონმდებლობით.

ხელისუფლების ყველა შტოს აუცილებელია ჰქონდეს მყარი საკანონმდებლო საფუძველი ნებისმიერი რეგიონული და ეროვნული კონფლიქტების გადასაწყვეტად. გაუთვალისწინებელ რეგიონულ და ეროვნულ სიტუაციებზე რეაგირების საკანონმდებლო პრინციპები შეამსუბუქებენ სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, გახდის მათ ნაკლებად სადაოს და უფრო ლეგიტიმურს, აგრეთვე უფრო მეტად ადეკვატურს, მათ შორის რეაგირების დროებითი პარამეტრების მიხედვითაც.

სწორედ საკანონმდებლო ზომებით არის შესაძლებელი დასაშვებ ფარგლებში იქნეს შენარჩუნებული გარდაუვალი რეგიონული ასიმეტრია.

პირველ რიგის ღონისძიებების სახით აუცილებელია შემუშავებულ და მიღებულ იქნეს კანონები სახელმწიფოებრივი და რეგიონული პოლიტიკის შესახებ და მათი ფინანსური ბაზის თაობაზე, ცენტრალური კანონმდებლობის საფუძვლები ქვეყნისა და სუბიექტების ერთობლივად მართვის (წარმართვის) თაობაზე.

3) განხილულ იქნეს მცირერიცხოვანი მკვიდრი მოსახლეობის რეგიონული პრობლემების გადაწყვეტაში უფრო ფართოდ ჩართვის შესაძლებლობის საკითხი; ჩატარებულ იქნეს იმ არსებული სახელმწიფო ინსტიტუტების რევიზია, რომლებიც ჩართულნი არიან სახელმწიფოებრივი და რეგიონული საკითხების გადაწყვეტაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. "რუსეთის ეკონომიკური ჟურნალი " №9,10, 1999 (რუსულ ენაზე)
2. "მსოფლიო ეკონომიკა და საერთაშორისო ურთიერთობები" ჟურნალი №3 2001 (რუსულ ენაზე)
3. ევ. ბარათაშვილი, ჯ.ზარანდია. საქართველოს რეგიონული პოლიტიკა. თბილისი, 2007

Summary

Bela Goderzdishvili
Maia Danelia
Regional Policy in the Context of Federalism

We shouid focus on the main directions and orientation in order to pursue a successful, consistent regional policy:

1. Working out an integrated, systematic approach, a well-balanced state and regional policy.
2. Avoid any national conflicts.
3. Prevent regional conflicts i.e. their regulation by means of talks within the constitutional framework.
4. Establishing active international cooperation in the field of economy and culture , avoiding external risks and dangers, fighting against terrorism.
5. Involving non-government organizations in order to regulate different national and regional conflicts.

Резюме

Бэла Годердзишвили
Майя Данелия
Региональная политика в условиях федерализма

Для успешного проведения основных приоритетов региональной политики в условиях федерализма рекомендуем следующее:

выработку комплексного подхода, сбалансированной национальной и региональной политики, отвечающей как тактическим интересам субъектов страны и ее народностей, так и стратегическим, в том числе геополитическим, интересам Грузии в целом;

обеспечение широкого привлечения общественных организаций, проявляющих заинтересованность в урегулировании межнациональных и региональных конфликтов в развивающихся вне территории проблемных регионах по вовлечению их в просветительскую работу, гарантиям их неучастия в финансировании незаконных вооруженных формирований и террористических актах и т.п.

ტარიელ კიკვაძე
თამარ ბერიძე

ოპტიმალური პორტფელის ფორმირება მათემატიკური პროგრამირების მეთოდების გამოყენებით

ინვესტიციების მართვის პროცესში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ძირითადი ეტაპები: საინვესტიციო მიზნების ფორმულირება, საინვესტიციო პოლიტიკისა და საპორტფელო სტრატეგიის შემუშავება დასახული მიზნების მისაღწევად, პორტფელში შემავალი აქტივების შერჩევა, ინვესტიციების ეფექტურობის გაზომვა და შეფასება, რაშიც უმნიშვნელოვანესს როლს თამაშობს ოპტიმალური პორტფელის თეორია.

ინვესტორი ერთდროულად ესწრაფვის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მყოფი ორი მიზნის მიღწევას: მოსალოდნელი შემოსავლის მაქსიმიზაციას და განუსაზღვრელობის, ე. ი. რისკის მინიმიზაციას. ინვესტიციების რისკსა და მოსალოდნელ უკუგებას შორის ოპტიმალური თანაფარდობის გამოსათვლელად პორტფელის ფორმალურ მოდელებში გამოიყენება ალბათობათა განაწილება.

პორტფელის თეორიაში ინვესტორის პრიორიტეტები რისკის სიდიდეებსა და მოსალოდნელ უკუგებებს შორის გარკვეულ თანაფარდობებთან მიმართებაში აისახება სარგებლიანობის ფუნქციის საშუალებით.

პორტფელის მოსალოდნელი უკუგება შეიძლება წარმოდგენილ იქნას ურისკო აქტივის უკუგების, საბაზრო პორტფელის მოსალოდნელი უკუგებისა და აქტივისათვის დამახასიათებელი სისტემატური რისკის წრფივი კომბინაციის სახით, რაც კაპიტალური აქტივის ფასწარმოქმნის მოდელის ჩარჩოებში საშუალებას იძლევა ოპტიმალური პორტფელის შესარჩევად გამოყენებული იქნეს წრფივი პროგრამირების მეთოდი.

რისკიანი აქტივების მნიშვნელოვან მახასიათებლებს წარმოადგენს ე. წ. „ალფა“ და „ბეტა“ კოეფიციენტები. სხვაობას აქტივის ფაქტიურ (მოსალოდნელ) და თეორიულ (მოდელით განსაზღვრულ) უკუგებებს შორის ამ აქტივის „ალფას“ უწოდებენ.

თუ რომელიმე *i*-ური აქტივისათვის $\alpha_j > 0$, ეს ნიშნავს, რომ მას ბაზარი სათანადოდ არ „აფასებს“ (ე. ი. იყიდება უფრო იაფად, ვიდრე იგი ამას „იმსახურებს“), ხოლო როცა $\alpha_j < 0$ – პირიქით..

ფინანსური ანალიზის ერთ-ერთი პრაქტიკული რეკომენდაცია იმაში მდგომ,არეობს, რომ პორტფელში, პირველ ყოვლისა, ჩართული უნდა იყოს დადებითი „ალფას“ მქონე აქტივები.

„ბეტა“ (β) კოეფიციენტი წარმოადგენს აქტივის სისტემატური რისკის ზომას და ახასიათებს აქტივის რისკიანობის კავშირს ბაზრის რისკთან. ფორმალური თვალსაზრისით იგი გვიჩვენებს აქტივის ზღვრულ წვლილს საბაზრო პორტფელის რისკში. თუ რომელიმე *j*-ური აქტივისათვის $\beta_j > 0$, ეს ნიშნავს, რომ ამ აქტივის უკუგება ირყევა ტაქტში ბაზრის უკუგებასთან, ხოლო როცა $\beta_j < 0$ – აღნიშნული უკუგებები საწინააღმდეგო მიმართულებით ირყევიან. მაგალითად, თუ „ბეტა“ დადებიტია და ერთზე ნაკლებია, ბაზრის რისკიანობის , ვთქვათ 7%-ით აწევის შემთხვევაში ამ აქტივის რისკიანობაც აიწევს, მხოლოდ 7%-ზე ნაკლებით. ფაქტიურად, შეიძლება ითქვას, რომ „ბეტა“ შეესაბამება იმას, რაც მათემატიკურ სტატისტიკაში რეგრესიის კოეფიციენტად იწოდება: დამოუკიდებელი ცვლადის როლში გამოდის საბაზრო უკუგება, ხოლო დამოკიდებულის – რისკიანი აქტივის უკუგება.

თუ აქტივების კომბინირებას პორტფელში ვახდენთ, მათი უკუგებები წრფივი ფორმით ჯამდება. ასევე, პორტფელის სისტემატური რისკიც, რომელიც მისი „ბეტა“-თი იზომება, შეიძლება წარმოვადგინოთ საშუალო შეწონილი სახით. ამ

დროს წონითი კოეფიციენტების როლში, გვევლინება რისკიან აქტივთა ხვედრითი წილები პორტფელში.

მოსალოდნელი უკუგებებისა და „ბეტების“ კომბინაციები წონასწორობაში მყოფი აქტივებისათვის აისახება ე. წ. „ბაზრის წრფის“ საშუალებით, რომელსაც შემდეგი განტოლება შეესაბამება:

$$E(r_j) = r_u + \beta_j (E(r_p) - r_u) \qquad (1)$$

ვთქვათ, ორი *a* და *b* რისკიანი აქტივის კომბინირება გვინდა პორტფელში, შესაბამისად, x_a და x_b ($x_a + x_b = 1$) პროპორციებით. მათი მოსალოდნელი უკუგებები ავღნიშნოთ $E(r_a)$ და $E(r_b)$, ხოლო „ბეტა“ კოეფიციენტები - β_a და β_b, მაშინ პორტფელის მოსალოდნელი უკუგება იქნება

$$X_a E(r_a) + X_b E(r_b) \qquad (2)$$

(1)-ის თანახმად

$$E(r_a) = r_u + \beta_a (E(r_p) - r_u)$$

და

$$E(r_b) = r_u + \beta_b (E(r_p) - r_u)$$

ასე, რომ პორტფელის მოსალოდნელი უკუგება შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:

$$\begin{aligned} & x_a \left[r_u + \beta_a (E(r_p) - r_u) \right] + x_b \left[r_u + \beta_b (E(r_p) - r_u) \right] = \\ & r_u + \left[x_a \beta_a + x_b \beta_b \right] (E(r_p) - r) = r_u + \beta (E(r_p) - r_u), \end{aligned} \qquad (3)$$

სადაც

$$\beta = x_a \beta_a + x_b \beta_b \qquad (4)$$

როგორც ვხედავთ, თუ გვინდა პორტფელის უკუგების მაქსიმიზაცია იმ პირობით, რომ მისი „ბეტა“ მაქსიმალური დონე არ აღემატებოდეს წინასწარ დასახელებულ მნიშვნელობას, ოპტიმალური პორტფელის ფორმირების ამოცანა შეიძლევა დავიყვანოთ წრფივი პროგრამირების ამოცანაზე, რომლის ამოხსნის შემდეგ მივიღებთ პორტფელში რისკიან აქტივთა ხვედრითი წილების ოპტიმალურ კომბინაციას.

საერთოდ, აქტივთა მოსალოდნელი უკუგებები და „ბეტები“ დამოკიდებულია ბაზარზე, მაგრამ პორტფელის უკუგებისა და „ბეტას“ მნიშვნელობებზე გავლენის მოხდენა შეუძლია პორტფელის მენეჯერს პორტფელში აქტივთა ხვედრითი წილების კომბინირების გზით.

ოპტიმალური პორტფელის ფორმირების ამოცანა შეიძლება დავიყვანოთ კვადრატული პროგრამირების ამოცანაზეც. ამ დროს მიზნის ფუნქციას წარმოადგენს პორტფელის დისპერსია, რომელსაც აქვს კვადრატული ფორმა პორტფელში აქტივთა ხვედრითი წილების მიმართ, ხოლო შეზღუდვების როლში გამოდის ინვესტორის მიერ მოთხოვნილი პორტფელის უკუგების მისაღები მინიმალური დონე და მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები აქტივთა ხვედრითი წილებისათვის.

$X_1, X_2, \ldots, X_n$ -ით ავღნიშნოთ პორტფელში აქტივთა ხვედრითი წილები, σ_i - ითა და σ_{ij} – ით პორტფელში აქტივთა ხვედრითი წილები, აქტივთა საშუალოკვადრატულ გადახრებსა და აქტივთა წყვილების კოვარიაციებს, მაშინ მინიმალური რისკის პორტფელის ფორმირების ამოცანას ექნება შემდეგი სახე:

$$\min Z = \sum_{i=1}^{n} x_i^2 \sigma_i^2 + \sum_{i=1}^{n} \sum_{i \neq 1}^{n} x_i x_j \sigma_{ij} \qquad (5)$$

პირობებით:

$$\sum_{i=1}^{n} x_i = 1 \qquad (5.1)$$

$$\sum_{i=1}^{n} x_i E_i \geq E_{\min,}$$

(5.2)

$$x_1 \geq 0, x_2 \geq 0, \ldots\ldots x_n \geq 0$$

(5.3)

(5.2)-ში E_i აღნიშნავს აქტივთა მოსალოდნელ უკუგებებს, ხოლო E_{min} - პორტფელის უკუგების მინიმალურ მისაღებ დონეს.

მიზნის (5) ფუნქცია შეიძლება მატრიცული ფორმითაც ჩაიწეროს:

$$Z = X \Omega X^{T,}$$

(6)

სადაც $X = (X_1 X_2 \ldots\ldots X_n)$ - მატრიცა სტრიქონია,

$$\Omega = \begin{bmatrix} \sigma_1^2 & \sigma_{12} & \sigma_{1n} \\ \sigma_{12} & \sigma_2^2 & \sigma_{2n} \\ . & . & . \\ \sigma_{n1} & \sigma_{n2} & \sigma_n^2 \end{bmatrix}$$ -

კოვარიაციის მატრიცა,

ხოლო $X^T = \begin{bmatrix} X_1 \\ X_2 \\ \ldots \\ X_n \end{bmatrix}$ - მატრიცა სვეტია.

ამგვარად, ოპტიმალური პორტფელის ფორმირების ამოცანა შეიძლება დაყვანილ იქნეს წრფივი ან კვადრატული პროგრამირების ამოცანებზე.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს საინვესტიციო პორტფელის შერჩევის „ერთადერთი მართებული“ სტრატეგია, რომელიც მისაღები იქნებოდა ყველა ინვესტორისათვის.

პორტფელის შერჩევისას ძალზე მნიშვნელოვანია დროის პერიოდი. განასხვავებენ დროის სამ პერიოდს – დაგეგმვის, გადაწყვეტილებათა გადახედვისა და საბირჟო ვაჭრობის პერიოდებს.

პორტფელის შემადგენლობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას ინვესტორმა მოსალოდნელი უკუგების გაზრდას შეიძლება მიაღწიოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დათანხმდება რისკის უფრო მაღალ ხარისხს.

ზოგჯერ შესაძლებელია ინვესტირების რისკის ხარისხის შემცირება, ისე რომ მოსალოდნელი უკუგება არ შემცირდეს უფრო ეფექტური დივერსიფიკაციის გზით, რაც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კორელაციებზე პორტფელის შემადგენელ აქტივებს შორის.

პრაქტიკაში აქტივთა უმრავლესობა ერთმანეთთან დადებითად კორელირებული არიან, რადგან მათზე ერთიდაიგივე ეკონომიკური ფაქტორები მოქმედებენ.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ რისკის შემცირების შესაძლებლობა დივერსიფიკაციის გზით მოსალოდნელი უკუგების შემცირების გარეშე შეზღუდულია.

ადგილი აქვს ე. წ. „დროის ეფექტს“ დივერსიფიკაციის დროს. კერძოდ, რაც უფრო ხანგრძლივია აქტივის ფლობის პერიოდი, მით უფრო ნაკლებია მისი უკუგების სტანდარტული გადახრა და ალბათობა იმისა, რომ მოსალოდნელი უკუგება ურისკო აქტივის უკუგებაზე ნაკლები აღმოჩნდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. ვარიანი. მიკროეკონომიკა. თანამედროვე მიდგომა. წიგნი 1. თბილისი “დიოგენე”, 1998.
2. Абчук В. А. Теория риска.-Л: Судостроение, 1983
3. Касимов Ю. Ф Основы теории оптимального портфеля ценных бумаг.-М, 1988

4. Markowitz H. M. Portfolio selection. Efficient divercification of investments. – Oxford, N. Y. : Blackwell, 1991

Summary

Tariel Kikvadze
Tamar Bridze
The methods of selecting the optimal portfolio

The anticipated return on the investment portfolio (ROI) represents the return on secure assets, the return on the market portfolio and systematic risks with a linear combination, being one of the markeres of assets. We can use the method of linear programming in order to select the optimal portfolio.

The article deals with the main points of investment management, minimizing the possible risks without reducing the anticipated return.

The article touches upon the case of portfolio optimization bringing it to square programming, when portfolio dispersion performs the function of the criterion.

Р е з ю м е

Тариел Киквадзе
Тамар Беридзе
Формирование оптимального портфеля при помощи методов математического программирования

Ожидаемая отдача инвестиционного портфеля представляет собой отдачу безрисковых активов, ожидаемую отдачу рыночного портфеля и характерную для актива линейную комбинацию систематичных рисков, что дает возможность применения метода линейного программирования для выбора оптимального портфеля.

В статье рассмотрены основные этапы процесса управления инвестициями, возможности снижения риска инвестирования таким образом, чтобы не была снижена ожидаемая отдача.

Также рассмотрен случай доведения портфеля до задачи оптимизации квадратного программирования, когда в роли целевой функции выступает дисперсия портфеля.

გენადი იაშვილი

მცირე და საშუალო წარმოებათა უპირატესობები და ნაკლოვანებები, მათი როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა, საქართველოში, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვის გარდა, ეკონომიკის ნგრევა, თითქმის ყველა დიდი საწარმოს დახურვა გამოიწვია. მხოლოდ ბოლო წლებში, საქართველოში უცხოური ინვესტიციების დახმარებით ამუშავდა რამოდენიმე დიდი წარმოება და შეიქმნა მრავალი მცირე საწარმოო. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ეკონომიკისთვის მცირე და საშუალო წარმოებების მნიშვნელობა დამოკიდებულია მათ უნარზე ეფექტურად შეასრულოს თავისი როლი. ეკონომიკური სტრატეგია, რომელიც მოწოდებულია მხარი დაუჭიროს ამ წარმოებებს, მიმართულია ფაქტორებზე, რომლებიც სტიმულირებას უკეთებს ან აფერხებს მათ ზრდას. კომპანიების სტრატეგია, რომელიც მიმართულია მცირე და საშუალო წარმოებების ზრდისკენ დაფუძნებული უნდა იყოს ტექნოლოგიურ ან კომერციულ

ინოვაციებზე, ან ფოკუსირებულ (ნიშურ) სტრატეგიაზე, რომელსაც საფუძვლად უდევს პროდუქტის დიფერენციაცია ან მომსახურებათა ერთობლიობა.(1)

შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად მცირე და საშუალო წარმოებები ასრულებს ეკონომიკის მთავარი საყრდენისა და მისი ხერხემლის როლს. ისინი ხშირად არიან ინოვაციურნი და სტიმულირებას უკეთებენ სტრატეგიული მენეჯმენტის გამოყენებას.

მოცემული სტატიის მიზანია ა) მცირე და საშუალო წარმოებათა ტერმინის განსაზღვრა. ბ) მცირე წარმოებათა უპირატესობების და ნაკლოვანებების ჩვენება დ) მცირე წარმოებათა მომავალზე მსჯელობა და მათზე სტრატეგიის გამოყენების აუცილებლობა.

მცირე და საშუალო წარმოებების ცნების განსაზღვრისათვის გამოვიყენებთ თეორიულ საფუძვლებს და პრაქტიკულ მაგალითებს. გამოვიკვლევთ მცირე წარმოებათა ნაკლოვანებებს და უპირატესობებს. გამოვიკვლევთ მათ მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელობებისათვის. მცირე წარმოებათა მომავალს და აუცილებლობას მცირე და საშუალო წარმოებათა მენეჯერებმა იაზროვნონ სტრატეგიულად.

მცირე და საშუალო წარმოებების იდენტიფიკაციისათვის, გამოიყენება რიგი კრიტერიუმები, როგორიცაა: დამატებითი ღირებულება, აქტივების ღირებულება, ყოველდღიურ გაყიდვათა მოცულობა, პერსონალის რაოდენობა. უკანასკნელი ორი კრიტერიუმი უფრო ხშირად გამოიყენება მცირე და საშუალო წარმოებების გამოსაყოფად წარმოებების ზოგადი მასიდან. მცირე ან საშუალო წარმოება – ესაა ფირმა, რომელსაც უკავია ბაზრის მხოლოდ მცირე ნაწილი და იმართება პირადად მფლობელის ან თანამფლობელის მიერ და არა დეტალურად დამუშავებული მენეჯმენტის სისტემით. ამ გზით, იგი არასაკმარისადაა დიდი, რათა ხელმისაწვდომი იყოს კაპიტალის ბაზარზე, საკუთარი აქციების ემისიისთვის და მათი ბაზარზე განთავსებაზე.

მსხვილი კომპანიის ფილიალი არ შეიძლება ჩაითვალოს მცირე ფირმად, თუნდაც იგი იყოს პატარა და შედარებით დამოუკიდებელი, მიღებული გადაწყვეტილებების თვალსაზრისით.

ხარისხობრივი პარამეტრების მიხედვით მცირე და საშუალო წარმოებებს აქვთ შემდეგი სამი მახასიათებელი:

1) დამოუკიდებელი ხელმძღვანელობა, როდესაც მენეჯერები ხშირად კომპანიის მფლობელები არიან.

2) კომპანიის კაპიტალი უზრუნველყოფილია ერთი პირის მიერ ან განსაზღვრულ პირთა ჯგუფით – კომპანიის მფლობელებით.
3) მოქმედების სფერო ძირითადად–გეოგრაფიული შეზღუდულია, ფირმის მფლობელნი და მოსამსახურეები ცხოვრობენ ერთ მხარეში, თუმცა გასაღების ბაზარი არაა აუცილებელი მოთავსებული იყოს ზუსტად იგივე ადგილას.

დღეისათვის მცირე ფირმების ერთიანი განსაზღვრა არ არსებობს, რაც პირველ რიგში განპირობებულია ბიზნესის ფართო მრავალფეროვნებით. მცირე ფირმა – ეს დამოუკიდებელი წარმოებაა, მართული მფლობელით ან პირით, რომელსაც ნაწილობრივ ეკუთვნის ფირმა და რომელსაც ეკუთვნის ბაზრის მცირე წილი. ფირმის ზომა განპირობებულია ეკონომიკის იმ სექტორით, რომელშიც მოქმედებს. მაგალითად, მოცემული ზომის ფირმა შეიძლება ჩაითვალოს მცირედ, მოცულობითი ბაზრის სექტორში, რომელშიც მოქმედებს მრავალი კონკურენტი კომპანია და მსხვილ ფირმად სხვა სექტორში, თუ მოცემულ სექტორში მოქმედებს კომპანიების შეზღუდული რიცხვი.

ზოგიერთი ავტორის განსაზღვრის მიხედვით, ფირმა შეიძლება ჩაითვალოს მცირედ თუ:

- თუ იგი ფლობს კონკურენტული ბაზრის შედარებით მცირე წილს.
- მას არ აქვს შესაძლებლობა იმოქმედოს ბაზრის ფასებზე ან თუ ეს არაკომერციული ორგანიზაციაა, არ შეუძლია თავის სფეროში თუნდაც მცირედი მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა.
- მისი ხელმძღვანელობა უშუალოდ მოქმედებს გადაწყვეტილების მიღების ყველა ასპექტში. კომერციულ ორგანიზაციებში – კომპანიის ხელმძღვანელები როგორც წესი მათი მფლობელები ან თანამფლობელებია.
- ფირმა დამოუკიდებელია, მისი ხელმძღვანელები – მფლობელები სრულად აკონტროლებენ ბიზნესს ან ორგანიზაციის ქმედებას, თუმცა მათი მოქმედების თავისუფლება შეიძლება იყოს შეზღუდული ვალდებულებებით, დამფუძნებლების წინაშე ან საფინანსო ინსტიტუტების წინაშე.

ეკონომიკის ზოგიერთ სექტორში, მიზანშეწონილია კომპანიის სიდიდე განისაზღვროს პერსონალის რაოდენობით, მაშინ როდესაც სხვა სექტორში უკეთესია ეს განსაზღვრული იქნეს წლიური ბრუნვით.

როგორც წესი სტატისტიკური აღრიცხვისათვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები (2):

- მიკროფირმა – პერსონალის რაოდენობა 0-9 ადამიანი.
- მცირე ფირმა "----------" 0-49 ადამიანი (შეიცავს მიკროფირმებს).
- საშუალო ფირმა "----------" 50-249 ადამიანი.
- მსხვილი ფირმა "----------" 250 ადამიანი და მეტი.

2001 წლის ევროკომისიის დოკუმენტის მიხედვით, მცირე და საშუალო წარმოებების ერთიანი განსაზღვრა მოცემულია ცხრილში, რეკომენდაციის სახით, რომელსაც არა აქვს იძულებითი მახასიათებლები ქვეყანა მონაწილეებისათვის.

კრიტერიუმები	მიკრო	მცირე	საშუალო
მუშაკთა მაქს. რაოდენობა	9	49	249
მაქსიმალური წლიური ბრუნვა	უმნიშვნელო	7-მილიონი ევრო	40 მილიონი ევრო
ბალანსის მაქს. ჯამი	"----------"	5-მილიონი ევრო	27 მილიონი ევრო
დამოუკიდებლობა	"----------"	კაპიტალის ან ხმის უფლების არაუმეტეს 25% აქციების ეკუთვნის ერთ ან რამოდენიმე კომპანიას, რომლებიც არ არის მცირე და საშუალო წარმოებები	

წყარო ევროკომისია 2001 წ.

ეს დოკუმენტი, საშუალებას იძლევა თუ ეს სასურველია გამოვიყენოთ უფრო დაბალი დონის მახასიათებლების მნიშვნელობები, რომლებიც განსაზღვრავენ მცირე და საშუალო წარმოებების სტატუსს. მაგალითად, ინგლისისათვის ზოგიერთ ავტორს შემოაქვს შემდეგი მახასიათებლები (3) ამ წარმოებებისათვის.

- წარმოებაში მომუშავეთა რაოდენობა არა უმეტეს 250 კაცისა.

- ყოველწლიური ბრუნვა არა უმეტეს 50 მილიონი ფუნტისა.
- თავის გადაწყვეტილებებში კომპანიის ხელმძღვანელობა დამოუკიდებელი და თავისუფალია გარედან.

განვიხილოთ მცირე და დიდი წარმოებების როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითქმის მთელ მსოფლიოში მცირე და საშუალო წარმოებები ძირითად როლს თამაშობს ხალხის სამუშაო ადგილით დასაქმებაში, ინოვაციურ წამოწყებებში, კონკურენციის უზრუნველყოფაში და ეკონომიკური სიმდიდრის შექმნაში. მიზეზები რაც იზიდავს ხალხს მცირე ბიზნესში და მისი უპირატესობა, მცირე და საშუალო წარმოებათა მფლობელებისათვის შემდეგია:

- იზიდავს რთულ, დინამიურ და სარისკო სიტუაციებში.
- მოაქვს ფსიქოლოგიური კომფორტი.
- საშუალებას გვაძლევს იყო შენი საკუთრების ხელმძღვანელი.
- იძლევა სამუშაო ადგილის უსაფრთხოების გარანტიას.
- ზრდის ოჯახის წევრების დასაქმების შესაძლებლობას.
- ზრდის ფინანსურ მოგებას (სარგებელს).

მცირე ბიზნესში მისვლის უპირატესობა – ესაა თვით გამოწვევა, რომელიც მოსდევს ახალი საქმის დაწყებას. ამიტომ მცირე ბიზნესისათვის უფრო აქტიური კანდიდატებია ხალხი, რომლებიც დაინტერესებული არიან საინტერესო და რთული სამუშაოთი და არ ეშინიათ სირთულეების. გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ მცირე წარმოების ყველაზე წარმატებულ ხელმძღვანელებს სიამოვნებთ იმის შეგრძნება, რომ წარმატების და წაგების შანსი ერთნაირია. საქმის წარმატებისათვის მათ შეუძლიათ დაეყრდნონ უნარს და კომპეტენტურობას. ისინი გრძნობენ, რომ საბოლოო შედეგი ბევრადაა განპირობებული მათი პირადი ცოდნით, გამოცდილებით, ნიჭით, უნარით გამოიყენონ ბაზრის შესაძლებლობები. რასაკვირველია იყო ხელმძღვანელი და დამოუკიდებლად მართო ბიზნესი, ერთის მხრივ მორალურ კმაყოფილებას განიჭებს და ამასთან შეგიძლია იმუშაო რამდენი ხანიც გინდა, ისე რომ არ გეშინოდეს საპენსიო ასაკის, თუმცა მეორეს მხრივ დიდი პასუხისმგებლობაცაა.

ბიზნესის ზრდასთან ერთად იზრდება სამუშაო ადგილების რიცხვიც, რაც საშუალებას აძლევს ხელმძღვანელს დაასაქმოს თავისი ოჯახის წევრები. თუმცა მცირე წარმოების მთავარი უპირატესობა – მისი მფლობელის ფინანსური შესაძლებლობების გაფართოებაა. მცირე წარმოების დამფუძნებლებმა გამოიმუშავეს გაცილებით დიდი თანხა, საკუთარი ბიზნესიდან ვიდრე მაშინ, როდესაც ისინი დაქირავებულნი იყვნენ და სხვისი ხელმძღვანელობის ქვეშ მუშაობდნენ. მცირე წარმოებების დამფუძნებლების წინ იხსნება მრავალი შესაძლებლობა წარმატების მიღწევისთვის და ფინანსური მოგების მიღწევისთვის.

მცირე ბიზნესის მრავალი უპირატესობის მიუხედავად, მას აქვს ასევე მრავალი სუსტი მხარეები, რომლებსაც მიეკუთვნება გაყიდვების მოცულობების ცვლილება, კონკურენცია, ხელმძღვანელის მოვალეობების სფეროს მუდმივი გაფართოება, შესაძლებელი ფინანსური დანაკარგები, თანამშრომლებს შორის ურთიერთდამოკიდებულების დარეგულირების აუცილებლობა, მოქმედი დებულებების კანონმდებლობების შეზღუდვა და რეგლამენტირება, ასევე ჩავარდნის – მარცხის რისკი. ბიზნესი ეჯახება გაყიდვების მოცულობათა ცვლილებების პრობლემას, რაც უარყოფითად მოქმედებს ფულადი სახსრების მოძრაობის ბალანსზე. გაყიდვების მოცულობის ცვლილება დამოკიდებულია სეზონზე – ხანდახან ეს მოცულობა მაღალია, სხვა დროს იგი მკვეთრად ეცემა. წარმოების ხელმძღვანელებმა აუცილებელია დააბალანსონ ფულადი სახსრების ბრუნვა (შემოსავალი და გასავალი) რათა უზრუნველყონ საკმარისი ფინანსები ბიზნესის ყოველდღიური საჭიროებისთვის. მცირე წარმოებების ძირითად ნაკლს მიეკუთვნება მომხმარებლის ფასეულობების და მომხმარებელთა მოლოდინის ცვლილებაზე სწრაფი რეაგირების შეუძლებლობა. მაგალითად, ხშირ შემთხვევებში მცირე წარმოებებს არ შეუძლიათ სწრაფი ადაპტირება, საბაზრო პირობებისა და ტექნოლოგიების სფეროს ცვლილებებზე. მცირე ბიზნესი დაკავშირებულია კონკურენციის მუდმივ რისკთან.

მრავალი მიზეზებით ამ რიცხვს მიეკუთვნება კაპიტალის სტრუქტურის ნაკლი, მარკეტინგული არხების სისუსტე, ბაზრის დაბალი წილი და სხვა. მცირე და საშუალო წარმოებებში ეჯახებიან უფრო მკაცრ კონკურენციას, ვიდრე მსხვილი კონცერნები. მაგალითად, ტექნოლოგიების სფეროს სწრაფი ცვლილება, შეიძლება აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი დარტყმა მცირე წარმოებისთვის. მცირე ბიზნესის სხვა ნაკლი

მდგომარეობს იმაში, რომ ამ წარმოებათა ხელმძღვანელმა თავის თავზე უნდა აიღოს თავის ბიზნესზე სრული პასუხისმგებლობა. ის უნდა იყოს ძალიან მოტივირებული, რათა აიღოს თავის თავზე სრული პასუხისმგებლობა, მან უნდა შეძლოს აითვისოს ბიზნესის მრავალ სფეროში მართვის ჩვევები. მაგალითად მარკეტინგში, ფინანსურ და ოპერატიულ მართვაში, ადამიანური რესურსების მართვაში და ა.შ.

უუნარობას განავითაროს თავისში მთელი სპექტრი მართვის უნარ-ჩვევების და კომპეტენციების, აუცილებლად მივყევართ ბიზნესის ჩავარდნასთან. მცირე ბიზნესი უფრო მგრძნობიარეა ფინანსური დანაკარგების პრობლემისადმი, ვიდრე მსხვილი კორპორაციები. მცირე და საშუალო წარმოებას სტრატეგიული გადაწყვეტილების დროს დაშვებული შეცდომა შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს. ორიენტაცია არა იმ ბაზარზე, პროდუქტში ჩადებული სახსრები, რომელიც იმყოფება თავისი სიცოცხლისუნარიანობის უკანასკნელ სტადიაზე, შეიძლება მიგვიყვანოს უზარმაზარ ფინანსურ დანაკარგებთან. სხვა ძირითადი ნაკლი მცირე ბიზნესის – ისაა, რომ იგი ხდება დებულებებისა და კანონების დიდი სიმრავლის ქვეშ. მაგალითად, სანამ დაიწყებს მცირე ან საშუალო ფირმის მეპატრონე რაიმე სახის მეწარმეობას მათ უნდა მიიღონ ლიცენზია (ნებართვა). მცირე ჩავარდნის შემთხვევაშიც კი ფირმა აწყდება დიდ ფინანსურ პრობლემებს, რადგანაც სახსრების ძირითადი ნაწილი ჩადებულია ბიზნესში. მთლიანობაში, თუ ბიზნესმენი, ფირმის მეპატრონე აზროვნებს სტრატეგიულად და მას ბიზნეს-გეგმის შედგენისას შეუძლია გაითვალისწინოს თავისი ბიზნესის სუსტი და ძლიერი მხარეები, ასევე გარე სფეროს ნეგატიური მომენტები და შესაძლებლობანი, შესაძლებელია დასახელებული ნაკლის მინიმიზაცია და მისი გადაქცევა ახალ შესაძლებლობებად.

დასკვნის სახით წარმოვადგინოთ მცირე ბიზნესის ნაკლოვანებები.

1) გაყიდვების მოცულობის ცვლილებები.
2) კონკურენცია.
3) პასუხისმგებლობების და მოვალეობების სულ უფრო ზრდადი ტვირთი.
4) ფინანსური დანაკარგების რისკი.
5) მომსახურეთა შორის ურთიერთდამოკიდებულებები.
6) რეგულირებული და რეგლამენტირებული კანონები და დებულებები.
7) ჩავარდნის რისკი.

მაგალითის სახით თუ ავიღებთ დიდ ბრიტანეთში მცირე და საშუალო წარმოების როლს (3), შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დიდი ბრიტანეთის ეკონომიკაში მცირე ბიზნესი თამაშობს ძირითად როლს. (დასაქმებულია 12 მილიონზე მეტი ადამიანი, რაც შეადგენს დამატებითი სამუშაო ადგილების 85% და სამუშაო ადგილების 50%). ასეთ ფირმებზე დღეისათვის მოდის ახალი ტექნოლოგიური ინოვაციების შექმნისა და დანერგვის დიდი ნაწილი. ამიტომ მცირე და საშუალო წარმოებების რიცხვის ზრდასთან ერთად ინფორმაციულ ტექნოლოგიებში და სხვა კომერციულ მოთხოვნად სფეროებში, მსხვილ ტრადიციულ კომპანიებს შორის იზრდება ტენდენცია გადასცეს **აუტსორსინგში** ინოვაციები და პროგრესიული ტექნოლოგიები მცირე ბიზნესს. ამიტომ დღეისათვის ინგლისში შექმნილია ბიზნეს-კავშირების ნაციონალური ქსელი.

მცირე ბიზნესის შემხვედრ პრობლემებს მიეკუთვნება: არასაკმაო ინვესტირება და ფულის მოძრაობის პრობლემები, განუხორციელებელი იმედი მიაღწიონ გაყიდვის დაგეგმილ მოცულობას. ამას შეიძლება დაემატოს სუსტი დაგეგმვა და ბიზნესის მართვის არასაკმარისი გამოცდილება. ამაში იგულისხმება.

1) დოკუმენტებისა და აღრიცხვის წარმართვის არაადეკვატური სისტემა.
2) მოღვაწეობის განვითარება რესურსების რეალური მოცულობის გათალისწინების გარეშე.
3) კლიენტებზე ინფორმაციის ნაკლებობა.
4) ბაზრის დივერსიფიცირების ცდის ჩაგდება.
5) მარკეტინგული გამოკვლევების უქონლობა ან არასაკმარისად გამოკვლევა.
6) პრობლემები კანონმდებლობასთან.
7) ერთპიროვნული მართვა.
8) მართვის ტექნიკის საკითხებში არასაკმარისად კომპეტენტურობა.
9) ოჯახური პრინციპი
10) ხელმძღვანელობა დაუსწრებლად.

მთლიანობაში, ფირმის კრახის ყველაზე გავრცელებული მიზეზი თვითონ ხელმძღვანელებშია (მენეჯერები). მათ უბრალოდ არ იციან როგორ აწარმოონ ბიზნესი. სხვა სიტყვებით, მათ არა აქვთ ბიზნესის განვითარების ხანგრძლივი გეგმა, და მათ არ შეუძლიათ იაზროვნონ სტრატეგიული კატეგორიებით. შესაბამისად სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას უშვებენ დიდ შეცდომებს, იმ დროს როდესაც ფირმის ნებისმიერ გამოცდილ ხელმძღვანელს

შეუძლია სწრაფად დაინახოს, შეაფასოს და გადაჭრას პრობლემა. აღინიშნება, რომ ფირმის ხელმძღვანელის ბალანსირებული მართვის უნარ-ჩვევების უქონლობა ასევე მცირე ბიზნესის ჩავარდნის საფუძველი ხდება. უფრო მნიშვნელოვანი პრობლემაა, როდესაც ხელმძღვანელს არა აქვს საკმარისი პრაქტიკული გამოცდილება ბიზნესის ისეთ ძირითად სფეროებში როგორიცაა მარკეტინგი, ფინანსები, ოპერატიული მართვა, წარმოების მართვა.

ამრიგად, ნებისმიერი ფირმის წარმატების ძირითადი ფაქტორებია – ხელმძღვანელის კომპეტენტურობა და მისი პირადი თვისებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1). გენადი იაშვილი, თანამედროვე სტრატეგიული მენეჯერი და მისი როლი წარმოებაში. სამეცნიერო ჟურნალი ხელისუფლება და საზოგადოება. 2007 წ. № 4

2). Berry, M. Strategic planning in small higt-tech companies, Long Range Planning, 1998, 31 (3),

3). Ф. Аналоуи, А. Карами - Стратегический Менеджмент, Москва. 2005

Summary

Genadi Iashvili
Strengths and Weaknesses of Small and Medium Enterprises. Their role in the country's economical development

The purpose of a given article is to define the term of small and medium enterprises. The following issues are discussed: strengths and weaknesses of medium size enterprises; importance of using strategy for the future of small businesses; the role of small and medium enterprises in country's economical development.

Резюме

Геннадий Яшвили

Преимущества и недостатки малых и средних предприятий.
Их роль в экономическом развитии страны.

В представленной статье определены понятия малых и средних предприятий. Показаны преимущества и недостатки малых предприятий, а также необходимость применения в них стратегического менеджмента. Выделена роль малых и средних предприятий в экономическом развитии страны.

Russudan Tabukaschwili

Entwicklung der Hypothesen zur Frauensprache

Es wurden in der Linguistik, nachdem das Thema „Geschlechterspezifisches Sprachverhalten“ die Aufmerksamkeit an sich gelenkt hat, verschiedene Hypothesen zur Frauensprache herauskristalisiert.

Während Frauensprache einerseits als eine Abweichung von der Norm und andererseits als eine Idealsprache bezeichnet wurde, entstand in der Diskussion eine weitere Position, die sich als diplomatischer Mittelweg präsentierte: „Frauen sprechen anders, aber gleich so gut“. Also, die Vertreterinnen dieser Meinung nehmen an, dass Frauen und Männer zwar ein ungleiches, aber dabei gleichwertiges Sprachverhalten haben. Dabei betonen sie die Unterschiede so stark, dass Verständigungsprobleme unvermeidbar scheinen.

Die bekannteste Vertreterin dieser Richtung ist die amerikanische Sprachwissenschaftlerin Deborah Tannen[1]. Im oben genannten Ansatz werden die Gespräche zwischen Frauen und Männer, wie Gespräche zwischen Menschen betrachtet, die unterschiedliche Dialekte reden, oder verschiedenen Kulturen angehören. Die geschlechtstypischen Varietäten werden deshalb auch, in Analogie zu Dialekt oder Soziolekt, mit dem Begriff *Genderlekt* bezeichnet.

Detizithypothese

Der Gedanke, daß es eine spezifisch weibliche Sprache geben könne, geht nicht auf die Frauenbewegung zurück, sondern wurde nur von ihr aufgegriffen. Seine Ursprünge liegen in den Reiseberichten aus den letzten Jahrhunderten und in der anthropologisch-ethnologischen Forschung.

Zwei Vertreter der älteren Beschreibung von *„Frauensprache"* waren Mauthner und Jespersen. Während Mauthner sich mit dem Gesprächsverhalten von Frauen auseinandersetzt (1921)[2], beschäftigte sich Jespersen mit Wortschatz und Syntax (1925)[3]. Mauthner sieht die Unterschiede im Sprechen zwischen Mann und Frau in sozialen Belangen wie Bildung und Stand begründet. Für ihn sind Frauen nicht in der Lage Männersprache zu erlernen. Jespersen geht in seinen Hypothesen davon aus, daß Frauen z.B. unvollständige Sätze bilden, da sie auch ihre Gedanken unvollständig ausführen. Männer sprechen häufiger in einem Satzgefüge von Haupt- und Nebensatz (Unterordnung), Frauen jedoch in Satz verbindungen (Beiordnung/Nebenordnung von Sätzen).Weiterhin stellt der dänische Linguist Otto Jespersen fest, dass Frauen redegewandter als Männer sind, weil ihr Wortschatz geringer ist.

Sowohl Mauther als auch Jespersen gehen davon aus, daß Frauensprache keine eigenständige Sprache ist, sondern eine minderwertige Abwandlung der Männersprache.

Damit sind beide eindeutige Vertreter der Defizithypothese.

Differenzhypothese

„Keiner versteht den anderen ganz, weil keiner bei demselben Wort genau das selbe denkt wie der andere. " (J.W. Goethe)

Die Differenzhypothese geht von der Andersartigkeit der weiblichen Sprache aus, ohne dieses „anders sein" negativ zu bewerten. Außerdem wird festgestellt, daß die Frauensprache angemessen sei und als Variante der Männersprache nicht weiterentwickelt werden muß. Frauen sollten im Gegensatz dazu ihre eigene Sprache entwickeln. Es wird strikt abgelehnt einen Vorteil darin zu sehen Männersprache zu imitieren. Als Ursache der verschiedenen Sprachen wird der kulturelle Unterschied zwischen der Männerwelt und der Frauenwelt gesehen.

Als Beispiel für einen differenztheoretischen Ansatz ist Claudia Schmidts Vorgehen zu nennen. Sie sieht das Geschlecht als entscheidenden Faktor für die Unterschiedlichkeit im Sprechen von Frauen und Männern an. Sie setzt hypothetisch voraus, dass es typisch „weibliches“ und typisch „männliches“ Sprachverhalten gibt und untersucht aufgrund ihrer Annahme Gesprächsabläufe[4].

Die Differenz zwischen den Geschlechtem wird als kultuidle Erscheinung beschrieben, die bereits von Mädchen und Jungen in jungem Alter in gleichgeschlechtlichen Paargruppen erlernt wird. Auch die Wissenscha frier, wie z. B.: Maltz und Borker, sehen die Ursache dafür, dass Frauen und Männer unterschiedliche „Sprachen" sprechen darin, dass Kinder und Jugendliche Freundschaften innerhalb des eigenen Geschlechts bevorzugen[5].

Dabei sind Jungengruppen hierarchisch strukturiert und von Konkurrenz geprägt, Mädchen dagegen spielen in kleinen Gruppen oder zu zweit. Sie streben nach Bindungen und Beliebtheit. Diese unterschiedlichen Strukturen bringen unterschiedliche Kommunikationsstile hervor. Tannen behauptet, bei den Mädchen sei das vorrangige Muster Bindung und Intimität, während es in der Welt der Jungen um Status und Machtausübung gehe. So bildet sich im ersten Fall die Beziehungs- und im zweiten Fall die Berichtssprache, oder anders ausgedrückt privates versus öffentliches Sprechen heraus.

Maitz und Borker, Vertreter der Differenzhypothese, behaupten folgendes: Während Frauen z. B.: mit Minimalreaktionen signalisieren „Ich höre dir zu“, bedeuten die Minimalreaktionen im männlichen Genderlekt „Ich stimme dir zu“. Das macht einsichtig, warum Frauen und Männer Minimalreaktionen unterschiedlich häufig verwenden und unterschiedlich auf sie reagieren.

Auch Tannen illustrert Kommunikationsprobleme zwischen Frau und Mann mit vielerlei Fallbeispielen, die nicht selten konstruiert wirken. Hier als Beispiel aus der deutschen Ausgabe von „You just do not understand" ihre Beschreibung der missglückten Interaktion eines Ehepaars während einer Autofahrt:

„Die Frau hatte gefragt: „Würdest du gern irgendwo anhalten, um was zu trinken?“ Ihr Mann hatte - wahrheitsgemäß- mit „Nein" geantwortet und nicht angehalten. Frustriert mußte er später feststellen, dass seine Frau verärgert war, weil sie gern irgendwo Rast gemacht hätte. Er fragte sich: „Warum hat sie mir nicht einfach gesagt, was sie wollte? Wamm spielt sie solche Spielchen mit mir?“ nich einfach gesagt, was sie wollte? Warum spielt sie solche Spielchen mit mir?“[6].

Nach Tannen lässt das indirekte Kommunikationsverhalten der Frau ihren Mann in dem Glauben, dass sie tatsächlich nur seinen Wunsch erfragt. Nach weiblichen Maßstäben jedoch handelt es sich hier um eine indirekte Form gekleidet und deshalb missverständlich, so der Autor“.

Auf die Spitze getrieben findet sich der Ansatz der Differenzhypothese bei dem Autor John Gray (1992). Seine Bücher verkünden als zentrale Botschaft: „Frauen und Männer sind so unterschiedlich wie Wesen von verschiedenen Planeten, nähmlich: Männer sind vom Mars; Frauen sind vom Venus. Dass diese unterschiedliche Wesen unterschiedliche Sprachen

sprechen, überrascht kaum. Im Grunde brauchten Frauen und Männer für ihre Gespräche Übersetzungshilfen.“[7].

Die Kritiker dagegen weisen darauf hin, dass Frauen und Männer, Mädchen und Jungen sich in ständigem kommunikativem Austausch miteinander befinden und daher zumindest passive Kennmisse des jeweils anderen Stils besitzen. Auch gibt es keine sprachlichen Elemente, die ausschließlich einem Geschlecht eigen sind. Der Vergleich mit unterschiedlichen Dialekten und Kulturen sei daher überzogen.

Problematisch an diesen differenztheoretischen Zugängen ist die implizite Festschreibung stereotyper Rollenzuschreibung von Frauen und Männern. Diese Art der Forschung bestätigt im Vorhinein existierende Vorstellung über das, was angeblich „weiblich" oder „männlich" ist. Die Untersuchungen dienen demnach lediglich zur Reproduktion der vorhandenen, konstruierten Geschlchterstereotype. Aus Diesem Grund ist der Differenzansatz sehr umstritten.

Code-switching-Hypothese

In deutlicher Abgrenzung zu der Position von Tannen, zu der „mterkultiireHen Kommunikation" zwischen Frauen und Männer hat sich in den letzten Jahren ein weiterer theoretischer Ansatz etabliert, der unter dem Stichwort Code - switsching - Hypothese bekannt ist.

Hier wird weder von einem Mangel noch von der einfachen Andersartigkeit der weiblichen Sprechweise ausgegangen. Diese Hypothese behauptet, daß Frauen je nach Situation von einer in die andere Sprache wechseln, nach dem Motto: Die Situation bestimmt die Kommunikation. Das heißt von der Frauensprache in die Männersprache oder umgekehrt, immer entsprechend den sozialen Erwartungen, die an ihr Sprachverhalten gestellt werden. Die beiden Sprachen werden völlig wertungsfrei beurteilt. Frauensprache wird nur dann negativ bewertet, wenn sie nicht situationsangemessen verwendet wurde.

Zwischen Realität und Klischees

So sehr sich die bisher dargestellten Theorieansätze auch voneinander unterscheiden, allen gemeinsam ist die Annahme, dass geschlechtstypische Sprachunterschiede bestehen und eine wichtige Rolle spielen. In der linguistischen Geschlechterforschung gibt es daneben jedoch seit Anfang der 1990er- Jahre eine andere Sichtweise, die diese Grundannahme bezweifelt. Hier wird die Frage aufgeworfen, ob das Sprachverhalten von Frauen und Männern wirklich so unterschiedlich ist und ob solche Unterschiede von entscheidender Bedeutung sind. Im deutschen

Sprachraum ist es vor allem Karsta Frank, die diese Frage im Jahre 1992 formuliert.

Nach Frank[8] sind die Kategorien "weiblich" und "männlich" zu grob, um das Sprachverhalten von Individuen zu erklären. Eine Person ist ja nicht nur Frau oder Mann, sondern kommt aus einer bestimmten Schicht, hat einen bestimmten Bildungsstand, einen Beruf und verkehrt in einem bestimmten Milieu.

Ich stimme auch mit Frank zusammen, denn meines Erachtens ist es z. B.; unrealistisch anzunehmen, dass eine Geschäftsfrau, die sich in vielfältigen beruflichen Kontexten bewegt, das gleiche Sprachverhalten an den Tag legt, wie eine Landwirtin. Nichts gegen Landwirten, hier ist es nicht gemeint, dass sie ein schlechteres Sprachverhalten haben, als die Geschäftsfrauen, sondern einfach - ein anderes - weil sie sich in einer anderen Umgebung aufhalten. Man kann nicht sagen, dass das Sprachverhalten von beiden Frauen gleich sind, nur weil sie beide Frauen sind. Eine Frau und ein Mann mit ähnlichen sozialen Merkmalen können sich sprachlich näher stehen als diese zwei Frauen.

Darüber hinaus variieren Personen ihr Sprachverhalten, je nachdem, mit wem und in welcher Situation sie sprechen. Auch ein Mann wird z. B.: mit seinem kleinen Kind beziehungsorientiert und fürsorglich sprechen und nicht denselben Stil verwenden, wie in einer geschäftlichen Verhandlung.

Noch wichtiger als diese Einwände ist jedoch folgender Gesichtspunkt, den Frank hervorhebt: Nach Geschlechtsunterschieden in der Sprache wird vor allem deshalb gefragt, weil erwartet wird, dass sich Frauen und Männer in praktisch allem, was sie sind und tun, unterscheiden. Diese Erwartung gründet sich auf Geschlechtsstereotype und Klischees, also auf die allgemeinen Annahmen über die Unterschiede von Frauen und Männern.

Im weiblichen Stereotyp spielen soziale und expressive Aspekte eine zentrale Rolle, denn Frauen gelten als Beziehungs- und gefühlsorientiert. Im männlichen Stereotyp ist dagegen der instrumentalle Aspekt zentral, da Männer als ziel- und sachorientiert gesehen werden.

Diese Stereotypen prägen die Erwartungen, wie sich Frauen und Männer sprachlich verhalten sollen. Auch die ersten Hypothesen der linguistischen Geschlechterforschung lassen den Einfluß erkennen: Bei Frauen wird ein indirekter und beziehungsorientierter Stil vermutet, bei Männern dagegen ein sach- und durchsetzungsbezogener.

Frank argumentiert jedoch , dass derartige Unterschiede im Wesentlichen im Auge der Betrachtenden entstehen, weil diese vor allem das wahrnehmen, was ihren Vorannahmen entspricht. Der viel zitierte „weibliche“ oder männliche Stil könnte demnach eine Art der optischen Täuschung sein und nicht unbedingt eine Tatsache. Der Autor weist noch darauf hin, dass die Untersuchungsergebnisse zum Sprachverhalten von Frauen und Männern noch nicht eindeutig genug sind. So beruhen die

betreffenden Studien häufig auf geringeren Datenmengen, die in besonderen Gesprächssituationen wie z. B.: Femsehtalkshows oder Experimenten erhoben wurden. Darüber hinaus ist die Annahme, dass Frauen und Männer im Gespräch Stereotyp wahrgenommen werden, noch nicht hinreichend durch empirische Untersuchungen überprüft worden.

Antony Mulac und sein Forschungsteam stellen in mehreren Studien fest, dass Versuchspersonen identische sprachliche Äußerungen unterschiedlich beurteilen, wenn sie einmal einer Frau und ein andermal einem Mann zugeschrieben werden[9]. Nach den Erkenntnissen von Mulac gibt es zwar neben diesen Wahrnehmungseffekten auch Unterschiede zwischen weiblichen und männlichen Sprachprodukten (im Gebrauch von Füllwörtern, elliptischen Sätzen und Nebensätzen). Diese sind jedoch sehr gering und Versuchspersonen können daran nicht erkennen, ob eine Äußerung von einer Frau oder einem Mann stammt. Mulac vermutet daher, dass die Beurteilung von Sprechern und Sprecherinnen in Alltagssituation aus einer Kombination realer Unterschiede und stereotyper Wahrnehmungen resultiert.

Der oben dargestellte Ansichtspunkt bildet auch die These meiner Arbeit. Darauf werde ich noch später eingehen. An dieser Stelle aber sollen erst die Unterschiede dargestellt werden, die so wie viele Sprachwissenshaftler behaupten, zwischen „Frauen-“ und „Männersprache“ existieren.

Literaturverzeichnis:

1. Tannen Deborah, Andere Worte andere welfen. Kommuinikation zwischen Frauen und Männern. Frankfurt / Main / New York 1997 (Originaltitel: Gender and Discourse. New York).
2. Mauthner Fritz. Beiträge zu einer Kritik der Sprache. Band I (Zur Sprache und zur Psychologie), 3. Auflage, Stattgart und Berlin, 1921.
3. Jespersen Otto. Die Sprache. Ihre Natur, Entuicklunge und Entstehung. heidelberg, 1925.
4. Schmidt Claudia, Typische weblich – Typisch männlich. Geschlechtotypisches Kommunikationsverhalten in studentishen Kleingruppen. Tübingen, 1988.
5. Maltz Daniel N. /Borker Ruth A. Missverständnisse Zwischen Mannern und Frauen – kulturell betrachtet. Y. Geinther /Kotthoff, 1991.

6. Tannen Deborah, Das hab ich nicht gesast / Kommunikations probleme im Alltag. Hamburg, 1992.
7. Kothoff Helga, Kommunikatire stile, Asymmetrie und „doing gender“. Fallstudien zur Inszenierung von Expert(inn) entern in Gesprächen Feminikoche studien, 1993.
8. Frank Kaste, Sprachgewalt Die sprachliche Reproduktion der Geschlechterhïe, Elemente einer feminischischen Linguistik im Kontext sozialuissenschaftlicher Frauenforshung. Tübingen, 1992.
9. In Poste Gertrude Weibliches Sprachen Feminishishe Enfkürfe Sprache Geschlecht wien, 1991.

Symmary

Rusudan Tabukashviki
The female language hypothesis.

This article deals with the problem of gender specificity of language and hypothesis of development of female language. This language is considered to be some kind of abnormity. The article deals with the following problems: difference between female and male languages, differentiation between gender, culture, intellectual communication - cliche of female language.

Резюме

Русудан Табукашвили
Развивтие гипотез женского языка

В статье рассмотрены языковые действия гендерной специфики языка, также представлено несколько гипотез развития женской речи. Эта речь рассмотрена как отклонение от нормы, различия в речи между женским и мужским языками, вариант мужского языка, дифференциация между гендерами, явление культуры, интеркультурная коммуникация как клише женского языка.

დავით თაქთაქიშვილი

მოსაზრებანი მსოფლმხედველობრივ პრობლემებზე

მსოფლმხედველობა ადამიანთა ცხოვრების განმსაზღვრელია. ის აძლევს ადამიანს არსებობის ღირებულებით ორიენტაციას. მსოფლმხედველობა არის ადამიანთა თვითცნობიერების, თვითრეფლექსირების ფორმა. ამის მეშვეობით განსაზღვრავს ადამიანი თავის ცხოვრების საზრისს. მსოფლმხედველობა ყალიბდება ცნებებისა და კატეგორიების მეშვეობით და აგებულია ლოგიკურად აწყობილი სისტემის სახით. ის მეცნიერულად, თეორიულად არგუმენტირებული და დასაბუთებული უნდა იყოს. სხვა შემთხვევებში ჩვენი მსოფლმხედველობა ემყარება აღქმებსა და წარმოდგენებს, ჩვენს გამოცდილებებსა და ემოციებს. პირველ შემთხვევაში მსოფლმხედველობა თეორიულია, მეცნიერული, ფილოსოფიურიც, თუმცა მსოფლმხედველობა ყოველთვის არ არის ფილოსოფია. მეორე შემთხვევაში მსოფლმხედველობა ვლინდება მითოლოგიაში, რელიგიასა და ხელოვნებაში.

ადამიანი თავისი შინაგანი მოთხოვნილებით აყალიბებს მსოფლმხედველობას. იგი მოქმედებს წმინდა თავისუფლების პრინციპით. თავისუფლება არის ადამიანის ნების დამახასიათებელი თვისება. იგი არის ნებელობითი ქცევა, რომელსაც ადამიანი ახორციელებს საკუთარი სურვილით, როცა მას სწორედ ის სურს, რასაც აკეთებს. თუმცა თავისი მოქმედების დროს, მას უნდა გააჩნდეს პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობას კი, თავის მხრივ, გააჩნია მხარეები – ეს არის პოლიტიკური, იურიდიული და ზნეობრივი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე კი სწორედ ზნეობრიობაა. ყოველ ნორმალურ ადამიანს უნდა გააჩნდეს ზნეობრივი პასუხისმგებლობა. ყოველი ადამიანი ინდივიდს წარმოადგენს და მათი ზნეობრივი ნორმებიც, შესაბამისად პასუხისმგებლობაც განსხვავებულია. ზოგი თავისუფლებას ფატალიზმით ხსნის. ფატალიზმი ლათინური სიტყვიდან მომდინარეობს და ქართულად ბედისწერას ნიშნავს. ამის მიხედვით, არსებობს ფარული ზნეობრივი ძალა, რომელიც მკაცრი აუცილებლობით განსაზღვრავს სამყაროში არსებულ მოვლენებს და განსაზღვრავს მომავალსაც. სტოიციზმმა ფილოსოფიურ დონეზე აიყვანა ბედისწერის პრობლემა – სამყაროში არსებობს მკაცრი წესრიგი და ყველაფერი გარდაუვალი და აუცილებელია, შემთხვევით არაფერი ხდება. ამ შემთხვევაში ფილოსოფიაზე ლაპარაკი ზედმეტია. ფატალიზმი გამორიცხავს შემთხვევითობას, შესაძლებლობას და აქედან გამომდინარე, თავისუფლებასაც. თავისუფლების პრობლემის განხილვისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ ვოლუნტარიზმზეც. ეს ტერმინიც ლათინურია და ნებას ნიშნავს. მის მიხედვით, სამყაროში შემთხვევითობათა ქაოსია და არავითარი კანონზომიერება არ მოქმედებს. ყველაფერი შემთხვევითობას მიეწერება და არავითარი ღვთიური და არც ბუნებრივი ძალა არსებობს. ყველაფერი შეიძლება მოხდეს შემთხვევითობით და შესაძლებლობებით. მოკლედ, ყველაფერი შემთხვევითია და ე.ი. შესაძლებელიც. ადამიანი ცხოვრობს შესაძლებლობათა სამყაროში და მას აქვს თავისუფალი ნება, რომლითაც ღებულობს გადაწყვეტილებებს, ახორციელებს სურვილებსა და მიზნებს. ამ შემთხვევაში უნდა გაიმარჯვოს იმ ადამიანმა, ვისაც ძლიერი და მტკიცე ნება აღმოაჩნდება. ამ ნებამ უნდა განსაზღვროს საზოგადოების განვითარება და ყველაფერი განპირობებულია არა ობიექტური აუცილებლობით, არამედ ადამიანის ნებით, სიმტკიცითა და სიძლიერით. ე.ი. აქ ყველაფერი შემთხვევითობაზეა დამყარებული. ამრიგად, ადამიანმა უნდა განახორციელოს ის, რაც მას ნებავს.

ფ.ნიცშეს აქვს წამოყენებული ზეკაცის იდეა, რომელიც განასახიერებს მომავლის ადამიანს. იგი სიკეთისა და ბოროტების მიღმაა და საზოგადოებაში დადგენილ კანონებსა და ნორმებს არ ექვემდებარება. აქ ადამიანი მოქმედებს თავისი ნებით და არ ემორჩილება არავითარ აკრძალვებსა და ნორმებს. ფრიდრიხ ნიცშე ადოლფ ჰიტლერის საყვარელი ფილოსოფოსია. ჰიტლერი ზეკაცში თავის თავს ხედავს. მოკლედ, ფატალიზმში ადამიანი გარდაუვალობის მონაა – მოსახდენი მაინც უნდა მოხდეს; ვოლუნტარიზმში კი ყოველგვარი გარდაუვალობა უარყოფილია, რადგან აქ ყველაფერი შემთხვევითია და ადამიანი თავისი თავისუფალი ნებით განსაზღვრავს ყველაფერს.

როგორი უნდა იყოს თავისუფლება, - ეს შეიძლება შემდეგი მომენტებით გავაცნობიეროთ. ადამიანი თავისი შეხედულებების შესრულებისათვის და გადაწყვეტილებების მისაღებად აკეთებს არჩევანს. ზოგჯერ ცხოველებიც აკეთებენ არჩევანს, მაგრამ ეს მათთან ინსტინქტების დამსახურებაა და ცნობიერებასთან არავითარი კავშირი არ აქვს. ადამიანი კი აცნობიერებს მოსალოდნელ შედეგს და შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას. იგი გააკეთებს შესაბამის არჩევანს. თუმცა ასე გაცნობიერებული და შეგნებული არჩევანი არ არის თავისუფლებისათვის საკმარისი პირობა. აქ უნდა მოიხსნას იძულება: იმის ცოდნა, რომ ზოგიერთი მოვლენა გარდაუვალია – ადამიანს თავისუფალს ვერ გახდის. ამიტომაც ადამიანმა აუცილებელია ირწმუნოს, რომ ის სურვილს ემთხვევა. ამის საფუძველი კი რწმენაა. სწორედ რწმენა აძლევს ადამიანს საშუალებას იმოქმედოს საკუთარი მოთხოვნილების, შინაგანი აუცილებლობის საფუძველზე. თავისუფლებისათვის არსებობს კიდევ ერთი მომენტი – მოქმედება, რომელიც იძულებისგან დამოუკიდებელია და სრულდება ნებაყოფლობით. როგორია საერთოდ რწმენა? იგი განცდაა, რომლის ინტენსივობის ხარისხი განისაზღვრება ადამიანთა სუბიექტური და ინდივიდუალური თავისებურებებით. რწმენის მიზანია ადამიანის დარწმუნებულობის განცდის გამოხატვა. რწმენის შემთხვევაში ადამიანმა უნდა ირწმუნოს როგორც რეალობა, – ჭეშმარიტიც და მცდარიც, კეთილიც და ბოროტიც, მშვენიერიც და მახინჯიც. ადამიანმა უნდა ირწმუნოს ყველაფერი, რაც მის ინტერესში შედის. ეს რწმენა სავსებით გულწრფელია. რწმენა დამოუკიდებელია ცოდნისგან და პირიქით, ცოდნაა დამოკიდებული რწმენაზე. პავლე მოციქული გვასწავლის – „რომ გავიგოთ, უნდა ვიწამოთ. რწმენა დამოკიდებულია ცოდნაზე. იმისათვის, რომ ვიწამო, უნდა გავიგო“. „რწმენა

ცოდნის ფუნქციაა“ - გვეუბნება პიერ აბელიარი. „რწმენა და ცოდნა ერთმანეთისგან დამოუკიდებელია. რწმენა არ არის დამოკიდებული ცოდნაზე და არც ცოდნაა დამოკიდებული რწმენაზე. ცოდნა თეორიული გონების, ხოლო რწმენა პრაქტიკული გონების საქმეა“ (ი. კანტი). რწმენა მრავალგვარია. ჩვენ კი რელიგიური რწმენა გვაინტერესებს. ის ღვთაებრივი ძალის არსებობაზეა დამყარებული. მისი წვდომა ჩვენთვის მიუღწეველია. იგი დაფარულია და მიღმურია – იგი საიდუმლოა, მისტიკური. ჩვენ შეგვიძლია მისი არა ცოდნა, არამედ რწმენა. რელიგიური რწმენა არ შეიძლება იყოს ცოდნის შედეგი. რელიგიური რწმენის ობიექტია ღვთაებრივი ძალა. ეს არის ღმერთი, რომელიც ადამიანთა გონებისათვის დაფარულია და საიდუმლოა. სხვათაშორის, რელიგიურ რწმენასთან ერთად მეცნიერული რწმენაც არსებობს, რომელიც დამყარებულია ალბათობის თეორიაზე. ის ისეთი ცოდნის ფუნქციაა, რომლის შედეგების ემპირული შემოწმება მომავალშია შესაძლებელი. რელიგიური რწმენა კი ადამიანს ეძლევა არა შემეცნების, არამედ გამოცხადების საშუალებით. გამოცხადება არის ადამიანის მიერ ღმერთისა და მისი სასწაულმოქმედების უშუალო ხილვა და განცდა, რომლის შედეგადაც ადამიანი ეზიარება ღვთაებრივ სიბრძნეს და იგი უშუალოდ განიცდის მის ჭეშმარიტებას. აქ გამორიცხულია ყოველგვარი ეჭვი. გამოცხადების ნათელი მაგალითია სინას მთაზე მოსეს მიერ მოსმენილი ათი მცნება, რომელიც მან მოისმინა ღმერთისგან. გამოცხადება არის ერთადერთი საშუალება, რომლის მეშვეობითაც ადამიანს შეუძლია ეზიაროს ღმერთს, მისგან მიიღოს ღვთაებრივი სიბრძნე. ადამიანის გონება უძლურია აზროვნების საშუალებით შეიმეცნოს აბსოლუტური ჭეშმარიტება. მხოლოდ გამოცხადება აკავშირებს ადამიანს ღმერთთან. არის თუ არა რელიგია მსოფლმხედველობა? იგი სცემს პასუხს ყველა მსოფლმხედველობრივ კითხვას, იძლევა სამყაროს სურათს, რის საფუძველზეც ადამიანი არკვევს თავის ადგილსა და დანიშნულებას ამ სამყაროში. ვერ ვიტყვით, რომ რელიგია თეორიული სისტემაა, რადგანაც იგი ემყარება ადამიანის წარმოდგენებსა და ემოციებს, ლტოლვებს. რელიგიაზე შეიძლება ითქვას, რომ ის მსოფლშეგრძნებაა. რელიგიით უნდა გაიგოს ადამიანმა უკიდეგანო სამყაროს შექმნა, სიცოცხლის წარმოშობა, რა არის პირველი საწყისი, პირველი მამოძრავებელი. ამას ცდილობს ფილოსოფიაც. თუმცა რელიგია ფილოსოფია არ არის. ისინი სულიერი კულტურის ორი, არსებითად განსხვავებული ფორმებია. თუმცა არსებობს

რელიგიური ფილოსოფია. ამ ფილოსოფიის ძირითადი მიზანია რელიგიური დოგმებისა და ძირითადი დებულებების ინტერპრეტაცია, რწმენისა და ცოდნის მიმართება, ღმერთის არსებობის დასაბუთება, სამყარო როგორც ღმერთის შემოქმედება, ნების თავისუფლების პრობლემა, ადამიანის დანიშნულება სამყაროში და სხვა. რელიგიასთან მიმართებაში ჩამოყალიბდა რამდენიმე ფილოსოფიური მიმდინარეობა, ეს არის თეიზმი – რომელიც აღიარებს ღმერთის არსებობას. აქ ღმერთი განსაზღვრავს ყველაფერს – მოვლენათა ცვალებადობას და ადამიანთა მოდგმას. მეორე რელიგიურ-ფილოსოფიური მიმართულებაა დეიზმი, რომლის მიხედვითაც სამყაროს შემქმნელი არის ღმერთი. სამყარო კი შექმნა, მაგრამ შემდეგ იგი მის მართვაში აღარ ერევა და ამიტომაც არის ამ სამყაროში ამდენი უკუღმართობა. შემდეგი თეორიაა პანთეიზმი. აქ ღმერთი და ბუნება გაიგივებულია ერთმანეთთან. ღმერთი არსებობს, მაგრამ არა ბუნების მიღმა, არამედ მასშია რეალიზებული. აქ არავითარი კრეაციონიზმი, ანუ შემოქმედება არ არის. პანთეისტებთან ღვთაებრივობა არის სინამდვილის ყველა საგანსა და მოვლენაში. ყველა ამ თეორიას ეწინააღმდეგება ერთი მიმდინარეობა – ათეიზმი, რომლის მიხედვითაც არავითარი რელიგიური რწმენა არ არსებობს და ბუნებრივია, არ არსებობს უზენაესი, ღვთიური ძალა – ღმერთიც.

მრავალი მეცნიერი და ფილოსოფოსი რელიგიას, ისევე როგორც ფილოსოფიას, ხელოვნებას, მეცნიერებას, ტექნიკას კულტურის სფეროში აქცევს. რელიგია არის კულტურა. კულტურის განსაზღვრება კი ასეთია – კულტურა არის ადამიანის მიერ შექმნილი სამყარო, რომელიც მხოლოდ მასთან მიმართებაში არსებობს. ადამიანის გარეშე კულტურა აზრს კარგავს. თვითონ ადამიანი კულტურულ-საზოგადოებრივი არსებაა. კულტურას ქმნის ადამიანი. საზოგადოებასაც ადამიანი ქმნის, საზოგადოებაც კულტურის ერთ-ერთი ფორმაა. ამიტომაც კულტურა უფრო ფართოა, ვიდრე საზოგადოება. ბუნებას კულტურასთან არა აქვს საქმე, მაგრამ ბუნების ის მოვლენები, რომლებშიც ადამიანი ურევია, რომლებიც გარდაქმნილია ადამიანის მიერ, უკვე კულტურის ნაწილია. კულტურას მიზნობრივი ფუნქციური არსებობა აქვს და მასში რეალიზებულია ადამიანური მიზანი. ბუნების შექმნაში კი ადამიანს წვლილი არ მიუძღვის. ბუნება ღმერთმა შეუქმნა ადამიანს რეალურია და არსებობს დროსა და სივრცეში. კულტურაც, რომელიც ადამიანის შექმნილია, არსებობს დროსა და სივრცეში. მასში ადამიანის აზრი და მიზანია

განხორციელებული. რაც ადამიანს არ შეუქმნია – მთელი სამყარო, მზე, ვარსკვლავები, გალაქტიკა, თვით დრო და სივრცე არაცნობიერს მიეკუთვნება. ე.ი. მასში ადამიანის აზრი და მიზანი არ არის ჩადებული. უფრო სწორად მას ვერ ვწვდებით და ის ღმერთის სფეროა. ჩვენ კი გვინდა რომ ჩავწვდეთ, მაგრამ ვერ ვახერხებთ, რადგან ვინდომებთ, რომ ჩავწვდეთ – ეს უკვე კულტურაა. ასე რომ, რელიგია შეიძლება ვაღიაროთ კულტურის ფორმად. კულტურას სამი სფერო აქვს: მატერიალური, სოციალური და სულიერი. რელიგია სულიერი კულტურის სფეროშია. სულიერი კულტურა კი ადამიანთა გონების შემოქმედებაა და ამრიგად მოიცავს აზრისეულ მომენტებს. საერთოდ კი, კულტურა, მატერიალური იქნება ის თუ სულიერი – ორი მხარის ნივთიერისა და აზრისეულის ერთიანობაა. მოკლედ კი კულტურა არის განვითარებული აზრი, თვითონ ადამიანი კი კულტურულ-საზოგადოებრივი არსებაა.

არის თუ არა რელიგია იდეოლოგია? ჯერ გავიგოთ იდეოლოგიის განსაზღვრება – ის არის იდეების, შეხედულებების, ღირებულებებისა და იდეალების თეორიული სისტემა, რომელიც გამოხატავს და იცავს ამა თუ იმ კლასის ან სოციალური ჯგუფის ინტერესებს და მიზნად ისახავს საზოგადოებრივი წყობილების შეცვლას ან შენარჩუნებას.

იდეებისა და შეხედულებების, ღირებულებებისა და იდეალების თეორიულად დასაბუთებული სისტემა მოიცავს განსხვავებული იდეების მთელ სპექტრს: რელიგიურს, ფილოსოფიურს, პოლიტიკურს, ეკონომიკურს, ესთეტიკურს, ზნეობრივს და ა.შ. რადგან იდეოლოგია თეორიული სისტემაა – იგი აერთიანებს ამ იდეებს და აფუძნებს ერთი ამოსავალი პრინციპის მიხედვით. იდეოლოგია არსებულ საზოგადოებრივ წყობას იცავს, ან აკრიტიკებს და ამის გამოც ასხვავებენ იდეოლოგიის ორ სახეს – ერთი, რომელიც იცავს არსებულ მდგომარეობას და მეორე – რომელიც ცდილობს დაანგრიოს არსებული და ააგოს ახალი. მოკლედ, იდეოლოგიამ უნდა დაიცვას რომელიღაც მხარის ან სოციალური ჯგუფის, ან თუნდაც მთელი სახელმწიფოს ინტერესი. და რადგანაც იდეოლოგია გარკვეული მხარის ინტერესებს იცავს, ის აპოლოგეტიკაა (დაცვა). იდეოლოგია იდეოლოგიად იქცევა მაშინ, როცა მას აღიარებენ სამოქმედო პროგრამად. თანაც გააჩნია ვინ აღიარებს, რომელი საზოგადოება, თუ ჯგუფი თავის პროგრამად. ამ დროს გარკვეული საზოგადოება, თუ ჯგუფი მიმართავს რელიგიასაც. მაგალითად, როგორ გადაიქცა ქრისტიანობა იდეოლოგიად? მაშინ, როცა ქრისტიანობა ფეხს

იდგამდა, იგი არავისთვის წარმოადგენდა იდეოლოგიას. ქრისტეს იდეებს მაშინ იზიარებდა და აღიარებდა მის მიმდევართა მოკრძალებული რაოდენობა. შემდეგ ამ სარწმუნოებამ გავრცელება ჰპოვა მონათა და ჩაგრულთა ფართო მასებში და შეიძლება ითქვას, გახდა მათი იდეოლოგია. მაშინ მას არ ჰქონდა სახელმწიფო იდეოლოგიის სტატუსი. ეს იმიტომ, რომ ამ რელიგიას ჯერ კიდევ არც ერთი სახელმწიფო არ აღიარებდა და არ სცნობდა. პირიქით, ქრისტიანებს მაშინ ყველა სდევნიდა და სიკვდილითაც კი სჯიდნენ ქრისტეს მიმდევრებს. მოგვიანებით ბიზანტიამ და მისმა იმპერატორმა კონსტანტინემ პირველმა აღიარა ქრისტიანობა ოფიციალურ სარწმუნოებად და ის იქცა სახელმწიფო იდეოლოგიად. შუა საუკუნეებში ქრისტიანობამ მოიცვა თითქმის მთელი სამყარო. მთელირიგი ქვეყანები იცავდნენ ქრისტიანულ იდეოლოგიას და სასტიკად ავიწროებდნენ მის მოწინააღმდეგეებს. დღეს ქრისტიანობას აღარ აქვს სახელმწიფო იდეოლოგიის სტატუსი, თუმცა მრავალი ქვეყნის კონსტიტუციით მას დიდი პრივილეგია აქვს მინიჭებული. (სულ სხვაგვარად არის საქმე ისლამურ სამყაროში. ისლამური სამყარო ითხოვს მუსულმანთა გაერთიანებას და ბრძოლას დანარჩენ სარწმუნოებათა წინააღმდეგ. მათი იდეოლოგია ფანატიზმამდეა აყვანილი!).

საერთოდ, იდეოლოგიას პიროვნებები ქმნიან, ნიჭიერი და მოაზროვნე ადამიანები. რადგან იდეოლოგია თეორიული სისტემაა – იგი სწორედ ასეთმა ადამიანებმა უნდა ჩამოაყალიბონ. შემდეგ კი, ამ იდეოლოგიის გამავრცელებლები და მატარებლები არიან ის პიროვნებები, რომლებიც მას აღიარებენ და არა ისინი, ვინც ეს იდეოლოგია შექმნეს. მოკლედ, თეორიას ქმნის პიროვნება. ეს თეორია გადაიქცევა იდეოლოგიად, რა თქმა უნდა, თუ რომელიმე სოციალურ ჯგუფს ან სახელმწიფოს დააინტერესებს და გაიხდის თავის სამოქმედო პროგრამად. დროთა ვითარებაში კი შეიძლება ეს იდეოლოგია შეიცვალოს. თავისთავად თეორია იდეოლოგია არ არის. იგი ამ ფუნქციას იძენს, ან კარგავს. საერთოდ, სულიერი კულტურის ნებისმიერი ფორმა იდეოლოგიურ დატვირთვას იღებს - რელიგია, ფილოსოფია, ხელოვნება, მეცნიერება და პოლიტიკა იდეოლოგიის სამსახურში ექცევა. მათი ვალია არსებული იდეოლოგიის დაცვა და გამრთლება. თავისთავად ეს ფაქტი ზოგჯერ ზღუდავს და აფერხებს კულტურის განვითარებას და მას ცალმხრივად ერთფეროვნულს ხდის. იდეოლოგიის შესახებ შეიძლება ითქვას – იდეოლოგია ყოველთვის თეორიული სისტემაა. მსოფლმხედველობა კი

შეიძლება იყოს არათეორიულიც. ამ შემთხვევაში ლაპარაკია რელიგიაზე. მსოფლმხედველობის (მათ შორის რელიგიისაც) მიზანია მოიაზროს სამყარო როგორც მთელი და გაარკვიოს ადამიანის დანიშნულება სამყაროში. აქ იდეოლოგია იზღუდება საზოგადოებრივი და სოციალური ჯგუფების ინტერესებით. იდეოლოგია გარკვეული ნაწილის ინტერესს იცავს, ამიტომაც იგი აპოლოგეტიკაა. ამიტომაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ რელიგია იდეოლოგია არ არის. რელიგია მსოფლშეგრძნებაა, მაგრამ არა იდეოლოგია!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. კოდუა, ფილოსოფიის შესავალი, თბილისი, 1998, თსუ
2. ვ. ერქომაიშვილი, ფილოსოფია, თბ. 1998, გამომც. „კვარი“
3. Тенасе А. Культура и религия. Москва, 1997
4. Мировоззренические проблемы интеграции науки, Москва, 1985.

Summary

David Taktakishvili
On the problem of different view pionts

The article deals with the views about relationship between philosophy and ideology. The problems of the human will’s freedom and the force on their actions are also discussed in the article

The articles deals with the problem of the relationship between religion and some other issues of ideology

Резюме

Давид Тактакишвили
Рассуждения о мировоззренческих проблемах

В статье даются рассуждения о взаимоотноошениях философии и мировоззрения, а также о проблемах свободы воли человека и принуждения его в действиях.

Важное место отводится в статье проблемам в заимоотношений религии как особого мироощущения с другими вопросами идеологии.

თემურ თოდუა, მარიამ ნაცვლიშვილი
ადმინისტრირება და მენეჯმენტი სახელმწიფო მართვის სისტემაში

კაცობრიობამ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საზოგადოების მართვის არაერთი წესი, ხერხი თუ მეთოდი შეიმუშავა. მათ შორის განასხვავებენ მართვის ინდივიდუალურ და კოლექტიურ წესებსა თუ საშუალებებს. მართალია პრაქტიკულად ინდივიდუალური და კოლექტიური მართვის ფორმების გამიჯვნა შეუძლებელია, მაგრამ კოლექტიური ინდივიდუალურისგან განსხვავდება იმით, რომ ის საჯარო ხელისუფლებით ხორციელდება. სწორედ საჯარო ხელისუფლების მიერ გამოყენებული მართვის სხვადასხვა წესები, მეთოდები, საშუალებები და ამ ელემენტების კლასიფიკაცია და შეფასება მართვის მეცნიერების არსს შეადგენს.

მართვის მეცნიერებაში ფორმულირებულია მრავალი პრინციპული პოზიცია დემოკრატიული და ავტორიტარული

მართვის, მართვის მეთოდებისა და ფუნქციის, მართვის აპარატის და მართვაში ხელისუფლების სამივე შტოს როლის შესახებ. მართვა ეფექტურია იმ შემთხვევაში, თუ ის მეცნიერულ მონაცემებს ეყრდნობა.

მართვის ხელოვნება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მმართველის, ხელმძღვანელის უნარზე, შესაძლებლობასა თუ ინოვაციებზე. მმართველი თავისი მიზნების მიღწევისათვის საჯარო ხელისუფლების სახელით, კოლექტივის მართვისას ამა თუ იმ სახით ადმინისტრაციულ მეთოდებს იყენებს. ადმინისტრატორს შეუძლია გამოიყენოს ვოლუნტარისტული, "შიშველი" ადმინისტრირების მეთოდები. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრატორი მხოლოდ საკუთარი სუბიექტური შეხედულებებით მოქმედებს, ნაკლებად ითვალისწინებს უკუკავშირის პრინციპებს, მოსალოდნელ შედეგებს და ეტაპობრივ შესრულებაზეა ორიენტირებული.

ადმინისტრირების მართვა ზოგადსახელმწიფოებრივი მასშტაბით, ადგილობრივ დონეზე, ამა თუ იმ კოლექტივში, მართვის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ ხორციელდება. ადმინისტრირების ძალისმიერი მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას მმართველს, საჯარო ხელისუფლება ანიჭებს. თეორიულად ის მმართველს უფლებას აძლევს კანონის ფარგლებში მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება. ეს ე.წ. "დისკრეციული უფლებამოსილებაა", რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების ან სახელმწიფო მოხელის პრეროგატივაა [2, გვ.38-39].

დადგენილი კანონის ფარგლებში მართვის ორგანოს ან მოხელეს შეუძლია მიიღოს მართვაზე ისეთი აქტები, რომლებიც მათ კანონიერად, არგუმენტირებულად და მართებულად მიაჩნიათ. "დისკრეციულ უფლებამოსილებაში" უმთავრესია ადმინისტრირების გზით კანონის ფარგლებში კერძო პირების და ორგანოების საკითხების გადაჭრის უფლება. თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები კანონქვემდებარე აქტებს გამოსცემენ. ასეთი აქტები შეიძლება გამოიცეს საკანონმდებლო ორგანოების დელეგირების საფუძველზე. ზოგჯერ პარლამენტის მიერ მიღებული კანონები მთავრობის აქტებით რეგულირდება.

მართვის აქტები მიიღება, ასევე ე.წ. რეგლამენტირებული ხელისუფლების საფუძველზე, როდესაც კონსტიტუცია უფლებას აძლევს აღმასრულებელ ორგანოს ან თანამდებობის პირს გამოსცეს აქტები არა მარტო ინდივიდუალური ქმედებისათვის, არამედ ნორმატიული სამართლებრივი აქტები

საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირებისათვის.

მართვის ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებისათვის მენეჯმენტის მეთოდები გამოიყენება.

სიტყვა "მენეჯმენტი" წარმოსდგება ლათინურ ფუძიანი სიტყვისაგან "მანუს", რაც ხელს ნიშნავს. ზოგადად ის "ხელმძღვანელობას" აღნიშნავს. მენეჯმენტის მეთოდები, მექანიზმები, როგორც აღინიშნა, სახელმწიფო მართვის სხვადასხვა სფეროში (წარმოების, დაწესებულების, საზოგადოებრივი გაერთიანებების ხელმძღვანელობისათვის) გამოიყენება [1, გვ.11].

მენეჯმენტი სახელმწიფო მართვის სისტემაში თავისებურებებით გამოირჩევა: მენეჯერი საჯარო ხელისუფლებისაგან გარკვეულ უფლებამოსილებას ფლობს, თუმცა სახელმწიფო მართვაში ეს უფლებები არაერთგვაროვანია. მენეჯერი თავის უფლებამოსილებას ყოველთვის ვერ იყენებს. ზოგჯერ ის ზემოქმედების სხვა, მაგალითად, პირადი ავტორიტეტის საშუალებას ანიჭებს უპირატესობას. სწორედ ეს განასხვავებს მენეჯმენტს ადმინისტრირებისაგან, რომელიც მუდამ ძალაუფლებას ფლობს, განსხვავებით საჯარო ადმინისტრირებისაგან, რომლის ზემოქმედება მთელ ქვეყანაზე ვრცელდება, მენეჯმენტის ზეგავლენა კი შედარებით უფრო კონკრეტული და ვიწრო სფეროთი შემოიფარგლება. მენეჯმენტის ჩვეულებრივი სფერო საშუალო რაოდენობის კოლექტივია [4, გვ.285].

სახელმწიფო მენეჯმენტის სუბიექტია სახელმწიფო მენეჯერი–სახელმწიფო ორგანო, სახელმწიფო ორგანიზაცია, დაწესებულება და სახელმწიფო მოხელე; სახელმწიფო მენეჯმენტის ობიექტია კოლექტივი. მენეჯმენტის ძირითადი მიზანია კოლექტივის ორგანიზაცია, მისი რეგულირება და დაწესებულების ეფექტურობის ამაღლება.

მენეჯმენტის ფუნქციები არსობრივად განსხვავდება სახელმწიფოს ფუნქციებისაგან. თუ სახელმწიფო უზრუნველყოფს სახელმწიფო ფუნქციების ზოგად რეალიზაციას, მენეჯმენტი ორგანიზაციის კონკრეტულ ამოცანებს ახორციელებს [3, გვ.98-100].

სახელმწიფო მენეჯმენტის ფუნქციებია: გადაწყვეტილების მიღება, მისი განხორციელება და კონტროლი. ეს ფუნქციები თავის მხრივ, შემადგენელ ნაწილებად იყოფა. გადაწყვეტილების მიღება შედგება სამი ქვენაწილისაგან: სიტუაციის შეფასება, პროგნოზირება და დაგეგმვა. თავდაპირველად ფასდება ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია. შემდეგ ხდება პროგნოზირება, რომელიც მეცნიერულად

დასაბუთებული წინასწარ განჭვრეტის მეთოდია. პროგნოზირება ალბათობითი ხასიათისაა, მაგრამ თუ პროგნოზი ხარისხიანად განხორციელდა, მაშინ ის დაგეგმვისთვის არსებითი ხდება. პროგნოზირებასთან დაკავშირებულია შემდეგი ამოცანების განხორციელება: მომავლის მეცნიერული განჭვრეტა და განვითარების კანონზომიერებათა დადგენა, მოვლენების დინამიკის განსაზღვრა.

პროგნოზირებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა სიტუაციებისა და მოვლენების სისტემების მოდელირებას. პროგნოზირების ბოლო ეტაპია პროექტის წარდგენა ზემდგომი ორგანოებისათვის და იმ კონკრეტული დაწესებულებების შეხედულებათა მოსმენა, რომლებსაც მოუწევთ პროგნოზირების ცხოვრებაში გატარება. პროგნოზირების საფუძველზე დგება უფრო კონკრეტული გეგმები ანგარიშის მომზადებისათვის.

მენეჯმენტის კონტროლისა და ანალიტიკური ფუნქცია მოიცავს აღრიცხვას, კონტროლსა და ანალიზს. ხელმძღვანელი ამა თუ იმ სახის აღრიცხვას მუდამ აწარმოებს. ფორმალური აღრიცხვა იწარმოება ყველა კოლექტივში. ის მიზანშეწონილია წლიური ანგარიშის მომზადებისათვის.

აღრიცხვის რთული ფორმაა კარტოთეკის შედგენა; პერსონალისათვის აღრიცხვის სპეციალური ფორმა დგება. ტექნიკურ საშუალებათა შორის საიმედო და ეფექტურია კომპიუტერები.

სპეცილური აღრიცხვა წარმოებს ისეთი საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ, რომლებიც ფუნქციურად სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების კონტროლქვეშაა. სახელმწიფო ორგანოები სტატისტიკურ მონაცემებს აგროვებენ და აანალიზებენ. ამგვარი მონაცემები საშუალებას იძლევიან ამა თუ იმ მოვლენის სიტუაცია, მათი განვითარების ტენდენცია დადგინდეს. ამის შემდეგ შესაბამისი მართვის ღონისძიებები უნდა იქნეს მიღებული.

მრავალგვარი ფორმა ახასიათებს, ასევე კონტროლს. როგორც აღინიშნა, კონტროლი მართვის გადაწყვეტილების შესრულებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტადიაა. კონტროლის ორი ძირითადი სახე არსებობს: შინაგანი და გარეგანი. შინაგანი კონტროლი გულისხმობს შემოწმებას მოცემული ორგანიზაციის ან დაწესებულების შიგნით. ხელმძღვანელი ყოველდღიურად ამოწმებს შრომითი რეჟიმის მდგომარეობას, მოსამსახურეთა სამუშოზე გამოცხადებას, ისმენს ქვეშევრდომთა ინფორმაციას, მათ ანგარიშებსა თუ

მოხსენებებს; გარეგან კონტროლს მრავალი ფორმა აქვს: ზემდგომი ორგანოების, სახელმწიფო კონტროლის, მოსახლეობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან. მაგალითად, პარლამენტს შეუძლია შექმნას საგამომძიებლო კომისია განსაზღვრული ორგანოს ან დაწესებულების გამოკვლევისათვის. ის ამოწმებს, ასევე ცალკეულ დაწესებულებებში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საქმეს. არსებობს, აგრეთვე ფუნქციონური კონტროლის სპეციალური ორგანოები, რომლებიც გარკვეულ სფეროში საქმიანობენ [5, გვ.10-11].

შინაგანი და გარეგანი კონტროლის გათვალისწინებით ხდება შესაბამისი პოზიტიური და ნეგატიური დასკვნების გამოტანა; აღრიცხვა და კონტროლი წანამძღვარია ანალიტიკური დასკვნებისა, საქმის მდგომარეობისა და სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობის შესახებ. ასეთი ანალიზი უნდა იყოს სიღრმისეული და მრავალმხრივი. დაუშვებელია დასკვნის გაკეთება, მხოლოდ ერთი ფაქტის საფუძველზე, ვინაიდან ფაქტს შეიძლება კონტრფაქტი დაუპირისპირდეს. ამიტომაც გათვალისწინებული უნდა იყოს ფაქტების კომპლექსი, რომელიც ხელს უწყობს ამოცანის ზუსტად შესრულებას.

ანალიზის შედეგია დასკვნა, რომლის შესაბამისადაც მართვის გადაწყვეტილება მიიღება. ის მართვის პროცესის ახალ ციკლს წარმოშობს.

მენეჯმენტის პროცესის უმთავრესი ელემენტია კომუნიკაციები. ისინი წარმოადგენენ პიროვნულ და ორგანიზაციულ საქმიანობათა კავშირურთიერთობას. ურთიერთობათა მიზანი ქვემდგომი ორგანოების მითითებების, განკარგულებების, მოხსენებების, ანგარიშების მოსმენებსა და ინფორმაციის მიწოდებაში მდგომარეობს. ეს შეიძლება მოხდეს თათბირებზე, ტელეფონით, პირადად ან წერილობითი სახით. კომუნიკაციები პირდაპირი კავშირითა და უკუკავშირის არხებით ხორციელდება. მენეჯმენტი ეფექტურია მაშინ როცა ორივე ეს კომპონენტი ფუნქციონირებს [7, გვ.96-97].

კომუნიკაციების დროს დაბრკოლებებიც არის. მაგალითად, ობიექტის ხელმძღვანელი შემოწმების აქტს რაიმე მიზეზის გამო, ხელს არ აწერს, რის შედეგადაც შესაბამისი ბრძანება ანგარიშის შესწორების შესახებ ჩერდება. მენეჯმენტის პროცესისას ცდომილებას აქვს ადგილი. მართვის პროცესის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ინფორმაციის, ბრძანებების, ანგარიშების უტყუარობა. ერთი და იგივე მითითება თუ განკარგულება შეიძლება სხვადასხვანაირად

იყოს აღქმული სხვადასხვა ორგანოების მოსამსახურეთა და მოქალაქეთა მიერ. არასწორად გაგება შეიძლება მოხდეს ინვერბალური კომუნიკაციებისას (ჟესტიკულაცია, მიმიკა).

კომუნიკაციის პროცესისას ბარიერის გადალახვისათვის რეკომენდირებულია ხუთი პირობის დაცვა: ინფორმაციის რეალურობა, სისრულე, ლაკონურობა, კონკრეტულობა, ობიექტურობა.

გადაწყვეტილების შესრულება სახელმწიფო მენეჯმენტის უმთავრესი და ამავე დროს შრომატევადი ეტაპია. გადაწყვეტილების შესრულება მოიცავს ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელებას, საქმიანობის რეგულირებასა და კოორდინაციას, ორგანიზაციის თანამშრომელთა სტიმულირებასა და იძულებას.

მიღებული გადაწყვეტილების რეალიზაცია, გეგმის შესაბამისად, მოითხოვს გარკვეულ ორგანიზაციასა და ორგანიზაციულ ღონისძიებებს. ორგანიზაციას გარკვეული სტრუქტურა გააჩნია. ესაა სახელმწიფო ორგანოს, დაწესებულების ის კოლექტივი, რომელიც გადაწყვეტილებასა და გეგმას ახორციელებს. გადაწყვეტილების შესრულებისათვის შეიძლება შეიქმნას ახალი ორგანიზაცია ან მოხდეს ძველი ორგანიზაციის გადახალისება. ორგანიზაციის მენეჯერმა უნდა შეასრულოს ზემდგომი ორგანოების მიერ დასახული ამოცანა, მაგრამ ამ ამოცანის შესრულებისას ის დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს იღებს.

ერთმმართველობაზე დაფუძნებული სახელმწიფო ორგანიზაციისა და შესაბამისად მართვის იერარქიის ტიპიური სქემა "პირამიდას" მოგვაგონებს. ის ძირითადად სამი საფეხურისაგან შედგება: 1. ხელმძღვანელი და მისი მოადგილეები; 2. შუა საფეხური ორგანიზაციების ნაწილების ხელმძღვანელები; 3. ქვედა საფეხური–თანამშრომლები, მოსამსახურენი.



წარმომადგენლობითი ორგანოს სტრუქტურა შებრუნებული "პირამიდის" სახით წარმოგვიდგება. ასეთ დროს

გადაწყვეტილებას იღებს დეპუტატების უმრავლესობა. საშუალო საფეხურის წარმომადგენლები, მუდმივი კომიტეტები გადაწყვეტილების პროექტს ადგენენ, ხოლო ხელმძღვანელი, კრების თავმჯდომარე მხოლოდ დირიჟორის ფუნქციას ასრულებს. მას ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების უფლება არა აქვს.



ორგანიზაციის სტრუქტურას შეიძლება რომბისებური ფორმა ჰქონდეს: 1. ხელმძღვანელი და მისი მოადგილეები; 2. თანამშრომლები; 3.რეფერენტები.



ორგანიზაციული სტრუქტურის ისეთი რთული ფორმების არსებობას, როდესაც ერთის მხრივ იქმნება კოორდინაციის სპეციალური ორგანოები, ხოლო მეორეს მხრივ, კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების ელემენტები ძლიერდება. გავრცელებულია ასევე სახელმწიფო ორგანიზაციების “მშენებლობის” ახალი ორგანიზაციული კონცეფციები, მაგალითად “რბილი პირამიდისებრი” ტიპისა, როდესაც

შესაძლებელია პერიოდული ცვლილებები.

ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა იყოს ეფექტური, მიზანმიმართული, პერსპექტიული, ჰარმონიული და ეკონომიური. ორგანიზაციული სტრუქტურები თავიანთი აგებულებით არაერთგვაროვანია. შეიძლება ისინი დაიყოს ფუნქციებად, მართვის ეტაპების, მართვის ობიექტის ხასიათის მიხედვით.

მართვის სტრუქტურის სრულყოფისათვის მრავალი მეთოდი გამოიყენება: საექსპერტო მეთოდი, შედარებისა და ანალოგიების მეთოდი და ორგანიზაციული მოდელირების მეთოდი.

ორგანიზაცია არა მარტო სტატისტიკური სტრუქტურაა, არამედ პროცესიცაა. ის განსაზღვრავს შრომის განაწილების რაციონალურ ფორმებს, სახელმწიფო მოხელეებზე კონკრეტული დავალებების გადანაწილებას, ორგანიზაციის განყოფილებების და მოსამსახურეთა ფუნქციებისა თუ საქმიანობის რეგლამენტირებას.

მენეჯმენტის მთავარი ფიგურა, როგორც უკვე აღინიშნა, მენეჯერია, რომელსაც ლიდერის თვისებებიც უნდა გააჩნდეს, ესე იგი, მენეჯერს უნარი უნდა შესწევდეს თანამშრომლებზე ზემოქმედება მოახდინოს, დაარწმუნოს ისინი, რათა მიზნის მიღწევისთვის მაქსიმალურად იმოქმედოს. მენეჯერის თანამდებობა მექანიკურ ლიდერობას როდი ნიშნავს. სამეცნიერო განყოფილებაში ზოგჯერ ლიდერად შეიძლება მოგვევლინოს რიგითი მეცნიერ-მუშაკი, რომელიც ახალ იდეებსა და კონცეფციებს წარმოადგენს, ხოლო დაწესებულების ხელმძღვანელი ორგანიზაციული საქმიანობითაა დაკავებული. მენეჯერის ამოცანაა გახდეს არა ფორმალური, არამედ რეალური ლიდერი. ეს კი განყოფილების ორგანიზაციულ ხარისხს გააუმჯობესებს, მის საქმიანობას ეფექტურს გახდის. ყველაზე უფრო ოპტიმალურია თუ ხელმძღვანელი ერთდროულად ლიდერიცაა და კარგი მმართველიც.

ხელმძღვანელს მთელი რიგი პროფესიონალური მოთხოვნები წარედგინება: 1. კონცეპტუალობა: მან კარგად უნდა იცოდეს თავისი განყოფილების საქმიანობა; 2. კომპეტენტურობა. მენეჯერმა კარგად უნდა იცოდეს ეკონომიკა, იურისპრუდენცია, სახელმწიფო მართვის ელემენტები; 3. საქმისმცოდნეობა. ხელმძღვანელმა უნდა იცოდეს თავისი განყოფილების შესაძლებლობები, თანამშრომელთა პროფესიონალიზმის დონე; 4. ანალიზისა და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი. ხელმძღვანელმა პრობლემის

დიაგნოზირება უნდა შეძლოს და მისი გადაწყვეტისათვის ანალიზის სხვადასხვა მეთოდი გამოიყენოს; 5. ოპერატიულობა; 6. კომუნიკაბელობა; 7. ხელმძღვანელი არა მარტო კარგად უნდა ფლობდეს თავის პროფესიას, არამედ მომიჯნავე დარგების შესახებ ცოდნის გარკვეული დონეც მოეთხოვება.

ხელმძღვანელი-ლიდერი მართვის სხვადასხვა სტილს იყენებს. მართვის სტილი ხელმძღვანელისა და მის ქვეშევრდომთა ურთიერთზემოქმედების კონკრეტულ საშუალებათა ერთობლიობაა. ის დამოკიდებულია ორგანიზაციის, კულტურის დონისა თუ არსებული სიტუაციის ხასიათზე[6,გვ.70-71].

მართვის სტილი შეიძლება იყოს დემოკრატიული და ავტორიტარული. დემოკრატიული სტილი დეცენტრალიზებული ორგანიზაციების მენეჯერებისათვისაა დამახასიათებელი. ასეთი ხელმძღვანელი თავის თანამშრომლებს ეთათბირება და მათ რეკომენდაციებს ითვალისწინებს. მართვის დემოკრატიულ სტილს ახასიათებს, ასევე კონსულტაციურ-დემოკრატიული და ჯგუფური მონაწილეობის პრინციპები. პირველ შემთხვევაში, ხელმძღვანელი თავის ქვეშევრდომებთან კონსულტაციებით შემოიფარგლება, თუმცა მათ მოსაზრებებს ყოველთვის როდი იზიარებს; ჯგუფური მონაწილეობის მეთოდი ითვალისწინებს ხელმძღვანელისა და მისდამი დაქვემდებარებულ თანამშრომელთა ერთობლივ საქმიანობასა და კონტროლს.

მართვის ავტორიტარული სტილი ნაკლებად კომუნიკაბელურია და მბრძანებლურ-განმკარგულებელი ფორმით ხასიათდება. ხელმძღვანელი იშვიათად ეთათბირება თავის თანამშრომლებს და მათ მოსაზრებებს თითქმის არ ითვალისწინებს. პასუხისმგებლობა და კონტროლი ზედა ეშელონშია თავმოყრილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ევგ., თაკალანძე ლ., აბრალავა ან., მენეჯმენტი და ადმინისტრირება. თბ., 2007
2. Дойль П., Менеджмент. Стратегия и Тактика. СПБ., 1999
3. Грауссмен Д., Стратегический государственный менеджмент._Проблемы теорий и практики управления, №1, 1996

4. Чиркин В., Государственное управление. М.,2002
5. Carter S., Management and local Government., N.Y., 1984
6. Heady F., Public Administration. N.Y., 1991
7. Pery j., Public Management. N.Y., 1983

Summary

Temur Todua, Mariam Natsvlishvili
Administer and Management in the system of Public Administration

Administrative Government has a broad sphere of application. It's realized on the state level as well as on the local, community, governmental and official levels. In contrast to the Public Administration, which could spread all over the country, the sphere of influence of regional and State Management is more specific and narrow.

The usual sphere of Management is relatively small community, where manager is acting on behalf of this community.

Management could be realized in Administrative body as well as in communities having no connection with administrative activities.

Резюме

Темур Тодуа, Мариам Нацвлишвили
Администрирование и менеджмент в системе государственного управления

Административное управление имеет широкую сферу применения. Оно осуществляется в общегосударственном масштабе, на местном

уровне, в том или ином коллективе, органами управления и должностными лицами. В отличие от публичного администрирования, которое может распространятся на страну в целом, определенный регион и др., государственный менеджмент имеет более узкую сферу воздействия и более конкретный характер. Обычная сфера менеджмента – сравнительно небольшой коллектив; действия менеджера внутри этого коллектива и от имени коллектива вовне. Менеджмент может осуществляться внутри чисто административного органа и внутри колективов, которые не связаны с административной деятельностью.

თემურ თოდუა
ციალა გაგნიძე

პოლიტიკური ლიდერის როლი სახელმწიფო მართვის სისტემაში

საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე, სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურების კარდინალურმა ცვლილებებმა და ახალმა ღირებულებითმა ორიენტაციებმა განაპირობა პოლიტოკური ლიდერის ფენომენის შესწავლის აუცილებლობა. ამდენად ის მკვლევართა ყურადღების ცენტრში მოექცა. (2,გვ.3) პოლიტიკური ლიდერი, როგორც კონკრეტული პიროვნება, საყოველთაო, ზოგად ნიშნებთან ერთად განსაკუთრებული და სპეციფიური ნიშნების მატარებელია. თითეული ლიდერი თავისი ეპოქის პროდუქტია. მოცემული ეპოქის განვითარებისა და ცვალებადობის კანონები, მისი თავისებურებანი მას აყალიბებს, როგორც სხვა

ეპოქის ლიდერისგან განსხვავებული ნიშან-თვისებების მქონე ფენომენს.

ლიდერი არ შემოიფარგლება ზოგადი და განსაკუთრებული ნიშნებით. მას ამ ნიშნებთან ერთად ახასიათებს ცალკეული, მხოლოდ ინდივიდუალური ნიშნები, რომლებიც მრავალი სხვადასხვა ფაქტორით განისაზღვრება. ლიდერს ყოველ ისტორიულ ეპოქაში, სხვებისგან განსხვავებული ადგილი უჭირავს. ის ხასიათდება პირველ რიგში, სოციალური პირობებით, რაც განსაზღვრავს მის ინდივიდუალურ თავისებურებებს, აქვს სხვებისგან განსხვავებული ბუნებრივი და სოციალური ნიშნები: ბიოლოგიური აგებულება, ხასიათი, ტემპერამენტი, ნიჭი, მიდრეკილებები, მიზნები. ამდენად, ლიდერის, როგორც პიროვნების ინდივიდუალურობა დეტერმინებულია. პოლიტიკური ლიდერი ძირითადად სოციალურ და პოლიტიკურ მიზნებს საკუთარი, ინდივიდუალური და „თავისი გუნდის" შესაძლებლობების მიხედვით სახავს.

ბუნებრივია, ის გულგრილი და ინდეფერენციული არ არის იმ სამოქმედო მეთოდების, საშუალებებისა და მისაღწევი სოციალურ-პოლიტიკური სიტვაციისადმი, რომელთა გადაჭრაც აუცილებლობას წარმოადგენს. ამიტომ იგი ყოველთვის ირჩევს განსხვავებულ ელემენტებს, მათ შორის სხვებზე მეტად სრულყოფილს. ამასთანავე პოლიტიკური ლიდერი არ უნდა იყენებდეს სახელისუფლებო ბერკეტებს.

პოლიტიკური ლიდერი სპეციფიური „ბუნებრივი შერჩევის" პროდუქტია. ჩვეულებრივ, პოლიტიკური ლიდერი უნდა ფლობდეს სოციალური და პოლიტიკური ვითარების ანალიზის უნარს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, ამის გარდა, ლიდერს უნდა ყავდეს მომხრეები, მიმდევრები, ე.ი საკმაოდ ავტორიტეტიანი პოლიტიკური მოღვაწე უნდა იყოს.

ყოველივე ზემოთქმული განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საქმე ეხება არაოფიციალურ პოლიტიკურ ლიდერებს და მათ ქმედება-მოღვაწეობას. ვფიქრობ, რომ პოლიტიკური ხაზის მიღმა, საკმაოდ ხშირად სიმართლე კი არა, არამედ ძლიერებაა. ძლიერი განსაზღვრავს პოლიტიკას. მისი ძლიერება კი – მისი პოლიტიკაა. ადამიანი ამ შემთხვევაში საშუალებაა და არა მხოლოდ განსაზღვრული ინდივიდუალური ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებების მქონე პიროვნება.

ლიდერის ტიპიური წარმომადგენლები, ინდივიდუალური, ფსიქიკური სტრუქტურით, რომ გამოირჩევიან ხასიათდებიან შემდეგი თვისებებით: ტაქტით, გამბედაობით, ხასიათის

სიმტკიცით, გონიერებით, სამართლიანობით, შეუპოვრობით და ა.შ. ბუნებრივია, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ უმრავლესობის მხარდაჭერისა და ნდობის უზრუნველყოფა და შენარჩუნება პოლიტიკურ ლიდერებს რთული ამოცანების წინაშე აყენებს. ადამიანის ცნობიერების კონსერვატიულობის გამო გაძნელებულია დემოკრატიული სახელმწიფოს მმართველობის სფეროში ახალი იდეების შეთვისება. ხალხი სამართლიანად მოითხოვს ლიდერისგან კომპეტენტურობას, პატოსნებას, ნდობას, ზნეობას და ადამიანურ მოპყრობას.

პოლიტიკური ლიდერის ცხოვრებაში უდიდეს როლს ასრულებს მისი იმიჯი. იმიჯი, ეს არის საზოგადობისადმი გამოხატულება, ესაა პოლიტიკოსის ქმედების კორექცია იმის გათვალისწინებით, თუ რას ითხოვს და რას ელის მისგან ხალხი.

იმიჯი საკმაოდ რთული ფენომენია, რომელშიც გადახლართულია სრულიად სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას მხედველობაში მიღებული, რადგან იმიჯის აღქმა ადამიანის მიერ ხდება სხვადასხვა არხის მეშვეობით და თითეული მათგანის სათანადო სამუშაო უნდა იქნას ჩატარებული. ხშირად ადამიანი თავისთავს იდეალურ არსებად აღიქვამს, მაგრამ აუდიტორიისა და ხალხის თვალთახედვა ამ დროს შეიძლება სრულიად სხვა იყოს. იმიჯი შეიძლება ასევე გავიგოთ, როგორც ადამიანის დახმარება ინფორმაციის გადამუშავებაში, გარკვეული რეცეპტი იმისა, თუ როგორ მოვიქცეთ. (4,გვ,7)

ლიდერს ხალხი უნდა აღიქვამდეს, როგორც ძლიერს, აგრესიულს, წინამძღოლს, რომელსაც მოცემული აქვს როგორც ხელმძღვანელობის, ისე წახალისების და დასჯის უფლება. ხალხს არ უყვარს სუსტი და უნებისყოფო პოლიტიკოსები. სწორი იმიჯის შექმნა სათუთი საქმეა. ერთი მხრივ ლიდერი მიისწრაფის წარმოჩინდეს ისეთი, როგორიც ყველა ჩვენგანი. ამ თვალსაზრისით ლიდერი ერთი ჩვენთაგანია, მაგრამ ამავდროულად, ლიდერი ჩვენგან განსხვავებული პიროვნებაა, რის გამოც ვაძლევთ ხმას არჩევნებში. მან აქტიურად უნდა წარმოაჩინოს აგრესიულობისა და მეტოქეობის თვისებები. ლიდერს არ შეუძლია ბოდიში მოიხადოს ყველანაირი საქციელის გამო. მას შეიძლება ის ბრალდება წაუყენოთ, რასაც ის თავად აღიარებს. ის უფრო ქმედების კაცია. ლიდერის გარეგნობა და მისი სიტყვა და მანერები–ყველაფერი ხაზს უნდა უსვამდეს მის განსაკუთრებულ ავტორიტეტს გარშემომყოფთთათვის. ლიდერი საუბრობს სხვებზე მეტს, ხალხში გამოჩენის დროს

არ უნდა ავლენდეს მღელვარება, რადგან ეს დაანგრევს მის, როგორც ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე წინამძღოლის იმიჯს ხალხის თვალში.

ლიდერის შესახებ ბევრ ინფორმაციას გვაწვდის არამარტო მისი სიტყვები, არამედ ქცევა. უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი შედარებით უფრო კარგად აკონტროლებს თავის მეტყველებას, ვიდრე მოძრაობას. ამიტომ ლიდერები უფრო მშვიდად გრძნობენ თავს, როცა პრეზიდიუმში დგას ისეთი მაგიდა, რომელიც ფარავს ტანის ქვედა ნაწილს, ფეხების ჩათვლით. უნდა გვახსოვდეს, რომ იმიჯის დანგრევა უფრო ადვილია, ვიდრე მისი შექმნა, რათა აცილებული იქნას ყოველგვარი უხერხულობა.

გარკვეულ მნიშვნელობას იძენს არამარტო ის, თუ რა სწამს ლიდერს, არამედ ისიც თუ რატომ მაინცდამაინც მას სწამს ეს, რაც ამ ფაქტს ანიჭებს პიროვნულ მნიშვენელობას და ახდენს ბიოგრაფიის მშრალი ფაქტებით დრამატიზირებას.

იმიჯზე მუშაობა **P.R** ის ერთერთი უმთავრესი ამოცანაა. იმიჯი არის ნიღაბი საზოგადოებისთვის, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს ინდივიდის მონაცემზე დაყრდნობით. მაგალითად, თუ ქმნით პოლიტიკოსის იმიჯს, რომელიც ბუნებით მხიარული პიროვნებაა. არ შეიძლება შეუქმნათ მას ძალიან სერიოზული ადამიანის იმიჯი.

იმიჯი აწესრიგებს ინფორმაციის ნაკადს. იმიჯი როგორც იდეალური სურათი, გაცილებით მეტ ხმას მოუტანს კანდიდატს, ვიდრე პოლიტიკოსს წარმოდგენილი დადებითი და უარყოფითი თვისებებით, რადგან საზოგადოებამ უნდა მიიღოს ის ინფორმაცია, რომელიც სურს რომ მოისმინოს. საზოგადოებას არ აქვს შეხება კანდიდატთან პირადად, მას შეხება აქვს პოლიტიკოსის იმიჯთან. ამიტომ წარუმატებლობის შემთხვევაში, უკეთესია იმიჯის შეცვლა და არა პოლიტიკოსისა.

არსებობს იმიჯის რამდენიმე ვარიანტი:

ფუნქციური (სარკისებური, მიმდინარე, სასურველი, კორპორაციული, მრავალმრივი და ა.შ);

კონტექსტური;

შეპირისპირებითი.

სარკისებურს პიროვნების თვითშეფასებას უკავშირებენ, მიმდინარეს–სხვათა მიერ ინდივიდის აღქმას. სასურველი იმიჯისკენ ყოველი ადამიანი მიისწრაფის, ასეთი იმიჯი მეტად საჭიროა ახალშექმნილი სტრუქტურებისათვის.

კორპორაციულში – დაწესებულების იმიჯს მოიაზრებენ. ნებისმიერი ორგანიზაციისათვის იმიჯი აუცილებელი იარაღია, რომლის მეშვეობითაც იგი მოიპოვებს კლიენტების ნდობასა და სასურველ რეპუტაციას. ასეთ იმიჯს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფინანსური სტრუქტურებისათვის. რაც შეეხება მრავალმხრივ იმიჯს – იმიჯი, როგორც ერთი მთლიანობა სისტემურ ხასიათს ატარებს, ამიტომ ორგანიზაციის რომელიმე სფეროს წარუმატებლობამ შესაძლოა უარყოფითი შედეგი გამოიწვიოს და ზოგადად სტრუქტურის რეპუტაციაზეც იქონიოს გავლენა.

შეპირისპირებით ანუ შედარებითი იმიჯი – ამ შემთხვევაში ახლომდგომი იმიჯების [მაგალითად, ორი პოლიტიკური პრეტენდენტის] შედარებას ახდენენ. იმიჯის ეს სახე მომგებიანია საარჩევნო პიარ კამპანიისთვის. (4, გვ,16)

პირადი ავტორიტეტი მნიშვნელოვანი საფუძველია პოლიტიკოსის სტატუსისათვის, აგრეთვე იმ პარტიისათვის, რომელსაც იგი წარმოადგენს.

პოლიტიკური ლიდერი ორგანიზაციის, პარტიის ან მთელი საზოგადოების ავტორიტეტული წევრია, რომლის პიროვნული ზეგავლენა მას საშუალებას აძლევს არსებითი როლი შეასრულოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ჭეშმარიტი ლიდერი ყოველთვის განსხვავდება სხვებისაგან. სწორედ ამაშია ცნობილი პიროვნებების საიდუმლო. ისინი გარკვეული ფასეულობებით იპყრობენ ხოლმე ადამიანის ცნობიერებას... თანამედროვე ლიდერი თანამემამულეების ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს და ნებისმიერ მომენტში სწორედ უნდა განსაზღვროს მათი გუნება-განწყობა. მან ათასობით ადამიანთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება და მათი ინტერესების დაკმაყოფილება უნდა შეძლოს.

თანამედროვე ლიდერი ყოველ ნაბიჯზე უნდა ახდენდეს ადამიანური სითბოსა და ხალხის ბედით დაინტერესების დემონსტრირებას, ესწრაფოდეს მათთან დაახლოებას. ლიდერის გულწრფელობა და გულღიაობა დიდ მნიშვნელობას იძენს.

სპეციალისტები ლიდერის რამდენიმე ტიპს გამოყოფენ:

1. მაღალი თვით შეფასების მქონე პოლიტიკოსი – რაც უფრო მაღალია პოლიტიკოსის თვით შეფასება, მით უფრო ცუდად რეაგირებს სიტუაციაზე და დაბალია მისი რეაქტიულობა. ასეთი ლიდერი ნაკლებად არის დამოკიდებული გარემოზე და მას უფრო სტაბილური "შინაგანი სტანდარტები" აქვს. ამ ტიპის პიროვნება მეტისმეტად ამბიციურია და იშვიათად ითვალისწინებს სხვების [თანაგუნდელების] აზრს;

2. დაბალი თვითშეფასების მქონე პოლიტიკოსი – ის უფრო მეტადაა დამოკიდებული სხვა ადამიანებზე და ამდენად უფრო რეაქტიულია. ამავდროულად ძალიან მგრძნობიარეა შეფასების მიმართ და მისი თვითშეფასება იმაზეა დამოკიდებული, შეაქებენ თუ არა. ფსიქოლოგთა აზრით, ლიდერის ეს სტილიც არ არის ეფექტური, რადგან ამ შემთხვევაში ლიდერს არ გააჩნია გამოხატული პოზიცია;

3. ადეკვატური თვითშეფასების მქონე პოლიტიკოსი – ასეთი ლიდერი ყველაზე საუკეთესო სახეა პოლიტიკურ არენაზე. მისი შინაგანი და გარეგანი პოლიტიკა თვითმტკიცებას არ საჭიროებს. მისი ურთიერთობა თანამოაზრეებთან უფრო ეფექტურია. თავისი პოლიტიკური შეხედულებების ადეკვატურად შემფასებელი ლიდერი როგორც წესი, პატივიცემით ეფყრობა სხვების აზრს. ლიდერს უნდა ახასიათებდეს შემდეგი თვისებებიც:

- ემოციური სტაბილურობა – კარგი ლიდერი ფსიქოლოგიურად ზრდასრული და გარემოსადმი ადაპტირებული უნდა იყოს, რათა ეფექტურად გადაჭრას მის წინაშე მდგომი ყველა საკითხი;
- დომინანტობა – ლიდერები ხშირად კონკურენტულები არიან. მათ მოსწონთ ბარიერების გადალახვა;
- ენთუზიაზმი – ასეთი ლიდერები აქტიურები და ექსპრესიულები არიან, ისინი თამამად რეაგირებენ ცვლილებებზე, სწრაფები, ფხიზლები და თავისუფლები არიან;
- კეთილსინდისიერება – ლიდერებში მოვალეობის გრძნობა ჭარბობს და ისინი ძალზე მომთხოვნები არიან. მათ ჩვეულებრივ დახელოვნების მაღალი სტანდარტები გააჩნიათ და უკეთ მუშაობის სურვილიც აქვთ;
- "სოციალური სიმამაცე" – ლიდერებს სპონტანურად გარისკვა სჩვევიათ.

ერთი მხრივ, ისინი სოციალურად აგრესიულები არიან, ხოლო, მეორე მხრივ, სხვების მიმართ გულისხმიერნი და ემოციურად მდგრადნი;

- ცივი გონება – კარგი ლიდერები პრაქტიკულნი, ლოგიკურნი და საქმიანები არიან. მათ არ ახასიათებთ სენტიმენტალობა და საღი აზრით აღიქვამენ კრიტიკას.

- თავდაჯერებულობა – ლიდერებს არ ახასიათებთ დანაშაულის გრძნობა. ისინი ძირითადად უსაფრთხოდ გრძნობენ თავს და წინასწარ არ დარდობენ შეცდომებსა და "ჩავარდნებზე";
- "მონიაკალურობა" – ლიდერები ძალიან ზუსტად აკონტროლებენ თავიანთ სოციალურ ურთიერთობებს. ისინი იცავენ საკუთარ ხელშეუხებობას და რეპუტაციას. მათ განსაკუთრებული სიფრთხილე და წინდახედულება ახასიათებთ, ისინი ძალზე მოზომილად ღებულობენ გადაწყვეტილებებს და გეგმავენ ამა თუ იმ ღონისძიებებს. (4)

ამ ძირითადი თვისებების გარდა, დღევანდელობის ლიდერებს ისეთი თვისებებიც უნდა გააჩნდეთ, რომლებიც დაეხმარება მათ სხვების მოტივირებასა გაძღოლაში. ფსიქოლოგებიც ერთმნიშვნელოვნად აღიარებენ, რომ ლიდერს უნდა შეეძლოს მომავლის ჭვრეტა სხვების დარწმუნება იმაში, რომ მისი თვალთახედვა ნდობას იმსახურებს. ამისათვის კი საჭიროა:

- ენერგიულობა – ლიდერის ერთ-ერთი პირობა ინტენსიური მოგზავრობა და ხანგძლივი მუშაობაა;
- ინტუიცია – გამოცდილმა ლიდერებმა კარგად იციან ინტუიციის ფასი, რადგან ლოგიკა და არგუმენტაცია მათ ყველა სიტუაციაში ვერ გამოადგებათ;
- სიმწიფე – კარგი ლიდერისათვის პიროვნული ძალაუფლება და აღიარება მეორე ადგილზე უნდა იდგეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბრძანებლობის მაგივრად თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე უნდა ზრუნავდეს;
- გუნდური ორიენტაცია – გუნდური მუშაობისას მეტად მნიშვნელოვანია თანასწორი დამოკიდებულება ხელქვეითების მიმართ, რომელიც აძლიერებს გუნდურ შეკავშირებულობას;
- ემპათია – "სხვის ადგილზე დადგომის" უნარია. ემპათიის გარეშე ადამიანი ვერ მოიპოვებს ნდობას, რიმელიც ესოდენ

მნიშვნელოვანია საუკეთესო შედეგების მისაღწევად;

- ქარიზმა [პიროვნული ხიბლი] – ძლიერი პიროვნული ხიბლის მატარებელი ლიდერები წარმატებით ახერხებენ ადამიანებში ძლიერი ემოციების აღძვრას და ისეთი ხედვის ჩამოყალიბებას, რომელიც ასე აერთიანებს და იტაცებს მათ.

აღსანიშნავია, რომ ქარიზმატულობის მცნება ქართველებისათვის უცხო არა არის და ამდენად, ქართველი ხალხისათვის ქარიზმატული ლიდერის ტიპი მეტად სიბოლურია. აღსანიშნავია ისიც, რომ ძალიან რთულია ქართველი ხალხის იდეალური პოლიტიკოსის პორტრეტის ჩამოყალიბება, რადგან ქართული საზოგადოება საკმაოდ კრიტიკულია და საკუთარ ლიდერს მეტად მკაცრ მოთხოვნებს უყენებს. თუმცა მაინც შესაძლებელია გამოვყოთ ის თვისებები, რომლებიც ქართველი ლიდერისათვის აუცილებელია:

- საერთაშორისო ავტორიტეტი
- არაკორუმპირებულობა და პატიოსნება [ეს მეტად მტკივნეული თემაა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის, რადგან ქართველებს კორუმპირებული ჩინოვნიკების თვითნებობის მწარე გამოცდილება გვაქვს].

პოლიტიკოსის იმიჯი ყოველმხრივ უნდა შეესაბამებოდეს მოსახლეობის განწყობას.

პოლიტიკოსს უნდა შეეძლოს ჰარმონიის დამყარება მისი ამომრჩევლის შეფასებასთან და წარმოდგენებთან, დროის მოთხოვნასთან. იმიჯის აგება ხდება არა აბსტრაქტულად, არამედ დამაჯერებელი ფაქტებისაგან, რომელსაც პიროვნების ცხოვრებაში აქვს ადგილი, არაფრისგან და არარაობისგან იმიჯი არ იქმნება. იმიჯის შესაქმნელად გარკვეული რეალური საფუძვლებია საჭირო. იმიჯის შექმნა და რეალიზაცია მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს ლიდერის მახასიათებელი თვისებებიდან უდიდესი მნიშვნელობა აქვს, კომპეტენტურობას და პროფესიონალიზმს, რაც მის მიერ მიღებულ განათლებასა და გამოცდილებასთნ არის დაკავშირებული ლიდერის კომპეტენტურობას და პროფესიონალიზმის საჩვენებლად ხაზი უნდა გაესვას მის მონაწილეობას ამა თუ იმ მნიშვნელოვანი, სასიცოცხლო მნიშვნელობის პროცესში.

ლიდერისთვის იმიჯის შესაქმნელად არსებობს დამატებითი ფაქტორები: წარსული, ოჯახი. სპორტი, შინაური ცხოველები, ჰობი და სისუსტეები. (4,გვ.63) ღარიბი ქვეყნის

პოლიტიკოსი მეტისმეტად ხელგაშლილად და მდიდრად არ უნდა ცხოვრობდეს, ყველაფერი ეს აშორებს პოლიტიკოსებს ხალხისაგან. კარგი რეპუტაციის შესაქმნელად იმიჯმეიკერებმა უნდა გადალახონ ის ბარიერი რაც დგას ლიდერსა და საზოგადოებას შორის. ეს არის: მტრობა, ამოჩემება, აპათია, არცოდნა. სათანადო მუშაობის შედეგად ისინი უნდა იქცნენ სიმპატიად, აღიარებად, ინტერესად ცოდნად. ეს კი წარმატების ზრდის საწინდარი შეიძლება გახდეს. კანონია: ხალხს კი არ უნდა დაშორდე პირიქით უნდა ეცადო მასთან დაახლოება.

ამრიგად, პოლიტიკური ლიდერი თავის ეპოქის შვილია. ეპოქის განვითარების კანონზომიერებანი, სოციალურ-პოლიტიკური ტენდეციები, ობიექტურობა, რეალობანი აყალიბებენ კონკრეტული პოლიტიკური ლიდერის პიროვნული, მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკურ ნიშან–თვისებებს. მას ეპოქის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სახელმწიფოებრივ-ეროვნულ ცხოვრებაში თავისი განსაკუთრებული ადგილი უკავია, ხოლო მისი იმიჯი ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხალხმა მასში „თავისიანი" დაინახოს, რასაც უთუოდ მოსდევს მხარდაჭერა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არისტოტელე „პოლიტიკა" თბ, 1995-1996;
2. ბუცხრიკიძე ა. „პოლიტიკრი ლიდერი" თბ, 1996;
3. მაკიაველი ნ. „მმართველი' თბ, 1996;
4. შუბითიძე ვ. „რა შეუძლია პოლიტიკაში კარგ იმიჯს" თბ, 2000;
5. შუბითიძე ვ. „გოგი თოფაძე წარმატებული ბიზნესმენი და პოლიტიკოსი" თბ, 2003.

Summary

Temur Todua
Ciala Gagnidze

Political leader's role in public administrative system

Social development during contemporary stage, radical changes in social and political structure, new trends and values showed the necessity of studying political leader's phenomenon. Political leader has special features. He is the product of his epoch. Political leader has to have capacity for deep political analyzis, sense of tact, courage, leadership and communication skills, education and fairness.

Sense of charisma is not unfamiliar for Georgian people. However national charismatic leader is quite symbolic for Georgians. It is difficult to create ideal political prototype in Georgia, because society is very critical and expects him to face extremely hard challaenfes.

Political leader is the product of his epoch. Modern epoch's development, social-political tendencies are creating specific features of political leader. He has his own particular place and image in the epoch's social, political, economical, cultural and public life. If people see relations between them, they will encourage their leader.

РЕЗЮМЕ

Темур Тодуа
Циала Гагнидзе
Роль политического лидера в системе государственного управления.

На современном этапе общественного развития кардинальные изменения социальных и политических структур и новые ценностные ориентиры обусловили необходимость изучения феномена политического лидера. Политический лидер – носитель особенных начал. Как таковой он всегда продукт своей эпохи. Политический лидер должен обладать навыками глубокого анализа, обладать чувством такта, быть напористым, смелым, умным, с твердым характером и обостренным чувством справедливости.

Понятие харизматичности не чуждо грузинскому менталитету, наоборот, тип харизматичного лидера для грузин очень символичен, но в Грузии с большим трудом можно создать портрет идеального политического лидера по той причине, что грузинское общество само по себе критично и предъявляет к своим лидерам достаточно высокие требования.

Вообщем, политический лидер – дитя своей эпохи. Закономерности развития современной эпохи, социально-политические тенденции создают специфические особенности, характерные для конкретного политического лидера, который

занимает в общественной, политической, экономической, культурной и государственно-национальной жизни страны свое особое место. Очень важным является его имидж, в котором народ обязательно должен узнавать «своего», после чего непременно следует поддержка.

სერგო ლომინაძე

PR-საქმიანობის სოციალურ-ფილოსოფიური ასპექტები

PR-საქმიანობა თანამედროვე ეპოქაში სულ უფრო ინტენსიურად იჭრება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადახვა სფეროში.

საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია აძლიერებს სოციალური სუბიექტების ურთიერთქმედებას ეკონომიკაში, პოლიტიკაში, სოციალურ სფეროში.

სოციალურ სუბიექტთა ინტერესების მრავალფეროვნებას მივყავართ მათ შორის ბრძოლის გამწვავებამდე, კონფლიქტებამდე.

დემოკრატია ვერ იარსებებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა კარგად აწყობილი სისტემის, სოციალური პროცესების მართვის მეცნიერული მეთოდებისა და კონფლიქტების გადაჭრის სპეციალური მექანიზმის გარეშე. PR-ი ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს, აქცენტს აკეთებს საერთო ინტერესებსა და საერთო საკითხებზე. როგორც სოციალური ინსტიტუტი, PR-ი ხელს უწყობს ადამიანის, მოქალაქის უფლებათა გაფართოებას, ადამიანური

პოტენციალის რეალიზაციაში თანაბარი შესაძლებლობების შექმნას.

ცნობილია, რომ დადებითი რეპუტაციის მენეჯმენტისა და PR-ის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების კონსოლიდირება, ქვეყნის სტაბილურობის უზრუნველყოფა და აქტუალურ ამოცანათა გადაჭრა. სახელმწიფოს, მისი სტრუქტურების დადებითი იმიჯის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის მიღწევა.

არაეფექტურად ფუნქციონირებადი პოლიტიკური სისტემა წარმოადგენს პოლიტიკურ პარტიებს, რეგიონებს, სოციალურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის მუდმივი კონფლიქტების წყაროს.

PR-ის როგორც მართვის თეორიისა და საზოგადოებრივი ურთიერთქმედების პრაქტიკის განვითარება მკაფიო მაჩვენებელია დემოკრატიული თავისუფლებებისა და მართვის ინოვაციური გზების ძიების სურვილისა. PR-ი როგორც სოციალურ პროცესთა მართვის მექანიზმი შეგვაძლებინებს განვავითაროთ მოქალაქეობრივი შეგნება, შევაგულიანოთ ადამიანები პრობლემათა გადაჭრაში. მისი მეთოდები, სოციალური პასუხისმგებლობა, თავისუფალი ინდივიდის შეგნებული არჩევანი, სრული ინფორმაცია შესაძლებელს ხდის ეფექტურად, უმტკივნეულოდ და მინიმალური დანაკარგებით გადავჭრათ კონფლიქტი ეკონომიკაში, პოლიტიკაში, სოციალურ სფეროში.

ყოველივე თქმული ბადებს მოთხოვნას კვალიფიციურ PR-მომსახურეობაზე, გვკარნახობს PR-საქმიანობის მეცნიერული ანალიზის, მისი პრაქტიკის სრულყოფის აუცილებლობას. უამისოდ PR-საქმიანობა გადაიქცევა შოუ-ბიზნესის ნაწილად, რაც აუცილებლად გახდება მიზეზი საზოგადოების მხრივ მისი არმიღებისა.

PR-ის მრავალგვაროვან ლიტერატურაში არაიშვიათად ვხვდებით PR-ის როგორც მარკეტინგული კომუნიკაციის (მხოლოდ და მხოლოდ გამოყენებითი ამოცანებით) ერთ-ერთი მიმართულების ვიწრო გაგებას. PR-ის ფუნქციები დაყვანილი ხდება ინფორმირებაზე, დარწმუნებაზე, კომუნიკაციაზე. ისმის კითხვა, საჭირო თუ არა PR-თეორია (იხ. 5, გვ. 24-28, 75-78).

აღნიშნულ თვალსაზრისს PR-საქმიანობა დაჰყავს მომხმარებლებთან ურთიერთობებზე, უგულვებელყოფს რა ამით PR-ის სოციალურ ფუნქციებს. საკმარისად არ ფასდება PR-ის როლი ფირმის, პარტიის იმიჯის მართვაში, მტკიცე რეპუტაციის შექმნის უნარი. PR-საქმიანობის კომუნიკაციაზე

რედუქცია ამახინჯებს PR-ზე წარმოდგენას, მივყავართ მისი სოციალური ფუნქციებისა და შესაძლებლობების უგულებელყოფამდე.

ყოველივე თქმული აუცილებელს ხდის PR-საქმიანობის სოციალური ასპექტების აქტუალიზებას. ამ სტატიის ამოცანაა გვიჩვენოს PR-ის სოციალური, კულტურული მნიშვნელობა. სტატიის აქტუალურობა მდგომარეობს PR-საქმიანობის სოციალურ, ეთიკურ და კულტურულ შესაძლებლობათა გაშლაში.

PR-ი საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედებს ხატებისა და სიმბოლოების სისტემით. ამიტომ PR-ის უკეთესი გაგებისათვის აუცილებელია ავხსნათ მისი ფუნქციონირების ძირითადი მექანიზმები. ამგვარ საფუძველს, ჩვენი შეხედულებით, წარმოადგენს შინაარსისა და ფორმის გაგება. შინაარსისა და ფორმის ურთიერთდამოკიდებულებაში შინაარსი მთელის განსაზღვრული მხარეა, ობიექტის ყველა შემადგენელი ელემენტის, მისი შინაგანი თვისებებისა და პროცესების ერთობაა. ფორმა კი შინაარსის გამოხატულებაა. შინაარსი დინამიური მხარეა მთელისა, ფორმა კი მოიცავს საგნის მყარი კავშირების სისტემას. ობიექტის განვითაების განსაზღვრულ ეტაპზე ფორმა თამაშობს განმსაზღვრელ და აქტიურ როლს. ფორმა ი. კანტის თანახმად მოწესრიგების პრინციპია.

PR-საქმიანობა, ჩვენი აზრით, ასრულებს შინაარსის მოწესრიგებისა და თვით კორექციის ფუნქციასაც კი. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ PR-სპეციალისტმა მთელი ყურადღება უნდა დაუთმოს მხოლოდ ფორმას. ფორმის ფუნქცია უზარმაზარია და მნიშვნელოვანი, თუმცა მისი შინაარსისაგან მოწყვეტა გადააქცევს მთელს PR-საქმიანობას ფორმალიზმად, საპნის ბუშტად. ჩვენი აზრით, PR-საქმიანობაში ფორმის მნიშვნელობის აბსოლუტიზირება ასახავს სოციალურ პროცესთა მეცნიერული გაგების არარსებობას. მსგავს პრიმიტიულ PR-ს არ ძალუძს შეასრულოს სტრატეგიული ამოცანები და მუდამ ფირმისა თუ პოლიტიკური პარტიის კრახით დამთავრდება.

ძალიან მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ თავად შინაარსი ცვალებადია, მუდამ განვითარების პროცესშია. მაშასადამე, ფორმა მუდამ დინამიური უნდა იყოს, შეესაბამებოდეს საზოგადოებრივ ცვლილებათა რეალურ შინაარსს. ახალი შინაარსი ურყევად დაიქვემდებარებს ყველა ფორმას და შეცვლის მათ. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ

ფორმა ეს აქტიური საწყისია და, მაშასადამე, მას შეუძლია გაშალოს შინაარსის პოტენციალი, მისცეს მას მიმართულება. ფორმას ძალუძს გააააქტიუროს მთელის აღმშენებლობითი ძალები, ხელი შეუწყოს ყველაზე მთავარისა და ფასეულის განვითარებას. საინფორმაციო ტექნოლოგიების ბატონობის ეპოქაში იზრდება საზოგადოების ზეგავლენა ხატებისა და სიმბოლოების მეშვეობით.

PR-ის მთავარი ამოცანაა ჩამოაყალიბოს ხატებისა და სიმბოლოების ახალი პოზიტიური სისტემა, ე.ი. ფორმის – ხატებისა და სიმბოლოების მეშვეობით ჩამოაყალიბოს ახალი კულტურა ურთიერთობებისა პოლიტიკაში, ბიზნესსა და პიროვნებათაშორისო კომუნიკაციაში.

PR-ის მთავარი ამოცანაა გამოვავლინოს ფარული, გამორჩენილი რეზერვები, დაგვეხმაროს შეუთანხმებლობის აცილებაში, ურთიერთმისაღები და ურთიერთსასარგებლო გადაწყვეტილების პოვნაში.

PR-ს ძალუძს შესცვალოს საზოგადოებრივი აზრი და ადამიანთა ქცევა უკეთესი მიმართულებით. შოკური PR-ის მეთოდით სპეციალისტს შეუძლია დაეხმაროს საზოგადოებას, სოციალურ ჯგუფს, გადალახოს საუკუნეობრივი სტერეოტიპები. შოკური PR-ი ქმნის საინფორმაციო ნაკადს, საზოგადოების ყურადღებას მიაპყრობს განვითარების აქტუალურ პრობლემებზე. იგი აძლევს საშუალებას PR-სპეციალისტს ფლობდეს და მართავდეს საინფორმაციო სივრცეს. ამიტომ, ჩვენი აზრით, PR-საქმიანობას ძალუძს ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიული განვითარების ვექტორზე.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს შესაძლებელია, თუ PR-საქმიანობა დაეყრდნობა საზოგადოებრივ მეცნიერებებს, მკაცს ანგარიშსა და კრეატიულობას.

PR-საქმიანობაში დიდ როლს თამაშობს საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის მეთოდები და ინსტრუმენტები. საზოგადოების ნდობა მხოლოდ მაშინ შეიძლება მოიპოვოთ, თუ თქვენ ადამიანებს აძლევთ მოვლენების შესახებ სრულ ინფორმაციას, აძლევთ მათ თავისუფალი და შეგნებული არჩევანის უფლებას. PR-სპეციალისტის პოზიცია მუდამ უნდა იყოს პოზიტიური, კონსტრუქციული და ურთიერთსასარგებლო.

პოზიტიურის საფუძველზე შესაძლოა მოინახოს გამოსავალი, აიგოს კონსტრუქციული ურთიერთობანი ეკონომიკურსა და პოლიტიკურ სუბიექტებს შორის. ნეგატიური კი საზოგადოებრივი ცნობიერების პარალიზებას ახდენს,

ამძიმებს პრობლემებს, ხელს უშლის საზოგადოების წინსვლას პროგრესისაკენ. ნეგატიური მუდამ „შავი“ PR-ის მანიპულატორებისა და მოყვარულების ინსტრუმენტია. მანიპულატორები მუდამ ორიენტირებულნი არიან ლოკალურ, ვიწროჯგუფურ და არაკეთილსინდისიერ ამოცანებზე. მათი მეთოდები არასიცოცხლისუნარიანია და ნეგატიურად მოქმედებენს საზოგადოების განვითარებაზე. საზოგადოება უარყოფს „შავი“ PR-ის მეთოდებს, ვინაიდან ხედავს მის უპერსპექტივობას. ადამიანები ხვდებიან, რომ „შავი“ PR-ი კი არ წყვეტს პრობლემებს და კონფლიქტებს, არამედ ამწვავებს მათ. „შავი“ PR-ის მანიპულატორებსა და მომხრეებს საზოგადოება პასუხობს მათი ლეგიტიმურობის უარყოფით, რასაც ეს პოლიტიკოსები და ბიზნესმენები დაღუპვამდე მიჰყავს (იხ. 4. გვ. 113-120). PR-ში მთავარია არა დარწმუნება ან გადარწმუნება, არამედ არსებულ პრობლემათა პირის სწორი გაგების მიღწევა, მათ გადაჭრაში დაინტერესებულ მხარეთა ერთობლივი მონაწილეობის მიღწევა.

ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა აქცენტი კეთდება ინდივიდის (ადამიანის) როგორც ზოგად, ისე პირად სარგებლობაზე. ამიტომ PR-სპეციალისტი უნდა გაერკვეს მთელისა და ნაწილის დიალექტიკაში.

ადამიანი როგორც სუბიექტი მუდამ მთელის ნაწილია. მისი არსებობა, თვითრეალიზაცია წარმოუდგენელია საზოგადოების, ე.ი. მთელის გარეშე. საზოგადოების განვითარება კი დამოკიდებულია სუბიექტის, ე.ი. ინდივიდის განვითარების დონეზე. ამიტომ PR-ის ამოცანაა გააააქტიუროს დაინტერესებულობა მთელის, ე.ი. საზოგადოების განვითარებით. PR-ს ძალუძს უჩვენოს სუბიექტს, რომ სახელდობრ მის აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციაზეა დამოკიდებული საზოგადოების განვითარების დონე და ხასიათი, პიროვნებათაშორისო ურთიერთობათა, ადამიანის კომფორტული ყოფის კულტურა.

PR-საქმიანობის საყრდენია სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპის დაცვა. პრინციპი „ფული ნებისმიერ ფასად“ წარსულს ბარდება. ფირმის მომავალი განისაზღვრება არა მხოლოდ ტექნოლოგიური პარამეტრებით, არამედ უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების ნდობის დონითა და თავად ფირმის, კომუნიკაციის სფეროს ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების ეთიკური რეპუტაციით. მორალის ნორმებისა და სოციალური პასუხისმგებლობის უგულებელ-ყობა არამომგებიანია და მას მივყავართ დაღუპვამდე (კრახამდე) როგორც ბიზნესში, ისე პოლიტიკაში.

საზოგადოების კეთილდღეობა ნებისმიერი ბიზნესისა და პოლიტიკის მიზანია. ამის უგულებელყოფას მივყავართ ნდობის შერყევამდე და PR-საქმიანობის არაეფექტურობამდე.

სოციალური პასუხისმგებლობის დემონსტრირება ხორციელდება ეკოლოგიურ, სოციალურ პროექტებში მონაწილეობით, განათლების, კულტურის, სპორტის დასპონსორებით. სოციალური პასუხისმგებლობის პოზიციონირება უნდა გახდეს პრიორიტეტი PR-საქმიანობის ყველა ფორმაში. ეს გახდება PR-ამოცანების ეფექტური გადაჭრის საფუძველი.

PR-სპეციალისტს უნდა ახსოვდეს, რომ მორალური ავტორიტეტი მუდამ მაღლა დგას რეალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალაუფლებაზე. ძირითადი ეთიკური ნორმები ისტორიულად მიმართულია სიცოცხლის დაცვასა და განვითარებაზე, ღრმად ზის ადამიანის ქვეცნობიერებაში და ამიტომ მთავარ როლს ასრულებს გარემომცველთა აღქმაში, შეფასებასა და მოქმედებაში. ის ფირმები, პოლიტიკოსები, რომლებიც უგულებელყოფენ მორალის ნორმებს, იჩენენ არაშორსმჭვრეტელობას, ხელმძღვანელთა მსოფლმხედველობის შეზღუდულობას. მზარდი კონკურენციისა და საზოგადოების ყველა სეგმენტის ურთიერთგანპირობებულობის თანამედროვე პირობებში შეიძლება წარმატებით ვიმოქმედოთ მხოლოდ გრძელვადიანი სტრატეგიის ფილოსოფიაზე დაყრდნობით. ეთიკური ნორმების დაცვას მივყავართ ამგვარ წარმატებამდე და დიდ მოგებამდე.

მთავარი ფასეულობა ყოველ დროში იყო და იქნება ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ამიტომ წარმოებულ საქონელში მუდამ უნდა მივუთითოთ მისი შესაძლო უარყოფითი შედეგები, განსაკუთრებით ბავშვებისათვის, ფეხმძიმე ქალებისათვის, ინვალიდებისათვის. ამ პრობლემებისადმი ყურადღება ამაღლებს ფირმის ავტორიტეტსა და რეპუტაციას. ფირმის მხრიდან ბავშვების მომავალზე ზრუნვა მუდამ პოზიტიურად აღიქმება საზოგადოების მიერ.

ადამიანებმა უნდა დაინახონ და შეიგნონ თქვენი ფირმის, პარტიის მნიშვნელობა საზოგადოებისთვის, მისი სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი განვითარებისათვის. PR-საქმიანობის წყალობით თქვენი ფირმა, პარტია ხდება სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი სუბიექტი. ამის გაგება შეცვლის ადამიანთა აზრსა და ქცევას, როგორც მთლიანად ბიზნესის, ისე თქვენი ფირმის მიმართაც.

PR-სპეციალისტი ფირმის, პარტიის მორალური აგენტი უნდა იყოს. PR-საქმიანობის დახმარებით ამგვარ მორალურ

აგენტებად შეიძლება და უნდა გახდნენ ფირმის მუშაკები. PR-ის ამოცანაა ფირმის შიგნით პოლიტიკური საორგანიზაციო კულტურის ფორმირება. დამტკიცებულია, რომ დანაკარგი პერსონალის არალოიალური დამოკიდებულებისა გამო საშუალოდ სამჯერ მეტია, ვიდრე კონკურენტებისა და არამეგობრულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობისა გამო. სამწუხაროდ, ზოგიერთი ფირმა იფარგლება პერსონალის ქცევის კონტროლით, პერსონალის ინფორმირება კი არასრულ და არარეგულარულ ხასიათს ატარებს. პერსონალთან უკუკავშირი ძალიან შეზღუდულია. პერსონალი მუდამ ინფორმაციის გარეთ ტრანსლატორია. ამიტომ შინაგანმა PR-მა უნდა აამაღლოს პერსონალის ლოიალობისა და მოტივირებულობის დონე. ამაში მთავარ როლს თამაშობს PR-მენეჯერის მიერ კეთილგანწყობისა და ფსიქოლოგიური კომფორტის ატმოსფეროს ჩამოყალიბება. ეს ამაღლებს ურთიერთსარგებლობის და ურთიერთდახმარების დონეს, რაც მთლიანობაში შეესაბამება სოციუმის განვითარების ამოცანებს.

ამგვარად, PR-საქმიანობის ეთიკურ სტანდარტებს ძალუძს დააჩქარონ ცივილიზებული და ჰარმონიული სოციალური ურთიერთობების შენება. ცალკეული ფირმების მიერ ეთიკური სტანდარტების ამაღლების შედეგად იგებს მთელი საზოგადოება.

ფირმის შიგნით ახალი ურთიერთობანი ზეგავლენას ახდენს მომხმარებლებთან და მთლიანად საზოგადოებასთან ურთიერთქმედების კულტურაზე. კულტურას, როგორც ნორმების, ტრადიციის, ღირებულებების, ადამიანური მოღვაწეობის ორგანიზაციის სისტემასა და ფაბლიქ რილეიშენზს შორის არსებობს მრავალფეროვანი კავშირი. თავად PR-მოღვაწეობა ადამიანთა ურთიერთობის, სამეწარმეო და სახელმწიფოებრივი ცხოვრების განსაზღვრული და განვითარებული კულტურის გამოვლენაა. ფირმის, პარტიის მოღვაწეობას PR-ი აჩვენებს ფართო სოციალურ და კულტურულ კონტექსტში. მთავარი იდეების გადმოსაცემად PR-აქციების დაგეგმვისას ფართოდ გამოიყენება კულტურის და ხელოვნების სფერო. PR-ი ხელს უწყობს კულტურისა და ხელოვნების დაფინანსებას. PR-მოღვაწეობა კულტურის დარგში ასევე დადებითად მოქმედებს PR-სპეციალისტის პროფესიონალიზმის სრულყოფაზე.

თანამედროვე მენეჯმენტი ატარებს უპირველესად კულტურულ ხასიათს. PR-მოღვაწეობა გამოიყენება კომპანიის

საოფისე სივრცის მეშვეობით, ესთეტიკური სტილისა და განწყობის გადმოსაცემად. PR-ი ახდენს დიზაინის სტიმულირებას. PR-ი გარკვეული აზრით ხელს უწყობს მოდელური ხელოვნების განვითარებას, რადგან პერსონალის ჩაცმის სტილი, ურთიერთობის მანერა ხშირად სპეციალისტის მიერ დასმული მიზნის მიღწევაში საკვანძო საკითხს წარმოადგენს.

PR-ს შესწევს უნარი შეცვალოს ადამიანის იერი, გარეგნობა, ქცევის მანერა. PR-სპეციალისტს უნდა ახსოვდეს, რომ ხელოვნებაში, შოუ-ბიზნესში ფორმა ყოველთვის დომინირებს შინაარსზე. ფორმის მრავალფეროვნება, დინამიურობა წარმოადგენს წარმატების საწინდარს. დინამიკური ფორმები ახდენს უფრო მძლავრ გავლენას ახალგაზრდობაზე. სტატიკური ფორმები კი მეტი პოპულარობით უფროს თაობაში სარგებლობს. PR-სპეციალისტს უნდა ახსოვდეს, რომ შოუ-ბიზნესში მოქმედებს განსხვავებული მორალური და საზოგადოებრივი სტანდარტები. ხელოვნებას, შოუს ყოველთვის აღიქვამენ როგორც შემოქმედების, თვითგამოვლენის მაქსიმალურ თავისუფლებას. ამიტომ აქ უარყოფილია ადმინისტრაციული და ზნეობრივი შეზღუდვებიც კი. ახალგაზრდებისათვის ძალიან მიმზიდველია ურჩი მეამბოხის ხატი. სკანდალი, ინტრიგა, ხმამაღალი განსცხადებები პოლიტიკაზე, ეკოლოგიაზე, ომზე მსახიობის მუდმივ თანამგზავრად იქცა. მსახიობი ყოველთვის უნდა რჩებოდეს უნიკალურ, განუმეორებელ პიროვნებად.

PR-სპეციალისტებს შეუძლიათ შეიტანონ არსებული წვლილი კინოს, თეატრალური ფესტივალების, მხატვართა გამოფენების, მუსიკალური კონცერტების ორგანიზებაში. PR-ს ძალუძს ხელი შეუწყოს სარესტავრაციო სამუშაოების, ტალანტთა მოძიების დაფინანსებასა და კულტურის ახალი შედეგების შექმნას.

PR-სპეციალისტმა უნდა დაინახოს ცვლილებანი საზოგადოებრივ ცნობიერებაში და შექმნას ის ხატები, რომლებიც ყველაზე უფრო ადეკვატურად ასახავს სოციალურ პროცესებს. ახალი ხატების შექმნა დაეხმარება ადამიანებს უკეთ გაიგონ მიმდინარე მოვლენები და წარმართონ სისხლსავსე და საინტერესო ცხოვრება.

ამგვარად, PR-საქმიანობა ქმნის საზოგადოებრივ ცნობიერებასა და ადამიანის ქცევაში ცვლილებათა წანამძღვრებს. PR-ი ხასიათდება იმ ფუნქციებისა და გადასაჭრელი ამოცანების მრავალგვგმიანობით, რომლებიც

საზოგადოების წინაშე წარმოიშობა. PR-აქციებსა და ღონისძიებებს მოაქვს კონკრეტული შედეგები გარიგებების, ინვესტიციების დადების, ვაჭრობის ზრდისა და ფინანსური მაჩვენებლების სახით. PR-ი მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობს ფირმის, სახელმწიფოს არამატერიალური აქტივების ზრდას.

PR-საქმიანობა საბოლოო ჯამში იძენს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ღირებულებას. PR-ი ხელს უწყობს სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სუბიექტების გავლენის სფეროთა და შესაძლებლობათა გაფართოებას. იგი ეხმარება ადამიანებს შეეგუონ ახალ რეალიებს და გააუმჯობესონ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი სისტემა.

PR-ი პრაქტიკაში წყვეტს საზოგადოების წინაშე მდგარ სოციალურ-ფილოსოფიურ პრობლემებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ხახუტაშვილი, ლ. კაპანაძე. საზოგადოებასთან ურთიერთობა. თბ., 2007.
2. ვ. ჭიაურელი, ს. ლომინაძე, რ. სტრელკოვა. საზოგადოებრივი ურთიერთობების ძირითადი პრინციპები, თბ., ტექნიკური უნივერსიტეტი, 2006.
3. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგიდო ენციკლოპედია „ცოტნე“, თბ., 2006.
4. ხელისუფლება და საზოგადოება. №3, 2007.
5. Entwicklung von Public Relations als Spiegel der ökonomischen und sozialen Prozesse in Osteuropa. Universität Bremen, 2002.

Summary

Sergo Lominadze

SOCIAL-PHILOSOPHICAL ASPECTS OF PR-ACTIVITIES

The social-philosophical basis of PR-activities is considered in the article. It is marked that reduction of PR-activities to communications doesn’t reflect significant aspects of PR. Social aspects have great importance in manifold PR-activities. Knowledge of dialectic, its categories, forms and contents, whole and parts let us open deeply sense of PR. It is important to keep principles of ethics and social responsibilities in PR-activities. Importance of PR in the context of changing social perception and culture is also emphasized. PR-activities help to solve social-philosophical problems of society.

Резюме

Серго Ломинадзе
Социально-философские аспекты PR- деятельности

В статье рассматриваются социально-философские аспекты PR-деятельности. Отмечается, что редукция PR-деятельности к коммуникации не отражает важных аспектов PR. В статье подчеркивается, что в многообразной PR-деятельности особое значение имеют социальные аспекты. Понимание диалектики, содержания и формы, части и целого позволяет глубже раскрыть сущность PR. Показывается, что в PR-деятельности важно соблюдать принцип этики и социальной ответственности. Подчеркивается значимость PR в изменении общественного сознания и культуры. PR – деятельность помогает решать социально-философские проблемы общества.

Maia Chkheidze
The Problem of Constructing Logical Arguments

Logic is a very effective tool for persuading an audience about the accuracy of an argument. However, people are not always persuaded by logic. Sometimes audiences are not persuaded because they have used values or emotions instead of logic to reach conclusions. But just as often, audiences have reached a different logical conclusion by using different premises. Therefore, arguments must often spend as much time convincing audiences of the legitimacy of the premises as the legitimacy of the conclusions.

For instance, assume a writer was using the following logic to convince an audience to adopt a smaller government:

Premise 1: The government that governs best, governs least.
Premise 2: The government I am proposing does very little governing.
Conclusion: Therefore, the government I am proposing is best.

Some members of the audience may be persuaded by this logic. However, other members of the audience may follow this logic instead:

Premise 1: The government that governs best, governs most.
Premise 2: The government proposed by the speaker does very little

governing.

Conclusion: Therefore, the government proposed by the speaker is bad.

Because they adhere to a different logical sequence, these members of the audience will not be persuaded to change their minds logically until they are persuaded to different values through other means besides logic. See the handout on rhetorical tactics for more information on non-logical persuasion.

In order to understand what an argument is, one must understand what a fallacy is. Very briefly, an argument consists of one or more premises and one conclusion. A premise is a statement (a sentence that is either true or false) that is offered in support of the claim being made, which is the conclusion (which is also a sentence that is either true or false). A fallacy is, very generally, an error in reasoning. This differs from a factual error, which is simply being wrong about the facts. To be more specific, a fallacy is an "argument" in which the premises given for the conclusion do not provide the needed degree of support. A deductive fallacy is a deductive argument that is invalid. An inductive fallacy is less formal than a deductive fallacy. They are simply "arguments" which appear to be inductive arguments, but the premises do not provided enough support for the conclusion. In such cases, even if the premises were true, the conclusion would not be more likely to be true.

Slippery slope: This is a conclusion based on the premise that if A happens, then eventually through a series of small steps, through B, C,..., X, Y, Z will happen, too, basically equating A and Z. So, if we don't want Z to occur, A must not be allowed to occur either. Example: “If we ban Hummers because they are bad for the environment eventually the government will ban all cars, so we should not ban Hummers”. In this example the author is equating banning Hummers with banning all cars, which is not the same thing.

Hasty Generalization: This is a conclusion based on insufficient or biased evidence. In other words, you are rushing to a conclusion before you have all the relevant facts. Example: “Even though it's only the first day, I can tell this is going to be a boring course”. In this example the author is basing their evaluation of the entire course on only one class, and on the first day which is notoriously boring and full of housekeeping tasks for most courses. To make a fair and reasonable evaluation the author must attend several classes, and possibly even examine the textbook, talk to the professor, or talk to others who have previously finished the course in order to have sufficient evidence to base a conclusion on.

Post hoc ergo propter hoc: This is a conclusion that assumes that if 'A' occurred after 'B' then 'B' must have caused 'A.' Example: “I drank bottled water and now I am sick, so the water must have made me sick”. In this example the author assumes that if one event chronologically follows

another the first event must have caused the second. But the illness could have been caused by the burrito the night before, a flu bug that had been working on the body for days, or a chemical spill across campus. There is no reason, without more evidence, to assume the water caused the person to be sick.

Genetic Fallacy: A conclusion is based on an argument that the origins of a person, idea, institute, or theory determine its character, nature, or worth. Example: “The Volkswagen Beetle is an evil car because it was originally designed by Hitler's army”. In this example the author is equating the character of a car with the character of the people who built the car. However, the two are not inherently related.

Begging the Claim: The conclusion that the writer should prove is validated within the claim. Example: “Filthy and polluting coal should be banned”. Arguing that coal pollutes the earth and thus should be banned would be logical. But the very conclusion that should be proved, that coal causes enough pollution to warrant banning its use, is already assumed in the claim by referring to it as "filthy and polluting."

Circular Argument: This restates the argument rather than actually proving it. Example: “He is a good communicator because he speaks effectively”. In this example the conclusion that he is a "good communicator" and the evidence used to prove it "he speaks effectively" are basically the same idea. Specific evidence such as using everyday language, breaking down complex problems, or illustrating his points with humorous stories would be needed to prove either half of the sentence.

Either/or: This is a conclusion that oversimplifies the argument by reducing it to only two sides or choices. Example: “We can either stop using cars or destroy the earth”. In this example where two choices are presented as the only options, yet the author ignores a range of choices in between such as developing cleaner technology, car sharing systems for necessities and emergencies, or better community planning to discourage daily driving.

Ad hominem: This is an attack on the character of a person rather than their opinions or arguments. Example: “Green Peace's strategies aren't effective because they are all dirty, lazy hippies”. In this example the author doesn't even name particular strategies Green Peace has suggested, much less evaluate those strategies on their merits. Instead, the author attacks the characters of the individuals in the group.

Ad populum: This is an emotional appeal that speaks to positive (such as patriotism, religion, democracy) or negative (such as terrorism or fascism) concepts rather than the real issue at hand. Example: “If you were a true American you would support the rights of people to choose whatever vehicle they want”. In this example the author equates being a "true American," a concept that people want to be associated with, particularly in

a time of war, with allowing people to buy any vehicle they want even though there is no inherent connection between the two.

Red Herring: This is a diversionary tactic that avoids the key issues, often by avoiding opposing arguments rather than addressing them. Example: “The level of mercury in seafood may be unsafe, but what will fishers do to support their families”. In this example the author switches the discussion away from the safety of the food and talks instead about an economic issue, the livelihood of those catching fish. While one issue may effect the other it does not mean we should ignore possible safety issues because of possible economic consequences to a few individuals.

Straw Man: This move oversimplifies an opponent's viewpoint and then attacks that hollow argument. Example: “ People who don't support the proposed state minimum wage increase hate the poor”. In this example the author attributes the worst possible motive to an opponent's position. In reality, however, the opposition probably has more complex and sympathetic arguments to support their point. By not addressing those arguments, the author is not treating the opposition with respect or refuting their position.

Moral Equivalence: This fallacy compares minor misdeeds with major atrocities. Example: “That parking attendant who gave me a ticket is as bad as Hitler”. In this example the author is comparing the relatively harmless actions of a person doing their job with the horrific actions of Hitler. This comparison is unfair and inaccurate.

Logical fallacies are common errors in reasoning that will undermine the logic of your argument. Fallacies can be either illegitimate arguments or irrelevant points, and are often identified because they lack evidence that supports their claim. Avoid these common fallacies in your own arguments and watch for them in the arguments of others.

რეზიუმე

მაია ჩხეიძე

ლოგიკური არგუმენტების კონსტრუირების პრობლემა

კომუნიკაციის ეფექტურობას სხვადსხვა ფაქტორი განსაზღვრავს. ერთ-ერთი მათგანი კომუნიკაციაში კორექტული დედუქციური და ინდუქციური არგუმენტების გამოყენებაა. არგუმენტის კორექტულობა გულისხმობს მის ვარგისიანობას, სხვა სიტყვებით, მის რეალურობასა და საფუძვლიანობას. როგორ უნდა შეფასედეს არგუმენტი? რა არის მისი ვარგისიანობის მტკიცებულება? როგორ უნდა შევამოწმოთ და დავრწმუნდეთ, რომ არგუმენტი ეფექტურია?

ლოგიკა წარმოადგენს არგუმენტის ვარგისიანობის განსაზღვრის ყველაზე ეფექტურ საშუალებას. ლოგიკური

არგუმენტის კონსტრუირება გულისხმობს როგორც ფორმის, ისე შინაარსის მიხედვით ეფექტური არგუმენტის კონსტრუირებას.

Резюме

Майа Чхеидзе
Проблема конструирования логических арнументов

Эффективность коммуникации определяется различными факторами. Одним из них является использование корректных индуктивных и дедуктивный аргументов в коммуникации. Корректность аргумента подразумевает его годность, другими словами, его действительность и основательность. Как оценить аргументы? Что является доказательством их годности? Как проверить и убедиться в том, что они эффектны?

Логика является самым эффектным инструментом определения годности аргумента. Конструирование логических аргументов подразумевает конструирование эффектных аргументов, другими словами, аргументов, эффектных как по форме, так и по содержанию.

Maia Chkheidze

The Problem of Effective Verbal Communication

To effectively communicate, we should realize that we are all different in the way we perceive the world and use this understanding as a guide to our communication with others.

Verbal Communication involves the sending and receiving messages between and among the participants in the group. The verbal language is intellectual and suitable for transmitting information in a sophisticated manner.

The power of language is a broad term used to describe some of the functions language can have. Language can provide a way to influence people’s behaviours and attitudes. People usually use forms of persuasion and argumentation in order to carry out their attempts at influencing people. The process of persuasion relies on facts and logic to accomplish its

goals. Now, facts and logic must change to the situation and language will be the basis for that change.

In small and large organizational units there does exist an order of power or hierarchy. When a person enacts their influence and control on to a person who has to obey, feelings of resentment can occur within the group causing interpersonal conflict.

The process of persuasion is the use of language to persuade, issue an order, make a request and so on. Persuasion is a goal oriented ideal because the persuader is attempting to change what the other person is doing or saying. Although nonverbal factors play a role in persuasion, such as physical appearance, the basic premise for persuasion is that the proposal has to be in linguistic form.

Ice breakers play a very important role in small group communication. The sole purpose of an ice breaker is to get the members of the group to relax and participate in group discussions.

Examples of some Ice Breakers include the following:

What person in your life has most influenced you?

What is something you want people to remember about you?

If you could make one wish that would come true, what would it be?

What is one thing you would like to accomplish in your lifetime?

Who would you lend $500 no questions asked?

What is something you want to see before you die?

Have you ever had something stolen?

In order for language to accomplish the users goals there must be different ways to express their ideas, goals, wants and needs within the group.

The instrumental function of language can be used to express what a person wants or needs. “I want.”

The regulatory function of language can be used to instruct somebody or to maintain order within the group. “Do as I tell you.”

The interactional function of language is the exchange of dialogue between people within the group. “Me and You.”

The personal function of language is used to inform someone of your intentions within the group. “Here I come.”

The heristic function of language is used to question something within the group. "Tell me why.”

The informative function of language is used to relate information to the group. “I have something to say.”

Miscommunication is a problem that may occur in a group. That group must then be able to deal with the miscommunication. Three types of miscommunication are misunderstanding, non-understanding and misinterpretation.

Misunderstanding is when one group member gains an interpretation that he/she believes is accurate, but in reality is not the interpretation the speaker intended the listener to gain.

Non-understanding is when a group member either does not gain any interpretation at all, or gains more than one interpretation with no way to choose between them.

Misinterpretation is when the interpretation of a group member's statement suggests that his/her values and beliefs are different from the other group members values and beliefs.

Miscommunication can occur in anything that communication is used in. Some good examples can be found in ads that you would find in newspapers and magazines.

Dog for sale: eats anything and is fond of children.

Tired of cleaning yourself? Let me do it.

Stock up and save. Limit: one.

Used Cars: Why go elsewhere to be cheated? Come here first!

Wanted. Man to take care of cow that does not smoke or drink.

Our experienced Mom will care for your child. Fenced yard, meals, and smacks included.

Illiterate? Write today for help.

Miscommunication can also be found in quotes of people in the media.

"I am a jelly doughnut"- English translation of John F. Kennedy speaking at the Berlin Wall. "Nixon has been sitting in the White House while George McGovern has been exposing himself to the people of the United States."- Frank Licht, then governor of Rhode Island, campaigning for McGovern in 1972.

Misleading words are used by speakers in order to mislead their listeners into believing only a part or none of an actual message.

Devious messages require the use of indirectness in order to escape from embarrassing questions. The idea is to satisfy the questioner without responding with a yes or no.

Lying and evasion can be classified as deceptive communication. This deceptive communication acts as a way for the speaker to hide their actual beliefs or actions. By using lying and evasion the speaker gains some power over the listeners because he/she has obscured the true beliefs or actions.

Words that bypass critical thought are used to misdirect attention while at the same time achieving the speaker's goals. By using these words the speaker can convey his/her message without it being examined.

Evocative words have the ability to evoke a very precise structure of beliefs, values, or emotions. These are often loaded words that when provide a very strong response in the direction of that person's beliefs and values.

Improving communication skills is a vital part of being a group member. By improving your communication skills you will be able to make it easier for others in the group to interpret your remarks as you intended.

When listeners appear bored, or inattentive, you may have talked too long. You should state your ideas as simply and briefly as possible. When you talk too long it reduces the opportunity for others to speak and causes members to tune out the speaker.

You should not contribute more than one idea at a time. A several point speech is out because the group can only discuss one point at a time. If you attempt to give all the information on an issue, the group will not be able to follow you and respond meaningfully.

A good pattern to follow when in a group discussion is as follows, relate your contribution to what has already been said, state your idea, develop and support it with evidence, and connect it to the topic or phase of the problem being discussed.

რეზიუმე

მაია ჩხეიძე

ეფექტური ვერბალური კომუნიკაციის პრობლემა

ადამიანები გამოხატავენ თავიანთ იდეებს, მიზნებს, სურვილებსა და მოთხოვნილებებს ენის მეშვეობით. იმისათვის რომ ეფექტურად ვურთიერთობდეთ, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ განვსხვავდებით ერთმანეთისაგან სამყაროს აღქმის თვალსაზრისით. სწორედ ამ თვალსაზრისს ვიყენებთ ადამიანებთან ურთიერთობაში. ენა, შესაძლოა, იქცეს ადამიანთა ქცევასა და მათ შეხედულებებზე ზეგავლენის საშუალებად. ადამიანები, როგორც წესი, იყენებენ ეფექტური კომუნიკაციის ტექნოლოგიებს, რათა გავლენა მოახდინონ სხვებზე. დარწმუნების პროცესი ეფუძნება ფაქტებსა და ლოგიკას.

Резюме

Майа Чхеидзе

Проблема эффективной вербальной коммуникации

Люди выражают свои идеи, цели, желания и потребности при помощи языка. Чтобы эффективно общаться, мы должны осознать, что мы разные в том, как мы воспринимаем мир и используем это понимание для нашего общения с другими людьми. Язык может стать способом влияния на поведение людей и на их взгляды. Люди, как правило, используют технологии эффективной коммуникации с тем, чтобы повлиять на других. Процесс убеждения опирается на факты и логику.

მარიამ გელიაშვილი
მაია გელიაშვილი

საქართველოში განათლების ისტორიული საძირკვლები

ადამიანის განათლება მისი ზრდის, მისი პიროვნული თვისებების ჩამოყლიბების მთელ პროცესს მოიცავს. ცხადია, ცნება განათლება ადამიანის ოფიციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლით არ შემოიფარგლება. ის სულ სწავლობს, სწავლობს და საკუთარ თვალსაზრისს აყალიბებს სხვა ადამიანების, ზოგადად, სამყაროსა და მასში მოქმედი ბუნების კანონების შესახებ. ეს უწყვეტი პროცესია და

აშკარაა, რომ ოფიციალური სწავლება ამ პროცესის მხოლოდ ერთი ნაწილია.

ბიბლიის თანახმად, ყოველგვარი სწავლა-განათლება ანუ სიბრძნე უფლისმიერია და ადამიანებს იგი ღმერთისგან ეძლევათ, ამიტომ ცოდნის დაუფლება, ანუ სწავლის მიზანი ღმერთის საქმეთა წვდომაა, ღმერთის განგებულებითვე: "... უფლის შიშია სიბრძნე და ბოროტისაგან განრიდებაა გონება (იობ. 28:28). ამდენად, რადგან გონიერება ბოროტისაგან გამიჯვნას ნიშნავს, იგი სიკეთე ყოფილა, რომელიც უფლის მცნებათა შეცნობა-შესრულებით მიიღწევა, ამიტომ "ნეტარია ადამიანი სიბრძნის მპოვნელი და ადამიანი – ჭკუის მომხვეჭელი!" (იგავ. 3:13) (3)

საუკუნეების მანძილზე ამიერკავკასიის ქვეყნები და მათ შორის საქართველო ძლიერი მეზობელი სახელმწიფოების ყურადღების ცენტრში იყვნენ. ამ ფაქტს, ერთი მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება და ბუნებრივი სიმდიდრე, ხოლო მეორე მხრივ, სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით ხელსაყრელი მდებარეობა განაპირობებდა. ამიტომ საქართველოს ყოველთვის უხდებოდა სხვადასხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრძოლა და მათგან თავდაცვა. საქართველო ნებით თუ უნებლიედ ოდითგანვე ეზიარა აღმოსავლურ და დასავლურ კულტურულ მიმდინარეობებს, რომელთა განვითარებაში თავადაც შეჰქონდა გარკვეული წვლილი. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი წინა აზიის და საბერძნეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულმა ქართული კულტურის კერებმა შეასრულეს.

ქართველი ფილოსოფოსები ცნობილნი იყვნენ, როგორც საქართველოში, ისე წინა აზიურ თუ ბერძნულ სამყაროში. ასეთი იყო მაგალითად, 3-4 საუკუნეში მოღვაწე ბაკური, რომლის სახითაც ფართო ერუდიციის მქონე ნეოპლატონური მიმართულების ფილოსოფოსი წარმოგვიდგება, მე-5 საუკუნეში მოღვაწე პეტრე იბერი, რომელმაც გარკვეული მიმდინარეობის სკოლა შექმნა სირიაში.

პეტრე იბერის სირიულ სკოლასთან იყვნენ დაკავშირებული მე-6 საუკუნის საქართველოში შემობრუნებული ასურელი მამები, რომლებიც თეოლოგიურ-ფილოსოფიური ცოდნით იყვნენ აღჭურვილნი. საქართველოში შემოსვლის შემდეგ მათი საქმიანობა ქრისტიანობის განმტკიცებას ისახავდა მიზნად.

უხსოვარი დროიდან საქართველოში შეიქმნა სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებანი, რომლებმაც კავშირი დაამყარეს სხვა ქვეყნების ანალოგიურ ცენტრებთან. III-IV საუკუნეებში

ქალაქ ფაზისში (ფოთში) ყოფილა ფილოსოფიურ-რიტორიკული აკადემია, რომლის არსებობა ვიცით ბერძნებისაგან, რადგან ჩვენთან წაშლილია მისი ყოველი ლიტერატურული კვალი. კოლხეთის აკადემიაში "რიტორიკული განათლება" მიუღიათ ბერძენ ფილოსოფოსებს მამა-შვილს ევგენიოსსა და თემისტიოსს. ერთადერთი ცნობა აკადემიის შესახებ თემისტიოსის წერილშია დაცული; თუ რა ენაზე მიმდინარეობდა სწავლება, სამწუხაროდ, არაფერია ნათქვამი როგორც აკად. ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს "რაკი ფოთის მახლობლად ისეთი რიტორიკული სკოლა მოიპოვებოდა, სადაც ბიზანტიიდან წარმოგზავნილი, ახალგაზრდები სწავლობდნენ, თავისთავად იგულისხმება, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე სასწავლებელი დაარსებული იქნებოდა არა მარტო უცხოელებისათვის, არამედ პირველ რიგში ადგილობრივი კოლხებისათვის". (1)

საქართველოში ფილოსოფიური ცოდნის მიღების ძველთაგანვე არსებული ტრადიცია ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ პერიოდშიც გრძელდება, მაგრამ ამიერიდან იგი თეოლოგიის საბურველშია გახვეული და მის სამსახურში ჩაყენებული.

თავდაპირველად კოლხეთსა და ქართლში ისეთი სპეციფიკური სკოლები, რომლებშიც შესაძლებელი იქნებოდა ქრისტეს მოძღვრების სწავლება და გავრცელება, არ არსებობდა. ქრისტიანული სწავლების იარაღად გამოიყენებოდა: მქადაგებელთა ცოცხალი სიტყვა, პირადი მაგალითი და ქრისტიანული ოჯახის სათნო ცხოვრების წესი. ქრისტიანული ოჯახი, რომელიც მისდევდა იესო ქრისტეს და მოციქულთა სწავლებას, დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა ჭეშმარიტებასთან ზიარების და აღზრდის ერთადერთ სკოლად.

ქართლის ცხოვრებაში დაცულია ცნობები ვახტანგ გორგასლის აღზრდის შესახებ – "შემდგომად ამისა მოხადა მეფემან ყოველთა წარჩინებულთა ქალაქად, და დღეთა მრავალთა ყო პურობა და განცხრომა, და ევედრებოდეს ყოველნი ღმერთსა აღზრდისათვის ყრმისა ვახტანგისასა. მოითხოვა მეფისაგან საზრდოდ საურმაგ სპასპეტმან ვახტანგ, დიდითა ვედრებითა, ხოლო მიანიჭა მეფემან და მისცა ძე მისი ვახტანგ საურმაგს სპასპეტსა საზრდოდ. რამეთუ წესი იყო, რომელ შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა შინა აღიზარდიან".(1) ეს წესი საქართველოში უძველესი დროიდან ჩანს გავრცელებული. ასეთ აღმზრდელს, რომელთანაც შვილს

გააბარებდნენ "მამაძუძე" ერქვა, მის მოვალეობას მიბარებული ბავშვის აღზრდაზე მეთვალყურეობა შეადგენდა.

საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ სწავლება ძირითადად ეკლესია-მონასტრებთან წარმოებდა, რომელთა დაარსებამ ხელი შეუწყო ქრისტიანული რწმენის გავრცელებას. სწორედ ეკლესიები გახდნენ ის ადგილები, სადაც მოსახლეობა ახალი რელიგიის – ქრისტიანობის შესახებ ცოდნას იღებდა. ქრისტიანული სწავლების გავრცელების ერთ-ერთ ორგანიზებულ ფორმად კათაკმეველთა სკოლები იქცნენ, რომლებიც ქრისტიანული სამყაროს პირველ საგანმანათლებლო დაწესებულებებად ითვლებიან. ქართული მართლმადიდებლური სკოლა, როგორც უძველესი სამოციქულო ეკლესიის შემადგენელი ნაწილი, კანონიერად ითვლებოდა უძველესი ქრისტიანული სკოლების მემკვიდრედ. ამიტომ ის ჭეშმარიტი სულიერება, რომელიც გზას უნათებდა ჩვენს ეკლესიას საუკუნეების მანძილზე, ქართული ქრისტიანული განათლების მტკიცე საფუძველი უნდა იყოს ამჟამად და მომავალშიც.

ქრისტიანობამ განსაკუთრებული გავლენა იქონია საქართველოს ისტორიის ორიათასწლოვან მონაკვეთში მომავალი თაობის აღზრდა-განვითარებაზე, საერთოდ სკოლის და პედაგოგიკური აზრის განვითარებაზე. საქართველომ, რადგან განვითარების მთავარ ორიენტირად ქრისტიანობა აირჩია მისი გავლენა განმსაზღვრელი გახდა საზოგადოებისათვის, ამიტომაც აღმოჩნდა იგი მომავალი თაობების აღზრდა-განათლების საფუძველთა -საფუძველი. ქართული აღზრდა-განათლების სისტემა ქრისტიანული რელიგიის წიაღში ვითარდებოდა და მისი წარმმართველი ქვაკუთხედი ძველი და ახალი აღთქმა იყო.

საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების შემდგომი ხანიდან, ვიდრე მე-10-11 საუკუნეებამდე აღზრდის პროცესში ძირითადი სასწავლო საგნები იყო "ქართული მწიგნობრობა, რისთვისაც ძირითადად ჰიმნოგრაფიული ჟანრის თხზულებები გამოიყენებოდა, თეოლოგია, ფილოსოფია, ჰიმნოგრაფია, ლიტურგიკა (ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში), უცხო ენა, ან ენები, საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების მოკლე ისტორია და ბოლოს მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ.

სასწავლოდ განკუთვნილი სახელმძღვანელოები ჯერ კიდევ ასურელი მამების დროს იწერებოდა. მაგალითად, შიო მღვიმელის ორიგინალური სახელმძღვანელო წიგნი დაუწერია თავისი მოსწავლეებისათვის, როცა "რათა მისცეს მათ

სწავლანი მის მიერნი". მაშინ "აღუწერა მათ" შიომ "ას სამოცი თავის სწავლა ყოვლად მშვენიერი და ტკბილი, რომლითა განისწავლებოდა ყოველნი იგი კრებულნი". (1)

მე-9-10 საუკუნეების შატბერდის კრებული ერთგვარ წარმოდგენას ქმნის იმის შესახებ, თუ რა სახის სახელმძღვანელოები არსებობდა ამ დროს საქართველოში. შატბერდი კულტურის ერთ-ერთი კერა იყო, ისევე, როგორც საქართველოში არსებული სხვა სამონასტრო ცენტრები და ამავე დროს, როგორც ჩანს, აქ სასწავლო ცენტრიც არსებობდა. შატბრდის კრებულში შეტანილია შრომები, კერძოდ, გრიგოლ ნოსელის ადამიანის ბუნების შესახებ ცოდნის შემცველი თხზულება – "კაცისა შესაქმისათვის", საისტორიო მატიანე - "მოქცევა ქართლისა ", ბასილი დიდის ცხოველთა ქცევების შემცველი თხზულება, იპოლიტე რომაელის ძველი და ახალი სადმრთო წერილების შესახებ მოცემული განმარტებები, ეპიფანე კვიპრელის ნაშრომი თორმეტი ძვირფასი თვლის შესახებ, დავითის ფსალმუნების დაჩისეული თარგმანი, ქრონოლოგიური ცნობები გამოჩენილ ებრაელთა, სპარსთა, რომაელთა და ბიზანტიელ მეფეთა შესახებ და ბოლოს სასწავლო წიგნი ებრაულ და ბერძნულ ანბანზე და ძველი აღთქმის წიგნთა შესახებ.

ადრეფეოდალური ხანის საქართველოში, ისევე, როგორც მის წინა პერიოდებში, განათლების მიღების საშუალება და უფლებაც მხოლოდ მაღალი წრის შვილებს ჰქონდათ. წარჩინებული ოჯახები სახლში იწვევდნენ მასწავლებლებს ან მოზარდს მღვდელს მიაბარებდნენ გასაწვრთნელად. მაგალითად, ილარიონ ქართველი "იყო ... სამთავროთაგან კახეთისა, მშობელთაგან დიდებულთა და წარჩინებულთა და სიმდიდრითა გარდასულთა, ხოლო მამა მისი მხედართმფლობელი იყო". (1) ამ წარჩინებულმა ერის კაცმა, როცა მის შვილს ილარიონს ექვსი წელი შეუსრულდა, მიიყვანა მღვდელთან სასწავლებლად და თეოლოგიურ მეცნიერებაში "იწურთიდა მარადის" ვიდრე თექვსმეტ წლამდე.

გიორგი მთაწმინდელიც წარჩინებული ოჯახიდან იყო და მამამისმა იაკობმა შვილი დაწყებითი განათლების მისაღებად ჯერ ტაძრისის მონასტერში მიიყვანა, ხოლო შემდეგ ხახულს გადაიყვანა, სადაც ილარიონ თუალელს ჩააბარეს.

გიორგი მერჩულეს "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან" ჩანს, რომ გრიგოლი ქართლის ერისთავმა ნერსემ იშვილა, თავისი ზედამხედველობის ქვეშ ზრდიდა და მას სახლში მოწვეული მასწავლებელები ასწავლიდნენ.

სწავლების, ცოდნის გადაცემის ტერმინად იხმარება "მოძღვრება". ეს ტერმინი შემდგომ ხანებში (მე-11ს) სწავლების გამომხატველი ძირითადი ცნება ხდება. უფრო ადრე კი "სწავლითა" და "წურთით" გამოიხატებოდა.

მე-8 საუკუნის ნახევრიდან მე-10 საუკუნის დასასრულამდე ტაო-კლარჯეთი ხდება სავანე ქართული კულტურისა და განათლებისა. ქართლიდან დევნილი და არაბთაგან შევიწროებული მოსახლეობა ტაო-კლარჯეთისკენ მიდიოდა, სადაც სიმშვიდე იყო. ქართლიდან დაიძრა სამონასტრო კოლონიზაციაც, რომლის მოთავე იყო ბერი გრიგოლ ხანძთელი. გრიგოლს კლარჯეთში დახვდა მხოლოდ ერთი ქართული მონასტერი ოპიზა, ხოლო შემდეგ უკვე გახდა კლარჯეთის თორმეტი მონასტრის არქიმანდრიტი, რომლებიც ქართული კულტურის და განათლების კერებს წარმოადგენდნენ. ყოველ მონასტერთან იყო სკოლა, სემინარია, სადაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას, საღმრთო სჯულს, ფილოსოფიას, ბერძნულს და სხვა ენებს, გალობას, კალიგრაფიას, მხატვრობას, ოქრომჭედლობას და სხვა.

სწორედ ტაო-კლარჯეთიდან დაიწყო და გაერთიანდა მთელი საქართველო ბაგრატიონთა დინასტიის მეთაურობით. ბაგრატ III-ის შემდეგ ცენტრალიზებული ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლა საბოლოოდ ძლიერი მონარქიული ხელისუფლების შექმნით დამთავრდა დავით აღმაშენებლის დროს და აქედან იწყება გაერთიანებული საქართველოს ოქროს ხანა.

ქვეყნის გაერთიანებამ საქართველოს სხვადასხვა მხარეების ეკონომიკურ დაახლოებას შეუწყო ხელი. მისი ერთიანი ისტორიის დაწერაც მოითხოვა და მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში საფუძველი ჩაეყარა "ქართლის ცხოვრების" შექმნას. აგებულ იქნა ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლები: ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი, ბედია, ალავერდი, სამთავისი, ნოკორწმინდა, იკორთა, ბერთუბანი, ბეთანია, გელათი და სხვა ტაძრები.

საქართველოს საზღვრებს გარეთაც შენდებოდა ეკლესია-მონასტრები, რომლებშიც ძირითადად წარმოებდა კულტურული და ლიტერატურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ათონის ივერიის მონასტერს (საბერძნეთის ტერიტორიაზე), სადაც ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები მოღვაწეობდნენ და პეტრიწონის ქართველთა მონასტერს (დღევანდელი ბულგარეთის ტერიტორიაზე), სადაც თავდაპირველად ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი მოღვაწეობდა.

საქართველოში კულტურის საერთო დონის განვითარებას სწავლა-განათლების საქმის აღმავლობაც კვალდაკვალ მიჰყვებოდა. მე-11-12 საუკუნეებში ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლები ერთ-ერთი ოფიციალური სახის სკოლები იყო. ასევე ამ დროისათვის გავრცელებული ყოფილა ტრადიციული კერძო სახის საშინაო სწავლებაც.

ადრეული ხანის დიდ მონასტრებთან (ოშკი, ოპიზა, შატბერდი, ხანძთა, ბერთა, ოთხთა ეკლესია) არსებობდა ფართო მოცულობის მქონე შენობები. აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის დაკვირვებით ეს შენობები მონასტრებთან არსებული სემინარებისათვის იყო განკუთვნილი.

ოშკის მონასტრის კომპლექსში ძირითადი ტაძრის ჩრდილოეთით მდგარი ასეთი შენობა ოთხკუთხა დარბაზია, ასევე იყო ოთხთა ეკლესიის სემინარიაში და სხვა. სემინარიის შენობები აღნიშნულ მონასტრებთან ცალკე დგას ისევე, როგორც გელათისა და იყალთოს აკადემიის შენობები.

ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ მე-11 საუკუნის საქართველოში სწავლება ჯგუფური, საკლასო სისტემით მიმდინარეობდა, სადაც მოსწავლეები ასაკობრივი პრინციპის მიხედვით იყვნენ დაყოფილი, ამის დამადასტურებელია გიორგი მცირეს ცნობა, რომ საქართველოს ქალაქად თუ სოფლად მასწავლებლები ათ, თხუთმეტ ან ოც მოსწავლეს ერთად ასწავლიან.

სკოლებში იმავე საგნების სწავლება ხდებოდა, რაც ადრეფეოდალური ხანის საქართველოში იყო გათვალისწინებული (თეოლოგია-ფილოსოფია, ჰიმნოგრაფია, ლიტურგიკა-ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში, ქართული მწიგნობრობა და უცხო ენა). რაც შეეხება სასწავლო სახელმძღვანელოებს, თეოლოგიის საფუძვლები ისწავლებოდა ბერძნულიდან გადმოღებული კატეხიზმოთი, რომელიც შეიცავდა ისტორიულ ელემენტებს, ქრისტიანული რელიგიის გავრცელებას, საეკლესიო კრებების შინაარსს, ამ კრებათა მოწვევის ადგლსა და მეფეთა მოღვაწეობის დროს.

ფილოსოფიურ-თეოლოგიური ცოდნის მისაღებად უმეტესად ბერძნულიდან თარგმნილ წიგნებს იყენებდნენ. თუ მე-11 საუკუნემდე ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო იოანე დამასკელის ფილოსოფიური თხზულებები, მე-11 საუკუნიდან იოანე პეტრიწი თარგმნის ფილოსოფიურ თხზულებებს და ნემესიოს-ემესელის, პროკლე დიადოხოსის, არისტოტელეს შრომებს და თავისი ცნობილი კომენტარებით გელათის უმაღლესი სასწავლებლისათვის ქართულ სახელმძღვანელო ფილოსოფიურ თხზულებებს ქმნის.

მე-11 საუკუნიდან, როცა საისტორიო ნაწარმოებები შეიქმნა და საფუძველი ჩაეყარა "ქართლის ცხოვრების" (საქართველოს ისტორიის) შედგენას, ისტორია სასწავლო პროგრამებში შევიდა, როგორც დამოუკიდებელი, ცალკე საგანი.

ვინაიდან მე-5 საუკუნიდან მე-12 საუკუნემდე საქართველოში უმაღლესი განათლების ცენტრი არ არსებობდა, სწავლის გაგრძელების მსურველი დიდგვაროვნები უკვე მე-11 საუკუნიდან ბიზანტიაში მიემგზავრებოდნენ, სადაც უმაღლეს განათლებას მანგანის აკადემიაში ღებულობდნენ, რომელიც კონსტანტინე მონომახმა 1045 წელს დააარსა კონსტანტინეპოლში და რომელიც მოწინავე მსოფლიოს უმაღლესი განათლების კერად იქცა. აკადემიაში სწავლობდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩასული ახალგაზრდები, რომელთა შორის ქართველებიც იყვნენ. მაგალითად, ცნობილი ქართველი ფილოსოფოსები იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, იეზიკიელი, იოანე ტარიჭისძე და სხვები.

საქართველოს გაერთიანებისა და ერთ მთლიან სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბების შემდეგ უმაღლესი სასწავლებლის საჭიროება განსაკუთრებით საგრძნობი გახდა და მე-12 საუკუნის დასაწყისში, 1106 წელს, მეფე დავით აღმაშენებლის ინიციატივითა და ხელშეწყობით გელათის აკადემია დაარსდა. მემატიანეს გადმოცემით, დავითს გელათში სამოღვაწეოდ მოუწვევია, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ მყოფი ღირსეული სწავლული ხალხი. მათ შორის იყო პეტრიწონის ქართველთა მონასტრის სემინარიაში მოღვაწე ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწიც.

გელათის აკადემია აშენდა საყრდენად ქართველი ერის ქრისტიანულ-რელიგიური და სახელმწიფოებრივი არსებობისა, ამიტომ იყო, რომ ქართული აღორძინების ხანის პოეტებმა და მემატიანეებმა სწორედ გელათი დასახეს "სხვად ათინად" და "სხვად იერუსალიმად". ეს იმას ნიშნავდა, რომ გელათი უნდა გაბრწყინებულიყო ტაძრად ქართული აზროვნებისა და ქართული სარწმუნოებისა, ათენისა და იერუსალიმის სიმაღლეზე.

გელათში შეიქმნა არა მხოლოდ თარგმანი და განმარტებანი პროკლეს "თეოლოგიის საფუძვლებისა", არამედ თარგმანები ქრისტიანული ეკლესიის იურიდიული საფუძვლებისა, თარგმანები საეკლესიო კანონსამართლისა, არსენ იყალთოელის მიერ, რომელსაც ეწოდა "დიდი სჯულის კანონი".

გელათის აკადემიის სპეციალური თანამდებობის პირი ხელმძღვანელობდა, რომელიც "მოძღვართ მოძღვარის" ტიტულს ატარებდა. აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილ და გამოცემულ "ხელმწიფის კარის გარიგების" წინასიტყვაობაში "მოძღვართ-მოძღვარი" მეტად პატვცემული, განათლებული პირია, რომელიც მასწავლებელთა მასწავლებლის შინაარსითაა მოხსენიებული და გელათში იმყოფება, როგორც იქ არსებული აკადემიის რექტორი. "კარის გარიგების" მიხედვით "მოძღვართ მოძღვარი" სასულიერო და დიდხარისხოვან მონაზონთა შორის ყველგან პირველი იხსენება (მაგალითად, "მოძღვართ-მოძღვარი", ჭყონდიდელი და კათალიკოზნი ქართლისა და აბხაზეთისა").

არის ცნობა იმის შესახებ, რომ უმაღლესი სასწავლებელი არსებობდა იყალთოში აკადემიის სახით, რომელსაც არსენ იყალთოელი ხელმძღვანელობდა. ამაზე მეტყველებს ხუროთმოძღვრული შენობის ნაშთები, რომელიც საერო დანიშნულების ნაგებობას უფრო წააგავს, ვიდრე სამონასტროს. მკვლევარები აღიარებენ იყალთოსა და გელათის აკადემიების შენობათა მსგავსებას, მიუხედავად იმისა, რომ გელათისაგან განსხვავებით იყალთოს აკადემიის შენობა ორსართულიანია.

გელათის აკადემიის სასწავლო პროგრამას საფუძვლად უნდა დასდებოდა ის სამეცნიერო დისციპლინები, რომლებზეც იოანე პეტრიწი მსჯელობდა, და რომელთა მიხედვითაც იმხანად ასწავლიდნენ ბიზანტიის უმაღლეს სასწავლებელში. ეს სამეცნიერო დისციპლინები ე.წ. ტრივიუმ-ქუადრივიუმ-ის ციკლი. პეტრიწი ჯერ ტრივიუმ-ში შემავალ დისციპლინებზე – გეომეტრიაზე, არითმეტიკაზე და მუსიკაზე მსჯელობს, რომლებიც საღვთისმეტყველო განათლების პირველ ციკლად აქვს წარმოდგენილი. მეორე ციკლის დისციპლინებია: ფილოსოფია, რომელსაც სამგვარი სახე აქვს – პრაქტიკული (საქმითი), თეორიული (მხედველობითი) და დიალექტიკური (განმსიტყველობითია) რიტორიკა, რომელიც სამად იყოფა. სათათბირო, ანუ ბჭობისათვის გამოსაყენებელი რიტორიკა, საპაექრო, რომელსაც ძველ საბერძნეთში და საქართველოში პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა და დღესასწაულებზე გამოსაყენებელი რიტორიკა. ამავე ციკლში შედიოდა – გრამატიკა და ასტრონომია.

გარდა ამ დისციპლინებისა გელათის აკადემიაში, როგორც ჩანს, მედიცინაც ისწავლებოდა. პროფესორ მიხეილ შენგელიას დაკვირვებით მე-13 საუკუნის დასაწყისში თარგმნილია სამედიცინო ხასიათის „წიგნი სააქიმო „ სწორედ

სასწავლო დანიშნულების სახელმძღვანელო ნაშრომი უნდა ყოფილიყო, რომელიც ქართულ უმაღლეს სასწავლებელში, კერძოდ, გელათში მედიცინის საგნის სწავლებასთან დაკავშირებით იხმარებოდა.

ქართულ ექსტრატერიტორიალურ დასახლებათა შორის ცნობა ერთადერთი სასწავლებლის არსებობის შესახებ მხოლოდ პეტრიწონის მონასტერთან გვხვდება. ეს სასწავლებელი პეტრიწონის მონასტრისათვის მღვდლებს ამზადებდა, სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, რადგან ტიპიკონი აღნიშნულ მონასტერში მხოლოდ ქართული წერა-კითხვის მცოდნე ბერების ყოფნას ითვალისწინებდა.

დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა განამტკიცა ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, აამაღლა მისი კულტურის დონე. სახელოვანი მეფის საგანმანათლებლო მუშაობამ შეაკავშირა ერთმანეთს ქართველი სწავლულები, ააღორძინა იყალთოსა და გელათის აკადემიები, დაიწყო ინტენსიური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. ქართული რენესანსის ეპოქის წყაროებში ფართოდ არის გამოყენებული ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური ქვეყნების მოაზროვნეების – სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს და სხვათა პროგრესული ფილოსოფიურ-პოლიტიკური მოძღვრებები, რამაც ასახვა ჰპოვა რუსთაველის, შავთელის, ჩახრუხაძის, პეტრიწის, ქართველი ისტორიკოსების ნაწარმობებში, რომელთა წარმოშობა შემზადებული იყო მრავალსაუკუნოვანი კულტურით. ამის ნათელი დადასტურებაა შოთა რუსთაველი თავისი უკვდავი „ვეფხისტყაოსნით".

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამსახურდია ს. „სწავლა-განათლება ძველ საქართველოში". თბილისი, 1975;
2. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში მასალების კრებული. ტომი I. თბილისი, 1937;
3. ასათიანი ა. ნარკვევები „ქრისტიანობის პედაგოგიკის ისტორიიდან". ტომი I. თბილისი, 2007;
4. ლობჟანიძე გ. ნარკვევები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან. ტომი I. თბილისი, 1998;
5. სუმბაძე დ. „დედა უფლისათვის ანუ გელათის აკადემია და ბერძნული ფილოსოფიის დასასრული". თბილისი, 1997;

6. ჯავახიშვილი ივ. „ქართველი ერის ისტორია“. ტომი IV. თბილისი, 1967;
7. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, “დაბრუნება” ექვთიმე თაყაიშვილი. ტომი I, თბილისი, 1991.

Resume

Mariam Geliashvili
Maia Geliashvili
Historical roots of education in Georgia

The Georgian erudites brought up on rich traditions of Kolkhetian Academy, have played the leading role in spreading educational ideas in antique and other periods in Georgia. This fact resulted in the strong humanistic movement. Rich soil for the Georgian Renaissance and its ideology has been prepared, which has been based on rich materialistic and spiritual leadership.

Since the ancient times, when there were no educational centers, the educational system has been based on a family, private education, but after announcing Christianity as State religion, teaching was carried out at schools at churches and monasteries, where the Georgian pedagogic thought has been evolved, which is the main condition for materialistic and spiritual development.

Резюме

Мариам Гелиашвили
Майя Гелиашвили
Исторические корни образования в Грузии

Грузинские учёные, воспитанные в богатых традициях Колхетинской Академии, сыграли большую роль в деле основания и распространения просветительной мысли античного и последующего периода. С их помощью в Грузии началось сильное гуманистическое движение. Была подготовлена почва для грузинского Ренессанса и его идеологии,

которая основывалась на материальных и духовных предпосылках единой Грузии.

С древних времён, когда в Грузии еще не существовало образовательных очагов, вся система образования опиралась на частную и семейную учебу, но после того, как государственной религией была объявлена христианская религия, учёба велась в школах и семинариях при монастырях и церквях, где была заложена основа грузинской педагогической мысли и учебно-просветительной работы, что представляло главную задачу в развитии материальной и духовной силы в стране.

დაჩი თაქთაქიშვილი

ხმამაღალი ფიქრები დედა-შვილობის ფენომენზე

„დედას ვუყვარვართ შვილები,
დედა არ გვახსოვს შვილებსა,
მიტომაც წუთისოფელი
სულ მუდამ გვაცოდვილებსა“
ხალხური

ქართველი კაცის ეს ბრძნული ამონათქვამი ამოატივტივა ჩემს გონებაში დედა-შვილობის მარადიულმა პრობლემამ და გადავწყვიტე, ეს სტროფი ეპიგრაფად წამემძღვარებინა ჩემი სათქმელისათვის დედა-შვილობის ფენომენზე.

ანტუან დე სენტ ეგზიუპერის თქმისა არ იყოს, ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ! ჰოდა, მახსენდება სკოლის წლები, როდესაც ყველაზე ბეჯითი მოსწავლეებიც კი სკრუპულოზურად გადმოსცემდნენ საკონტროლო წერის დროს ჯერ ნაწარმოების შინაარსს, ხოლო შემდეგ გარჩევის წიგნებიდან ამოკრებილ კრიტიკოსთა აზრებს. დღეს, ალბათ, სრულწლოვანმა ადამიანმა თვითდამკვიდრება საკუთარი (თუნდაც მცდარი!) და არა სხვათა აზრით უნდა მოახერხოს. ამიტომაც შევეცდები, ამ პრობლემაზე საკუთარი თვალსაწიერიდან გავმართო თქვენთან ბჭობა და ჩემებური ხედვა შემოგთავაზოთ! შეცდომებისგან არ ვარ დაზღვეული, მაგრამ მე ხომ ხელოვნების სამსახური ავირჩიე და, როგორც პიანისტს, შემოქმედს, უფლება არ მაქვს ეპიგონობის. მე ჩემი ბგერა უნდა აღმოვაჩინო, ჩემ სათქმელს მივაგნო და გითხრათ! ვნახოთ, რა გამომივა.

ნებისმიერ ქართველს არაერთხელ აქვს წაკითხული როგორც დიდი ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“, ასევე უბრწყინვალესი ქართველი ნოველისტის – ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი“. ბევრიც დაუწერიათ ამ ორ ტრაგიკულ დედაზე, - ლორთქიფანიძესთან შვილებს შორის სიარულით გამცვდარ, სწორი გზის ძიებაში ჩაფერფლილ ქვრივ ქალზე, ილიასთან კი რკინის ნებისყოფის მქონე, შეუდრეკელ ოთარაანთ ქვრივზე, რომელიც მხოლოდ შვილის ტრაგედიას შეეძლო გაეტეხა და მისივე საფლავზე აღესრულებინა.

იმის მიუხედავად, რომ თავსაფრიანი დედაკაცი შვილების უმადურობამ სამუდამოდ გადაკარგა უგზო-უკვლოდ ოჯახიდან, მას არ დავიწყებია ზრუნვა იმისათვის, რომ მისი შვილების ღირსება არ შელახულიყო, სახელი არ გაეტეხა მათთვის, ხალხში არ შეერცხვინა და უკანასკნელ წერილში მათდამი, პირველად იცრუა თავის სიცოცხლეში: „საყვარელო შვილებო! ნუ მიწყენთ, სალოცავად წავედი, ნუ მეძებთ... შვილიშვილები დამიკოცნეთ. ჩემზე ნუ სწუხართ, მშვიდობით სამუდამოდ!“...

ნიკო ლორთქიფანიძემ ამ შვიდგვერდიან ნოველაში იმგვარი საოცარი სისრულით დაინახა და გვიჩვენა ერთი თავსაფრიანი დედაკაცის სულიერი სამყარო, რომ ამ გმირის

სახეში გამოხატა თავისი ხალხის მრავალი უმაღლესი და უწმინდესი ღირსება.

ნაწარმოების ეპიგრაფში ავტორი შენიშნავს, რომ წერს „შემთხვევით შეხვედრილის ამბავს“. ნუ დამიწუნებთო, - მოგვმართავს მკითხველებს, - არ შემიძლია გრძნობა-გონება დიდ პიროვნებაზე შევაჩეროო... „ისინი აშლიან სულისშემხუთავ სურათებს... შემდეგ, ოდესმე, მათ აღმოუჩნდებათ მოციქული ვინმე მარკოზი ან იოანე“ (ნ. ლორთქიფანიძე, რჩეული თხზულებანი, ტ. II. გვ. 116).

მე ვწერ თავსაფრიან დედაკაცზეო.

დამთავრებით კი ეს ნოველა ულმობელი ჭეშმარიტებით მთავრდება - „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“...

რაც შეეხება „რკინის ქალამნებიან“ ოთარაანთ ქვრივს, მე მაინც ვფიქრობ, რომ აქ არა იმდენად „საჯანაბო ქისაზე“, ან „ჩატეხილი ხიდის“ პრობლემაზე მსჯელობაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც მარადიულ დილემაზე თაობებს შორის, - მამებისა და შვილების, ანუ ამ შემთხვევაში, დედა-შვილობის მარადიულ პრობლემაზე. ვიდრე ამ უკანასკნელ პრობლემას ჩავუღრმავდები, მინდა გავიხსენო ის, რაც ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს სკოლიდანვე, - უმძაფრესი კამათი და წინააღმდეგობა თერგდალეულებსა (ანუ მე-19 საუკუნის 60-იანელებსა) და მათ წინამორბედ მამულიშვილთა შორის, რაც ზოგჯერ ერთმანეთის შეურაცხმყოფელი და მიუტევებელი ცინიზმითაც იყო გამოხატული. გავიხსენოთ გრიგოლ ორბელიანის სიტყვები ილია ჭავჭავაძის მიმართ: „ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალი“... და არანაკლებ მძაფრი პასუხი ილიას მხრიდან:

„ვინა ყრიხართო,
ვირები ხართო, -
მაგ თქვენს ზრდილობას
ვით ეკადრება?
მაგრამ შოთამ სთქვა, -
რაც კოკაში სდგას,
იგივე, თურმე
წარმოსდინდება!“

(ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, I ტ. თბ. 1977, გვ. 97)

მამათა და შვილთა თაობებს შორის ამგვარი დაპირისპირების საფუძველი არა რაღაც ყოფითის თვითმიზნური და ახირებული აკვიატება გახლდათ, არამედ უწმინდესი, საკრალური რამ ორივე თაობისათვის, -

ღვთაებრივი საწყისის მქონე ფენომენი – ქართული სიტყვა, რაც უმდიდრესი ქართული ენის შემადგენელი ნაწილია.

„ენა მდიდარი,
თქვენს ხელში მკვდარი,
ჩვენ მიგვიღია გასაცოცხლებლად,
და ამასაც თქვენ
ცოდვად გვითვლით ჩვენ,
რაღა პირითა დახვალთ ამ ქვეყნად“... (იქვე)

ილია გახლდათ სწორედ შემოქმედი ახალი ქართული სალიტერატურო ენისა. მან მოახდინა მშობლიური ენის კულტივირება, ანუ ქართლ-კახურ დიალექტზე დაყრდნობით, თანამედროვე მოთხოვნათა საფუძველზე ენის დახვეწა და გამორანდვა, მოძველებული არქაიზმებისა და არაქართული (კერძოდ, რუსული) ტერმინებისაგან გათავისუფლება, რაც ადვილად არ ეთმობოდა წინა თაობას.

თაობებს შორის ასეთი დაპირისპირება არა მხოლოდ ქართულ კულტურაში გვხვდება, არამედ ცივილიზებული მსოფლიოს ნებისმიერი კულტურის მახასიათებელია, ანუ (გავბედავ და ვიტყვი!) კანონზომიერებაა.

გავიხსენოთ მსოფლიოში სახელგანთქმული ორი გენიალური კომპოზიტორის – ფერენც ლისტისა და რიჰარდ ვაგნერის პროფესიული უთანხმოებანი, რომლებიც ერთმანეთს სიძე-სიმამრად მოხვდებოდნენ.

ვაგნერი: „რარიგ არ მიყვარს მუსიკათმცოდნეობრივი პედანტიზმი. მე პირადად არც ერთი „კლასიკური და კორექტული“ მონოგრაფია არ დამიწერია, რადგანაც მწამდა, რომ ამგვარი ქირურგიული გაკვეთით – როგორც ჩემი მეგობარი და სიმამრი ლისტი ამბობდა, - უფრო კლავენ კომპოზიტორის პიროვნებას, ვიდრე მთელი თავისი სულიერი სამყაროთი წარმოაჩენენ“ (ჯორჯე ბელანი, „მე, რიჰარდ ვაგნერი“, თბ. 1974, გვ. 14). აი, სწორედ ამ „მეგობართან და სიმამრთან“ ჰქონია ვაგნერს პრინციპული კამათი და წინააღმდეგობა წმინდა პროფესიული თვალსაზრისით, რასაც მოგვიანებით ამგვარი წრფელი აღიარებით მოინანიებს: „ლისტი გახლდათ იმ დროის ერთადერთი დიდი მუსიკოსი, ვინც სავსებით ჩასწვდა ჩემს მისწრაფებას და არათუ შურის რაიმე ნატამალი გამოუმჟღავნებია, პირიქით, იბრძოდა ჩემი ნაწარმოებების გასავრცელებლად. რარიგ უმართებულოდ მოვიქეცი რამდენიმე წლის წინათ პარიზში, როცა ავჩქარდი და ბრალი დავდე ლისტს, არ კი ვიცოდი, რომ მის სულში სასტიკად ებრძოდა ერთმანეთს მსმენელის მიერ დამონებული

შემსრულებელი და მუსიკის განახლებისათვის მოწადინებული გამჭრიახი კომპოზიტორი“ (იქვე, გვ. 88).

ჩემთვის საინტერესო პრობლემასთან დაკავშირებით, ერთი შესანიშნავი ფილმიც მინდა გავიხსენო. ეს გახლავთ „უკვდავი სატრფო“, რომელიც ეძღვნება ბეთჰოვენის ცხოვრებასა და შემოქმედებას, სადაც ბეთჰოვენს გამორჩეული მსახიობი გარი ოლდმენი განასახიერებს. საყურადღებოა ის ეპიზოდი, გენიალურ ბეთჰოვენს მისი შთამომავალი რომ დასცინის: „ეს ბიძაჩემი სულ გამოჩერჩეტდა, დადის და გაიძახის: ლაა-ლალა ლალა-ლალა, ლაა-ლალა, ლა-ლა-ლა“. აი, სწორედ ეს - უმცროსი ბეთჰოვენის მიერ გაქილიკებული მელოდია გახლავთ „გამოჩერჩეტებული ბიძამისის“, დიადი ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიის ფინალის თემა - „ოდა სიხარულისადმი“, რასაც გენიალური, უკვე დაყრუებული კომპოზიტორი იმჟამად ქმნიდა და მუსიკოსად შეუმდგარი შთამომავლის გასაგონად წაიღიღინებდა ხოლმე.

მაგრამ მივუბრუნდები ისევ ჩემს მთავარ სათქმელს, ოთარაანთ ქვრივს, მისგან მიმავალი ერთადერთი შვილის შემყურეს, მის გაუსაძლისი კაეშნით სავსე სიტყვებს: „ჩემგან მიდის, თითქო ძაფიც არ იჭერს; სხვაგან მიდის, თითქო თოკით ეწევიანო“... (ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, ტ. I, თბ. 1977, გვ. 502).

ეს – გაუცხოებაა! შვილი დედისათვის სხვა „მე“-ა, მაგრამ დედაც არის და დედაც! ზოგი დედა სულგრძელად ეგუება შვილის „გაუცხოებას“, ანუ დედისგან განსხვავებულ პიროვნებად ჩამოყალიბებას; ზოგს კი სურს, სიცოცხლის ბოლომდე თვითონ იყოს ზრდადასრულებული შვილის მეურვე. ეს ცუდია არა მხოლოდ შვილისთვის, არამედ დედისთვისაც, რომელიც შვილს პიროვნებად კი არა, - მონად, ან უკეთეს შემთხვევაში, ქვეშევრდომად აყალიბებს...

ოთარაანთ ქვრივი უმძიმესი სულიერი ტკივილისა და ავისმომასწავებელი უტყუარი დედური ინტუიციის მიუხედავად, საკუთარ თავს გადააბიჯებს და შვილის ტკივილის გათავისებას ცდილობს, მაგრამ... ბედისწერის წინაშე დედა-შვილი უძლურია.

მიქელანჯელო ბუონაროტიმ და რაფაელ სანტიმ სიქსტინის კაპელა რომ მოხატეს, რაფაელმა საოცრება აჩუქა კაცობრიობას „სიქსტინის მადონას“ სახით. ღვთისმშობელს შვილი მიჰყავს კაცობრიობის სამსხვერპლოზე, მაგრამ იესოს დედას შეგნებული აქვს ამ მსხვერპლის აუცილებლობა, რათა არ მოისრას ადამიანთა მოდგმა, რომელთა ცოდვებიც სწორედ

ქრისტემ უნდა გამოისყიდოს თავისი სისხლითა და ეკლიანი გვირგვინით.

„...დაადგეს ეკლის გვირგვინი, გოლგოთას მიიწვიესო;

შესამოსელი გახადეს, ქლამინდი მოახვიესო...

ქმნა სულგრძელობა მათზედა და დასთმო მან ჩვენთვი ესო,

დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!...

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!...

დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!“

(დავით გურამიშვილი, - „ჯვარცმის ამბავი“, დავითიანი, თბილისი, 1955, გვ. 39).

ქართველ დედასაც ჰქონდა შვილის გაწირვით სიამაყის უფლება, რადგან ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანასა და მიწას ეწირებოდნენ ზვარაკად შვილები, იქნებოდა ეს 9 ძმა ხერხეულიძე, თუ 300 არაგველი, სახელოვანი ყრმანი თუ „უსახელო უფლისციხელები“... ეს ვაჟკაცები ქართველ დედათა შვილები კი იყვნენ, მაგრამ არა „დედიკოს ბიჭები“, არამედ არწივები – შიშის ზარს რომ სცემდნენ მტერს თავიანთი კამარით ქართულ ცაზე.

დედას შვილი აცოცხლებს და შვილი კლავს!... ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ მტრად თუ მოეკიდა, გადამთიელი პირსისხლიანი მტერიც ვერ მიაყენებს დედას ისეთ ღრმა ჭრილობას, როგორსაც საკუთარი შვილი. ეს ჭრილობა შეუხორცებელია, ეს ღვთის რისხვაა!

სოკრატემ „მაიევტიკის თეორია“ შექმნა თავისი ფილოსოფიით. „მაიევტიკა“ ბებიაქალობას ნიშნავს. სოკრატე თვლიდა, რომ აგრძელებდა თავისი დედის, ბებიაქალის – ფაინარეტეს პროფესიულ საქმიანობას ზნეობრივ სფეროში. უცნაურია, მაგრამ სოკრატემ ეს პროფესია მოაზროვნე მამაკაცისთვის მისაღებად მიიჩნია, რადგან თვლიდა, რომ სხვას ცოდნის დაბადებაში უნდა დახმარებოდა. ეს იყო მოაზროვნე, რომელმაც დელფოსის ფრონტონზე წარწერით - „შეიცან თავი შენი“, მოუწოდა ადამიანებს ცოდნის დაუფლებისკენ, ცოდნის შესახებ ცოდნის მიღებისაკენ.

საკუთარი თავის შეცნობა კი პირველწყაროს – გამჩენისა და დამბადებლის – დედის მოაზრებით იწყება, მაგრამ თუ შვილი აქ შეჩერდება და თუ განვითარების აუცილებლობას ვერ აცნობიერებს, მაშინ ეს კრახია, ფიასკოა!

როცა მე, 3 წლის ბავშვმა, დედის ხვევნა-კოცნისაგან თურმე თავი გავითავისუფლე და მის ალერსიან სიტყვებს: „ჩემი ლამაზი, ჩემი კარგი ბიჭი“, ასე უხეშად გავეცი პასუხი: „შენ შენი ხარ და მე ჩემი-მეთქი“, - დედა ალბათ უნდა

გამწყრომოდა, მაგრამ დღეს როგორ მიხარია, რომ არც გამიწყრა, მაგრამ ხშირად აღარც მანებივრებდა თავისი მოფერებით.

მან მე, 3 წლისას ნება დამრთო უკვე „პიროვნება“ ვყოფილიყავი. ამით მე, პაწაწინა ბიჭუნას გასაოცარი გრძნობა გამიჩნდა დედის დაცვის, გაფრთხილებისა და პატრონობის.

მე დედა-შვილობის ასეთი ფენომენი მომწონს და ისეთი დედები, რომელთაც შეუძლიათ სამყაროს შვილის თვალებით შეხედონ.

ოთარაანთ ქვრივი შეეცადა შვილის სულისკვეთებას ჩასწვდომოდა, მაგრამ სწორედ შვილის საბედისწერო შეცდომამ შეიწირა ორთავე.

ღმერთმა დაგვიფაროს „თავსაფრიან დედაკაცში“ მოცემული ანტიღირებულებითი შვილობის ფენომენთან იდენტიფიკაციისგან! ადამიანის ყველაზე საძრახი თვისება უმადურობაა, მითუმეტეს, როცა „უძღები შვილი“ ამ კონტრთვისებას დედის წინააღმდეგ ავლენს...

დედა-შვილობა კი ისეთი წმინდა რამაა და ისეთი გამჭვირვალე, როგორც ცრემლი და მას მსახვრალი ხელით არ უნდა შევეხოთ, თორემ „წუთისოფელი სულ მუდამ გვაცოდვილებსა“...

მე ასე მჯერა!

გამოყენებული ლიიტერატურა:

1. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, ტ. I, თბილისი, 1977;
2. ნიკო ლორთქიფანიძე, რჩეული თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 1953;
3. ჯორჯე ბელანი, მე, რიჰარდ ვაგნერი, თბ. 1974;
4. სერგი დანელია, ნარკვევები ანტიკური და ახალი ფილოსოფიის ისტორიაში, თბილისი, 1978, გამომც. თსუ
5. მოსე გოგიბერიძე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, III, ფილოსოფიის ისტორია, თბილისი, 1972, გამომც. თსუ
6. პლატონი, დიდ ჰიპია, მენონი, იონი, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის, თბ. 1975
7. Швеицер А. «Культура и этика», Москва, 1973
8. Ф. Ницше, З. Фрейд, Э. Фромм, А. Камю, Ж.П. Сартр, Сумерки богов, изд. Политической литературы, М. 1990

Summary

Dachi Taktakishvili
Highbrow Speculation on Mother-and-children Relationship

This paper deals with the author's view on the phenomenon of mother-and children relationship. It implies old but permanently actual problem of generation gap. It leads to the problem of uprising the adolescent.

The above mentioned problem is viewed from the example based on Georgian classical art, as well as world culture.

Резюме

Дачи Тактакишвили
Гласные раздумья о родительском феномене

В статье предлагается точка зрения автора на проблему родительского (материнского) феномена, что подразумевает древнюю, однако вечно актуальную проблему взаимоотношения между поколениями, которая ведет нас к новой проблеме формирования и становления подростка как «личности».

Названные проблемы автором рассмотрены на примерах как грузинского классического искусства, так и мировой культуры.

გვანცა გოგიშვილი

ორატორული ხელოვნების სათავეებთან

რიტორიკა, ანუ მჭერმეტყველების თეორია, არის მოძღვრება საჯარო გამოსვლების, ორატორული ხელოვნების წესებისა და კანონების შესახებ.

ორატორული ხელოვნების ისტორია ანტიკური საბერძნეთიდან იწყება. იმისათვის, რომ შევაფასოთ ანტიკურ ხანაში ორატორული სიტყვის განსაკუთრებული მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ, რომ

საბერძნეთისა და რომის კულტურა იყო უფრო ზეპირი ხასიათის, წიგნები იყო ცოტა და ისიც ხელნაწერი. ადამიანები ინახავდნენ საყვარელ თხზულებებს არა თაროებზე, არამედ გონებაში. ისტორიული თხზულებანი, ფილოსოფიური ტრაქტატები, სამეცნიერო კვლევებიც კი იწერებოდა ხმამაღალი კითხვისათვის. ამიტომ რთული გასაგები არაა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანტიკური ლიტერატურის მხატვრული სტილის განვითარებისათვის მჭერმეტყველებას – ჟანრს, სადაც ხმამაღალი სიტყვა მეფობდა ყველაფერზე. მჭერმეტყველება ნიჭია, იმის ნიჭი, რომ სიტყვით გამოიწვიო მსმენელებში სასურველი განწყობილება ან რწმენა, შეაგულიანო ისინი მიიღონ ესა თუ ის გადაწყვეტილება, ზეგავლენა მოახდინო მსმენელთა გონებაზე, გრძნობასა და ნებისყოფაზე.

“მჭერმეტყველება ხელოვნებაა: იმნაირი მეტყველების ხელოვნება, რომ მსმენელი არამარტო ძალდაუტანებლად, არამედ სიამოვნებითაც გვისმენენ და ცდილობენ უფრო ღრმად ჩასწვდნენ სიტყვის შინაარს”- წერდა პასკალი. (5)

ორატორია მჭერმეტყველი ოსტატი, რომელიც ლოგიკურად, მახვილგონივრულად, შინაარსიანად აგებულ სიტყვას მაღალი ხელოვნებით წარმოთქვამს სადმე საჯაროდ. ორატორის მოვალეობაა დაიცვას საზოგადოებრივი ინტერესები, ხალხი და სამართალი.

ორატორები ჩვეულებრივ არც ხატავენ და არც წერენ, მაგრამ თავისებურად მხატვრებიც არიან და მწერლებიც, აზრთა მბყრობელნიც და მესიტყვეებიც. იშვიათად, თუ ვინმეს გააჩნია მათებრ ადამიანთა ემოციების აღძვრის , დარწმუნების, აღელვების, გაძღოლის უნარი.

ორატორი არ უნდა იმეორებდეს თავის თავს და არც სხვას. ცოცხლად და გაბედულად უნდა გადაეშვას აზრით დატვირთულ სიტყვის ზღვაში, მახვილგონიერებითა და პოლემიკური თუ ლოგიკური შეუპოვრობით მიაღწიოს მსმენლის გულამდე, სადაც ნახავს საიმედო ყურეს, პაუზებსაც აპატიებენ და მცირე შეცდომებსაც.

კარგია არა ის ორატორი, რომლის სიტყვამაც თვით ორატორზე გამოიწვია ლაპარაკი, არამედ ის ორატორი, ის სიტყვა, რომელმაც ჩააფიქრა მსენელი იმ საკითხებზე, რასაც ორატორი შეეხო თავის სიტყვაში.

ორატორი მსახიობი – ცუდი ორატორია. ორატორი უნდა იყოს არა ოინბაზი, არა კლოუნი, არა მხიარული მომთხრობი, არამედ ტრიბუნი, რომელსაც მასა უსმენს და მის ნათქვამს გულწრფელად ითვისებს. მისი მოვალეობაა

ფაქტების გადმოცემა ობიექტურად, მიუდგომლად, ყოველგვარი გაზვიადების ან შემცირების გარეშე.

ძველი წელთაღრიცხვის V-IV ს-ში ათენში შექმნილი პირობები ორატორული ხელოვნების განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელი აღმოჩნდა. კერძოდ, მჭერმეტყველების განვითარებას ხელს უწყობდა ათენის ქალაქ-სახელმწიფოს დემოკრატიული სისტემა, მოქალაქეს შეეძლო მონაწილეობა მიეღო სახალხო კრებაში, რაც მას ავალებდა, შეიარაღებული ყოფილიყო მსმენელთა დასარწმუნებლად საჭირო ხერხებით. ათენური სასამართლოს წარმოების წესი მოქალაქეს ავალდებულებდა თვითონ ეწარმოებინა ძიება, დაცვა, საქმის აღძვრა, მოწმის მოწვევა. მომჩივანი და მოპასუხეც თვითონ უნდა გამოსულიყო სიტყვით, მოგვიანებით სასამართლოში წარმოსათქმელ სიტყვას გამოცდილ რიტორს აწერინებდნენ, რომელთაც "ლოგოგრაფოსებს" ეძახდნენ.

ორატორულ ხელოვნების განვითარებაში დიდია სოფისტების წვლილიც. მათი აზრით, ადამიანის ყველა წარმოდგენა შეფარდებითია. პროტაგორა ამბობდა: "ადამიანია ყოველი საგნის საზომი, არსებულთა, რამდენადაც ისინი არსებობენ და არარსებულთა, რამდენადაც ისინი არ არსებობენ"... (1) ამ მოძღვრებამ საგანგებო როლი მიანიჭა რიტორიკულ ხერხებს, რომელთა საშუალებით შეიძლებოდა დამაჯერებლად ლაპარაკი. სოფისტები ასწავლიდნენ თავიანთ მოწაფეებს, თუ როგორ დაესაბუთებინათ ყოველგვარი, თუნდაც მცდარი დებულება.

ორატორული ხელოვნების ანტიკური თეორიტიკოსები და თვითონ ორატორებიც მჭერმეტყველებაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ორ მხარეს: შინაარსს და ფორმას. მათი აზრით, ორატორული ხელოვნების არსებითი მხარეებია:

- ღირსშესანიშნავი შინაარსი
- კაზმული ფორმა
- დამარწმუნებელი აზრი
- გამომეტყველებითი შესრულება

ამათგან უმთავრესი მაინც შინაარსობრივი მხარეა. პლატონი კიცხავს ორატორული ხელოვნების იმგვარ გაგებას, რომლის მიხედვით მთავარია გარეგნული მხატვრულობა სიტყვისა, რომელიც არ პასუხობს საქმის არსს და მხედველობიდან გამორჩება მთავარი და არსებითი. ორატორი არ უნდა აღვიქვათ, როგორც მხოლოდ "ლამაზად და მიმზიდველად მოლაპარაკე ადამიანი.

გარეგნული სილამაზე, რომელიც ასე იტყვევებს ზოგიერთებს, თავისთავად არაფრის შემცველია". (1) ფუჭია მჭერმეტყველება, თუ ის ემსახურება მხოლოდ სიამოვნებას, გართობას. პლატონის აზრით, სიტყვის წარმოთქმის დროს ორატორმა უნდა გადასდოს მსმენელებს თავისი შინაგანი მღელვარება, უნდა წარსდგეს ხალხის წინაშე, ე.ი. მის სიტყვას უნდა ჰქონდეს საზოგადოებრივი, საჯარო ხასიათი, უნდა ჰქონდეს გარკვეული მიზანი, რომლისკენაც მიისწრაფვის თვითონ და რომლისკენაც უნდა, რომ წარმართოს მსმენელები. ორატორისთვის მთავარია, დაარწმუნოს აუდიტორია, განაწყოს ხალხი თავის სასარგებლოდ, დაანახოს ის, რასაც ვერ ხედავს საზოგადოება და ხედავს ორატორი.

განსაკუთრებულ ყურადღებას ორატორული ხელოვნების საკითხებს უთმობს არისტოტელე, რომელმაც ამ საკითხებს საგანგებო ტრაქტატი უძღვნა. მისი "რიტორიკა" ორატორული ხელოვნების თეორიული პრინციპების განმსაზღვრელი ნაშრომია, რომელშიც არისტოტელე იზიარებს რა წინამორბედ რიტორთა მოსაზრებებს, ხაზს უსვამს შინაარსობრივი მხარის მნიშვნელობას და, ამასთანავე, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ფორმასაც, კერძოდ სტილის საკითხს.

არისტორელე თავის "რიტორიკაში" ორატორულ სტილთან დაკავშირებით წერს: "არ არის საკმარისი იმის ცოდნა, რაც უნდა ითქვას, აუცილებელია აგრეთვე ისე ითქვას, როგორც საჭიროა"... (2)

ორატორის მეტყველება, არისტოტელეს აზრით, პათეტიკური უნდა იყოს: "მსმენელი მუდამ თანაუგრძნობს გრძნობით მეტყველ ორატორს, მაშინაც კი თუ ის არაფერს ამბობს მნიშვნელოვანს"... (2)

არისტოტელე ეხება ორატორული სიტყვის აგების კონკრეტულ ხერხებსაც. სიტყვა ისე უნდა აიგოს, რომ გათვალისწინებული იყოს მოულოდნელობის ეფექტი. მიმზიდველია როცა საქმე გვაქვს სიტყვის "მოულოდნელ მობრუნებასთან", მსმენლის ერთგვარ "მოტყუებასთან", როცა იგი ელის ერთს და ეუბნებით მეორეს. ამით იქმნება ეფექტურობა.

ძველი ორატორები მიუთითებენ ორატორის სამ მოვალეობაზე: ასწავლე, მოაწონე, ააღელვე. ორატორის მთავარი მოვალეობაა დამოძღვრა, შთაგონება, სწავლება. ამ მიზნის მისაღწევად არის სწორედ საჭირო მოწონება და აღელვება.

მიუხედავად იმისა, რომ ძველ რიტორთა მტკიცებით მთავარია შინაარსი, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ამ შინაარსის გადმოცემის ფორმას, გამომსახველობით საშუალებებს, კერძოდ იმას, თუ როგორ მიეწოდება მსმენელს ის სათქმელი, რაც, ორატორის აზრით, მნიშვნელოვანი და აუცილებელია. რა? და როგორ?–აი, ის ორი მხარე, რაც განსაზღვრავს ორატორული ხელოვნების არსს. რა–ესაა შინაარსი, აზრი, იდეა, სათქმელი, რომელშიც უნდა დაარწმუნოს ორატორმა მსმენელი. როგორ–ეს არის გამოხატვის საშუალება, ფორმა რითაც ორატორმა უნდა შეძლოს მიზნის მიღწევა. ე.ი. მან ისე უნდა ააგოს სიტყვა, რომ მოეწონოს მსმენელს, განაწყოს ის მისთვის სასურველი აზრის მისაღებად და მოძრაობაში მოიყვანოს იმ იდეის ხორცშესასხმელად, რომელსაც ქადაგებს. ამისთვის საჭიროა რამდენიმე პირობის დაცვა.

1. შეირჩეს სიტყვის თქმის დრო
2. შეირჩეს სიტყვის თქმის ადგილი
3. ორატორი უნდა იყოს ძლიერ აღელვებულ მდგომარეობაში, მაშინ ის თავისი საქმის შესახებ ვერ ილაპარაკებს დუნედ და მოსაწყენად. ის შთაგონებული უნდა იყოს, ე.ი. სიტყვა უნდა იყოს პათეტიკური. პათოსის გარეშე წარმოუდგენელია ორატორული მეტყველება.
4. ორატორის სტილი უნდა იყოს დახვეწილი, მკაფიო, ნათელი. როცა მეტყველება ბუნდოვანია, ის ვერ აღწევს მიზანს. სტილი უნდა შეესატყვისებოდეს საუბრის საგანს.
5. მსმენელზე ზემოქმედებისთვის ორატორმა უნდა გამოიყენოს ყველანაირი საშუალება: ჟესტი, მიმიკა, პაუზა, რეპლიკა, ხმის ქცევა და ა.შ.

ანტიკური საბერძნეთის გამოჩენილ ორატორთა რიგებში დგანან: გორგია ლეონტიელი, ლისია, ისოკრატე, დემოსთენე.

გორგია ლეონტიელი სიცილიელი ფილოსოფოსი იყო. იგი 429 წელს თანამოქალაქეებმა ათენში ელჩად გაგზავნეს, რომ სირაკუზის წინააღმდეგ ბრძოლაში მათთვის დახმარება ეთხოვა. სიცილიელი ელჩის სიტყვა საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე. გორგიას სიტყვის შინაარსზე მეტად მისი ფორმა აინტერესებდა.

მთავარი იყო მსმენლის დარწმუნება და არა ჭეშმარიტება. ათენში მან დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. გორგია მიბაძვის ობიექტი გახდა. იგი ათენში დარჩა და ახალგაზრდებს რიტორიკას ასწავლიდა. "ჭეშმარიტება არ არის არსად, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაარწმუნებ. დარწმუნების ხერხები უმთავრესია"– ამბობდა გორგია, (1) რასაც არ ეთანხმება პლატონი. მისი აზრით, ორატორი ჭეშმარიტების ცოდნით უნდა იყოს აღჭურვილი, იგი ფილოსოფოსიც უნდა იყოს.

ლისია მდიდარი სირაკუზელის შვილი იყო და მთელი ცხოვრება ცდილობდა, ათენის მოქალაქეობის უფლება მოეპოვებინა, მაგრამ ამაოდ. როცა ათენში დემოკრატია ოლიგარქიამ შეცვალა, ლისიას დევნა დაუწყეს, რადგან ის დემოკრატიის აღდგენისათვის მებრძოლთ ემხრობოდა, ამიტომ ლისია იძულებული გახდა, ათენიდან გაქცეულიყო. გაღარიბებულმა ლისიამ ხელი მოჰკიდა ლოგოგრაფოსობას. მან მოიგო სასამართლო თავისი ძმის მკვლელის წინააღმდეგ, რამაც სახელი გაუთქვა. ლისიას მიერ სხვებისთვის დაწერილი 425 სიტყვიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ 34-მა.

ისოკრატე მდიდარი ათონელი იყო, ფლეიტების ფაბრიკის მეპატრონის შვილი, გორგიას მოსწავლე და პირდაპირი მემკვიდრე სოფისტური საგანმანათლებლო სისტემისა. იგი ჯერ ლოგოგრაფოსობდა, შემდეგ კი რიტორიკის სკოლა გახსნა და საკუთარი პროგრამაც შეიმუშავა რიტორთა მოსამზადებლად: მისი სკოლა აძლევდა მოქალაქეებს არა ცოდნათა ჯამს, არამედ ცოდნის სარგებლობის ხელოვნებას, გასაღებს ადამიანური კულტურისას. ისოკრატე თავის თავს უწოდებდა ფილოსოფოსს, მაგრამ ეს სიტყვა მას ესმოდა სხვაგვარად, ვიდრე სოკრატეს და პლატონს. ამიტომ მოღვაწეობის ის გასაღები, რაც პლატონისთვის იყო ჭეშმარიტება, ისოკრატესათვის გახდა სიტყვა. მისი აზრით, მჭერმეტყველი ადამიანი თავის გამოსვლის ავტორიტეტს განამტკიცებდა პიროვნების ავტორიტეტით. როგორც ორატორი, ისოკრატე მაღალი სტილის შემქმნელი და პროზაული პერიოდის დამხვეწია. მან დაამკვიდრა ორატორულ სიტყვებში ბრძნული გამონათქვამების გამოყენება.

ძველი რომაელები ამტკიცებდნენ და სამართლიანადაც: პოეტებად იბადებიან, ორატორებად კი ხდებიანო. თუ სურვილი და უნარი გაქვს, სათანადო მუშაობის შედეგად

შეიძლება ორატორი გახდე, მაგრამ სურვილს სათანადო საფუძველი უნდა ჰქონდეს. განსაცვიფრებელ მაგალითს, თუ რა შეუძლია ადამიანის შრომას, დაჟინებასა და ხასიათს ორატორად გახდომის საქმეში, იძლევა დემოსთენე. უძლურმა, ენაჩლექიამ, სუსტხმიანმა მრავალი წარუმატებლობისა და დაცინვის შემდეგ, ხანგრძლივი ვარჯიშის გზით მაინც მიაღწია იმას, რომ გახდა ყველა დროის უდიდესი ორატორი.

დემოსთენე – სახელგანთქმული ბერძენი ორატორი და პოლიტიკური მოღვაწე იარაღის სახელოსნოს მდიდარი ოსტატის შვილი იყო, შვიდი წლისას დაობლდა. თავისი მოღვაწეობა დემოსთენემ ლოგოგრაფოსობით დაიწყო. სხვებისთვის წერდა წარმოსათქმელ სიტყვებს, ასწავლიდა რიტორიკას, მონაწილეობდა სასამართლო პროცესებში.

დემოსთენე თავის სიტყვაში "გვირგვინის შესახებ" ამბობს: "ღირებულებას წარმოადგენს ორატორის სიტყვა არა თავისთავად, და არც ჟღერა მისი ხმისა, არამედ ის, თუ რაოდენ იზიარებს იგი ხალხის გულისნადებს და რამდენად სძულს ან უყვარს ადამიანები ისევე, როგორც სამშობლო"... (6)

დემოსთენემ განსაკუთრებით გაითქვა სახელი ფილიპე II მაკედონელის აგრესიული ზრახვების სამხილებლად წარმოთქმული სიტყვებით, რომელსაც "ფილიპიკები" ეწოდა. პირველი "ფილიპიკის" წარმოთქმისთანავე იგი გახდა ათენის ფაქტობრივი ხელმძღვანელი და ანტიმაკედონური პარტიის ბელადი.

დემოსთენეს "ფილიპიკები" მიჩნეულია ორატორული ხელოვნების შედევრებად. მის სიტყვებში გამოყენებულია დარწმუნების, დასაბუთების ხერხები, დაპირისპირება, რიტორიკული შეკითხვები, მაგრამ როგორც აღნიშნავენ, დაწერილი "ფილიპიკები" მხოლოდ სუსტი ანარეკლია ზეპირად წარმოთქმულისა.

ფილიპეს სიკვდილის შემდეგ მან ალექსანდრეს წინააღმდეგ გააგრძელა "სიტყვით ბრძოლა". ათენში ალექსანდრეს შემოსვლამდე დემოსთენე ათენიდან გაიქცა. ალექსანდრემ ათენელებისგან ერთ-ერთ პირობად სწორედ დემოსთენეს გადაცემა მოითხოვა. დევნილმა დემოსთენემ, მტრებს რომ არ ჩავარდნოდა ხელში, მოწამლული ლერწმის კალამი დაღეჭა და თავი მოიკლა. მის საფლავზე ბერძნებმა ასეთი ეპიტაფია ამოკვეთეს: "როგორი გონიერიც იყავი, ისეთი ღონიერიც რომ ყოფილიყავი შენ, დემოსთენე,

მაშინ ელადას მაკედონიის ომის ღმერთი ვერ დაიპყრობდა.”... (1)

ანტიკური კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე, იურისტი, მრავალი საჯარო სიტყვის, ფილოსოფიური ნაწარმოებისა და პუბლიცისტური წერილის ავტორი, რომის უდიდესი პოლიტიკური ორატორი იყო მარკუს ტულიუს ციცერონი. ციციერონის პიროვნებისა და მოღვაწეობის მდიდარ მასალას წარმოადგენს მისი ფართო მიწერ–მოწერა, აგრეთვე მრავალრიცხოვანი სიტყვები და სხვადასხვა შინაარსის ტრაქტატები.

ციცერონი ათენში ცნობილი რიტორის აპოლონიოსის მოწაფე იყო. ერთხელ ბერძნულად წარმოთქმული სავარჯიშო სიტყვის შემდეგ, ციცერონი მსმენელებმა დიდი ტაშით დაჯილდოვეს.მარტო აპოლონიოსი დუმდა. ბოლოს დაფიქრებულმა მიმართა: “ბედს დავტირი, აშკარად ვხედავ, რომ შენი წყალობით რომაელთა ხელში გადადის განათლება და მჭერმეტყველებაც–ეს ერთადერთი უპირატესობა, რაც დღესდღეობით შემოგვრჩა მრავალ მშვენიერებათაგან”(1). მომხიბლავი მეტყველება დიდ დახმარებას უწევდა ციცერონს მსმენელის დარწმუნებაში.

ციცერონის სახელგანთქმული თანამედროვე კვინტილიანი ეხებოდა ციცერონის ორატორობას, აღნიშნავდა: „ზეცამ გამოგზავნა დედამიწაზე ციცერონი იმისათვის, რომ მასში მოეცა მაგალითი, თუ რა დიდად მოქმედებს სიტყვის ძლირება”... (3)

მომხიბლავი მეტყველება დიდ დახმარებას უწევდა ციცერონს მსმენელის დარწმუნებაში. არ მომწონსო,–ამბობს დიდი ორატორი,–როცა ბგერებს წარმოთქვამენ მეტისმეტი ხაზგასმით ან ბუნდოვნად, გაუგებრად, ან სუსტი, მომაკვდავი ხმით, ან ზედმეტი ხმაურით. ის ორატორები, რომლებიც ხმამაღალი ყვირილით ცდილობენ ფონს გასვლას, ციცერონის აზრით, დასაცინნი არიან. ისინი უძლურების გამო ისევე ცდილობენ გავიდნენ ფონს ყვირილით, როგორც კოჭლი ადამიანი ცხენის დახმარებით.

რომაელი ორატორი, გარდა პრაქტიკული ორატორული მოღვაწეობისა, რითაც მან დიდი სახელი მოიხვეჭა რომში, ორატორულ ხელოვნების თეორიტიკოსიც იყო. “ორატორის უდიდესი ღირსებაა არა მარტო თქმა იმისა, რაც საჭიროა, არამედ უთქმელობაც იმისა, რაც არაა სათქმელი” – ამბობდა იგი. (5)

ციცერონი აყალიბებს რიტორიკის ძირითად პრინციპებს:

- მჭერმეტყველია ის, ვინც საჯარო გამოსვლისას მსმენელს მიანიჭებს ტკბობას და დაარწმუნებს მას.
- ჭეშმარიტი ორატორია ის, ვისაც შეუძლია ჩვეულებრივი ამბის შესახებ ილაპარაკოს უბრალოდ. დიადის შესახებ – ამაღლებულად, საშუალოს შესახებ – საშუალო სტილით.
- საუკეთესო ორატორი ისაა, ვინც თავისი სიტყვით მსმენელს ასწავლის, ანიჭებს სიამოვნებას და ახდენს მასზე დიდ შთაბეჭდილებას.
- ასწავლო – მოვალეობაა ორატორისა.
- მოახდინო ძლიერი შთაბეჭდილება – ეს კი აუცილებელია.

ციცერონი სვამს კითხვას: რატომ არის, რომ მჭერმეტყველებით დაკავებულია ძალიან ბევრი, მაგრამ წარმატებას აღწევენ ერთეულები – და თვითონვე პასუხობს - იმიტომ რომ მჭერმეტყველება ურთულესი ხელოვნებაა, რადგან ორატორისგან მოითხოვს დიდ ცოდნას. ამის შემეგ ისმის მეორე კითხვა: რაში მდგომარეობს მჭემეტყველების ნამდვილი დიდება? – ესაა ადამიანური ძალის უდიდესი გამოვლინება, საფუძველი საზოგადოებრივ და კერძო კეთილდღეობისა.

ორატორული ხელოვნება წარმატებით ვითარდებოდა ელინისტურ ხანაშიც. ამ დროს მოღვაწე რიტორთა შორის საუკეთესოდ მიიჩნევიან თემისტიოსი და ლიბანიოსი. თემისტიოსს, როგორც მისი ერთ-ერთი სიტყვიდან ჩანს, IV საუკუნის შუა წლებში კოლხეთში, დღევანდელი ფოთის მახლობლად, ფაზისის სახელგანთქმულ რიტორიკულ სკოლაში მიუღია განათლება. ფაზისის რიტორიკულმა სკოლამ დიდად შეუწყო ხელი საქართველოში ორატორული ხელოვნების განვითარებას. ამაზე მეტყველებს კოლხეთის მეფის, გუბაზის, წარჩინებული კოლხი ორატორების, აიეტისა და ფარტაზის სიტყვები, რომლებიც აღიარებულია ქართული მჭერმეტყველების ბრწყინვალე ნიმუშებად.

როგორც ვხედავთ, ანტიკური ეპოქის მოაზროვნენი წამყვან ფაქტორად მიიჩნევენ ორატორული სიტყვის შინაარსს, ამავე დროს, არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სიტყვის ფორმალურ მხარეს, იმ გამომსახველობით საშუალებას, რომლებიც მსმენელს

ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს. ანტიკურ მჭერმეტყველებას ჰქონდა დიდი ავტორიტეტი და გამოცდილება სიტყვით ხალხზე ზემოქმედებისა. ძველ საბერძნეთშიც და რომშიც სიტყვის თქმის ხელოვნება ერთერთი დაწინაურებული და კარგად განვითარებული დარგი იყო. ამ საქმეს ემსახურებოდა ანტიკური რიტორიკა თავისი თეორიებითა და სკოლებით. ძველი ბერძნები და რომაელები ამაყობდნენ სახელოვანი ორატორებით და რიტორებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ვახტანგ კაჭახიძე " პოლიტიკური მჭერმატყველება". გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო." ტბილისი 1985წ
- არისტოტელე "რიტორიკა". თბილისი 1981წ
- დ. ენუქიძე "ორატორული ხელოვნება". გამომცემლობა "საბჭოთა ხელოვნება" 1958წ
- *Цицерон Марк Туллий.* Три трактата об ораторском исскустве. М. «Наука», 1972.
- აკაკი გელოვანი "ორატორული ხელოვნება". თბილისი 1985წ
- ნიკოლოზ კანდელაკი "ქართული მჭერმეტყველება". გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო". თბილისი 1968წ
- ნანა გაფრინდაშვილი, დარეჯან თვალთვაძე "რიტორიკის შესავალი". თბილისი 1963წ

Summary

Gvanca Gogishvili

Orators played a special role in the social life of the ancient states.

In order to make a particular impression on the listeners a good speaker had to master effective verbal communications skills.

Rhetorical art was used in politics, at the public meetings, in the army etc., in other words it was used in the places where the word-power was a necessary factor. The speech with poor plot but with some rhetoric effect used to make a better impression on the audience than the speech with good plot, but with no rhetoric effect.

A good speaker could have definite influence on the state policy by making one impressive speech. The greatest orators of the ancient world

Demostene and Tsitceron were fighting to depend the republics of Greece and Rome.

The ancient orators had a big authority and experience to influence people by means of words.

Резюме

Гванца Гогишвили
У истоков ораторского искуства

В общественной жизни античных государств особую роль играла хорошая риторика.

Хороший оратор должен владеть такими формами беседы, чтобы производить на слушателей особое впечатление. Риторическое искусство часто было использовано чисто в практических целях: на народных собраниях, в войсках и в других общественных местах, где было необходимо использовать сила слова.

Бедное по содержанию, но ораторски хорошо выправленное слово производило на аудиторию более хорошее впечатление, чем содержательное, но плохое, неинтересное и утомительное выступление.

Хороший оратор одним впечатляющим выступлением мог воздействовать на государственную политику страны.

Великие ораторы Древнего Мира Демосфен и Цицерон своим несравненным политическим чутьем и предвидением боролись за защиту Греческой и Римской республик.

Античные ораторы имели большой авторитет и опыт воздействия на окружающих с помощью слова.

მარიამ ლომიძე

საქართველოს წყლის რესურსების მართვა და დაცვა

წყალი დედამიწის სასიცოცხლო მნიშვნელობის ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს. ამასთან, ცოცხალი ორგანიზმებისათვის ხელმისაწვდომი მტკნარი წყალი პლანეტის წყლის უხვი რესურსების ძალიან მცირე (მხოლოდ 0.014%)

ნაწილს შეადგენს. ამრიგად, მთელ მსოფლიოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყლის რაციონალურად მოხმარებას და დაბინძურებისაგან დაცვას. წყალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წყლის რესურსებით ღარიბ ქვეყანაში, სადაც იგი შეიარაღებული კონფლიქტების მიზეზიც ხდება.

საქართველო წყლის რესურსებით მდიდარ ქვეყანად ითვლება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წყლის რესურსები არა თანაბრად არის გადანაწილებული და უმეტესად ქვეყნის დასავლეთ ნაწილშია თავმოყრილი. ამდენად წყლის მართვის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ამოცანად წყლის რესურსების სწორი გადანაწილება და რესურსით ღარიბი აღმოსავლეთ ნაწილის წყლით მომარაგება რჩება. გარდა ამისა, საქართველოში კვლავ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ზადაპირული წყლების დაბინძურება, მათ შორის ტრანსსასაზღვრო დაბინძურებაც.

დღესდღეობით საქართველოში წყლის მართვისა და დაცვის საკითხები გარემოსდაცვის სფეროში ერთ–ერთი პრიორიტეტულია. წყლის რესურსების სააუზო მართვაზე გადასვლის უზრუნველყოფა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2007 წლის პრიორიტეტებში შედის. ამასთან, ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის საკითხები საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედების ეროვნული პროგრამის ნაწილია.

საქართველოს კანონმდებლობა წყლის შესახებ

წყლის შესახებ კანონმდებლობა საქართველოში წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი კანონებითა და კანონქვემდებარე აქტებით. აქედან წყლის პოლიტიკის განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია საქართველოს კანონი ”წყლის შესახებ” (1997). კანონი “წყლის შესახებ” წყლის კანონმდებლობის საბაზისო დოკუმენტს წარმოადგენს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში; წყლის ობიექტების დაცვა და წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენება მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით; სუფთა სასმელ წყალზე მოსახლეობის პირველ რიგში დაკმაყოფილება; წყლის ცხოველთა სამყაროს მდგრადობა და მდგრადი გამოყენება;

წყლის მავნე ზემოქმედების აცილება და შედეგების ეფექტური ლიკვიდაცია და სხვა.

წყლის რესურსების მართვა

“გარემოს დაცვის შესახებ” კანონის მიხედვით, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო მართვა ნიშნავს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის რეგულირებას. კერძოდ, აღრიცხვას, ლიცენზირებას, ზედამხედველობას და კონტროლს (მუხლი 4). “ფასიანი ბუნებათსარგებლობის” პრინციპიდან გამომდინარე, საქართველოში დადგენილია მოსაკრებლები ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის. მოსაკრებლის ოდენობა თითოეული სახის ბუნებრივი რესურსით და მათ შორის წყლის რესურსებით სარგებლობისათვის წყლის ობიექტების ჯგუფების მიხედვით და საქმიანობის ტიპის გათვალისწინებით მოცემულია საქართველოს კანონში ”ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” (2004). ამასთან, ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო რეგულირება ლიცენზიებისა და ნებართვების სისტემის საშუალებით ხორციელდება.

წყლის სტატუსი

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყალი სახელმწიფო საკუთრებაა და გაიცემა მხოლოდ სარგებლობისათვის. კანონი კრძალას ყოველგვარი სახის ქმედებას, რომელიც პირდაპირ ან ფარული ფორმით ხელყოფს წყლის სახელმწიფო საკუთრების უფლებას. წყლის სახელმწიფო საკუთრების უფლების დარღვევა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით შესაბამისი ჯარიმებით ისჯება.

წყალსარგებლობა საქართველოში ფასიანია. წყალსარგებლობისათვის გაიცემა საქართველოს წყლის სახელმწიფო ფონდის ობიექტები. კერძოდ, საქართველოს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები: მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, ბუნებრივი და ხელოვნური ზედაპირული წყალსატევები, არხებისა და ტბორების წყლები, მიწისქვეშა წყლები; მყინვარები და თოვლის მუდმივი საფარი; ჭაობები; საქართველოს ტერიტორიული წყლები. ამასთან, განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ან განსაკუთრებული სამეცნიერო თუ კულტურული ღირებულების წყლის ობიექტებით სარგებლობა შეიძლება, მთლიანად ან

ნაწილობრივ იკრძალებოდეს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

წყლის რესურსების მართვა

როგორც აღინიშნა, საქართველოში საერთო წყალსარგებლობა არასამრეწველო, ინდივიდუალური, სასმელი და საყოფაცხოვრებო, ესთეტიკური, რეკრეაციული, გამაჯანსაღებელი და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და ისეთი ნაგებობების და მოწყობილობების გამოუყებებლად, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე, უფასოა და არ საჭიროებს ლიცენზიას. სპეციალური წყალსარგებლობა, რაც გულისხმობს ისეთი ნაგებობებისა და ტექნიკური მოწყობილობების გამოყენებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე, ფასიანია და შესაბამის ლიცენზიასაც საჭიროებს.

2005 წლის 24 ივნისის კანონი ”ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” აწესებს ლიცენზიებისა და ნებართვების სახეებს სხვადასხვა საქმიანობისა თუ ქმედებებისათვის. ამ კანონის მიღებამდე წყალსარგებლობის ლიცენზირებას არეგულირებდა კანონი “წყლის შესახებ”, რომლის 48–ე მუხლი განსაზღვრავდა წყალსარგებლობის ათზე მეტ სახეს, რომლისთვისაც აუცილებელი იყო წყალსარგებლობის ლიცენზიის მოპოვება, მათ შორის, ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღებისათვის, წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვებისათვის, მიწისქვეშა წყლებით სარგებლობისათვის, საკურორტო და სპორტული მიზნებისათვის, წყლის ობიექტებზე ხე–ტყის დასაცურებლად, სამონადირეო მეურნეობის შესაქმნელად, სათევზე მეურნეობისათვის და სხვა.

“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახე” კანონის მიღებით შეიზღუდა წყალსარგებლობის ის სახეები, რომლებიც საჭიროებენ სახელმწიფო რეგულირებას ლიცენზირების გზით. წყლისა და მონათესავე ბუნებრივი რესურსების მოხმარების სფეროში კანონი აწესებს სარგებლობის ლიცენზიას თევზჭერისთვის, მიწისქვეშა სივრცის გამოყენებისთვის და სასარგებლო წიაღისეულის (მათ შორის, მიწისქვეშა წყლების) მოპოვებისთვის. რაც შეეხება უშუალოდ წყალსარგებლობას, კანონი, ”წყლის შესახებ” კანონისგან განსხვავებით, მოითხოვს ნებართვას მხოლოდ 2 ტიპის ქმედებისთვის, ესენია: ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღება და ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვება. შესაბამისად, წყლის შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში დაგეგმილია და უკვე

ხორციელდება ცვლილებები. ამჟამად წყალსარგებლობის ზემოადნიშნულ ორ სახეზე ნებართვის გაცემის პირობები და წესი რეგულირდება "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად გამოცემული, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს 137 დადგენილებით დამტკიცებული "ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღებისა და ზედაპირულ წყლის ობიექტში წყალჩაშვების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულებით. დებულების თანახმად, ნებართვას გასცემს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და ასევე, "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსათვის ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ" საქართველოს მთარობის 2006 წლის 26 იანვრის 21 დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთარობის საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო. ნებართვის გაცემის უფლებამოსილება სამინისტრომ შეიძლება, მიანიჭოს თავის ტერიტორიულ ორგანოებსაც.

დებულების მე–6 მუხლის მიხედვით, საქართელოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით დადებული სანებართვო პირობების გარდა, მაძიებელს დამატებით სანებართვო პირობად შეიძლება, განესაზღვროს დამატებითი ინფორმაციისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა, როგორიცაა, განმარტებითი ბარათი წყალსარგებლობის სახეობაზე და პარამეტრები; საწარმოს გენერალური გეგმა წყალსადენის სისტემის დატანით; საწარმოს ადგილმდებარეობის ტოპოგრაფიული რუკა წყლის აღების წერტილების დატანით ან შესაბამის გარემოსდაცვითი ტერიტორიული ორგანოს დასკვნა. ასევე, წყალჩაშვების ნებართვის მოსაპოვებლად, საწარმოს ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირული წყლის ობიექთში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმატივები, რომლებიც დამტკიცებულია სამინისტროს მიერ. გარდა ამისა, "ლიცენზიებისა და ნებართვების" კანონის თანახმად, დამატებითი სანებართვო პირობები შეიძლება განისაზღვროს ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით (მუხლი25).

მიწისქვეშა წყლებით სარგებლობის ლიცენზირება რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს 136 დადგენილებით დამტკიცებული "სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულებით. ისევე როგორც სხვა სახის ლიცენზიების შემთხვევაში, მიწისქვეშა წყლებით სარგებლობის ლიცენზია აუქციონის წესით გაიცემა (მუხლი3). ლიცენზიის გამცემი ორგანოა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – გერემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო (მუხლი2). სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის კონკრეტულ წესებს, მოთხოვნებს და რესურსით სარგებლობის რაოდენობრივ, თვისებრივ და დროში განსაზღვროლ ნორმებს და წესებს სამინისტრო განსაზღვრავს და ამტკიცებს ცალკე კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტით კონკრეტულ შემთხვევაში (მუხლი 3).

სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიებისა და ნებერთვების პირობების შესრულების კონტროლს სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოს დაცვის ინსპექცია ახორციელებს. გარემოს დაცვის ინსპექცია უფლებამოსილია განიხილოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები და გამოიტანოს დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ. ასევე, კანონეთ განსაზღვრულ შემთხვევაში, დააყენოს საკითხი ლიცენზიის ან ნებართვის გაუქმების თაობაზე.

სალიცენზიო პირობების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ითვალისწინებს ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმებას. ამავდროულად, ლიცენზიის გამცემი განსაზღვრავს შემდგომ ვადებს სალიცენზიო პირობების დაკმაყოფილებისათვის. თუ პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, ლიცენზიის მფლობელი ამ ვადებშიც არ შეასრულებს სალიცენზიო პირობებს, დაკისრებული ჯარიმა გასამმაგდება ან მოხდება შემდეგი ვადების დაწესება, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ჯარიმა კვლავ გასამმაგდება. ხოლო თუ ლიცენზიის მფლობელის მიერ ამის შემდეგაც არ იქნა უზრუნველყოფილი სალიცენზიო პირობების შესრულება დადგენილ ვადებში, ლიცენზიის გამცემი აუქმებს ლიცენზიას. ანალოგიურ პასუხისმგებლობებს ითვალისწინებს ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების დარღვევა. სამჯერადი დაჯარიმების შემდეგ სანებართვო პირობების დადგენილ ვადებში შეუსრულებლობის შემთხვევაში,

ნებართვის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას ნებართვის გაუქმების შესახებ.

საქართველოს კანონი ”წყლის შესახებ” განსაზღვრავს წყლის და მისი გამოყენების აღრიცხვის სახელმწიფო სისტემის შექმნას და სახელმწიფო კადასტრის წარმოებას, რაც გულისხმობს წყლის ობიექტების და მათში არსებული წყლის რაოდენობისა და ხარისხის, მისი გამოყენების მონაცემების დადგენას, წყალმოსარგებლეთა შორის წყლის მეცნიერულად დასაბუთებულ განაწილებას მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროების პირველ რიგში დაკმაყოფილებით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 1996 წლის 12 აგვისტოს 106 ბრძანებით დამტკიცებული ”წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის შესახებ” დებულება განსაზღვრავს წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის წესებს სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების, სახელმწიფო, სააქციო, კერძო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის.

წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა წყლის ობიექტზე ანთროპოგენური ზემოქმედების წყაროების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებლებზე რეგულარული დაკვირვების სისტემის შექმნას გულისხმობს. წყლის სახელმწიფო აღრიცხვის მონაცემები უნდა გამოიყენებოდეს წყლის გამოყენებისა და დაცვის დაგეგმვის, წყალმოხმარებისა და წყალჩაშვების ნორმირებისათვის და წყლის ხარისხის განსაზღვრისათვის და სხვა. სამინისტრო წყალმომხმარებლების ანგარიშების საფუძველზე, უნდა ახორციელებდეს წყლის სახელმწიფო აღრიცხვას, მონაცემების ანალიზს და გამოქვეყნებას.

წყლის დაცვა

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, წყლის დაცვის ღონისძიებების დაგეგმვა უნდა ხორციელდებოდეს ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგიის, გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის, რეგიონული, უწყებრივი და ადგილობრივი გარემოს დაცვის მოქმედებათა პროგრამებისა და საქმიანობის ობიექტების გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმების საფუძველზე, “გერემოს დაცვის შესახებ”, “წყლის

შესახებ", "წიაღის შესახებ", "ცხოველთა სამყაროს შესახებ" და "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

წყლის დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს წყლის ობიექტების დაცვა დაბინძურების, დაშრეტისა და სხვა ისეთი უარყოფითი ზემოქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება, ზიანი მიაყენოს მოსახლეობის ჯანმრთელობას, შეამციროს თევზის მარაგი, გააუარესოს წყალმომარაგების პირობები და გამოიწვიოს წყლის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური თვისებების გაუარესება და სხვა.

გარემოში ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისათვის, საქართველოს კანონმდებლობა ადგენს გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივ ნორმებს და გარემოში მავნე ნივთიერებათა ემისიისა და მიკროორგანიზმებით გარემოს დაბინძურების ზღვრულად დასაშვებ ნორმებს. გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები უნდა შემუშავდეს ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შეთანხმებით. წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით წესდება:

- წყლის მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები – წყალში ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსათვის მავნე ნივთიერებების კონცენტრაციისა და მიკროორგანიზმების რაოდენობათა ზღვრულად დასაშვები ნორმები;
- წყლის ობიექტებში მავნე ნივთიერებათა ემისიის (ჩაშვების) ზღვრულად დასაშვები ნორმები — წყლის ობიექტებში სამრეწველო, საყოფაცხოვრებო–კომუნალური და სხვა ჩამდინარე წყლების ჩაშვების ნორმები, რომელიც დგინდება დაბინძურების ყოველი კონკრეტული წყაროსათვის მისი ტექნოლოგიური თავისებურებებისა და ადგილმდებარეობის ფონური დაბინძურების გათვალისწინებით იმგვარად, რომ ემისიური ნივთიერებების და მიკროორგანიზმების კონცენტრაციამ ადგილზე არ გადააჭარბოს ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის დონეს.
- წყლის ობიექტების დატვირთვის ნორმები – წყლის ობიექტებიდან წყლის ამოღების კვოტები, რომლებიც მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით, დგინდება დამტკიცებული წყლის გამოყენებისა და დაცვის გენერალური, საარეალო და ტერიტორიული კომპლექსური სქემების და

წყალსამეურნეო ბალანსების საფუძველზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

გარდა ამისა, კანონით განსაზღვრულია გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების აღრიცხვა, ანგარიშგება და შეფასება, რაც გულისხმობს გარემოს მდგომარეობის და ბუნებრივი რესურსების კადასტრების შედგენას, სტატისტიკის წარმოებას, ინვენტარიზაციას, პასპორტიზაციას და კარტოგრაფირებას.

საქართველოში ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ძირითად წესებს განსაზღვრავს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 1996 წლის 17 სექტემბრის 130 ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის წესები", რომელიც არეგულირებს: სამეწარმეო საქმიანობის სხვადასხვა სახეებს, რომლებსაც შეუძლიათ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინონ წყლების მდგომარეობაზე; წერტილოვანი და დიფუზური წყაროებიდან ზედაპირული წყლის ობიექტების დაბინძურებას. დოკუმენტში განსაზღვრულია ზედაპირული წყლების დაბინძურების თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის ძირითადი საშუალებები: წყლის ობიექტში წყლის ხარისხის ნორმირება; ზედაპირულ წყლებში დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩაშვების რეგლამენტირება; წყალდაცვითი ღონისძიებების დაგეგმვა; ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიის მასალების და ნივთიერებების, აგრეთვე საწარმოების მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროექტების ეკოლოგიური ექსპერტიზა და სხვა.

დოკუმენტი ადგენს წყალსატევების წყლის ხარისხის ნორმებს წყალსარგებლობის ცალკეული კატეგორიების მიხედვით (სასმელ–სამეურნეო; სამეურნეო–საყოფაცხოვრებო და თევზსამეურნეო წყალსარგებლობა). ამისათვის დოკუმენტის დანართებში მოცემულია ზედაპირული წყლების შემადგენლობის და თვისებების დადგენილი ნორმატივები, რომლებიც უნდა შემუშავდეს შესაბამის სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებში. გარდა ამისა, ჩამდინარე წყლების თითოეული წერტილისათვის დგინდება დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმატივები.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 1996 წლის 12 აგვისტოს 105 ბრძანება ამტკიცებს წყალსატევებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დაბინძურებულ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმატივების გაანგარიშების მეთოდიკას.

ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმატივების პროექტის მომზადებას წყალმოსარგებლე უზრუნველყოფს. შემდეგ ნორმატივებს თითოეული წყალმოსარგებლისათვის ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წყლის რესურსების დაცვის სამმართველო.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანება 279/ნ ამტკიცებს გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმებს. ბრძანება განსაზღვრავს ცენტრალიზებული, არაცენტრალიზებული და ზედაპირული წყალმომარაგების სისტემის წყლის ხარისხობრივ ნორმებს, აგრეთვე ადგენს ზღვის სანაპირო წყლის დაცვისა და გამოყენების ჰიგიენურ ნორმებს და სანიტარულ წესებს.

წყლის დაცვის რეჟიმის დარღვევა – წყლის სხვადასხვა სახის დაბინძურება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით ისჯება შესაბამისი ჯარიმებით (მუხლი 58).

წყლის დაცვაზე სახელმწიფო კონტროლი და მონიტორინგი ხორციელდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ. კანონის მიხედვით წყალმოსარგებლე ვალდებულია აწარმოოს თვითკონტროლი და სამინისტროს მიაწოდოს ინფორმაცია წყალმოხმარების, ჩამდინარე წყლების რაოდენობისა და შემადგენლობის, აგრეთვე დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები ნორმების ნორმატივების გადაჭარბების შესახებ.

მიწისქვეშა წყლების დაცვას და გამოყენებას, წყლის ცხოველთა სამყაროს დაცვას, წყალსარგებლობის დროს ცხოველთა სამყაროს, მცენარეული საფარის, ტყის, მიწის და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენებას არეგულირებს როგორც კანონი "წყლის შესახებ" ისე სხვა შესაბამისი კანონმდებლობა – კანონი "წიადის შესახებ", კანონი "ცხოველთა სამყაროს შესახებ" და სხვა.

ახალი ინიციატივები წყლის მართვის პოლიტიკის სფეროში

კანონპროექტი "წყლის შესახებ"

"წყლის შესახებ" ახალი კანონის პროექტის მიხედვით, წყლის რესურსების მართვა საქართველოში სააუზო მართვის პრინციპების საფუძველზე უნდა განხორციელდეს (მუხლი10). გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ უნდა დაადგინოს მდინარეთა აუზის მართვის გეგმის შედგენის

წესი. აუზის მართვის გეგმის შემუშავებას, წყლის რესურსების მოხმარების დაგეგმვას და შესაბამისი გეგმის მიხედვით მდინარეთა აუზების მართვას განახორციელებენ საჯარო სამართლის იურიდიული პირები, რომელთა რაოდენობას, მათ სამოქმედო ტერიტორიას და დებულებას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ამტკიცებს (მუხლი12 და 13). საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა ასევე უნდა უზრუნველყოს ზედაპირული წყლების ინვენტარიზაცია; ყველა სახის წყალ მოსარგებლეთა ინვენტარიზაცია; ზედაპირული წყლის ობიექტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონიტორინგის ქსელის შექმნა და მონიტორინგის წარმოება; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული წყალაღებისა და წყალჩაშვების ნებართვების რეგისტრაცია; გაცემული ნებართვების მონიტორინგი; მდინარის აუზის დაცვა არალეგალური საქმიანობისაგან და სხვა.

თავის მხრივ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ მათ საკუთრებაში არსებული წყლის რესურსების მართვას. კანონპროექტის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებას წარმოადგენს ადგილობრივი მნიშვნელობის ჯგუფებში შემავალი წყლის რესურსები (მუხლი9). შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მათ საკუთრებაში არსებული წყლის რესურსების მართვის სფეროში უზრუნველყოფენ: წყლის რესურსების მართვის წესის განსაზღვრას; წყლის რაციონალურად გამოყენების და დაცვის ღონისძიებების ზედამხედველობას; წყლით უნებართვო სარგებლობის და წყლის ობიექტებზე თვითნებური სამეუნეო საქმიანობის აღკვეთას; ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე წყლის დაცვისა და გამოყენების კონტროლს, სახელმწიფო აღრიცხვას და სხვა.

კანონპროექტის მე-19 მუხლში მოცემულია ზედაპირული წყლის დაცვისა და გამოყენების ნორმები. კანონპროექტით გათვალისწინებულია მხოლოდ ზედაპირული წყლის მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები და ზედაპირული წყლის ობიექტებში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დადგენა. განსხვავებით მოქმედი კანონისაგან "წყლის შესახებ", კანონპროექტი არ ითვალისწინებს წყლის ობიექტების დატვირთვის ნორმებს, რაშიც იგულისხმება "წყლის ობიექტებიდან წყლის ამოღების კვოტები, რომლებიც მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით დგინდება დამტკიცებული წყლის გამოყენების და დაცვის გენერალური,

სააუზო და ტერიტორიული კომპლექსური სქემების და წყალსამეურნეო ბალანსების საფუძველზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში".

კანონპროექტის მე–5 თავში, რომელიც წყალსარგებლობას ეხება, გათვალისწინებულია ის ცვლილებები, რაც ბოლო წლების განმავლობაში განხორციელდა სალიცენზიო და სანებართვო წესების მარეგულირებელ კანონმდებლობაში. 32–ე მუხლის მიხედვით, სპეციალურ წყალსარგებლობაზე გაიცემა ორი სახის ნებართვა: ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების ნებართვა და ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვების ნებართვა. ამასთან, წყალაღების ან წყალჩაშვების ნებართვის მისაღებად მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლო დამატებითი დოკუმენტაცია როგორიცაა მაგალითად, განმარტებითი ბარათი წყალსარგებლობის სახეობაზე და პარამეტრები; შესაბამისი გარემოსდაცვითი ტერიტორიული ორგანოს დასკვნა; საწარმოს ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმატივები და სხვა. "წყლის შესახებ" კანონპროექტით განსაზღვრულია როგორც სავალდებულო.

წყლის პოლიტიკა

წყლის სფეროში პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტებიდან ყურადღება უნდა გამახვილდეს ორ მნიშვნელოვან დოკუმენტზე, რომელთაგან ჯერჯერობით არცერთი არ არის ოფიციალურად დამტკიცებული. პირველია წყლის ინტეგრირებული მართვის კონცეფციის პროექტი, რომელიც, თუ ოფიციალურ წყაროებს დავუჯერებთ, უკვე განხილული და მოწონებული იქნა მთავრობის სხდომაზე. მეორე დოკუმენტი კი, გერემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ მომზადებული საქართველოს წყლის რესურსების მართვის პოლიტიკის კონცეფციის პროექტია.

ისევე როგორც "წყლის შესახებ" კანონპროექტში, ორივე დოკუმენტში ხაზგასმულია წყლის რესურსების სააუზო მართვის განხორციელების აუცილებლობა. ამასთან, პირველი დოკუმენტი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს წყლის რესურსების ეფექტურად გამოყენების და ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელობაზე. მდინარე წარმოდგენილია როგორც "ერთიანი ფიზიკური და ეკონომიკური ობიექტი". მდინარის აუზის ერთეულის ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტი

მნიშვნელობა ენიჭება გეოგრაფიულ პრინციპს – “აუზი უნდა იყოს ფიზიკურად ერთიანი” და ეკონომიკურ პრინციპს – “აუზი უნდა იყოს ეკონომიკურად მდგრადი”.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პროექტი მიზნად ისახავს წყლის რესურსების გაუმჯობესებული და ეფექტური მართვის 25 წლიანი მოდელის შექმნას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს: საქართველოს წყლების ეკოლოგიური ფასეულობებისა და ფუნქციების შენარჩუნება; წყლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნება და გაუმჯობესება; უსაბრთხო სუფთა წყლის ხელმისაწვდომობა; წყალდიდობებისა და გვალვებისაგან დაცვა და პრევენცია; ჰიდროლოგიური რეჟიმის შენარჩუნება.

პროექტში აღნიშნულია წყლის რესურსების მართვის არსებული ადმინისტრაციული მოდელის არაეფექტურობის შესახებ. კერძოდ, პროექტის თანახმად, არსებული ადმინისტრაციული მოდელით, შეუძლებელია წყლის რესურსების ეფექტური მოხმარების დაგეგმვა მდინარის აუზის ფარგლებში, წყალმოსარგებლეთა ინტერესებისა და ეკოსისტემის შენარჩუნებისა და დაცვის გათვალისწინებით.

შესაბამისად, პროექტში წარმოდგენილი წყლის რესურსების მართვის პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებას წყლის რესურსების სააუზო მართვის დანერგვა და შესაბამისი სამართლებრივი და ინსტიტუციური საფუძვლების გაძლიერება წარმოადგენს.

დასკვნა

დღესდღეობით საქართველოს მოქმედ წყლის კანონმდებლობაში ან შემოთავაზებულ კონცეფციაში ერთადერთი ინოვაცია არის წყლის სააუზო მართვის დანერგვის ინიციატივა. სააუზო მართვა, თავის მხრივ, წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის მხოლოდ ინსტრუმენტს და მართვის ერთეულს წარმოადგენს. მდინარის აუზში კი არ უნდა განხორციელდეს წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა, როგორც მაგალითად წყლის კონცეფციის შესახებ დოკუმენტი გვთავაზობს.

წყლის კონცეფციის სამთავრობო დოკუმენტში აქცენტი ეკონომიკურ მოგებაზეა გადატანილი. კერძო სექტორის ჩართვა, იოლ გამოსავლად არის მიჩნეული –როდესაც სახელმწიფო იხსნის წყლის “მოვლის“ ვალდებულებას და მას კერძო

სექტორს გადააბარებს. თუმცა, დავიწყებულია, რომ კერძო საქტორის ჩართვა სახელმწიფოს მარეგულირებელ ფუნქციას არა თუ ამსუბუქებს, არამედ უფრო აძლიერებს. ამდენად, მთავარი მიზანი წყლის რესურსების სწორად მართვის, წყლის დაცვის საჭიროების გაცნობიერებაა.

მაშინ, როცა ფინანსური, ადამიანური და ტექნიკური რესურსების სიმცირე ჯერ კიდევ შეუძლებელს ხდის კარგი გარემოსდაცვითი მმართველობის ბაზისის შექმნას საქართველოში, ძალზე ნაადრევი ჩანს რადიკალური ნაბიჯების გადადგმა წყლის რესურსებზე საკუთრების სფეროში. გარდა, ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ გარემოსდაცვითი მმართველობის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრაციაზე ეკონომიკურ და განვითარებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, 1997
2. საქართველოს კანონი წყლის შესახებ, 1997
3. საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, 2005
4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984
5. საქართველოს კანონი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ, 2004
6. მწვანე ალტერნატივა. "წყლის რესურსების მართვა და დაცვა საქართველოსა და ევროკავშირის მიდგომები" თბილისი, 2007

Summary

Mariam Lomidze

Management and protection of water resources of Georgia

Nowadays according to the existing Georgian Water legislation, or offered conception, the only innovation is the initiative of introduction of management of water ponds. Pond management represents the instrument of integrated management of water resources. Integrated management of water resources should not take place in the river pond, as it is given in the

document about water conception. In addition, it is remarkable that the success of enviromental managenment depends on the integration of enviromental question and the decisions concerning economy and development.

Резюме

Мариам Ломидзе
Управление и охрана водных ресурсов Грузии

На сегодняшний день в действующем в Грузии водном законодательстве или в его предложенной концепции единственной инновацией является инновация введения управления водным бассейном. Управление бассейном, в свою очередь, представляет собой лишь инструмент интегрированного управления водными ресурсами. В бассейне же реки не должно осуществляться интегрированное управление водными ресурсами, как, к примеру, предлагает документ о водной концепции. Кроме того, необходимо учесть, что успех управления средой в значительной степени зависит от интеграции в вопросах защиты среды и в решениях, связанных с экономикой и ее развитием.

თინათინ იაშვილი, ირინა იაშვილი

რუსეთის აგრესიული ენერგეტიკული პოლიტიკა მეზობელი სახელმწიფოების მიმართ

მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების ფონზე სახელმწიფოებისთვის სულ უფრო გლობალური ხდება ენერგოუსაფრთხოების თემა. ენერგოპოლიტიკა დღეს ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკური უსაფრთხოების ქვაკუთხედია.

დღეს მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგში ენერგომატარებლების თემას პირველი ადგილი უკავია და

შესაბამისად გაზისა და ნავთობისკენ მიმავალი ყველა გზა დიდი სახელმწიფოების პოლიტიკური ბრძოლის ფრონტია. ამ გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთი საქართველოზეც გადის.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი ყველანაირად ცდილობს საკუთარი პოლიტიკური გავლენის შენარჩუნებას კავკასიის რეგიონში, განსაკუთრებით საქართველოში. დღეს ამ რეგიონში აშშ-ს ინტერესების გაძლიერებაში და ნატო-ს გაფართოებაში რუსეთი თავისი ნაციონალური ინტერესებისთვის საფრთხეს ხედავს

დსთ-ს ფარგლებში რუსეთის პოლიტიკური გავლენის უზრუნველყოფა ძირითადად ეკონომიკური ინტერესებით იყო განპირობებული. კავკასიასთან მიმართებაში ეს ინტერესი კასპიის ნავთობის მოპოვებასა და მისი ტრანსპორტირების კონტროლში გამოიხატებოდა. დასავლეთისთვის კი, რუსეთისგან დამოუკიდებლად კასპიის ნავთობის ტრანზიტის საუკეთესო ალტერნატივას საქართველო წარმოადგენდა. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამოქმედებით რუსეთმა რეგიონში სერიოზული მარცხი განიცადა

21-ე საუკუნიდან რუსეთმა თავის კავკასიურ გეოპოლიტიკაში, უშუალო სამხედრო ჩარევების ნაცვლად, პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტად ენერგომატარებლებისა და ეკონომიკური სანქციების გამოყენება დაიწყო. მკვეთრი პროდასავლური ორიენტაციისა და ნატო-ში რეალური გაწევრიანების პერსპექტივის გამო, მან განსაკუთრებული დარტყმა საქართველოს მიაყენა.

რუსეთში საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის შემოღებას, 2005 წლის დეკემბერში უკვე ქართული აგრარული პროდუქციის, 2006 წლის მარტში ქართული ღვინოს და ამავე წლის მაისში ქართული მინერალური წყლების აკრძალვა მოჰყვა. სწორედ ამ პერიოდში რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ენერგობლოკადაც განახორციელა, როდესაც გაზსადენის "აფეთქების" შედეგად უმკაცრეს ზამთარში საქართველოს მოსახლეობა ერთი კვირის განმავლობაში გაზის გარეშე დარჩა. 2007 წლის დასაწყისში კი რუსეთმა საქართველოს გაზის ფასი გაუორმაგა. (1)

საქართველოში სიტუაციის დესტაბილიზაციამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება იქონიოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მომავალ ბედზე და შესაბამისად დასავლეთის ინტერესების გაფართოების სტრატეგიულ გეგმებზე. მართალია, აღნიშნული მილსადენი 2005 წლიდან მუშაობს, მაგრამ ის ჯერ კიდევ ისეთი მომგებიანი არ არის, როგორც დაგეგმილი იყო. იმისათვის, რომ ის რენტაბელური გახდეს, საჭიროა

ყაზახეთისა და თურქმენეთის გადაწყვეტილება, რომ მათი ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირება მოხდება ჯერ ბაქოში და ბაქოდან შემდეგ გაედინება თბილისი-ჯეიჰანის მილსადენში. ეს რუსეთისთვის მორიგი სერიოზული მარცხი იქნება. ამიტომ, საქართველოში სიტუაციის დესტაბილიზაცია რუსეთს, კასპიის ნავთობის საკუთარი ტერიტორიიდან ტრანზიტისთვის, საუკეთესო კარტებს სთავაზობს.

მართალია, დღეს კავკასიაში ნავთობის ტრანსპორტირებაზე რუსეთის მონოპოლია აღარ არსებობს, მაგრამ იგი გააქტიურდა კასპიის რეგიონის აღმოსავლეთ ნაწილში. საერთო ენერგო და კოლექტიური უსაფრთხოების ინტერესების საფუძველზე შეიქმნა Shanghai Cooperation Organisation (SCO. შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია), რომელშიც რუსეთთან ერთად ჩინეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და უზბეკეთი გაწევრიანდნენ. დამკვირვებლის სტატუსი აქვთ ინდოეთს, პაკისტანს, მონღოლეთსა და ირანს.

რუსეთის მისწრაფება, გახდეს ენერგოგიგანტი, რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა სანავთობო კომპანიების "პრივატიზაციით" და მათი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებით დაიწყო. კრემლის მიერ კონტროლირებადი გაზპრომი კი დღეს, თავისი მნიშვნელობით, საგარეო პოლიტიკაში საკუთარი დიდი ამბიციები განახორციელოს.

რაც შეეხება რუსეთის განვითარებას ზოგადად, ის შეიძლება დახასიათდეს, როგორც კორუფციული საბაზრო ეკონომიკის განვითარება ავტორიტარული რეჟიმის ფარგლებში. კრემლისთვის სამართლებრივი სახელმწიფო, დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება, საბაზრო ეკონომიკა მხოლოდ პოლიტიკური ინსტრუმენტებია და არა თავისთავადი ღირებულებები, რომელთაც თვითმყოფადი განვითარების ტენდენცია გააჩნია. ეს თვითმყოფადობა კი, პირველ რიგში პოლიტიკურ პროცესებში საზოგადოების თანამონაწილეობის მაღალი ხარისხით განისაზღვრება.

რუსეთში პრეზიდენტი პუტინი, ენერგოუსაფრთხოების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სულ უფრო მეტად ამყარებს სახელმწიფოს პოზიციებს ენერგეტიკაში. მან თავისი პირადი გარემოცვიდან დანიშნა ხელმძღვანელები ისეთ "ენერგოგიგანტებში", როგორებიცაა "ეს-როსიი", "გაზპრომი", "როსნეფტი", ბირთვული ენერგოსაწვავის კომპანია "რგცლ", ნავთობსადენების მონოპოლია "ტრანსნეფტეპროდუქტი. ხშირად რუსეთის მთავრობა საბაზრო მექანიზმებით, წილის და აქციების გამოსყიდვის გზითაც ახერხებს სახელმწიფო კონტროლის დაწესებას. ამის მკაფიო მაგალითია "იუკოსის"

და “სახალინ 2“-ის გახმაურებული მოვლენები გასულ წელს. ანალოგიური სცენარებით მოქმედებს რუსეთი დსთ-ს მასშტაბითაც.

ამის ნათელი მაგალითია, რუსეთის მოქმედება უკრაინისა და ბელორუსიის მიმართ, როდესაც პუტინმა ლუკაშენკოსთან შეთანხმებას ვერ მიაღწია ორი სახელმწიფოს ბელორუსიის და რუსეთის გაერთიანების შესახებ. რაც პუტინს მისცემდა საშუალებას როგორც ახლად შექმნილი ქვეყნის პრეზიდენტს კვლავ გაეგრძელებინა თავისი პრეზიდენტობის ვადა, მან გაუორმაგა ბელორუსიას გაზის გადასახადი, რადგანაც ამ თანხის გადახდა ბელორისიის ეკონომიკის მოშლას გამოიწვევდა. ბელორუსიამ კონტრარგუმენტად ტრანზიტის თანხა მნიშვნელოვნად გაზარდა, რაც ასევე მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთისათვის და დაიწყო გაზის გადაკეტვა, გაზის დატაცება, კონფლიქტები ორ სახელმწიფოს შორის. ამის შემდეგ რუსეთმა ახალი მოთხოვნა წაუყენა ბელარუსის მთავრობას „ბელტრანსგაზი“-ს აქციების საკონტროლო პაკეტის მიყიდვის შესახებ.

2007 წლის პირველივე დღეებში, ბელარუსის მთავრობასა და ს\ს “გაზპრომს“ შორის ხელშეკრულების გაფორმებით, დასრულდა რუსეთ-ბელორუსის “გაზის ომი“. ამ კონტრაქტით ათას კუბ.მ ბუნებრივ აირს ბელარუსი წელს მიიღებს 100 აშშ დოლარად. იმის გათვალისწინებით, რომ გაზგამანაწილებელი ქსელის კომპანია “ბელტრანსგაზი“-ს აქციების საკონტროლო პაკეტი პირდაპირი მიყიდვის ფორმით, ანუ უკონკურენტოდ, მარტში “გაზპრომმა“ შეიძინა. მან მიაღწია მიზანს – ბალტიის ზღვის ფსკერზე რუსულ-ევროპული გაზსადენის ინტენსიური მშენებლობის ფონზე ამ გარიგებით რუსეთმა ევროპის ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა გაინაღდა.

ანალოგიური სცენარით ცდილობს რუსეთი უკრაინის დასჯას ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ. რუსეთის აზრით უკრაინა უნდა დაისაჯოს სურვილისათვის გაერთიანდეს “ნატოში“. ამიტომ რუსეთი კიდევ ერთხელ ძველი სცენარით აორმაგებს გაზის გადასახადს. უკრაინა ზრდის ტრანზიტის თანხას. მცირდება გაზის ნაკადი უკრაინულ მილებში. უკრაინა ცხადია ვერ დატოვებდა თავის ხალხს გათბობის გარეშე, რამაც გამოიწვია ზამთარში რიგი ევროპული სახელმწიფოების დატოვება გაზის გარეშე. ამან კიდევ ერთხელ წარმოაჩინა რუსეთი ევროპისა და სხვა სახელმწიფოების წინაშე როგორც არასაიმედო პარტნიორი. რაც შეეხება გაზის ომს რუსეთსა და უკრაინას შორის, იგი დღესაც გრძელდება. რამეთუ რუსეთმა წაუყენა მრავალმილიონიანი დავალიანება უკრაინას რასაც იგი

დღეისათვის არ სცნობს. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ რუსულმა ენერგოგიგანტმა დსთ-ს სივრცეში გაზის გამანაწილებელი კომპანიების უშუალოდ გაკონტროლება დაისახაბ მიზნად. ამიტომ საქართველოში ენერგო ობიექტების პრივატიზება განხილულ უნდა იქნეს არა მარტო წმინდა ფისკალური კუთხით, ანუ ბიუჯეტში მოსალოდნელი საპრივატიზებო (კაპიტალური) შემოსავლების მობილიზაციის, არამედ გეოპოლიტიკურ-ევროპის ალტერნატიული გაზმომარაგების – ასპექტშიც. მიცედავად ამისა, სამწუხაროდ, დღეს არსებული გეოპოლიტიკური შეხედულებები (როგორც გავლენიან სახელისუფლებო, ისე საპარლამენტო ოპოზიციის წრეებში) ერთობ ტრივიალურ დასკვნამდე დაიყვანება – რა მნიშვნელობა აქვს, ვის ეკუთვნის "მაგისტრალური გაზსადენი", მთავარია ის, რომ რესურსების წყარო მაინც ქვეყნის გარეთაა და მისი გადაკეტვის გზით პოლიტიკური ზეგავლენა ადვილია.

რუსული ენერგოკომპანიების სტრატეგიას, უწინარეს ყოვლისა, მათზე სახელმწიფოს პირდაპირი თუ არაპირდაპირი კონტროლი განაპირობებს, რომელიც აღნიშნულ სამეწარმეო სუბიექტებს რუსული გეოპოლიტიკური ინტერესების აქტიურ გამტარებლებად გადააქცევს. აქედან გამომდინარე, "გაზპრომმა" გადაწყვიტა, გამოიყენოს სომხეთ/საქართველოს გაზის ქსელი, როგორც ირანული გაზის ევროპაში ტრანზიტის საპირისპირო გზა. სწორედ ამითაა გამოწვეული

"გაზპრომის" მზარდი ინტერესი ჩვენი მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზებაში. სხვაგვარად ვერ აიხსნება "გაზპრომის" დაინტერესება მაღალი სიმძლავრის დაუტვირთავი (ძირითადი – 1200 მმ, სარეზერვო – 700 მმ მილები სანახევროდაც არაა დატვირთული! მისი საპროექტო სიმძლავრეა 18 მლნ.კუბ.მ, სსრკ-ს დაშლის შემდეგ მოხმარების შემცირების გამო ის მხოლოდ 9,5 მლნ.კუბ.მ-ს ატარებს წელიწადში) გაზსადენის მიმართ, რომლითაც საქართველო და სომხეთი რუსული ან თურქმენული გაზით მარაგდება. ამიტომაცაა, რომ "გაზპრომმა" მხარი დაუჭირა ირანიდან სომხეთში გაზსადენის მშენებლობას. უფრო მეტიც, მან მონაწილეობა მიიღო გაზსადენის მშენებლობის დაფინანსებაში – "გაზპრომიდან" 140 მლნ. დოლარის კრედიტით გაზსადენის 120-კილომეტრიანი სომხური მონაკვეთი გაიყვანეს. გაზსადენი 2007 წლის 20 მარტიდან უკვე ფუნქციონირებს! ამავე დროს, "გაზპრომი" აქტიურადაა ჩართული ირანის "სამხრეთ ფარსის" გაზის საბადოს ათვისებაში. იგი ფლობს 30-პროცენტიან წილს და აშენებს 56-დუიმიან გაზსადენს ჩრდილოეთ ირანის მიმართულებით. ე.ი. საქართველოზე გამავალი მაგისტრალური

გაზსადენის პრივატიზების შემთხვევაში "გაზპრომს" ექნება საკუთარი (ანუ ირანში მოპოვებული) გაზი და მილი (ანუ ჩვენი "მაგისტრალური გაზსადენი") ევროპაში გაზის გადასაგზავნად. ამასთან, ვინაიდან 1998 წლის შემდეგ, "არასასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზების" შესახებ კანონის მოთხოვნით, ყველა სახელმწიფო ობიექტი მიწიანად უნდა გაიყიდოს, "გაზპრომს" ექნება მილი თავის მიმდებარე მიწიანად. ეს კი რუსეთს საშუალებას მისცემს, გაზსადენის უსაფრთხოების დაცვის მოტივით მოითხოვოს გარკვეული სამხედრო კონტინგენტის გამოყენება გაზსადენის ნებისმიერ წერტილში. სხვათა შორის, 1999 წელს "გაზის საერთაშორისო კორპორაციის" შექმნა და მის საწესდებო კაპიტალში მაგისტრალური გაზსადენის ჩადება თავდაპირველად სწორედ ერთობლივი რუსულ-ქართული საწარმოს (სახელწოდებაში "საერთაშორისო" სწორედ ამ მიზეზით გაჩნდა) შესაქმნელად იყო მოფიქრებული. ანალოგიური სცენარით გაჩნდა თავის დროზე რუსულ-ქართული ელექტროენერგეტიკული საწარმო "საქრუსენერგოც". მისი საწესდებო კაპიტალი რუსულ მხარეს უნდა შეევსო "ზესტაფონი-ახალქალაქი" ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობით, რაც შემდეგ ყარსის მიმართულებით გაგრძელდებოდა, და საბოლოო დანიშნულებით ახლო აღმოსავლეთ/რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემის შექმნა იყო გათვალისწინებული.

შეუძლებელია დაეთანხმო მოსაზრებას, თითქოს "გაზპრომს" ჩვენი გაზსადენი თურქეთში გაზის ტრანზიტისთვის სჭირდება. თურქეთის ბაზარი "გაზპრომს" ისედაც უკვე ათვისებული აქვს ბულგარეთის გავლით "პროგრესისა" და შავი ზღვის ფსკერზე გამავალი "ცისფერი ნაკადის" მილსადენების საშუალებით. ჩვენი მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზებით და გაზის ნაკადის მიმართულების შეცვლით რუსეთი განიმტკიცებს ევროპაში გაყვანის შემდგომ, არსებული გაზსადენებითა ("მეგობრობა", "პროგრესის") და ირანული გაზით მას გარანტირებული ექნება ევროპაზე ხანგრძლივი გოეპოლიტიკური ზემოქმედება. თანაც, კიდევ უფრო "მიიბამს" სტრატეგიულ პარტნიორებს – სომხეთსა და ირანს. შემთხვევითი არ არის, რომ ევროპის საბჭოს 2006 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებაში დაფიქსირებულია: "უნდა განვითარდეს კასპიის რეგიონიდან გაზმომარაგების ახალი მარშრუტები. ევროკავშირის გაფართოების დროს მხედველობაშია მისაღები ენერგოუსაფრთხოება".

ამრიგად, თუ საქართველო, შესაბამისი სტრატეგიით, ხელს არ შეუშლის უცხოური სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად

კომპანიებს ჩვენი ენერგოქსელების პრივატიზებაში, მაშინ ქვეყნის პროდასავლური კურსი წინააღმდეგობაში მოვა მთავრობის შიდა ეკონომიკურ პოლიტიკასთან. ანუ თუ ევროპაში ინტეგრაცია გვსურს, ხელი უნდა შევუწყოთ რუსეთის გვერდის ავლით გაზის ალტერნატიული გზებით ტრანზიტს.

თავისი მიზნების განხორციელებისათვის რუსული "გაზპრომი" აზერბაიჯანული გაზის შესყიდვით დაინტერესდა, თუმცა მხარეები ურთიერთხელსაყრელ ფასზე ჯერჯერობით ვერ შეთანხმდნენ. "გაზპრომისთვის" აზერბაიჯანული მხარის მიერ შეთავაზებული ფასი მიუღებელი აღმოჩნდა. ამის შესახებ აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტმა როვნაგ აბდულაევმა აზერბაიჯანის სატელევიზიო არხ ANS-თან ინტერვიუში განაცხადა. როვნაგ აბდულაევის განცხადებით, აზერბაიჯანმა "გაზპრომს" 2007 წლის მაისში ათასი კუბ. მეტრი გაზის 230 აშშ დოლარად ყიდვა შესთავაზა. თუმცა რუსული მხარე ათასი კუბ. მეტრი გაზის შესყიდვას გაცილებით დაბალ ფასად მოითხოვდა. როგორც აბდულაევი აცხადებს, აზერბაიჯანი ევროპის გაზის მომარაგების საქმეში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოზიციას იკავებს. ამ დროისთვის აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია პროექტ Nabucco-ს მონაწილე კომპანიებთან და ქვეყნებთან მოლაპარაკებას აწარმოებს. "ჩვენ მომხრე ვართ, რომ გაზის ექსპორტი თურქეთი-საბერძნეთი-იტალიის მიმართულებით მოხდეს და ამ პროექტის მონაწილე ქვეყნებთან მუდმივ კონტაქტში ვიმყოფებით," – განაცხადა აბდულაევმა.აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია 2008 წელს გაზის მოპოვების გაზრდას 55 პროცენტით, დაახლოებით 8 მილიარდ კუბურ მეტრამდე გეგმავს. აზერბაიჯანის რესპუბლიკას გაზზე საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დაახლოებით 12-13 მილიარდი კუბური მეტრი გაზი სჭირდება. აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის გარდა, ამ ქვეყანაში გაზს მოიპოვებენ: BP (25%), Statoil (25.5%), LUKOIL (10%), NICO (10%), Total (10%) და TPAO (9%). თვითონ აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის წილად მოპოვებული გაზის 10 პროცენტი მოდის.

იმ შემთხვევაში, თუ შაჰ-დენიზზე გაზის მოპოვება სტაბილურად გაგრძელდება, ამ საბადოდან 8.6 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მოპოვებას მოელიან. შაჰ-დენიზის გაზი აზერბაიჯანს, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას და BOTAS-ს (თურქეთი) მიეწოდება.

ირანთან შეთანხმება უკვე მიღწეულია – "გაზპრომი" ირანული ნავთობისა და გაზის მოპოვებაში, ტრანსპორტირებასა და გაყიდვაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. რუსული სახელმწიფო მონოპოლისტი პირველ ეტაპზე "სამხრეთ პარსის" და კუნძულ კიშზე არსებული ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავებაში მიიღებს მონაწილეობას. "გაზპრომი" ირანში მას შემდეგ გააქტიურდა, რაც ქვეყნის ხელმძღვანელობამ საბადოებზე ჩინური კომპანიების დაშვების და მომავალში გაზსადენ NABUCCO-სთვის გაზის მიწოდების შესახებ განცხადებები გააკეთა.

სპარსეთის ყურის შელფში გაზისა და ნავთობის ერთობლივი მოპოვების შესახებ "გაზპრომის" ხელმძღვანელი ალექსეი მილერი ირანის ნავთობის მინისტრთან უკვე შეთანხმდა. საინფორმაციო სააგენტო ISNA (თეირანი) აზუსტებს, რომ ერთი ან რამდენიმე ერთობლივი საწარმოს შეთანხმებას ირანის ნავთობის მინისტრი და "გაზპრომის" ხელმძღვანელი ხელს აპრილში ან მაისში მოაწერენ. სააგენტო SHANA-ს ინფორმაციით კი, შეთანხმება სამხრეთ და ჩრდილოეთ პარსის და კუნძულ კიშზე არსებული საბადოების ერთობლივ დამუშავებას ეხება – ამ კუნძულზე გაზის მარაგი დაახლოებით 1. 37 ტრილიონ კუბურ მეტრს უტოლდება.

გარდა ამისა, "გაზპრომი" ირანში გაზსაცავის მშენებლობას აპირებს და ირანის გაზის ნაციონალურ კომპანიას მოქმედი გაზსადენის დიაგნოსტიკასა და რეაბილიტაციაში თანადგომასაც შეჰპირდა. "გაზპრომი" "სამხრეთ პარსის" მეორე და მესამე ბლოკებზე (სულ ამ საბადოზე 18 ბლოკია და გაზის საერთო მარაგი 10 ტრილიონ კუბურ მეტრს უტოლდება) 1997 წლიდან, ფრანგულ TOTALELF-თანA (40%) და მალაიზიურ PETRONAS-თან (30%) ერთად, კონსორციუმის ფარგლებში მუშაობდა. 2004 წელს კონსორციუმმა ირანის ნავთობის ნაციონალურ კომპანიას გადასცა კომპლექსი, რომელიც ორ საზღვაო ბაქანს, 100 კმ. სიგრძის ორ წყალქვეშა გაზსადენს და ქალაქ ასსალუეში არსებულ თხევადი გაზის ქარხანას მოიცავდა. კომპლექსის საერთო ღირებულება 2 მილიარდი აშშ. დოლარია.

"გაზპრომი" ცდილობდა, გაზის ექსპორტზე ირანის ხელისუფლებისგან სასურველი კვოტები მიეღო. სანაცვლოდ ირანმა "გაზპრომისგან" სამრწველო ექსპლუატაციის დაწყებიდან 7 წლის განმავლობაში 1.15 მილიარდი ლარის გადახდა მოითხოვა. მოლაპარაკებების დროს შუამავალი TOTAL-ი იყო. ალექსეი მილერის ვიზიტი მას შემდეგ მომზადდა, რაც ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა

განაცხადა, რომ ირანი, შესაძლოა, ევროპულ გაზსადენ NABUCCO-სთვის მთავარი სარეზერვო ბაზა გახდეს და გაზის მიწოდების თაობაზე შვეიცარიასთან შეთანხმებასაც მოაწეროს ხელი.

ექსპერტთა აზრით, "გაზპრომი" რუსეთში რეალურ გააქტიურებას სულაც არ აპირებს. რუსი ექსპერტი ვალერი ნესტეროვი მიიჩნევს, რომ ახლო მომავალში რუსეთ-ირანის პროექტებზე მუშაობა არ განახლდება. "არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ირანში მოქმედი კომპანიების მიმართ აშშ საერთაშორისო სანქციებს აწესებს," – აცხადებს ნესტეროვი. ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ევროკავშირის ქვეყნები, დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობის გამო, ირანული გაზის შესყიდვაზე უარს იტყვიან. თუმცა "გაზპრომს" ირანთან მოლაპარაკებები, წინააღმდეგობების მიუხედავად, მაინც უღირს – ირანი 28 ტრილიონ კუბურ მეტრად შეფასებულ გაზის მარაგს ფლობს.

ბოლო 4 წლის განმავლობაში ნავთობის ფასი 3-ჯერ გაიზარდა და გაზისა და ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების სფეროში შესამჩნევი მდგომარეობაც სრულიად ახალმა კომპანიებმა დაიკავეს. ამ კომპანიებმა ენერგორესურსების ფლობისა და მოპოვების აგრესიული მანერით მსოფლიოს უმსხვილესი ენერგოკომპანიები – ამერიკული ExxonMobil-ი და Chevron-ი და ევროპული BP და Royal Dutch Shell-ი მნიშვნელოვნად შეავიწროვეს

გასული წლის მიწურულს მოსკოვს BP-ს ხელმძღვანელი, ლორდი ბრაუნი ეწვია. მან "გაზპრომს" თხევადი გაზის საზღვარგარეთ რეალიზაციის უფლება სთხოვა. თუმცა ვიზიტის მთავარი მიზანი სხვა იყო, ბრაუნმა "გაზპრომის" მხრიდან კოვიკტინსკის გაზის საბადოზე კონტროლის მოპოვების მცდელობის შეჩერება სცადა – კოვიკტინსკის საბადო რუსეთში BP-ს მთავარი აქტივია.

ბუნებრივი რესურსების ნაციონალიზაციას გასული საუკუნის 70-იან წლებში მიმდინარე პროცესისგან განსხვავებული სახე აქვს. ამ ეტაპზე ტრანსნაციონალურ ნავთობკომპანიებს კაპიტალის დასაბანდებლად ახალი საბადოების მოძიება საკმაოდ უჭირთ. 2000 წლიდან (როცა ყაზახეთში ბოლო 30 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი – კაშაგანსკის საბადო აღმოაჩინეს) დღემდე დღე-ღამეში 1 მილიონი ბარელი ნავთობის მომცემი საბადო აღარ აღმოუჩენიათ.

პრობლემა ის არის, რომ სახელმწიფო ნაციონალურ ნავთობკომპანიებს საკუთარი შემოსავლების რეინვესტირების უფლებას არ აძლევენ. რეინვესტირებისა და დარგის

განვითარების მაგივრად, ეს სახელმწიფოები ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და გადამუშავების სფეროდან მიღებულ ფულს სოციალურ ღონისძიებებზე ხარჯავენ. ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი PDVSA-ს ბიუჯეტის ორ მესამედს პოპულისტურ სოციალურ პროგრამებზე ხარჯავს. რაისის უნივერსიტეტის მონაცემებით, 2005 წელს ამ მიზნით 7 მილიარდი აშშ დოლარი დაიხარჯა, მაშინ, როცა 1997 წელს ჩავესის წინამორბედი ხელისუფლება ამ მიზნით მხოლოდ 77 მილიონ დოლარს ხარჯავდა.

რუსეთში "გაზპრომის" შემოსავლების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი მიემართება მოძველებული ნავთობსადენის მოდერნიზაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ ირანულ NIOC-ს სამხრეთ ირანის და მსოფლიოში უმდიდრესი გაზის საბადო ეკუთვნის, ეს კომპანია ირანში გაზის იმპორტს ახდენს. NIOC-ი ირანის მასშტაბით ბენზინის სუბსიდირებას ახდენს – ამ ქვეყანაში 1 ლიტრი ბენზინის ფასი 10 ამერიკული ცენტია. სამაგიეროდ, კომპანიას ნავთობისა და გაზის მოპოვების გაზრდის და ნავთობგადამამუშავებელი წარმოების გადაიარაღების საშუალება აღარ აქვს.

რა ხდება მაშინ, როცა სახელმწიფო უცხოურ ინვესტიციებს ზღუდავს და ნაციონალურ ნავთობკომპანიას უძირო ყულაბასავით იყენებს? ამის ნათელი მაგალითია მექსიკური Pemex. მისი წარმოება იმდენად დაეცა, რომ Financial Times–მა ეს კომპანია განვითარებადი მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ენერგეტიკულ კორპორაციათა შორის აღარ შეიყვანა.

საბადოების მფლობელთა გარდა, ტრანსნაციონალური ნავთობკომპანიების კონკურენტებად ის ნაციონალური ნავთობკომპანიებიც გვევლინებიან, რომლებიც ბუნებრივ რესურსებს ეძებენ. შესაბამისად, მსოფლიო მასშტაბით ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემაც უფრო მძაფრდება.

ჯიმი კარტერმა, რომელიც 70-იანი წლების ნავთობის კრიზისის დროს აშშ-ს პრეზიდენტი იყო, ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ენერგეტიკული დაუცველობა კვლავ მსოფლიოს ყველაზე დიდ პრობლემად რჩება და ეს პრობლემა მომავალში უფრო მეტ კრიზისულ სიტუაციებს გამოიწვევს. " ამ ეტაპზე ჩინეთისა და ინდოეთის მხრიდან ისეთი კონკურენციის პირობებში ვცხოვრობთ, რისი წარმოდგენაც ჩემი პრეზიდენტობის დროს არც შეიძლებოდა," – განაცხადა კარტერმა.

ვაშინგტონის მოსალოდნელი რეაქციის შიშით, პრემიერმა რ.ტ. ერდოგანმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა გულერმა და

გაზის კომპანიის “Botas“-ის გენერალურმა დირექტორმა სტრატეგიის დარგში სენკ პალამ თურქმენეთ-ირან-თურქეთის 2007 წლის 20 ნოემბრის პროექტის მნიშვნელობა, ბუნებრივია, ახსნეს ევროპის და თურქეთის გაზზე მოთხოვნის რუსეთის გვერდის ავლით დაკმაყოფილებისა და ევროკავშირის თურქული კორიდორით ენერგომომარაგების დივერსიფიკაციის აუცილებლობით. ტრანსკასპიურ გაზსადენის (TCGP) პროექტზე თურქმენეთის მხრივ კასპიის სტატუსის გამო არსებული წინააღმდეგობის პირობებში, როგორც გულერმა აღნიშნა, თურქეთს სურს, თურქმენულ გაზს ირანის საშუალებით დაუკავშირდეს. როგორც თურქმა პოლიტიკოსებმა აღნიშნეს, ვაშინგტონი თავდაპირველად პროექტს დაუპირისპირდება (16 ივლისს უკვე გაუღერდა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის შონ მაკ-კორმაკის მხრივ თურქეთის კრიტიკა), თუმცა შემდეგ მიხვდება თურქეთის და ევროკავშირის ინტერესების მნიშვნელობას.

ფაქტობრივად, თურქეთმა დროული სვლა გააკეთა. ეს სვლა წინ აღუდგება რუსეთის პრეზიდენტ ვ. პუტინის ძალისხმევას ცენტრალური აზიის ენერგორესურსებთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ვ. პუტინის ეს ძალისხმევა თავისთავში მოიცავს: თურქმენულ გაზზე რუსეთის მონოპოლიის შენარჩუნებას; ავსტრიის ჩართვას “გაზპრომის“ სატრანზიტო სქემაში; და თურქეთის გვერდის ამქცევი რუსულ-იტალიური “სამხრეთის ნაკადის“ შეთანხმებას. პირველი ბერკეტით რუსეთი ცდილობს, ტრანსკასპიური გაზსადენით ევროპის გაზმომარაგების პროექტის (TCGP) დასამარებას. მეორე ეწინააღმდეგება გლობალურ ევროპულ პროექტს Nabucco-ს. მესამე ბერკეტით კი იგი ევროპის უკანასკნელ ალტერნატიულ ენერგოკორიდორს დახურავს, რაც თურქეთს ჩიხში მოაქცევს (ბოლო მომენტამდე თურქეთი ცდილობდა, “გაზპრომთან“ შეთანხმებისათვის მიეღწია, რათა თურქეთი ტრანსკასპიური – TCGP და Nabucco-ს დამაკავშირებელი პუნქტი ყოფილიყო. ირანთან აღნიშნული შეთანხმების განხორციელების შემთხვევაში კი თურქეთს რუსული გაზი აღარაფერში დასჭირდება). თურქეთის ირანთან გაფორმებული მემორანდუმი დროულია, ვინაიდან იგი წინაღუდგა თურქმენეთ-ყაზახეთ-რუსეთის მიერ ქ. თურქმენბაშიში 2007 წლის 12 მაისს ხელმოწერილ შეთანხმებას. ირან-თურქეთის მემორანდუმი ასევე სიცოცხლისუნარიანობას უნარჩუნებს Nabucco-ს პროექტსაც.

იგი საშუალებას იძლევა, აზერბაიჯანული გაზი Nabucco-ს საშუალებით ევროპისკენ მიიმართოს ბაქო-თბილისი-ერზერუმის

(BTE) "სამხრეთკავკასიური" გაზსადენის გამოყენებით. იგი თურქეთს აძლევს შანსს, რომ გახდეს "გაზპრომის" ალტერნატიული სატრანზიტო კორიდორი, რითაც ევროკავშირის და აშშ-ს ენერგო-დივერსიფიკაციის სქემებში თავისი ადგილი დაიმკვიდროს.

რამდენიმე დღის შემდეგ, 17 ივლისს პეკინში თურქმენეთის და ჩინეთის მთავრობებმა ხელი მოაწერეს გრანდიოზულ შეთანხმებას თურქმენეთის გაზის საბადოების ათვისებასა და ჩინეთისათვის გაზის მიყიდვის შესახებ. ხელმოწერას ორი ქვეყნის პრეზიდენტი დაესწრო.

ჩინეთის ეროვნული ნავთობკორპორაციის (CNPC) და თურქმენეთის ჰიდროკარბონების სახელმწიფო სააგენტოს (რომელიც პირდაპირ ექვემდებარება პრეზიდენტს) ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს პროდუქციის მიწოდების კონტრაქტს მდ. ამუდარიას მარჯვენა ნაპირზე (აღმოსავლეთ თურქმენეთი) იმ გაზის საბადოების ათვისებაზე, რომელიც, თურქმენების შეფასებით, 1.7 ტრილიონ კუბ. მეტრის სიმძლავრისაა. ეს შეფასება არაა დამოკიდებული ექსპერტების მიერ გაკეთებული და არ მოიცავს დაუზვერავ საბადოებს ამ რეგიონში. ჩინურ მხარეს ასევე უკვე ხელმოწერილი აქვს 1.5 მლრდ. დოლარის კონტრაქტიც ამ რეგიონში გაზის საბადოების ათვისებაზე, რომლითაც სამხრეთ იოლოტანში (თურქმენეთი სამხრეთ-აღმოსავლეთი) 2007-2010 წლებში 12 ჭაბურღილის ამოქმედებას ითვალისწინებს. 17 ივლისს ასევე სახელმწიფო კომპანია "თურქმენგაზმა" და ჩინურმა CNPC-მ ხელი მოაწერეს შეთანხმებას 30 წლის მანძილზე ყოველწლიურად ჩინეთისათვის 30 მლრდ. კუბ. მეტრი გაზის მიწოდებაზე. გაზსადენის ჩინეთის სინძიანის პროვინციის გავლით ჩინეთის შიდა ქსელს დაუკავშირდა. ამ ქსელით 2004 წლიდან სინძიანი 4000კმ-იანი მილით უკავშირდება ქ. შანჰაის. ასევე დაგეგმილია ახალი 6500 კმ-იანი მილის გაყვანა ჩინეთის ქ. კანტონამდე. სავარაუდოდ, თურქმენული გაზი ამ უკანასკნელ გაზსადენს დაუკავშირდება. ვიზიტის დროს თურქმენეთის პრეზიდენტმა გ. ბერდიმუჰამედოვმა განაცხადა, რომ უზრუნველყოფს ამ მიმართულებით გაზის საჭირო რაოდენობით მიწოდებას და საჭიროების შემთხვევაში გაზს სხვა რეგიონებიდანაც დაახმარს. გ. ბერდიმუჰამედოვმა აღნიშნა, რომ თურქმენეთს საკმაო გაზი აქვს ყველა მიმართულებით ექსპორტის უზრუნველსაყოფად და მიწოდების საჭირო მოცულობის შესახებ ჩინური მხარის დაეჭვების საფუძველი არ არსებობს.

ამრიგად, ერთის მხრივ, არსებული ტრანსევროპული გაზსადენებით, ბალტიის ფსკერზე მშენებარე "ნორდ სტრიმით" (Nord Stream), შავი ზღვის ფსკერზე დაპროექტებული ახალი "ცისფერი ნაკადი2"-ით (Blue Stream2), სულ ახლახან, 12 მაისს ქ. თურქმენბაშიში შეთანხმებული "კასპიისპირა გაზსადენით" (Pre-Caspian Pipeline), შავი ზღვის ფსკერზე "სამხრეთის ნაკადის" (South Stream) გაყვანის მიზნით რუსულ-იტალიური კონსორციუმის შექმნით, რაც გაფორმდა 2007 წლის 23 ივნისს "გაზპრომი"/Eni-ის შეთანხმებით;

მეორეს მხრივ კი, 2007 წლის 9 აპრილს ქ. დოჰაში (კატარი) "გაზ-ოპეკის" ტიპის კარტელის შექმნით, რუსეთი 2008 წლიდან, ცენტრალური აზიის ენერგორესურსების ჩრდილოეთის მიმართულების მაკონტროლებელი ხდება.

აქედან გამომდინარე, თურქმენეთ-ირან-თურქეთისა და თურქმენეთ-ჩინეთის ზემოადნიშნული შეთანხმებების გათვალისწინებით, "კასპიისპირა გაზსადენის" (Pre-Caspian Pipeline) ჩრდილოეთის ანუ თურქმენეთ-ყაზახეთ-რუსეთის მიმართულებას ემატება თურქმენეთ-ირან-თურქეთის, ე. ი. სამხრეთის მიმართულებაც. თანაც, თურქმენეთის მიერ რუსეთისა და ჩინეთისადმი აღებული გრანდიოზული ვალდებულებების გათვალისწინებით, "ტრანსკასპიური გაზსადენის" უახლოეს მომავალში განხორციელებას სერიოზული საფრთხე დაემუქრა.

ამიტომ, 2008 წლის სტრატეგიული საგარეო პოლიტიკური დოკუმენტების შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კასპიისპირა გაზსადენის (Pre-Caspian Pipeline) ჩრდილოეთის და სამხრეთის ახალ პროექტებს, რომლებმაც ტრანსკასპიური გაზსადენის (TCGP) პროექტი ათწლეულებით შეიძლება გადაავადოს.

საქრთველოს "საგარეო საქმეთა მინისტრის 2007 წლის დირექტივებში" ენერგო-უსაფრთხოების საკითხებს შორის (თავი 5, გვ.15) სრულიად სამართლიანადაა ხაზგასმული, რომ სამინისტროს უმთავრეს ამოცანებს შორისაა" . . . პარტნიორებთან ეფექტიანი თანამშრომლობა ტრანს-კასპიური მილსადენების სისტემის სტრატეგიის შექმნასა და მის განხორციელებასთან დაკავშირებით". მილსადენების "სისტემაში" იგულისხმება: ა) ტრანსკასპიური გაზსადენი (TCGP). ამ ამოცანის შესრულება ნიშნავს ცენტრალური აზიიდან საქართველოს გავლით ევროპის რუსეთისგან ალტერნატიული გაზ-ნავთობ-მომარაგების სქემის განხორციელებას. ამოცანისა, რომელიც ასევე ხაზგასმულია

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირ-საქართველოს სამოქმედო გეგმის მე-8 პრიორიტეტში (ENP EU/Georgia AP). 2007 წლის ზაფხულში ოდესა-ბროდი-პლოცკი-გდანსკის მილსადენის პროექტის დაწყების შედეგად ნავთობსადენის (TCOP) პერსპექტივა უკვე აშკარაა. რაც შეეხება ტრანსკასპიურ გაზსადენს (TCGP), ამ მხრივ მდგომარეობა ბუნდოვანია.

2007 წლის 20 ნოემბერს ფუნქციონირება დაიწყო წელიწადში 11.5 მლრდ. კუბ. მეტრის სიმძლავრის გაზსადენმა, რომლითაც თურქეთისა და საბერძნეთის მეშვეობით საქართველოზე გამავალი "სამხრეთკავკასიური გაზსადენით" (BTE) აზერბაიჯანული გაზი უკვე ევროპას მიეწოდება. ამ მოვლენას წინ უსწრებდა ორი მნიშვნელოვანი შეთანხმება, რომელიც საქართველოს ევროინტეგრაციის საგარეო პოლიტიკური კურსის პირობებში, აუცილებლად გასათვალისწინებელია.

კერძოდ, თურქეთის ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ჰილმი გულერმა და ირანის ნავთობის მინისტრმა კაზემ ვაზირი-ჰამენეჰმა 2007 წლის 13 ივლისს ანკარაში ხელი მოაწერეს მემორანდუმს ურთიერთგაგების შესახებ, თურქმენეთიდან და ირანიდან გაზის თურქეთში მიწოდებაზე, შემდგომში მისი ევროპაში გადამისამართების მიზნით. ეს კონტრაქტი ევროპას საშუალებას მისცემს:

- გახსნას ევროპის გაზის ალტერნატიული ("მეოთხე) კორიდორი რუსეთის გვერდის ავლით;
- გადაარჩინოს Nabucco-ს პროექტი (რომელიც თავდაპირველად სწორედ ირანული გაზის ევროპისკენ გადასაგზავნად იყო დაპროექტებული);
- პირველად ისტორიაში თურქმენეთს მისცემს საშუალებას, კასპიის ზღვის გადაკვეთის გარეშე, სახმელეთო გზით დაუკავშირდეს თურქმენეთს და იქიდან ევროპას. ეს კი, ფაქტობრივად, **ტრანსკასპიური გაზსადენის (TCGP) ახალი, საქართველოსთვის არასასურველი ალტერნატივაა;**
- გზას გაუხსნის ირანულ გაზს დასავლეთის მიმართულებით – ევროკავშირს ამით საშუალება ეძლევა, "გაზპრომისგან" ალტერნატიული მომარაგება მიიღოს;

2010 წლისთვის, როდესაც იწურება ევროკავშირის "გაზპრომთან" გაფორმებული გაზ-მომარაგების ძირითადი კონტრაქტები, ევროპელებს ეძლევათ გარკვეული კონტრ-ბერკეტები რუსეთთან მოლაპარაკებებში. ესაა აშშ-ს

პოლიტიკის მიზანიც. მაგრამ მოვლენების ასეთი განვითარება ასევე ეწინააღმდეგება ათიოდე წლის წინანდელ აშშ-ს მიერვე დამტკიცებული ირანის გაზის რესურსების განვითარების საწინააღმდეგო გეგმასაც – თუმცა, ამ შეთანხმებით ირანის გაზი ევროპაში რუსული გაზის ალტერნატივა შეიძლება გახდეს, თურქმა ოფიციალურმა პირებმა აშშ-ს მხრივ სანქციების თავიდან არიდების მიზნით სწორედ ალტერნატიულობის არგუმენტით ისარგებლეს.

მემორანდუმის თანახმად, ყოველწლიურად 30 მლრდ. კუბ. მეტრი გაზი შევა თურქეთში ირანიდან და თურქმენეთიდან (ამ უკანასკნელში ირანის ტერიტორიის გავლით, საიდანაც გაზი ევროპისაკენ გადაიტუმბება. გაზის აღნიშნული რაოდენობიდან 20 მლრდ. კუბ. მეტრი ყოველწლიურად მიეწოდება ირანის სუპერგიგანტური "სამხრეთ ფარსის" საბადოდან. სავარაუდოდ, ირანი საშუალებას მისცემს თურქეთის სანავთობო კორპორაციას (TPAO), ტენდერის გარეშე მონაწილეობა მიიღოს "სამხრეთ ფარსის" ბლოკების ე.წ. "22-ე, 23-ე და 24-ე ფაზების" დამუშავებაში.

უფრო მეტიც, ამ შეთანხმებით ირანი თურქეთის გავლით ტრანზიტად გაატარებს 10 მლრდ.კუბ. მეტრ თურქმენულ გაზს ევროპისაკენ. ამ მიზნით ირანი გამოიყენებს მოქმედ კარპეჩე-ქურთკუის, თურქმენეთიდან ერთადერთ არარუსული მიმართულების გაზსადენს (არსებული მილის 13 მლრდ. კუბ. მეტრი) ან დააპროექტებს ახალ გაზსადენს.

თურქული მხარის განცხადებით, ირანული და თურქმენული გაზი ერზერუმთან დაემატება აზერბაიჯანულს და მომავალში შეუერთდება Nabucco-ს ევროპულ მილს. თურქეთის გაზის კომპანია Botas-მა გამოთქვა მოსაზრება, რომ თურქეთის ტერიტორიაზე უნდა აიგოს ახალი გაზსადენი, რის დასაფინანსებლადაც გამოყენებულ იქნება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიდან მიღებული სატრანზიტო შემოსავლები. ირანი მზადაა, თურქეთს გაზის ფასი დაუკლოს იმის სანაცვლოდ, რომ მან ევროპისკენ ამ ახალი მილით გაატაროს ირანული გაზი. ეს პროექტი თურქეთს საშუალებას აძლევს გახდეს არა მარტო გაზის ტრანზიტორი, არამედ გაზით მოვაჭრე, ე.წ. "ჰაბი" ქვეყანაც.

ზემოაღნიშნული მემორანდუმით, ირანი და თურქეთი აარსებენ საგეგმო ჯგუფს, რომელიც ანგარიშს ყოველთვიურად გამოაქვეყნებს ორი ასპექტით: გაზის მოპოვებისა და ტრანსპორტირება/მარკეტინგის მიმართულებით.

ირანული გაზის თურქეთში შესვლით მოიხსნება Nabucco-სთვის რუსული გაზის შესყიდვის აუცილებლობა. აქამდე ირანულ და თურქმენულ გაზზე ხელმიუწვდომობა Nabucco-ს მენეჯერებს აიძულებდათ, პროექტის გაზმომარაგების 70% "გაზპრომის" რესურსებში ეძებნათ. თურქმენეთ-ირან-თურქეთის კონტრაქტი გლობალურ ევროპულ პროექტ Nabucco-ს საშუალებას მისცემს, "გაზპრომის" მარწუხებს თავი დააღწიოს.

საქმე ისაა, რომ აშშ-ს მიერ ირანული გაზის ალტერნატივად დასახელებული მომარაგების წყარო – "შაჰ-დენიზ"-2" არაა საკმარისი Nabucco-სა და თურქეთ-საბერძნეთ-იტალიის გაზსადენების შესავსებად, და შესაბამისად, ვერ გახდება "გაზპრომის" ალტერნატივა ევროპის ბაზრებზე. ასევე უახლოეს მომავალში შეუძლებელია ერაყის ქურთისტანსა და ჩრდილოეთ ერაყში ნავთობის თანმხლები გაზის ევროპისკენ გადატუმბვაც, ერაყში არსებული დაძაბული სიტუაციის გამო.

ახალი "ცივი ომის" მიზეზი მომავალში იდეოლოგიის ნაცვლად ნავთობი და გაზი იქნება. სპეციალისტების პროგნოზით 10 წელიწადში მსოფლიოში გაზისა და ნავთობის მარაგის ნახევარი უკვე მოპოვებული იქნება. ენერგომატარებლების გაძვირების ტენდენცია შეუქცევადი გახდება. შეზღუდულმა რესურსებმა მომავალში მზარდი მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს. ქვეყნების გადარჩენა და კეთილდღეობა ნავთობისა და გაზის მარაგზე იქნება დამოკიდებული. (2)

დღეს, მსოფლიოში ყოველწლიურად გამოყენებული ნავთობის ნახევარი აშშ-ზე, ევროკავშირზე და იაპონიაზე მოდის. ამ ქვეყნების მომავალი კონკურენტები ჩინეთისა და ინდოეთის სახით, მართალია, ამ ეტაპზე მსოფლიო ნავთობის მხოლოდ 10% მოიხმარენ, მაგრამ მათ მიერ ნავთობის გამოყენების ყოველწლიური მაჩვენებელი 20-დან 30 პროცენტამდე იზრდება. ასეთი ტემპებით მათი მოთხოვნა 2030 წლისთვის აშშ-ს მოთხოვნას გაუტოლდება. აშშ დღეს მსოფლიოში ნავთობის მოხმარებაში პირველ ადგილზეა (25% მოიხმარს).

ეს მაჩვენებლები ნათელყოფს მსოფლიოში დაპირისპირების გამწვავებას გაზისა და ნავთობის უკანასკნელი მარაგის ხელში ჩასაგდებად და მისი ტრანსპორტირების გასაკონტროლებლად. ამ დაპირისპირების მონაწილე მხარეები ზოგადად კავკასიის რეგიონში და კონკრეტულად საქართველოში აშშ, რუსეთი, ევროკავშირი, თურქეთი და ირანია.

ექსპერტების დასკვნების თანახმად, თუ განვითარებულ სახელმწიფოებს სურთ შეინარჩუნონ ენერგომატარებლების სტაბილური ფასები და თავი აარიდონ დეფიციტს, მათ ენერგომომარაგების დივერსიფიკაციის გზით ენერგოუსაფრთხოების პრობლემები უნდა გადაჭრან, ვინაიდან მათი მზარდი მოთხოვნა სულ უფრო მეტად შეზღუდულ რესურსებს უპირისპირდება. ბუნებრივი გაზის თვალსაზრისით უსაფრთხო მომარაგება ნიშნავს, რომ ცალკეულ ქვეყანას ერთზე მეტი მიმწოდებელი და ერთზე მეტი სატრანსპორტო საშუალება (მილსადენი) უნდა ჰქონდეს. ეს სტრატეგიული მოთხოვნაა. ევროპის ალტერნატიული გაზმომარაგება ჯერჯერობით მისთვის მიუწვდომელი, მაგრამ გეოგრაფიულად რუსეთის საბადოებზე ახლოს მყოფი, კასპიის აუზის ქვეყნებიდანაა შესაძლებელი. ამასთან, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით გაზი მკვეთრად განსხვავდება ნავთობისაგან. საქმე ისაა, რომ ნავთობის ფიუჩერსული კონტრაქტები მეტნაკლებად კონკურენტული საბაზრო ურთიერთობების პირობებში იდება და მსოფლიო ბაზრებზე ტრანსპორტირებაც შედარებით მცირე პარტიებად, ძირითადად რკინიგზითა და ტანკერებით ხორციელდება. მაშინ, როცა მსოფლიო გაზის მიწოდების მხოლოდ 10% გადაიზიდება სპეციელური ტრანსპორტით თხევად მდგომარეობაში. ევროპაში გაზის ძირითადი მოცულობის მიწოდება რუსეთიდან, ალჟირიდან და ნორვეგიიდან მილსადენებით ხორციელდება. გაზის ასეთი სატრანსპორტო სპეციფიკის გათვალისწინებით კონტრაქტები გრძელვადიანი ხასიათისაა, ანუ გამყიდველს, ე.ი. რუსეთის "გაზპრომს" და მის მოკავშირეებს, სხვა ექსპორტიორების სიმცირის შემთხვევაში, გრძელვადიანი მონოპოლიური მდგომარეობა თითქმის გარანტირებული აქვს.

დასავლეთისთვის ალტერნატიული წყარო კასპიისპირა ქვეყნებია. აზერბაიჯანული გაზი შაჰ-დენიზიდან "სამხრეთ კავკასიური გაზსადენით" საქართველოს გავლით უკვე თურქეთს მიეწოდება. იგეგმება მისი საბერძნეთში, ხოლო შემდეგ იტალიაში გადატუმბვა.

საბედნიეროდ, საქართველოს კასპიის ქვეყნებთან საერთო საზღვარი გააჩნია და შაჰ-დენიზის გაზი სწორედ "გაზპრომის" ალტერნატივად მოგვევლინა. საქართველოს სტაბილურ ენერგომომარაგებაში უკვე დასავლეთის ინტერესიც ჩნდება, რადგანაც იგი უკვე დამაკავშირებელი რგოლია კასპიის ენერგორესურსების დასავლეთისკენ მიწოდების გზაზე. კასპიის რეგიონში კი დაზვერილი ნავთობის მარაგი 21 მლრდ. ტონას (2.6 მლრდ. უკვე მოპოვებული), გაზის კი – 27.5 ტრლნ. კუბ.

მეტრს (3.5 ტრლნ. მოპოვებული) შეადგენს. კავასიის რეგიონის სიახლოვესაა ირანიც, რომელიც ნავთობის მარაგებით მესამე, გაზით კი – მეორე ადგილზეა მსოფლიოში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, საქართველოზე გამავალი ნავთობპროდუქტების ტრანზიტის მარშრუტი, რომელიც დასავლეთის მიმართულებით რუსული მარშრუტის ალტერნატივაა, ჩვენი რეგიონის უსაფრთხო განვითარების გარანტი ხდება, კავკასიის "ენერგოდერეფანი" კი – ახალი "ცივი ომის" ბრძოლის ველი.

რუსეთი ახალი პრეზიდენტის პირობებშიც არ შეცვლის ექსპანსიონისტური ენერგეტიკული პოლიტიკის ხარჯზე საკუთარი გეოპოლიტიკური გავლენის გაზრდის კურსს, რაც გამოიხატება დასავლეთის ენერგომომარაგების სექტორში მონოპოლისტური მდგომარეობის მიღწევისა და ნავთობდოლარების საკუთარი თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიების განვითარების სფეროში, დიდი მასშტაბებით ინვესტირებაში.. პუტინის რუსეთის სამომავლო სტრატეგიული განვითარების 15 წლიანი დოქტრინა, რომელსაც სავარაუდოდ მისი მემკვიდრე გააგრძელებს, მიმართულია, რომ რუსეთმა რამდენადმე მაინც შეძლოს პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსული გავლენის რეანიმირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 1. ლ. იზორია საქართველო და მსოფლიო უსაფრთხოების ტენდენციები 24 საათი 5.02.2007
2. ზ.გარაყანიძე ახალი "ცივი ომის" მიზეზი ენერგეტიკა იქნება 24 საათი 31.05.2007

Summary

Tinatin Iashvli, Irina Iashvili

Russia's aggressive policy of power engineering concerning neighboring countries

Given article covers Russia's new approach to the policy concerning the use of energy carriers and economic sanctions instead of military

interference as its political weapon. Russia's aggressive policy of power engineering concerning neighboring countries is discussed in the article.

Резюме

Тинатин Яшвили, Ирина Яшвили
Агрессивная экономическая политика России в отношении соседних стран

В данной статье рассмотрен новый политический подход России для укрепления своих позиций с соседними государствами. Инструментом политической борьбы, вместо военного, выступают экономические санкции и воздействие на энергоносители. Показана агрессивная экономическая политика России в отношении соседних стран.

თამარ სრესელი

სასამართლო რეფორმა და მისი როლი

საქართველოს სამართლებრივი ისტორია არ არის დროში მეტად გავრცობილი პროცესი. მიუხედავად ამისა, იმპულსები, რომლებიც მოდის ჩვენი საზოგადოებიდან სამართლებრივი რეფორმების საკითხში, გამოირჩევა თავისი რადიკალური დემოკრატიზმით. ილუსტრაციისათვის იმის გახსენებაც კმარა,

რომ პირველმა ქართულმა სახელმწიფომ 1918-1921 წლებში ურთულეს პირობებში მოახერხა მაშინდელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის მიღება.

ჩვენ, თუმცა ახალი სახელმწიფო, მაგრამ ახალი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კვლავ აქტიურად მიმდინარეობს. საქართველოს ახალმა კონსტიტუციამ ჩამოაყალიბა სრულიად ახალი ზედნაშენი პარლამენტისა და პრეზიდენტის ინსტიტუტები. მაგრამ იმისათვის, რომ ამ ორი ინსტიტუტების ნება თითოეულ მოქალაქამდე დავიდეს, და არა როგორც ამას ხშირად ადგილი აქვს, დარჩეს მხოლოდ სახელმწიფოს აპარატის ზედა ეშელონებში, კონსტიტუცია შეიცავს სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების დეტალურ და ვადაში საკმაოდ შემჭიდროებულ პროგრამას. ამ პროგრამის ძირეული ელემენტია სასამართლო და მისი რეფორმირებული სისტემა. კონსტიტუციამ აღიარა უფლებები და თავისუფლებები, როგორც ყველაზე დიდი და წარუვალი ღირებულებების პრიორიტეტი – მათი დაცვის გარანტიად კი რეფორმადე არსებული სასამართლო სისტემა ვერ გამოდგებოდა.

რაც შეეხება პირველი, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა რაც ამ ინსტიტუტის პოლიტიკურ ავტონომიას გულისხმობს.სასამართლო ცივილიზებულ, დემოკრატიულ სახელმწიფოებში განიხილება როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო, საკუთარი სტრუქტურითა და კომპეტენციით და არა როგორც დარგობრივ-სამთავრობო დაწესებულება, რომელიც იმყოფება აღმასრულებელი ხელისუფლების ან პარლამენტის დაქვემდებარებაში. აღნიშნული პრინციპი არის არა მარტო სამართლებრივი, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობის.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მეორე მნიშვნელოვანი ასპექტია მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობა. ეს უმთავრესად წმინდა სამართლებრივი პრინციპია და იმას გულისხმობს, რომ მართლმსაჯულების განხორციელების კანონით დადგენილ პროცედურაში არათუ პოლიტიკურ ხელისუფლებას, არამედ თვით სასამართლოს თანამდებობის პირებსაც კი (თუ კანონით არ არის გათვალისწინებული) არა აქვთ ჩარევის უფლება. მოსამართლე შესაძლოა დაისაჯოს, თანამდებობიდან განთავისუფლდეს ან დაპატიმრებული იქნას თუ საამისო საფუძველი არსებობს, მაგრამ კონკრეტული საქმის განხილვისას მასზე ზემოქმედების არანაირი საშუალება არ უნდა არსებობდეს.

სასამართლო რეფორმის პირველი ეტაპის განხორციელებისას შემუშავებული იქნა სასამართლოს დამოუკიდებლობის შემდეგი ძირითადი გარანტიები:

პირველი, ადმინისტრაციული დამოუკიდებლობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ სასამართლო გამოვიდა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებიდან და მისი ფორმირება გამოცდებისა და კონკურსის წესით ხდება.

მეორე, პროცესუალური დამოუკიდებლობა. გაუქმებულია სასამართლოს მიმართ პროკურატურის კონტროლი, და თუ წარსულში სასამართლო მოიაზრებოდა შინაგან საქმეთა და პროკურატურის ორგანოების დანამატად, ამჟამად იგი თავად მოექცა პროცესუალური აქტივობის ცენტრში.

მესამე, ტერიტორიული დამოუკიდებლობა, რაც ჩვენთვის აქამდე უცხო მოდელი იყო. იმ მიზნით, რომ სასამართლო საბოლოოდ გათავისუფლდეს ზეწოლისაგან, იქნება სასამართლოების განსხვავებული ტერიტორიული სისტემა. რეფორმამ, უპირველეს ყოვლისა, სასამართლოების ზნეობრივი გაჯანსაღება დაისახა მიზნად. აქ გადამწყვეტი როლი საზოგადოებას ეკუთვნის. სახელმწიფო (პარლამენტი, ომბუდსმენი..) და არასამთავრობო (თავისუფალი პრესა, პოლიტიკური პარტიები...) ინსტიტუტების აქტიური მხარდაჭერით შეიძლება ჩამოყალიბდეს სასამართლოს სისტემის ცივილიზებული სახე. ამ თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში მყოფი რეფორმის ცალკეული პროცესების მიუკერძოებლად ჩატარებას.

და ბოლოს, რეფორმის მიზანს მართლმსაჯულების პროცესიული დონის ხარისხობრივი ამაღლება წარმოადგენდა. ამ მიზნით ჩატარდა საკვალიფიკაციო ხარისხობრივი გამოცდები, რომლითაც შემოწმდა მომავალი მოსამართლეების თითქმის მთელი საკანონმდებლო მასალის ცოდნის დონე. ახალი ადამიანებით დაკომპლექტდა. საზოგადოების გარკვეული ნაწილი მოითხოვდა მოსამართლის თანამდებობის არჩევითობის დაწესებას, მაგრამ ეს იდეა უარყოფილი იქნა, რადგან მოსამართლის პროფესიონალიზმის უმთავრესი მაჩვენებელი ცოდნაა, რასაც ყველაზე უკეთ სწორედ საკვალიფიკაციო გამოცდები და კონკურსი შეაფასებდა. ამავე დროს გათვალისწინებული იყო ისიც, რომ არჩეული მოსამართლე იძულებული იქნებოდა ანგარიში გაეწია თავისი ამომრჩევლებისათვის, რაც მნიშვნელოვნად შეზღუდავდა მის დამოუკიდებლობას. არ შეიძლება მოსამართლე იყოს მემარჯვენე

ან მემარცხენე, მოსამართლე უნდა იყოს კანონის უტყვი მორჩილი და არა კანონის მმართველი.

და ბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო რეფორმა თავად დროის მოთხოვნაა. დღეს დემოკრატიული საზოგადოების უმთავრესი მისწრაფება სამართლებრივი სახელმწიფო და კანონის უზენაესობაა. ახალი სასამართლო სისტემა ახალ მოთხოვნებს გვკარნახობს."სამართალი უნდა აღსრულდეს, თუნდაც მოისპოს სამყარო", ამბობდნენ ძველი რომაელები. სახელმწიფოს დემოკრატიულობისა და კანონის უზენაესობის ყველაზე ეფექტური და პრიორიტეტული გარანტია, შესაძლოა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება იყოს, ვინაიდან პარლამენტის მიერ მართლმსაჯულების განსახორციელებლად მიღებული კანონები ფარატინა ქაღალდად რჩება მანამ, სანამ არ მოხდება მათი სათანადო იმპლემენტაცია, სანამ ამ კანონებს მოსამართლე არ გამოიყენებს და მათ სიცოცხლეს არ შესძენს, სანამ ქვეყანაში კონსტიტუციისა და სხვა ნორმატიული აქტების უზენაესობა სასა-მართლო პრაქტიკით არ დამკვიდრდება.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციამ, 1997 წლის 13 ივნისის "საერთო სასამართლოების შესახებ" და 1999 წლის 12 მაისის "საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულმა კანონებმა მყარი სამართლებრივი საფუძველი შეუქმნეს საქართველოში დამოუკიდებელი მართლმსაჯულების განმახორციელებელი სასამართლო ხელისუფლების მშენებლობას.

სასამართლოს ხელისუფლების განხორციელების მართლმსაჯულების ფორმა ხორციელდება სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით საერთო სასამართლოების მიერ ყოველ ადამიანს უფლება აქვს უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად, პირადად ან წარმომადგენლოების მეშვეობით, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს; სასამართლოს აქტი აგრეთვე, თავისი უფლებამოსილების განსახორციე-ლებლად სასამართლოს მოთხოვნა და განკარგულება სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა ფიზიკური თუ იურიდიული პირის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის.

სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს (კანონით განსაზღვრული წესით), ხოლო სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა იწვევს კანონით

გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას; მართლმსაჯულება ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე საქმეში მონაწილე ყველა პირის თანასწორობის საფუძველზე და სამართალწარმოება კი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლო გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში ცხადდება საქვეყნოდ;

მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია, ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, შეთანხმებებსა და კანონს.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოები პირველი ინსტანციის სასამართლოებს მიეკუთვნება, სადაც ყველა საქმე განიხილება ერთპიროვნულად მოსამართლის მიერ, კანონით დადგენილი წესით. რაიონული (საქალაქო) სასამართლოები შედგება არანაკლებ ორი მოსამართლისაგან. აღნიშნული სასამართლოების განსჯად საქმეებს განსაზღვრავს საპროცესო კანონმდებლობა.

საქართველოს საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების ახალმა კანონდებლობამ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტიათა განსამტკიცებლად, სრულყოფილი მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველსაყოფად, სასამართლო სისტემების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დაამკვიდრა საქმეთა განხილვის სააპელაციო პროცედურა. სააპელაციო სასამართლოების უფლებამოსილებებს ახორციელებენ საოლქო (თბილისისა და ქუთაისის) და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები, რომლებიც სააპელაციო წესით განიხილავენ საჩივრებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გადაწყვეტილებებზე. ამავე სასამართლოებებში, გარდა სააპელაციო სამართალწარმოებისა, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით ხდება საქმეთა პირველი ინსტანციით განხილვა; აგრეთვე, გადაწყვეტილებების მიღება საქართველოს სისხლის სამართალის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე.

სასამართლო რეფორმის გასატარებლად, წინადადებების შემუშავების, მოსამართლეთა თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატურების შერჩევის, წარდგინების, მოსამართლეთა თანამდებობიდან განთავისუფლების, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზების და კანონით დადგენილი სხვა

ამოცანების შესრულების მიზნით შეიქმნა 12 წევრიანი საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო-საქართველოს იუსტიციის საბჭო.

სასამართლო რეფორმის განხორციელების პირველ ეტაპზე ძირითადი ყურადღება დაეთმო სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურულ ჩამოყალიბებასა და მართლმსაჯულების კორექტულად განხორციელებისათვის საჭირო დამხმარე ქვესტრუქტურულ ორგანოთა შექმნას. სამართლებრივი რეფორმის მომდევნო ეტაპზე საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს სასამართლოთა ორგანიზაციულ მართვასა და ადმინისტრირებას.

სასამართლოს ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ისეთი პირობების შექმნა, რომელიც საშუალებას მისცემს სასამართლოს შეუნარჩუნოს მიუკერძოებლობა და შეუვალობა რათა განამტკიცოს დამოუკიდებლობა. ზემოაღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი წინაპირობა არის ის, რომ მოსამართლეებმა უნდა მიიღონ მათთვის შესაბამისი ხელფასი, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემს შეინარჩუნონ თავისი და ოჯახის წევრების ცხოვრების სათანადო სოციალური სტანდარტი.

საერთო სასამართლოების ადმინისტრაციისა და ორგანიზაციული მართვის სფეროებში ცვილებების შეტანის შემდეგ, არანაკლებ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმისწარმოებისა და საპროცესო კანონმდებლობის გადასინჯვასა და კორექტირებას. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოხდეს საპროცესო კოდექსის იმდაგვარი კორექტირება, რომელიც მიზნად დაისახავს არა მხოლოდ სისტემის ეფექტურობის გაზრდას, არამედ ადამიანის უფლებათა დაცვის მყარი გარანტიების შექმნას საერთაშორისო სტანდარტების, განსაკუთრებით ევროსაბჭოს რეკომენდაციებისა და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი რომ ყოველთვის გვახსოვდეს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოსამართლეებიდან სპეციფიურად ითხოვს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენებას, შემთხვევები გარდა თუ საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

რამდენადაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირდაპირ ადგენს, რომ საერთაშორისო შეთანხმებები და

ხელშეკრულებები (თუ ისინი კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება, რაც შემთხვევაში არ ხდება) უპირატესი იურიდიული ძალით სარგებლობენ კოდექსთან მიმართებაში, მოსამართლეები არ უნდა შეიზღუდონ კოდექსში არსებული ხარვეზებით მათ უფლებამოსილებებთან დაკავშირებით და უშუალოდ უნდა გამოიყენონ საერთაშორისო ხელშეკრულებები. რასაკვირველია სასურველია აგრეთვე, რომ ქართული კოდექსი გადაისინჯოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისით.

არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის აღნიშვნას, რომ თუ სასამართლოები არ დაიცავენ ადამიანის უფლებებს, მაშინ სხვა არავინ არ დაიცავს.

სახელმწიფოში რეფორმის (მათ შორის სასამართლო რეფორმის) წარმატება საზოგადოების მოთხოვნებიდან და უკეთესისაკენ ლტოლვის სურვილით განისაზღვრება. ბიძგი თავად მოსახლეობიდან უნდა მოდიოდეს, რათა ყველამ – პოლიტიკოსებმა, მეწარმეებმა, მოსამართლეებმა და მთელმა მოსახლეობამ მთლიანობაში უნდა შეიგნონ თავიანთი ერთსულოვანი აუცილებლობა და გააძლიერონ პირადი პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ.
2. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ.
3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
4. დებულება რაიონული (საქალაქო), საოლქო,აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლის სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ.
5. საქართველოს კანონი საერთო სამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ დებულება.

Summary

Tamar Sreseli
Judicial reform and its role

Court reform is one of the essential demand of our reality. Today the main goal of Democratic society is to form the state regulated by the law

and to recognize the supreme power of the law. New court has to meet new new requirements.

"Justice should be fulfilled even if the universe parishes", ancient Romans say.

The most effective guarantee of state democracy and law suprimacy may be the independent and impartial court system. The law passed by parliament is only the sheet of paper unless it is implemented by judges and unless the suprimany of constitution and other statutory acts are put into practice.

Р е з ю м е

Тамар Сресели
Судебная реформа и ее роль

Судебная реформа является насущным требованием сегодняшнего дня. В настоящее время главнейшим стремлением демократического общества является создание правового государства и верховенство закона. Новая судебная система диктует новые требования. «Справедливость должна восторжествовать, если даже погибнет мир» - провозгласили еще древние римляне. Самой эффективной и приоритетной гарантией государственной демократичности и верховенства закона может быть формирование независимой и непредвзятой судебной системы, потому что принятые парламентом для осуществления правосудия законы остаются простой бумагой до того, пока не будет внедрена соответствующая имплементация, пока судья не будет применять эти законы и не «оживит» их, до тех пор, пока в стране верховенство Конституции и других нормативных актов не подтвердится судебной практикой.

თეონა ქათამაძე

კულტურული მემკვიდრეობის საკითხი საქართველოს (1918-1921) დემოკრატიულ რესპუბლიკაში

XX საუკუნის დასაწყისში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარება მკვეთრად აისახა საქართველოს მოსახლეობის ყოფიერებაზე. დიდი წნეხის ქვეშ იყო ქართული კულტურა, განსაკუთრებით ეროვნულ საგანმანათლებლო დაწესებულებები. მრავალსაუკუნოვან და თვითმყოფად კულტურაში რუსიფიკატორები ხედავდნენ ქართველი ხალხის

ეროვნული მოძრაობის ძირითად საზრდოს და მიზანმიმართულად აწარმოებდნენ კულტურული მემკვიდრეობის დათრგუნვის პოლიტიკას. განათლების სრული რუსიფიკაცია და სკოლებიდან ქართული ენის გამოდევნა ამ პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო. ქართული ენის შევიწროება ხორციელდებოდა როგორც საერო, ისე სასულიერო სასწავლებლებში. განათლების სფეროზე რუსიფიკატორთა ფართო შემოტევამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოსახლეობის დიდი აღშფოთება გამოიწვია. სამეგრელოში, აჭარაში, იმერეთში და ა.შ. საპროტესტო გამოსვლებსაც ჰქონდა ადგილი. ბევრგან მოსწავლეები უარს ამბობდნენ საგნების რუსულად შესწავლაზე და ტოვებდნენ სკოლებს. მოთხოვნილება ეროვნულ სკოლებზე კიდევ უფრო იზრდებოდა.

1918 წლის 26 მაისს ეროვნულმა საბჭომ აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და დაიწყო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესი. მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის (**დროშა, გერბი, ჰიმნი**) შემუშავება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა და გერბი შემუშავებულ იქნა იაკობ ნიკოლაძის და იოსებ შარლემანის მიერ ივანე ჯავახიშვილის კონსულტაციით. 1918 წლის სექტემბერში საქართველოს სახელმწიფო დროშად დამტკიცდა სამფეროვანი (შვინდისფერი, შავი, თეთრი) დროშა, ხოლო სახელმწიფო გერბად თეთრი გიორგი შვიდი მნათობით. სახელმწიფო ჰიმნის სტატუსი შეიძინა კოტე ფოცხვერაშვილის "დიდებამ". ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში, მიუხედავად სათანადო სახსრების სიმცირისა, დიდი ყურადღება ექცეოდა **განათლების, მეცნიერების** და **კულტურის** განვითარებას. ამ პერიოდში მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული ზოგიერთი კანონი და დადგენილება, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილ სფეროებს ეხებოდა. 1918 წლის 3 სექტემბერს მიღებულ იქნა კანონი **ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადების** შესახებ, 1918 წლის 6 სექტემბერს – **"განათლების" საზოგადოების – თამარ მეფის სახელობის – ქალთა საოსტატო სემინარიის მთავრობის გამგებლობაში გადაცემის შესახებ**, 1918 წლის 13 სექტემბერს – **სამასწავლებლო ინსტიტუტის და სემინარიების გაეროვნების** შესახებ, 1918 წლის 1 ოქტომბერს – **საქართველოს სახელმწიფო ენის** შესახებ, 1918 წლის 26 ნოემბერს – **საღვთო**

სჯულის სწავლების გაუქმების შესახებ, 1919 წლის 1 აგვისტოს – **კავკასიის მუზეუმის გაუქმებისა და მის სანაცვლოდ საქართველოს მუზეუმის დაარსების** შესახებ, 1920 წლის 30 მარტს – **საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეის დაარსების** შესახებ, 1920 წლის 23 აპრილს – **რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების** შესახებ და აგრეთვე 1920 წლის 28 მაისს – **საისტორიო, საარქეოლოგიო, სამხატვრო და სხვა საკულტურო ნივთების საქართველოს რესპუბლიკიდან გატანის აკრძალვის** შესახებ.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ შესაძლებელი გახადა განათლების სფეროში ფართომასშტაბიანი ღონისძიებების განხორციელება. 1920 წლიდან შემოღებულ იქნა სამსაფეხურიანი სწავლება, რომლის შემდეგაც მოსწავლეს უფლება ჰქონდა სწავლა გაეგრძელებინა უმაღლეს სასწავლებელში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, მკვეთრად იმატა როგორც პირველდაწყებითი სკოლების რიცხვმა, ასევე მოსწავლეთა რაოდენობამაც. შემუშავდა პირველდაწყებითი სახალხო სკოლების დროებითი პროგრამები, დიდი ყურადღება ექცეოდა სახელმძღვანელოების შექმნასა და გამოცემის საკითხსა. იაკობ გოგებაშვილის "დედაენის" გარდა სკოლებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა შემდეგი სახელმძღვანელოები: იოსებ ოცხელის "ქრესტომათია", დიმიტრი უზნაძის "ძველი საბერძნეთი", სიმონ ქვარიანის "საქართველოს ისტორია" და სხვ.

XX საუკუნის დასაწყისში საგრძნობლად იზღუდებოდა ეროვნული მეცნიერების განვითარება. ხელისუფლების მხრიდან შექმნილი ბარიერების მიუხედავად, ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები, განსაკუთრებით ეროვნული მოძრაობის აღმავლობა, სტიმულს აძლევდა ეროვნული მეცნიერების, კერძოდ მეცნიერების ჰუმანიტარული დარგების განვითარებას. ეს პროცესი ქართული ერის სულიერი მოთხოვნითაც იყო განპირობებული.

საქართველოში მეცნიერების აღორძინების თვისებრივად ახალი ეტაპი იწყება თბილისის უნივერსიტეტის დაარსების დღიდან. 1918 წლის 3 ოქტომბერს მიღებული კანონის თანახმად ქართული უნივერსიტეტი გამოცხადდა სახელმწიფო უნივერსიტეტად და დაერქვა "თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი". კანონის მიღების დღესვე დამტკიცდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დროებითი ძირითადი დებულება, როელშიც ჩამოყალიბებული იყო, რომ თბილისის უნივერსიტეტი სამეცნიერო-სასწავლო სფეროს,

საუნივერსიტეტო მართვა-გამგეობისა და შინაური მეურნეობის მხრით სრულიად ავტონომიურია და ყველა ამ დარგის საქმეებს თვითონ განაგებს. უნივერსიტეტის მთავარ ორგანოთა მოქმედების მეთვალყურეობა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს კომპეტენციაში შედიოდა. სახელმწიფოს ყოველწლიურად ხარჯთ-აღრიცხვაში შეჰქონდა განსაზღვრული ოდენობის თანხა უნივერსიტეტის შესანახად. ხარჯთ-აღრიცხვას ადგენდა უნივრსიტეტის პროფესორთა საბჭო და გამგეობა და რომელიც წლის დამდეგამდე წარედგინებოდა სახალხო განათლების მინისტრს განსახილველად და დასამტკიცებლად. შემდგომ ამისა, უნივერსიტეტის გამგეობას გამოჰქონდა ფული და უნივერსიტეტის ყოველ ხარჯს ისტუმრებდა.

თბილისის უნივერსიტეტი სრული უნივერსიტეტის სტატუსით არსებობდა და მოიცავდა სიბრძნის-მეტყველების, ანუ ფილოსოფიურ ფაკულტეტს, რომელშიც საფილოსოფოსო, საისტორიო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგები შედიოდა, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთისა და სამხრეთ-ჩრდილოეთ ქვეყნებისა და ერების შესახებ; სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს; სამართლის მეცნიერების ანუ იურიდიულ ფაკულტეტს და სამკურნალო ფაკულტეტს. ქართული მეცნიერების განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნულ-სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავებას. 1919 წელს ივანე ჯავახიშვილი დაინიშნა "სასწავლო კომიტეტის" თავმჯდომარედ, რომელმაც ცნობილი მეცნიერებებით დააკომპლექტა შემდეგი დარგობრივი კომისიები: საზოგადო ისტორიის, საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენებისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკა-ქიმიის, ბიოლოგიური და ჰიგიენის, ფილოსოფიური და სპეციალური ტექნიკური დარგების კომისიები. პროფესორები, კერძო დოცენტები, მეცნიერ-ხელმძღვანელები, ლაბორანტები, ასისტენტები და ლექტორები ლექციებს ქართულად კითხულობდნენ, ქართულადვე წარმოებდა საქმითი ვარჯიშობანი.

თბილისის უნივერსიტეტში მხოლოდ ერთი სამეცნიერო ხარისხი იყო დოქტორის ანუ მოძღვართ-მოძღვრობისა, რომელიც უთანაბრდებოდა რუსეთის უნივერსიტეტების მაგისტრის ხარისხს, ხოლო დასავლეთ ევროპის დოქტორის ხარისხი მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო ხარისხს უდრიდა. უნივერსიტეტში პროფესორობა და კერძო დოცენტობა მხოლოდ იმ მეცნიერს შეეძლო, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა თბილისის უნივერსიტეტის მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო

ხარისხი, ან უცხოეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტის სამაგისტრო ან სადოქტორო ხარისხი, მაგრამ დიპლომი და დისერტაცია სათანადო ფაკულტეტის მიერ განხილული და მოწონებული უნდა ყოფილიყო.

თბილისის უნივერსიტეტს და ცალკე პროფესორთა საბჭოს უფლება ჰქონდა გარეშედ მოსული გამოეცადა და მეცნიერების წინაშე განსაკუთრებული ღვაწლის გამო, გამოუცდელად და უდისერტაციოდ, პატივისცემის ნიშნად, პირისათვის მიენიჭებინა დოქტორობის ხარისხი. ხოლო რაც შეეხება სტუდენტებს, შეიძლებოდა ყოფილიყო ორივე სქესის წარმომადგენელი, რომელთაც საშუალო სკოლა უნდა ჰქონოდა დამთავრებული, და აგრეთვე იყვნენ ორივე სქესის მსმენელები. სტუდენტებს და მსმენელებს ლექციების მოსმენისათვის უნივერსიტეტის სასარგებლოდ, ყოველ სემესტრში, ფული უნდა გადაეხადა, რომლის რაოდენობას უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო განსაზღვრავდა. ლექციების მოსმენის, მუშაობის და გამოცდების ჩაბარების შემდეგ, სტუდენტები და მსმენელები სურვილისაებრ იღებდნენ შესაბამის მოწმობებს, ხოლო ნიჭიერ კურსდამთავრებულებს, შესაბამისი ფაკულტეტის პროფესორთა საბჭო დატოვებდა სამეცნიერო კვლევა-ძიებაში დასაწინაურებლად და შემდგომ პროფესორობისათბის მოსამზადებლად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰქონდა საკუთარი დროშა და ბეჭედი.

1918 ქლის 6 სექტემბერს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონი, რომლის თანახმად "განათლების" საზოგადოების თამარ მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარია გამოცხადდა სახელმწიფო სკოლად და მთელი სასკოლო მოწყობილობით, ბიბლიოთეკით და მუზეუმით გადავიდა მთავრობის გამგებლობაში. ხოლო ამავე წლის 13 სექტემბერს მიღებული კანონის საფუძველზე გაუქმდა თბილისის ინსტიტუტის და გორის სემინარიის აწინდელი ეროვნული განყოფილებები და გამოცხადდა თბილისის საოსტატო ინსტიტუტი, გორის, ხონის და სოხუმის სემინარიები ქართულ სახელმწიფო სკოლებად, და ოთხივე სკოლას მიეცა კრედიტი სახელმწიფო ხაზინიდან მასზედ დართული ხარჯთაღრიცხვის თანახმად.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან ოთხი თვის შემდეგ 1918 წლის 1 იქტომბერს, რესპუბლიკაში მიღებულ იქნა კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. ეს ფუნქცია ქართულ ენას მიენიჭა. ხელისუფლებამ დაიწყო მთელი რიგი ღონისძიებათა გატარება, რათა ქართულ ენას ოფიციალურად

შეეძინა სახელმწიფო ენის სტატუსი. მისი უპირველესი ნაბიჯი იყო საქმის წარმოების რუსულიდან ქართულზე დაგაყვანა. სხვადასხვა სტრუქტურებში, დაწესებულებებში შეიქმნა ქართული ენის შემსწავლელი სპეციალური პროგრამები, უფასო კურსები, რადგან ქართული ენის არმცოდნეებს არ გაჭირვებოდათ მუშაობა ქართულ ენაზე. ამ წამოწყებას თავისთავად ჰყავდა როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები, საქართველოს მთავრობა არ შეუშინდა წინააღმდეგობებს და პრაქტიკულად დაიწყო სიძნელეების გადალახვა. დიდი იყო სურვილი იმისა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ენაც თავისი ჰქონოდა და საქმის წარმოება და განათლება მშობლიურ, ქართულ ენაზე მოეწყო. 1919 წლის 1 იანვრიდან ქართულად საქმის წარმოებასა და საქმის განხილვაზე გადავიდა ქუთაისის ოლქის სასამართლო, ხოლო 8 თებერვლის მთავრობის დადგენილებით 1 მარტიდან იგივე უნდა განხორციელებულიყო თბილისის ოლქის სასამართლოში. დადგენილება არაქართველებისათვის შესაძლებლად თვლიდა რუსული ენის გამოყენებასაც. საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყველანაირი საქმის წარმოება და კამათი ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო, თუმცა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს, ვინც ქართული ენა არ იცოდა, შეეძლოთ სიტყვა წარმოეთქვათ დედაენით. ქართული ენის დაფუძნების პროცესი შედარებით სწრაფად ხორციელდებოდა თითქმის მთელ საქართველოში. გამონაკლისს თბილისი წარმოადგენდა, სადაც კვლავ რუსული ენა წარმოებდა.

1919 წლის 14 იანვარს მიღებულ იქნა კანონი ადგილობრივ თვითმმართველობათა ორგანოებში ქართული ენის ხმარების შესახებ. ამ კანონის მიხედვით მსჯელობა, საქმის წარმოება და მიწერ-მოწერა ქალქის და ერობის თვითმმართველობაში ქართულად უნდა წარმოებულიყო, ხოლო სიტყვის წარმოთქმა და განცხადების შეტანა თვითმმართველობის ორგანოებში დაშვებული იყო სხვა ადგილობრივ ენაზეც. თუ რომელიმე თვითმმართველობის ფარგლებში მცხოვრებ რესპუბლიკის მოქალაქეთა ნახევარზე მეტისათვის სალაპარალო ენად მხოლოდ რომელიმე არაქართული ადგილობრივი ენა იყო, მაშინ დადგენილებით ქართულ ენასთან ერთად ამ ენის გამოყენებაც შეიძლებოდა. ეს კანონი არ ვრცელდებოდა სოხუმის და სოჭის ოლქებზე და ძალაში შევიდა პარლამენტის მიერ მიღების დღიდან.

გარკვეული გამოცოცხლება დაეტყო ქართული ენის დაფუძნების პროცესს 1920 წლიდან, თუმცა დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში სასურველი შედეგი

ბოლომდე მაინც ვერ გამოიღო. 1921 წლის იანვარში, ხელისუფლებამ აღიარა, რომ მათ მიერ წამოწყებული ღონისძიება ნახევრადაც ვერ განხორციელდა. საქმის წარმოება ბევრგან კვლავ რუსულ ენაზე ხდებოდა და სალაპარაკო ენადაც რუსული გამოიყენებოდა. რესპუბლიკის ქალაქებში კი კვლავ რუსულენოვანი წარწერები სჭარბობდა.

მეცნიერების შემდგომ განვითარებისთვის უდავოდ დიდ მოვლენას წარმოადგენდა კავკასიის მუზეუმის გარდაქმნა საქართველოს მუზეუმად და საქართველოს ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსება.

ქართველი ხალხის მავალსაუკუნეობრივი ისტორიის, ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის ასახვის დარგში დიდი მუშაობა გასწია საქართველოს ს.ნ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმმა. მისი წინამორბედი იყო რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების "კავკასიის მუზეუმი", რომელიც 1865 წელს დაარსდა. სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ 1919 წლის 1 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო კანონი, რომლის საფუძველზე გაუქმდა ქ. თბილისში არსებული კავკასიის მუზეუმი და მის ბაზაზე დაარსდა საქართველოს მუზეუმი, რომელსაც გადაეცა კავკასიის მუზეუმის ყოველი უძრავი და მოძრავი ქონება და საქმე. მუზეუმს უფლება ჰქონდა: 1. უბაჟოდ გამოეწერა და მიეღო უცხოეთიდან წიგნები, კოლექციები, ხელსაწყოები, ლაბორატორიის მასალა და სამეცნიერო საჭიროების ყოველგვარი ნივთი; 2. საქართველოს საზღვრებში მიეღო და გაეგზავნა უფასოდ ფოსტით სამეცნიერო საჭიროების ყოველგვარი მასალა, წონით არაუმეტეს ერთი ფუთისა. რაც ძალაში შევიდა დამფუძნებელი კრების მიერ მიღების დღიდან. საქართველოს მუზეუმის მიზანს წარმოადგენდა ხელი შეეწყო საქართველოს მეცნიერულად შესწავლას, ამისათვის მუზეუმმა თავი მოუყარა, მოაწესრიგა, შეინახა და მეცნიერულად დაამუშავა ყოველი მასალა და კოლექცია, ყოველი კუტურული მემკვიდრეობის დანიშნულების ნივთი, რაც კი საქართველოს და მის მეზობელ ქვეყნების ფიზიკურ ბუნებას, ეთნოგრაფიას და ისტორია-არქეოლოგიას შეეხებოდა. მუზეუმთან არსებობდა წიგნთსაცავი სადაც შეგროვდა უმთავრესად საქართველოს და მის მოსაზღვრე ქვეყნების შესახებ თხზულებანი. მას გააჩნდა საკუთარი პერიოდული გამოცემანი. მრავალი დიდმნიშვნელოვანი კულტურული და მეცნიერული განძით შეივსო მუზეუმის ფონდები. რესპუბლიკის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად მნიშვნელოვანი თანხა იყო გამოყოფილი ახალი სამუზეუმო

ექსპონანტების შესაქმნელად, რომელიც განათლების სამინისტროს განკარგულებით იხარჯებოდა. მუზეუმის სახსარს აგრეთვე შეადგენდა სპეციალური თანხა, რომელიც იყო: მუზეუმში შესასვლელი გადასახადი, შემოწირულობანი, გამოცემათა და კოლექციების დუბლიკატების გაყიდვით აღებული შემოსავალი. აქედან შემოსული თანხა იხარჯებოდა მოქმედების გაძლიერების, სამეურნეო საჭიროებათა დაკმაყოფილებასა და სამეცნიერო მიზნებისათვის, საზოგადო წესით დირექტორის განკარგულებით, სახალხო განათლების მინისტრისაგან ნებართვის მიღების შემდეგ. მუზეუმს ჰქონდა სახელმწიფო გერბიანი საკუთარი ბეჭედი გერბის ირგვლივ შემდგარი წარწერით "საქართველოს მუზეუმი".

ქართული კულტურის და ხელოვნების განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეამ, რომელიც 1920 წლის მარტში მიღებული კანონის საფუძველზე შეიქმნა. სამხატვრო გალერეა განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში შედიოდა და ფინანსდებოდა სახელმწიფო ხაზინიდან. სამხატვრო გალერეის მიზანს წარმოადგენდა: შეეგროვებინა და დაეცვა მხატვრობისა და ქანდაკების ნაწარმოებები, უმთავრესად ქართულისა და საქართველოს მოსაზღვრე ხალხთა ხელოვნებისა როგორც ძველისა, ისე ახლისა. გალერეასთან არსებობდა წიგნთსაცავი, სადაც გროვდებოდა თხზულებანი ხელოვნების შესახებ, აგრეთვე ნახატების, გრავიურების, რეპროდუქციების კოლექციები და სამხატვრო ჟურნალები. გალერეის შემოსავალს, როგორც უკვე აღვნიშნე, ნაწილობრივ შეადგენდა სახელმწიფო ხაზინიდან სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულებაში გადადებული განსაზღვრული თანხა და აგრეთვე სპეციალური თანხა, რომელიც გროვდებოდა მუზეუმში შესასვლელი გადასახადით, შემოწირულობანით, კოლექციათა დუბლიკატების გაყიდვით აღებული შემოსავალით და რომელიც საზოგადო წესით იხარჯებოდა განათლების სამინისტროს ნებართვის მიღების შემდეგ. გალერეას ჰქონდა სახელმწიფო გერბიანი ბეჭედი გერბის ირგვლივ შემდეგი წარწერით: „საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა".

ქართული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1920 წლის 28 მაისს მიღებულ დეკრეტს, რომელიც კრძალავდა საქართველოდან ხელოვნების ნიმუშების და სხვა საკულტურო ნივთების გატანას, ამგვარ ნივთებს შეადგენენ: ყოველგვარი საეკლესიო ნივთი და სამკაული, ხატი, ჯვარი, ჭურჭელი,

ქსოვილები, ხელთნაწერები და ძველი ნაბეჭდი წიგნები, სურათები და სხვა მხატვრული ნაწარმოებები. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო 1920 წლის აპრილში მიღებული კანონი საქართველოს ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების შესახებ. კანონის მიღების შემდეგ დაიწყო საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის აუცილებელი მასალების თავმოყრა და დამუშავება.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა განუზომლად დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო ერის ცხოვრებაში. ამ პერიოდში განსაკუთრებული აღმავლობა განიცადა სწორედ ეროვნულმა კუტურამ. დროის მცირე მონაკვეთში, მძიმე ეკონომიკური პირობების მიუხედავად, მტრული ძალებით გარშემორტყმულმა საქართველომ ბევრი რამ ახალი და მნიშვნელოვანი შექმნა. ეროვნული კულტურის გაღრმავებასა და ხელშეწყობაში დიდი დამსახურება მიუძღვოდა სასულიერო პირებს, კერძოდ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქებს: კირიონ II და ლეონიდს. ისინი არამარტო სასულიერო მოღვაწენი, არამედ ქართული კულტურის, მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, კირიონ II დამსახურებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საისტორიო წყაროების, საარქივო მასალების შეგროვებას. მან დიდი წვლილი შეიტანა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" სიძველეთა მუზეუმის ისტორიული საბუთებით გამდიდრების საქმეში. მიტოვებული ეკლესია-მონასტრების ნესტიანი სენაკებიდან, საოჯახო კოლექციებიდან მოპოვებულ მასალებს ყოველწლიურად უანგაროდ სწირავდა ამ მუზეუმს. 68 ხელნაწერი გადასცა საეკლესიო მუზეუმს. მან ექვთიმე თაყაიშვილთან, თედო ჟორდანიასთან, მოსე ჯანაშვილთან და ზაქარია ჭიჭინაძესთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა ქართველ სიძველეთა გადარჩენის საქმეში. მისი უდიდესი ღვაწლით არაერთ ეკლესია-მონასტერს ჩაუტარდა რესტავრაცია, გამორჩეული იყო **ალავერდის, შუამთის, ქვათახევის, რუისის, სვეტიცხოვლის** ეკლესიების შეკეთება, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართული ენის, დედაენის შესწავლას და ქართველი მომავალი თაობისთვის შენახვას და გადაცემას ნიშნად ქართული კულტურისა, ზნეობისა და ჩვევისა. ამ პერიოდში ხელისუფლებამ ეკლესიასთან მიმართებაში დაუშვა შეცდომები. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და საერო ხელისუფლებას შორის გარკვეული გაუგებრობები წარმოიშვა

ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 ნოემბრის კანონის მიღების შემდეგ, რომელიც ითვალისწინებდა ყოველი ტიპისა და საფეხურის სახაზინო და კერძოუფლებიან სკოლაში საღვთო სჯულის სწავლების და საღვთო სჯულის მასწავლებლის თანამდებობის გაუქმებას; ხსენებულ სკოლებში კრედიტის დახურვას, რომელიც გახსნილი იყო საღვთო სჯულის ჯამაგირისათვის. ეს გადაწყვეტილება იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ათეისტური მიმართულების აშკარა გამოხატულება. ხელისუფლება მარტო ამ კანონით არ შემოიფარგლა. მისივე გადაწყვეტილებით სახალხო განათლების სამინისტროს გადაეცა ყოფილი სასულიერო სასწავლებლების ქონება-ნაგებობები და იქიდან გამოძევებულ იქნა სასულიერო პირები, რაც უკანონო ქმედება იყო ხელისუფლების მხრიდან. მთავრობამ სპეციალური დეკრეტით ეკლესიებს, მონასტრებს ჩამოართვა მიწები, ვენახები, სათიბები, ტყეები, წისქვილები, ე.ი. არსებობის სახსარი მოუსპო მათ. ამ მოვლენით განცვიფრებული იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდი (1918-1921). მასაც არანაკლები ღვაწლი მიუძღვოდა იმ დროის საქართველოს ეკლესიის და ქართული კულტურის წინაშე მსგავსად კირიონ II. ლეონიდი იძულებული გახდა წერილით მიემართა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიასთვის. მან აღწერა შექმნილი ვითარება და თანხმობა განაცხადა, სამართლიანად გაყრილიყო ეკლესია სახელმწიფოსგან. უწმინდეს ლეონიდს მიაჩნდა, რომ თუ მთავრობა ცივილიზებული ფორმით, ეკლესიისაგან განცალკევებას დაუჭერდა მხარს, მაშინ უნდა შეესყიდათ მისი უძრავ-მოძრავი ქონება და ა.შ. მისი უწმინდესობის წერილს კონკრეტული შედეგები არ მოჰყოლია, ამიტომ 1919 წლის 15 მაისს უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქი ლეონიდი შეხვდა მთავრობის თავმჯდომარეს, სადაც დაწვრილებით გააანალიზეს საქართველოს ეკლესიის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობა. ნოე ჟორდანიამ ეკლესიის მეთაურს დახმარება აღუთქვა, რომ უახლოეს მომავალში მთავრობა მიიღებდა გადაწყვეტილებას მონასტრებისათვის კერძო მესაკუთრის ნორმით მიღებული მიწების დატოვების შესახებ, მაგრამ სამწუხაროდ საქმე წინ არ წასულა. ერთი თვის შემდეგ უწმინდესმა კვლავ გაუგზავნა წერილი ნ. ჟორდანიას, რომელშიც კვლავ აღწერილი იყო ეკლესია-მონასტრებში შექმნილი მდგომარეობა, ბერების გაუსაძლისი პირობები, „ზოგნი შიმშილით იხოცებიან, ზოგნი გარბიან მონასტრებიდან, ამის გამო მონასტრების

მდგომარეობა სულ უფრო და უფრო სავალალო ხდება, და საქართველოს საამაყო ისტორიული ნაშთები სულ უპატრონოდ დატოვებული ხდებიან". შემდგომ ამისა, დამფუძნებელი კომისიის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ პრეზიდიუმის სახელით გაგზავნა მიმართვა, რომელიც აღნიშნავდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად სამღვდელოების, საკათედრო ტაძრების, საკათოლიკოსო დაწესებულებათა შენახვისათვის 1918 წლის პირველ იანვრამდე დაიფარებოდა გაწეული ხარჯები. კანონპროექტი კომისიამ მიიღო, მაგრამ რეალური დახმარება ეკლესიას არ მიუღია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ეკლესიას ფაქტიურად უნდობლობა გამოუცხადა და რელიგიის შესახებ მიღებული კანონით იგი გაუთანაბრა საქართველოს მოქმედ სხვადასხვა კონფესიებს, „ხელისუფლების ძირითადი მიზანი იყო საქართველოს ეკლესიის იზოლაცია სახელმწიფო პოლიტიკისაგან, რადგან მან კარგად უწყოდა ეკლესიის დიდი ისტორიული ავტორიტეტი ქართველ მოსახლეობაში, რომლის ძირითადი ნაწილი ეკლესიასთან ერთად, სახელმწიფოში გატარებული რეფორმების წინააღმდეგ შეიძლება გამოსულიყო". იმ დროს, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას საფრთხე შეექმნა, 1921 წლის 22 თებერვალს საკათოლიკოსო საბჭოს წერილით მიმართა უწმინდესმა ლეონიდმა, რის შედეგადაც უნდა ემსჯელათ შემდეგ საკითხებზე: 1. სად და როგორ იქნებოდა დაცული ომისაგან მოსალოდნელ საშიშროებისაგან სოფლებისა და ქალაქის ეკლესიების განძეულობა და სიწმინდე? 2. სად იქნებოდა დაცული საკათოლიკოსო საბჭოს ქონება და არქივი? 3. როგორ შეცვლილიყო ეკლესიის მართვა-გამგეობის წესები ამ შიშიანობის ჟამს? და ა.შ. საქართველოს ეკლესიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის საკითხს და განსაკუთრებით მთავრობის გარკვეულ გადაწყვეტილებებს. საკათოლიკოსო საბჭომ მიიღო დადგენილება საეკლესიო განძეულობის, ძვირფასი ხატების თბილისის ეკლესია-მონასტრებიდან გატანისა და ქუთაისში ევაკუაციის შესახებ და მთავრობისაგან ითხოვა სპეციალური დაცვის გამოყოფა მათი უსაფრთხოების მიზნით. 24 თებერვალს უწმინდესმა და უნეტარესმა ლეონიდმა დატოვა თბილისი და გაემგზავრა ქუთაისში. როდესაც მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ემიგრაციაში წასვლის თაობაზე და ამავე დროს საქართველოს ეროვნული სიწმინდეების, განძის წაღების შესახებ, ეს თავზარდამცემი ფაქტი იყო პატრიარქისთვის. მას

უსიამოვნო საუბარი ჰქონდა ჟორდანიასთან, მაგრამ უშედეგოდ. 17 მარტს საქართველოს მთავრობა ბათუმის პორტიდან გაემგზავრა განძეულობით დატვირთული. საქართველოს პატრიარქი 13 აპრილს დაბრუნდა თბილისში... მას აღარც დამოუკიდებელი სახელმწიფო დახვდა და აღარც საეკლესიო სიწმინდეები, პატრიარქი თითქოს უცხო ქალაქში დაბრუნდა. ასეთი გამხდარიყო ქართველთა დედაქალაქი...

ამრიგად, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესმა საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ სწორად განსაზღვრა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის ძირითადი მიმართულებები განათლების, მეცნიერების სფეროში და დროის სიმცირის მიუხედავად, მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. თუმცა იყო არასწორად გადადგმული ნაბიჯებიც, რომელნიც მკვეთრად აისახებოდა კულტურის განვითარებაზე. გაურკვეველი იყო თუ რატომ ეწინააღმდეგებოდა მთავრობა სულიერი და მატერიალური კულტურის უნიკალურ ნიმუშების დაცვას და შენარჩუნებას, მომავალი თაობებისათვის რაც ყველაზე ძვირფასი იყო, ნაწილობრივ ის უფასურდებოდა... და მაინც, "ვინც სათანადოდ ვერ შეიგნებს თავის მშობლიურ სიძველეებს და სიყვარულით არ მოუფრთხილდება თავის წინაპრების კულტურულ მემკვიდრეობას, ის მათი არაღირსეული მემკვიდრეა, შემთხვევითი რგოლია ცოცხალ არსებათა ჯაჭვში, ცუდი მეგზურია, მშობლიური სიძველის ცოდნის გარეშე შეუძლებელია ჩაწვდე წარსულს, გაიგო აწმყო და შეგნებულად იმუშაო მომავალი დიდი ნაციონალურ-კულტურული საქმისათვის".

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921წწ. თბილისი, 1990
2. საქართველოს ისტორია, XX ს. სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. რედაქტორი, პროფ. ვ. გურული, თბილისი, 2003.
3. სერგო ვარდოსანიძე – საქართველოს ეკლესიის ისტორია 1917-1952წწ.

4. ამირან ნიკოლეიშვილი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურა, სადოქტორო დისერტაცია (ხელნაწერი). თბილისი, 1999

Summary

Teona Katamadze
Issue of Cultural Heritage in Georgian Democratic Republic (1918-1921)

The issue concerns the important the role of Culture in Democratic Republic of Georgia in 1918-1921 years. In that period the policy of depressing Georgian centuries-old cultural heritage was implemented, mainly, by the russifiers. Despite this fact, Georgia, surrounded by hostile environment, created a lot of new and important things. The process of building Georgian Government was marked by development of the spheres of education, science and culture. Some bills and decisions adopted and made by the National Council point to this fact. The article covers these important bills and decisions.

РЕЗЮМЕ

Теона Катамадзе
Вопрос культурного наследия в демократической республике Грузия (1918-1921)

Данный вопрос касается того, насколько знаительной была роль культуры в 1918-1921 гг. в демократической республике Грузия. В тот период целенаправленно проводилась политика угнетения многовекового культурного наследия, в основном, со стороны русификаторов. Несмотря на это, окруженная вражескими силами Грузия создала много нового и значительного. В процессе

строительства государственности Грузии большой подъем испытали сферы образования, науки и культуры, о чем говорят принятые национальным советом некоторые законы и постановления, которые в последующем представят предмет моего обсуждения.

CONTENTS

International conference PUBLIC ADMINISTRATION TRANSFORMATION IN THE SOUTH CAUCASUS----------5

Giorgi Bagaturia, Sofiko Cxadadze
Strategic planning of state politics – Bismarck ----------11

Lali Gvasalia
Return to heaven ----------29

Bela Goderzdishvili, Maia Danelia
Regional Policy in the Context of Federalism ---------- 39

Tariel Kikvadze, Tamar Bridze
The methods of selecting the optimal portfolio ---------- 48

Genadi Iashvili
Strengths and Weaknesses of Small and Medium Enterprises.
Their role in country's economical development ---------- 55

Rusudan Tabukashviki
The female language hypothesis ---------- 64

David Taktakishvili
On the problem of different view pionts ---------- 71

Temur Todua, Mariam Natsvlishvili
Administer and Management in the system of Public Administration ---------- 79
Temur Todua , Ciala Gagnidze
Political leader's part in public administrative system ---------- 89

Sergo Lominadze
Social-Philosophical aspects of PR-activities---------- 99

Maia Chkheidze
The Problem of Constructing Logical Arguments----------108

Maia Chkheidze
The Problem of Effective Verbal Communication----------116

Student's pages

Mariam Geliashvili, Maia Geliashvili
Historical roots of education in Georgia----------127

Dachi Taktakishvili
Highbrow Speculation on Mother-and-children Relationship----- --134

Gvanca Gogishvili
Rhetorical art----------144

Mariam Lomidze
Management and protection of water resources of Georgia----------158

Tinatin Iashvli, Irina Iashvili
Russia's aggressive policy of power engineering concerning neighboring countries----------160

Tamar Sreseli
Judicial reform and its role----------176

Teona Katamadze
Issue of Cultural Heritage in Georgian Democratic Republic (1918-1921)----------183

СОДЕРЖАНИЕ

Международная конференция : Трансформация государственного управления на Южном Кавказе---------- 5

Георгий Багатурия, Софико Цхададзе
Стратегическое планирование государственной политики – Бисмарк ----------11

Лали Гвасалиа
Вернёмся к тихой обители!---------- 29

Белла Годердзишвили, Майя Данелия
Региональная политика в условиях федерализма---------- 39

Тариел Киквадзе, Тамар Беридзе
Формирование оптимального портфеля при помощи методов математического програмирования---------- 48

Геннадий Яшвили
Преимущества и недостатки малых и средних предприятий. Их роль в экономическом развитии страны---------- 55

Русудан Табукашвили
Развивтие гипотез женского языка---------- 64

Давид Тактакишвили
Рассуждения о мировоззренческих проблемах ---------- 71

Темур Тодуа, Мариам Нацвлишвили
Администрирование и Менеджмент в системе государственного управления ----------79

Темур Тодуа, Циала Гагнидзе
Роль политического лидера в системе государственного управления ----------89

Серго Ломинадзе
Социаоьно-философские аспекты PR- деятельности ----------99

Майа Чхеидзе
Проблема конструирования логических арнументов ----------108

Майа Чхеидзе
Проблема эффективной вербальной коммуникации ---------- 112

Студенческие страницы

Мариам Гелиашвили, Майя Гелиашвили
Исторические корни образования в Грузии----------116

Дачи Тактакишвили
Гласные раздумья о родительском феномене ---------- 127

Гванца Гогишвили
У истоков ораторского искуства ---------- 134

Мариам Ломидзе
Управление и охрана водными ресурсами Грузии ---------- 144

Тинатин Яшвили, Ирина Яшвили
Агрессивная экономическая политика России в отношении соседних стран ---------- 158

Тамар Сресели
Судебная реформа и ее роль ----------176

Теона Катамадзе
Вопрос культурного наследия в демократической республике Грузии (1918-1921) ----------183

ავტორები

გიორგი ბადათურია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ციალა გაგნიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის,
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი
ლალი გვასალია - ი.ჭავჭავაძის სახ. უნივერსიტეტის სრული პროფესორი
მარიამ გელიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის,
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი
მაია გელიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის,
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი
გვანცა გოგიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის,
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი
ბელა გოდერძიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის თანამშრომელი.
მაია დანელია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მოწვეული სპეციალისტი,
რუსუდან თაბუკაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი
დავით თაქთაქიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
დაჩი თაქთაქიშვილი
თბილისი ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის კლავიშიანი საკრავების ფაკულტეტის მაგისტრანტი
თინათინ იაშვილი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის,
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის დოქტორანტი
ირინა იაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის,
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი
ტარიელ კიკვაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი
სერგო ლომინაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მარიამ ლომიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის,
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი
თამარ სრესელი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის,
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი
სოფიკო ცხადაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის,
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი
თეონა ქათამაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის,
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი
მაია ჩხეიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ჟურნალის რედკოლეგია

ნანა ავალიანი – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

მეუფე აბრაამი (გარმელია) -დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი

ევგენი ბარათაშვილი - - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

გიორგი ბაღათურია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ოთარ ბაღათურია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი

ვახტანგ გურული – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

შოთა დოღონაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი

გენადი იაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

თეიმურ თოდუა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

როინ მეტრეველი - აკადემიკოსი

ქეთი ქოქრაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი

ოთარ ქოჩორაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

რუსუდან ქუთათელაძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

მაია ჩხეიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უცხოური ენებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი